ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ნათია ფუტკარაძე

მეგრული ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია
(სტატისტიკური და მორფოსინტაქსური ანალიზი)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუსი პროფესორი **დამანა მელიქიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ჩუხუა**

თბილისი
2016

სარჩევი

შესავალი ---------- 4
I თავი ---------- 11
1.1. მეთოდოლოგიური წანამძღვრები ---------- 11
1.2. ქართული ზმნის ძირითადი მორფოსინტაქსური საკლასიფიკაციო ერთეული ---------- 13
1.3. შერჩევის რეპრეზენტაციულობა და კვლევის მეთოდები ---------- 18
1.4. გვარის ადგილისათვის ზმნის მორფოსინტაქსურ კლასიფიკაციაში ---------- 21
1.5. პირველი თავის შეჯამება ---------- 27

II თავი. მეგრული ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია ---------- 29
2.1. შესავალი ---------- 29
2.2. სტატიკა და დინამიკა ---------- 30
2.3. მეგრული ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია ---------- 35
2.4. მეგრული ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ---------- 37
2.5. მეორე თავის შეჯამება ---------- 46

III თავი. **I დიათეზა. კონსტრუქცია: nom-erg-dat-nom** ---------- 48
3.1. შესავალი ---------- 48
3.2. I დიათეზის ორი ქვეჯგუფი ---------- 50
3.2.1. I დიათეზის უსრული კონსტრუქცია. ძირითადი სტრუქტურა R-Ø, კონსტრუქცია: nom-erg-dat-nom. გვარი: ავტოაქტივი ---------- 53
3.2.1.ა. ი- პრეფიქსის კვალიფიკაცია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ---------- 53
3.2.1.ბ. ი- პრეფიქსი მეგრულ ერთპირიან ზმნებში ---------- 58
3.2.1.1. უსრული კონსტრუქციის ერთპირიან ზმნათა ქვესტრუქტურები (კლასები) ---------- 61
3.2.1.1.16. I დიათეზის უსრული კონსტრუქციის აბსოლუტივები (შეჯამება) ---------- 80
3.2.1.2. I დიათეზის უსრული კონსტრუქციის ორპირიანი, ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნები ---------- 81
3.2.1.3. I დიათეზის უსრული კონსტრუქცია: აბსოლუტივები და ბრუნვაუცვლელობიექტიანი ორპირიანი ზმნები (შეჯამება) ---------- 92
3.2.2. I დიათეზის სრული კონსტრუქცია ძირითადი სტრუქტურა: R-[Th.s.]-Ø, კონსტრუქცია: nom-erg-dat-nom, გვარი აქტივი ---------- 93
3.3. I დიათეზა (შეჯამება) ---------- 127

IV თავი. **II დიათეზა. კონსტრუქცია: nom-erg-nom-nom** ---------- 128
4.1. შესავალი ---------- 128
4.2. მეორე დიათეზის სტატიკური ქვეჯგუფი ---------- 142
4.2.1. შესავალი ---------- 142

4.2.2. მეორე დიათეზის სტატიკური R-უ/ე(ნ) ქვეჯგუფი. გვარის თვალსაზრისით: უგვარო ---------- 145
4.3. მეორე დიათეზის დინამიკური ქვეჯგუფი ---------- 148
4.3.1. ერთპირიანი კონსტრუქცია, გვარი: ავტოაქტივი, პასივი ------ 151
4.3.2. ბრუნვაუცვლელობიექტიანი R-უ(ნ) ქვესტრუქტურა, კონსტრუქცია: nom-erg-nom-nom, გვარი: აქტივი ---------- 173
4.4. მეორე დიათეზა (შეჯამება) ---------- 181

თავი V. **III დიათეზა. კონსტრუქცია: dat-(dat)-dat-dat** ---------- 184
5.1. მესამე დიათეზის სინტაქსური კონსტრუქცია ---------- 184
5.1.1. ზმნურ სტრუქტურათა დისტრიბუცია მესამე დიათეზაში ---------- 187
5.2. მესამე დიათეზის R-Ø სტრუქტურა ---------- 191
5.3. მესამე დიათეზის R-უ(ნ) სტრუქტურა ---------- 205
5.4. მესამე დიათეზის R-ე(ნ) (ქვე)სტრუქტურა ---------- 223
5.5. მესამე დიათეზა (შეჯამება) ---------- 228

ძირითადი დასკვნები ---------- 229

გამოყენებული ლიტერატურის სია ---------- 236

შესავალი

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია მეგრული ზმნის შესწავლა-გაანალიზება გრამატიკული თვალსაზრისით: მორფოსინტაქსური პრინციპით სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, საკლასიფიკაციო კრიტერიუმად მიღებულია ზმნის ძირითადი სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქცია.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, ტრადიციულად, ქართველური ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად განიხილება გვარის კატეგორია, რომელიც „არსებითად განისაზღვრება როგორც 1. ლექსიკურ-გრამატიკული (ა.შანიძე...); 2. სინტაქსურ-მორფოლოგიური (ფ. ერთელიშვილი, ბ. ჯორბენაძე...); 3. მორფოლოგიური (არნ. ჩიქობავა, ა. ონიანი...) კატეგორია“ (28,421). **ბოლოხანს გამოცემულ კრებულის „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“** (2011) მეოთხე თავში **„გვარი – ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული“** აღნიშნულია, რომ „ქართველურ ენებში გვართა შეპირისპირება **(აქტივი – პასივი)** მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნის“ (28,420). აღსანიშნავია, რომ ამავე ნაშრომში გამოკვეთილია მთელი რიგი წინააღმდეგობები და პრობლემები, რომელთაც ამ კლასიფიკაციის ფარგლებში პასუხი არ ეძებნება. ქართულ ზმნათა კლასიფიცირებისას პრობლემურ საკითხებს ამჩნევდა ბ. ჯორბენაძე: **„არის კი ვნებითის ფორმანტები: ი- და ე-პრეფიქსები და –დ სუფიქსი ვნებითის ფორმათა მაწარმოებლები ქართულში? (162, 148);** ან: „მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა ფუნქციური განაწილება სავსებით შეუძლებელი ხდება: *მალავს და იმალება, ალაპარაკებს* და *ელაპარაკება* და სხვა მრავალი **არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთმანეთის მიმართ აქტივისა და პასივის ფორმები“** (162, 157), „ნათელია, **რომ *მალავს და იმალება,* ფაქტობრივ ორივე არის აქტიური მოქმედების გამომხატველი ფორმა,** რომ აღარაფერი ვთქვათ ***ალაპარაკებს*** და ***ელაპარაკება*** და სხვა მისთანა ფორმებზე“ (162, 158) რა აერთიანებთ სემანტიკურად შემდეგ ფორმობრივ წყვილებს: „***ი-ჟანგება - ჟანგდება, ე-ცხადება – ცხადდება, ი-თვრება – თვრება“*** - უეჭველია, რომ აერთიანებს ვნებითობის სემანტიკა, **მაგრამ ვნებითობა, აქ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავიგოთ წმინდა პასივობად“** (162, გვ. 151), ან: მაგალითში *„გაზეთები ერთ იმისთანა ამბავს* ***იწერებიან,*** *რომელსაც... ადამიანი გვერდს ვერ აუქცევს“*

მოქმედებითის, აქტივის სემანტიკაა“ (162, გვ. 109) ან: ის ფორმანტები, კი, რომლებიც ვნებითის ნიშნებად იწოდებიან *(ი-, ე-, -დ)* სინამდვილეში სულ სხვა მნიშვნელობების გამომხატველნი არიან, ეგ არის მხოლოდ, ამ შემთხვევაში ვნებითობის ფუნქციასთან არიან შეუღლებულნი...“ (162, 158)... „**ზემოხსენებულის გათვალისწინებით ტერმინს „ვნებითი“ ვხმარობთ არა სემანტიკური ან სინტაქსური დანიშნულებით, არამედ, საკუთრივ, მორფოლოგიური თვალსაზრისით, როგორც გარკვეული მორფოლოგიური ყალიბის აღმნიშვნელს**“ (162, 158), ან: „ქართულში ორი ძირითადი ყალიბი გვაქვს: ა) ზმნური ფუძე (*ბად-ებ*) და (2)ზმნური ფუძე+ი (*ი-/ე-ბად-ებ-ი*). **პირობითად** ამათ შეიძლება ვუწოდოთ მოქმედებითისა და ვნებითის ყალიბები (რა თქმა უნდა, აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საკუთრივ აქტიურობა-პასიურობის სემანტიკას)“ (162, 184).

პირობითი გამოყენება ტერმინისა, რომლის მნიშვნელობაც ცალსახადაა დადგენილი (ვნებითი=პასივს), ჩვენი აზრით, ვერ იმუშავებს. სწორედ ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრული ზმნის კლასიფიკაციის პრინციპად ავიღეთ მორფოსინტაქსური კრიტერიუმები: უღლების ტიპების დიათეზის გრამატიკული კატეგორიის მიხედვით დაჯგუფება, რაც აპრობირებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის რეპრეზენტაციული ბაზის მიხედვით შესრულებული მორფოსინტაქსური ანალიზის შედეგად (67; 68); რამდენადაც ჩვენს სადოქტორო ნაშრომს საფუძვლად უდევს მორფოსინტაქსური პრინციპით გამოყოფილი **დიათეზის გრამატიკული კატეგორია**, ამდენად, საჭიროდ ვთვლით წარმოვადგინოთ ამ კლასიფიკაციის ვრცელი მიმოხილვა.

ქართული ზმნის მორფოსინტაქსურ კლასიფიკაციას 1978 წ. ჩაეყარა საფუძველი (66, 17-23). ამავე ავტორის შემდგომ კვლევებში ჩამოყალიბდა ქართული ზმნის უღლების სისტემის სურათი, რომელშიც დიათეზის გრამატიკული (მორფოსინტაქსური) კატეგორია მიღებულია ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფის საფუძვლად (67;68). შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით, **დიათეზა** განმარტებულია, როგორც „<u>ქართული ზმნის **გრამატიკულად მარკირებული**, სტრუქტურითა და კონსტრუქციის ერთიანობით განსაზღვრული კატეგორია, სადაც გვარი **სემანტიკური ნიშნით** განსხვავებული ქვესახეა</u> (67,66; 68,93). დ. მელიქიშვილი გამოყოფს ქართული ზმნის უღლების

სამ ტიპს – სამ დიათეზას, რომელთაგან თითოეულს აერთიანებს მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთგვაროობა.

I დიათეზა: ცხრილი №1

სტატიკური გვარი: **ავტოაქტივი//რეფლექსივი** სტრუქტურა ძირეული **R+Ø**, ი-/უ-**R[ე/ი]-Ø**, prev.-**R**(Ø) ა-/ი-/უ-**R-th-Ø**, **კონსტრუქცია უსრული** **[ის - მან; ის მას - მან მას]**	**დინამიკური** გვარი: აქტივი სტრუქტურა ძირეული, წარმოქმნილი **R- Ø,** ა-/ი-/უ-**R-Ø**, ა-/ი-/უ-**R[ე/ი]-Ø**, ა-/ი-/უ-**R-th-Ø**, **კონსტრუქცია სრული** **[ის მას - მან ის; ის მას მას - მან მას ის]**

II დიათეზა:

სტატიკური უგვარო სტრუქტურა ძირეული **Ø**-/ი-/უ-**R-ი** **კონსტრუქცია უსრული** **[ის –ის]**	**დინამიკური** გვარი: **ავტოაქტივი //რეფლექსივი**, აქტივი, პასივი სტრუქტურა ძირეული, წარმოქმნილი **Ø**-/უ-**R-ებ-ი** **Ø**-/უ-**R-დ-ებ-ი** ა-**R-Th-ი** ე-**R-ებ-ი** **ი-/ე-R-ებ-ი** **კონსტრუქცია სრული** **[ის - ის; ის მას - მას ის]**

III დიათეზა:

სტატიკური უგვარო სტრუქტურა ძირეული ი-/უ-**R-ი** ი-/უ-**R- Ø** **კონსტრუქცია სრული, უსრული** **[მას - მას; მას ის - მას ის]**	**სტატიკური, დინამიკური** სტრუქტურა წარმოქმნილი ა-**R-ებ** ე-**R-ებ-ი** **კონსტრუქცია უსრული , სრული** **[მას - მას; მას ის - მას ის]**

[მელიქიშვილი, 2001]

როგორც ცხრილიდან (№1) ჩანს, ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას ავტორი ეყრდნობა გრამატიკულ (მორფოსინტაქსურ) კრიტერიუმებს, კერძოდ: მორფოლოგიურ სტრუქტურას (აგებულებას) და სინტაქსურ კონსტრუქციას; ქვეჯგუფები კი გამოყოფილია სინტაქსურად განსხვავებული ნიშნების, კერძოდ, ერგატიული, ნომინატიური, დატიური კონსტრუქციების მიხედვით. დიათეზების ფარგლებში გვარი სემანტიკური კატეგორიაა (67,60; 68, 93; 69,828).

აღნიშნული თეორია ითვალისწინებს ინდუქციური მეთოდით, კონკრეტული ენობრივი ერთეულის ზმნურ ფორმათა რეპრეზენტაციული ბაზის ანალიზს მორფოსინტაქსური წესების დადგენის მიზნით.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, „ქართული ზმნის აწმყოს თემა, ძირითადად, ორი სტრუქტურისაა (შდრ.: **„...ქართულ ზმნას შეიძლება ჰქონდეს ორადორი თემა: თემა+0 და თემა+ი“** (66,17-23; 162, 184):

I. თემა+Ø *(R+Ø, R[ე/ი]+Ø, R(Ø/ე)-th+Ø, R-th+Ø)***:** ჟღერ+Ø – წერ+Ø; თვლემ+Ø – ჟღვლემ+Ø; ტირ-ი+Ø – თლ-ი-Ø, ჭრ-ი+Ø; გორა-ავ+Ø – ხატ-ავ+Ø , კლ-ავ+Ø; კანკალებ+Ø – აკანკალებ+Ø, აკეთებ+Ø; ცხოვრობ+Ø - აცხოვრებ+Ø -, ათბობ+Ø -; აბ-ამ+Ø.

II. თემა+ი (*R-ი, R-Th+ი***)**: ს-წერ-ი-(ე) > ს-წერ+ი-(ხარ) – იხატებ+ი, თბები+ი, თეთრ-დ-ებ+ი).

დ. მელიქიშვილის გრამატიკული კლასიფიკაციის მიხედვით, პირველი ჯგუფის სტრუქტურის ზმნებს, როგორც წესი, შეესაბამება ცვალებადი კონსტრუქცია (ბრუნვაცვალებადი სუბიექტი: სახელობითი – მოთხრობითი – მიცემითი) და ამ ნიშნით ისინი ერთ დიათეზაში ერთიანდებიან, რომელიც ორ ქვეჯგუფად იყოფა. **ამ ქვეჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი ბრუნვაცვალებადი ობიექტის ქონა-არქონაა.**

1) პირველი ქვეჯგუფის ზმნების სუბიექტი მოქმედია, მაგრამ მას არა აქვს სამოქმედო ბრუნვაცვალებადი ობიექტი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისინი ბრუნვაცვალებად ობიექტს თავის თავში შეიცავენ, მათი სუბიექტი თვითმოქმედია – **ავტოაქტიურია**. ამ ზმნებს, დ. მელიქიშვილის მიხედვით, სტატიკურობის თვალსაზრისით გარდამავალი საფეხური უჭირავთ **ერთპირიანი სტატიკიდან, უძრაობის მდგომარეობიდან, მოქმედების პროცესამდე:** ისინი ფიზიკური ან სულიერი მოქმედების მდგომარეობას ასახავენ (*კანკალებს, კივის, ტირის, წუხს...*), რასაც, ავტორი გრაფიკულად წრეწირის სახით გამოხატავს (განსხვავებით ერთპირიანი, აბსოლუტური სტატიკისაგან (*გდია, დევს...),* რომელიც, გრაფიკულად წერტილით გამოიხატება). წრე იწყება იმ წერტილიდან, რომელშიც სრულდება: ამ ზმნათა მოქმედებაც იწყება და სრულდება ერთსა და იმავე წერტილში, ანუ უბრუნდება თვითმოქმედ პირს (სუბიექტს). მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ზმნებს რეფლექსივური, უკუქცევითი შინაარსი აქვთ, მათი მოქმედების ობიექტი იგივე სუბიექტია, მათი სუბიექტის მოქმედება შიგნითაა მიმართული, ინტროვერტულია. შესაბამისად, მათ სათანადო მარკერიც, **ი-** პრეფიქსი დაერთვის (68,28). ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ერთპირიან კონსტრუქციაში **–ი** პრეფიქსი რეფლექსივის დამოუკიდებელი, თავისთავადი ნიშანია (და არა „ნასესხები“ აქტივის „სათავისო“ ქცევისაგან (ამ

ფუნქციას ფრანგულ ენაში პირის ნაცვალსახელები ასრულებენ (me, te….), რუსულში – უკუქცევითი ნაცვალსახელის „გაცვეთის" გზით მიღებული სუფიქსი (себя>ся). იგივე **ი-** პრეფიქსი სასუბიექტო ორიენტაციის გამომხატველია **ბრუნვაცვალებად ობიექტიან** (ორპირიან) კონსტრუქციაში. მერაბ ჩუხუას შენიშვნით, ეს **ი-** პრეფიქსიც ასევე დამოუკიდებელი პრეფიქსია. როგორც ვთქვით, **ავტოაქტივებს** ბრუნვაცვალებადი ობიექტი არა აქვთ, მაგრამ შეიძლება გაუჩნდეთ იგი: „სწავლობს გიგლა ტიტინა.." – მაგრამ: „გიგლა სწავლობს გაკვეთილს" „გიგლა კარგად ხატავს, კარგად წერს", მაგრამ: „გიგლა ხატავს პორტრეტს, წერს ლექსს". ასეთი სრული კონსტრუქციის ფორმა პირველი დიათეზის მარჯვენა/ მეორე ქვეჯგუფში გადავა (68,82-83).

2) განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, მეორე ქვეჯგუფის ზმნები ბრუნვაცვალებადი ობიექტის მიხედვით არის გარდამავალი, ისინი მოქმედების პროცესს გამოხატავენ, მათი სუბიექტი აქტიურია, მაგრამ, განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, მათ **სამოქმედო ბრუნვაცვალებად**ი ობიექტი აქვთ; კონსტრუქცია ამათაც ცვალებადი აქვთ – სუბიექტის ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, ბრუნვაცვალებადი ობიექტისა – მიცემითი და სახელობითი, ბრუნვაუცვლელისა – მიცემითი.

ამგვარად, I ჯგუფი/ტიპი, რომელსაც თემა და კონსტრუქცია აერთიანებს, I დიათეზას ქმნის, რომელიც შეიცავს უსრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან პირველი შეზღუდულ დინამიკას, **მოქმედების მდგომარეობას** გამოხატავს და, ამდენად, სტატიკურობის შინაარსს შეიცავს, II კი მოქმედების პროცესს გამოხატავს და, ამდენად, დინამიკური შინაარსისაა; I ქვეჯგუფი ძირეულია, ამოსავალია II ქვეჯგუფისათვის როგორც სტრუქტურის, ასევე კონსტრუქციის თვალსაზრისით (***კანკალებს ის > ა-კანკალებს ის მას, ცხოვრობს ის > ა-ცხოვრებს ის მას)***. მყოფად-წყვეტილის ფორმები ამ ზმნებს ი-პრეფიქსით ეწარმოებათ: ი-კანკალებს – იკანკალა, ი-ცხოვრებს – იცხოვრა… ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „მყოფად-წყვეტილის –ი- პრეფიქსიანიფორმები მართლაც აქტივის „სათავისო ქცევის" ფორმებისაგანაა ნასესხები, თუ ეს სუბიექტის სფეროში მიმდინარე პროცესის, სუბიექტისკენ მიმართული თვითმოქმედების, ანუ რეფლექსივის გამომხატველი -ი პრეფიქსია, რომელიც **R-ებ-ი** სტრუქტურის ერთპირიან ზმნებშიც ამავე ფუნქციას ასრულებს? თანაც, ეს პრეფიქსი ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულის

რამდენიმე პარადიგმაში აწმყოს ფორმებშიცაა სისტემურად დადასტურებული („**ი**ლოცავს, **ი**ტყვის", **ი**სმენს, **ი**ძახის, **ი**ღვწის, **ი**ჩქარის, **ი**ღვიძებს, **ი**ძინებს), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ატიპის ზმნებს ის აწმყოშიც ჰქონდათ და დაეკარგათ და თუ ასეა, ეს საკუთარი ფორმებია და არა ნასესხები. ასეთ შემთხვევაში კი საფუძველი ეცლება „მედიოაქტივის“ გამოყოფას“ (68,63).

II ჯგუფი/ტიპი, რომელსაც, ასევე, სტრუქტურა და კონსტრუქცია აერთიანებს, ქმნის II დიათეზას, რომელიც შეიცავს ასევე, უსრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან I ქვეჯგუფი სტატიკურია და II კი დინამიკური; I ქვეჯგუფი აქაც II-ის საფუძველია როგორც სტრუქტურულად, ასევე კონსტრუქციულად (*გდ-ი-/ხარ/ > ე-გდ-ებ-ი*). ამ სტრუქტურის ზმნებს არ ახლავს ბრუნვაცვალებადი ობიექტი, მათი კონსტრუქცია სტაბილურია: სუბიექტი ყველა სერიაში სახელობითშია, ბრუნვაუცვლელი ობიექტი – მიცემითში.

III ჯგუფი, რომელსაც დატიური კონსტრუქცია აერთიანებს, ნარევი სტრუქტურისაა და ქმნის III დიათეზას, რომელსაც შეიძლება დატიური კონსტრუქციის დიათეზა ვუწოდოთ, რადგანაც ამ ზმნების ორივე ქვეჯგუფის სუბიექტი სტაბილურად მიცემით ბრუნვაში დგას.

ამ დიათეზაშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: I ქვეჯგუფის ზმნები უძველესი სტრუქტურისა და კონსტრუქციის ძირეული ზმნებია. შინაარსით ისინი სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სტატიკური ზმნებია, რომელთა სუბიექტი სულიერი მდგომარეობის განმცდელი, ანუ სუსტი ნებელობის მქონე პირია (უყვარს მას, სძულს მას, უჭირს მას ის). ავტორის აზრით, ამ ზმნათა სწორედ ეს უძველესი, დატიური კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო ამოსავალი ქართული ენის პოლიპერსონალურ ზმნაში არსებული პოტენციის რეალიზაციისათვის: კერძოდ, დინამიკური ზმნების – როგორც I დიათეზის კაუზატიური სტრუქტურის (**ა-R-ებ**) ზმნათა, ასევე II დიათეზის (**R-ებ-ი**) სტრუქტურის ზმნათა ინვერსიის შედეგად მიღებულ იქნა არამატერიალური, სულიერი მოქმედების განმცდელი, სუსტი ნებელობის სუბიექტის მქონე ზმნების ახალი ქვეჯგუფი: (აკანკალებს შიში, სიცივე მას – აკანკალებს შიშ/ისაგან/, სიცივ/ისაგან/ მას, აცემინებს ის მას მას – ეცემინება მას (ის), ანატრებს ის მას მას – ენატრება მას ის...). (68,112-120).

ამგვარად, ქართული ზმნის უღლების სისტემაში გამოიყო სამი დიათეზა, რომელთაგან თითოეულს ახასიათებს ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის სტაბილური ერთიანობა: ქართული ზმნის უღლების

სისტემაში მორფოსინტაქსური თვალსაზრისით გამოიყო უღლების სამი ტიპი – სამი დიათეზა უღლების ქვეკლასებით (67,83-269).

წინამდებარე ნაშრომში ამ მოდელზე დაყრდნობით წარმოდგენილია მეგრული ზმნის სტატისტიკურად აუცილებელი და საკმარისი რაოდენობის უღლებად ფორმატ სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, რის შედეგადაც დადასტურდა ვარაუდი, რომ დიათეზის გრამატიკული კატეგორია „საერთოა ქართველური ზმნის სისტემისთვის, რომელმაც მეგრულსა და ლაზურში გარკვეული ცვლილება განიცადა, რაც მეტყველების ეკონომიურობის ტენდენციითა და ენობრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელი სისტემური ანალოგიის პროცესებით აიხსენება და ერთგვაროვანია ქართველურ ენა-კილოებში“ (68,94).

I თავი
1.1. მეთოდოლოგიური წანამძღვრები

სასწავლო პროგრამებისთვის შექმნილი სხვადასხვა ენის თანამედროვე გრამატიკები, როგორც წესი, ეფუძნება ისო (ISO) სტანდარტებით აგებულ კორპუსებსა და სტატისტიკურ ანალიზატორებს (იხ. მაგ., კოლინზის კორპუსზე დაფუძნებული ინგლისური ენის გრამატიკა (Collins COBUILD English Grammar (1990), „კორგრამი“ (CORGRAM (2009) და სხვ.).

თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, აუცილებელია ქართული ენის აღწერა კომპიუტერული ლინგვისტიკის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით, რომელიც დაფუძნებული იქნება სახელისა და ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის დეტალურ რეპრეზენტაციულ ანალიზზე. ქართული ზმნის უღლებადი ფორმების ტრადიციული კლასიფიკაციის ფარგლებში, რის მიხედვითაც ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად გვარის **სემანტიკური** კატეგორიაა მიღებული, რომლის ფარგლებში არ არის მკვეთრად გამიჯნული საოპოზიციო კრიტერიუმები, ვერ შეიქმნება რელევანტური ალგორითმი ზმნის კომპიუტერული დამუშავებისათვის. თანამედროვე კომპიუტერული ლინგვისტიკის წამყვანი სპეციალისტების მიხედვით, ქართული ზმნის სრულფასოვან ანალიზატორთა შექმნას სწორედ ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულებად მიღებული სემანტიკური კატეგორიები აფერხებს. საგულისხმოა, რომ ილიას უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლინგვისტური პროექტისათვის „ახალი და თანამედროვე ქართული ენის მონოლინგვური კორპუსი“ (http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/search-words (44); შექმნილი პროგრამული **ანალიზატორის ზმნური ბლოკის საფუძველს სწორედ დამანა მელიქიშვილის მიერ ჩამოყალიბებული ქართული ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზი წარმოადგენს;** ეს კი მიუთითებს დიათეზათა კლასიფიკაციის პრაქტიკულ ღირებულებებზე თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით ქართული ზმნის ტრადიციულ კლასიფიკაციაზე. კერძოდ, **ევროპული ზმნის ანალიზის საფუძველზე მიღებული კონვერსიის წესები ყველა ტიპის ქართული ზმნის შემთხვევაში არ მუშაობს, მხოლოდ ნაწილობრივ აღწერს მას, რაც დასაბუთებულია დ. მელიქიშვილის ნაშრომებში (67,66-68, 68,56-72)**. 1943 წელს გამოქვეყნებული აკაკი შანიძის ცნობილი სტატია „აქტივ-პასივის ურთიერთმიმართება ქართული მრავალპირიანი

ზმნის ჩვენებით” (125) იყო ცდა იმის დასაბუთებისა, რომ ქართული მრავალპირიანი ზმნა „აჩვენებს", რომ აქტივის კონვერსია ყოველთვის იძლევა პასივს”. მაგრამ, ქართული ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ სწორედ ქართული მრავალპირიანი ზმნა საპირისპირო შედეგს აჩვენებს, ანუ, **კერძოდ, აქტივის კონვერსია უმრავლეს შემთხვევაში არ იძლევა პასივის გაგებას.** ამგვარად, ქეგლ-ის ზმნათა ბაზის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, „ევროპული **ზმნის მიხედვით გვარის კატეგორიის განსაზღვრა, როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიისა, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით ქართულისთვის მისაღები არ არის ე.წ. <u>R-ებ-ი</u> სტრუქტურის ზმნების შემთხვევაში, თუმცა გამოდგება აღწერითი წარმოების (*წაღებულ იქნა, გაკეთებულ იქნა, გაგებულ იქნა)* ვნებითებისათვის“ (67,65; 68,78).** სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქტივის კონვერსიით ყოველთვის არ მიიღება ე.წ. “პასივი”, არამედ „პასივის ყალიბად“ აპრიორულად მიღებული ფორმა (R-<u>**ებ/ობ/ი/ემ/ივ/ევ**</u>/-ი) უმეტეს შემთხვევაში ავტოაქტივსა და აქტივს მიემართება (მაგ., *აკანკალებს ის მას (აქტივი) – <u>**აკანკალდება ის (ავტოაქტივი)**</u>, აჯახებს ის მას მას (აქტივი) – <u>**ეჯახება** ის მას (**აქტივია**)</u>.*

ზანურის (მეგრულის) ზმნათა კლასიფიკაციისთვისაც აღებულია სალიტერატურო ქართული ზმნისთვის შექმნილი საკლასიფიკაციო თარგი. შესაბამისად, იგივე პრობლემები ზმნის გვარის მიხედვით საოპოზიციო ცალებზე მსჯელობისას ზანურშიც იჩენს თავს. ადრინდელ და თანამედროვე (არნ. ჩიქობავას (141, 110-115), გ. კარტოზიას, მ. ლომიას, თ. ცხადაიასა და რ. გერსამიას (34, 209-211), აგრეთვე, ჭ. ქირიას, ო. მემიშიშის, ლ. ეზუგბაიასა და მ. ჩუხუას მიერ გამოცემულ (119, 594-612) და სხვ. სახელმძღვანელოებში ***ტიბუ(ნ)*** *„თბება“,* ***ჭითონდუ(ნ)*** *„წითლდება“,* ***ატყობუ(ნ)*** *„ემალება“* და სხვ. მსგავსი ზმნური ფორმები პასივებად არის კვალიფიცირებული; თუმცა, მ. ჩუხუას შენიშვნით, „ვნებითი ყოველთვის არ უდრის პასივს“. ჩვენი აზრით, ამ და სხვა ამ სტრუქტურის ზმნათა უამრავ ფორმაში აქტიურობის სემანტიკა სჭარბობს. მათი პასივებად კვალიფიცირება, თუნდაც, პირობითად „**ვნებით გვარის ყალიბში**“ მოქცევა, ისევე როგორც უგვარო სტატიკურ ზმნათა ***წუხენც*** *„წუხს“ და* სხვ. „საშუალ გვარის ფორმებად“ კვალიფიცირება, გრამატიკული კლასიფიკაციის ფარგლებში არარელევანტურია.

1.2. ქართული ზმნის ძირითადი მორფოსინტაქსური საკლასიფიკაციო ერთეული

ზმნის გრამატიკული სისტემის აღწერას საფუძვლად უნდა ჰქონდეს **მორფოლოგიური** და **სინტაქსური** კრიტერიუმები. **კონსტრუქციათა აღწერა** გამოავლენს ზმნაში ჩართულ აქტანტთა ბრუნვებს. **მორფოლოგიური სტრუქტურების** აღწერა კი არკვევს ზმნის ძირითად ყალიბებს; აქედან გამომდინარე, ზმნათა კლასიფიკაციის პრინციპები უნდა ეფუძნებოდეს გრამატიკულ – მორფოლოგიურად და სინტაქსურად მარკირებულ კატეგორიებს; როგორც წესი, ამ კრიტერიუმების მიხედვით კი ქართულ ზმნას აწმყოს თემის მიხედვით აქვს **ორადორი, მკვეთრად გამიჯნული <u>მორფოლოგიური</u>** სტრუქტურა **R-Ø** და **R-ი** (ქართული ზმნის ამ ორი სტრუქტურის შესახებ იხ., დ. მელიქიშვილი (66, 17-23; 68; 69) და ბ. ჯორბენაძე (162, 184) და **სამი, სტაბილურად** ჩამოყალიბებული **<u>სინტაქსური</u>** კონსტრუქცია აგენსის ბრუნვების მიხედვით:

1) სერიების მიხედვით **nom-erg-dat** კონსტრუქციას ყოველთვის **R-Ø** სტრუქტურის ზმნები შეესატყვისება;

2) **nom-nom-nom** კონსტრუქციის მქონე ზმნებს, როგორც წესი, **R-ი** სტრუქტურა აქვთ.

3) მესამე კონსტრუქცია დატიურია: **dat-(dat)-dat**. ეს კონსტრუქცია ორივე სტრუქტურის ზმნას შეიძლება ჰქონდეს: როგორც **R-Ø** ზმნებს, ისე **R-ი** სტრუქტურისას. წინა ორი კონსტრუქციის ზმნებისგან განსხვავებით, დატიური კონსტრუქციის ზმნებისთვის დამახასიათებელია **მიცემით ბრუნვაში დასმული აგენსის მ**ანის რიგით გამოხატული პირის ნიშნები და სუსტი ნებელობის მქონე ინაქტიური სუბიექტი (68, 89).

ტრადიციულ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში მოცემული ტერმინები „აქტიური“ და „პასიური ზმნები“ სემანტიკურადაა შეპირობებული – ტერმინები **„აქტიური და პასიური ზმნებისა“** ბუნდოვანია; ქართული ზმნის ფორმაში მათ არ მოეპოვებათ სტაბილური მორფოლოგიური სტრუქტურები.

კერძოდ: ტრადიციულ კლასიფიკაციაში ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად მიღებულია გვარის სამი **ფორმა**: აქტივი, პასივი და მედიუმი (მედიო-აქტივი და მედიო-პასივი). ქართულში არსებული ორადორი მორფოლოგიური სტრუქტურის დისტრიბუცია კი, შეუსაბამოა: ამ სტრუქტურათაგან ერთი - **R-ებ-ი**

აპრიორულად გაგებულია პასივის სტრუქტურად (არადა, ამ ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა აქტიური მოქმედების გამომხატველია, (მაგ., იხ. პარადიგმა № 10a: ელაპარაკება, ელაქლაქება, ელაციცება, ემადლიერება, ემართლება, ემასხრება, ან კიდევ, უნიშნო, ე.წ. **თბება** ტიპი: *ხმება, შრება...* -დ სუფიქსიანი ტიპი *წითლდება, გიჟდება...*). ხოლო მეორე - **R- Ø** გვხდება როგორც აქტივში, ასევე ე.წ. „მედიუმშიც“. ამ უკანასკენლში კიდევ 2 ქვეჯგუფია გამოყოფილი - „მედიოაქტივისა“ (სტრუქტურა **R- Ø)** და „მედიოპასივისა“ (სტრუქტურა - **R-Aux.)**. „მედიოპასივში“, ისევ და ისევ, მხოლოდ სემანტიკური თვალსაზრისით გამოიყოფა კიდევ 2 ქვეჯგუფი – **(1)** მდგომარეობის გამომხატველ ზმნათა (რომელთაც არ ეწარმოებათ უწყვეტლის მწკრივის ფორმები) და (2) გრძნობა-აღქმის, ყოლა-ქონის, და კიდევ სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის მქონე ზმნათა ქვეჯგუფები, რომელთა „ერთგვარობის” **დაჯგუფება-დახარისხება** არ ხერხდება არც სინტაქსური კონსტრუქციისა და არც მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით. ამგვარად, ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ტრადიციული კლასიფიკაცია წინააღმდეგობრივია. ამის ნათელი მაგალითია მიღებული დებულება, რომ თითქოს **R-ებ-ი** სტრუქტურა მხოლოდ „პასიურ ზმნათათვისაა“ დამახასიათებელი; მაშინ, როდესაც ამ სტრუქტურით გამოიხატება როგორც **ავტოაქტიური**, ისე **აქტიური** და **პასიური** შინაარსიც (ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ, როცა სუბიექტი უსულოა; მაგ., „შენობა აიგო ამ კომპანიის მიერ”, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ასეთი კონსტრუქციები ხელოვნურია ქართულისთვის, რასაც, ა. შანიძეც აღნიშნავს კიდეც ზემოთ დასახელებულ (125) შრომაში: **„ქართული აქტიური ფორმების ენაა... ცოტა, მაგრამ მაინც არსებობს ისეთი ვნებითი ზმნები, რომელთაც სათანადო (კონვერსიული, – *ნ.ფ.*) მოქმედებითი არ მოეპოვება**“ (125, 375).

დავასაბუთოთ, რომ **R-ებ-ი** სტრუქტურა მხოლოდ „პასიურ ზმნათათვის“ არაა დამახასიათებელი და აღვწეროთ მისი ყველა სტრუქტურული და სემანტიკური გამოვლინება: **R-ებ-ი** სტრუქტურას განეკუთვნებიან შემდეგი ზმნები: **1. ე.წ. „უნიშნო პასივები“:** *ვ-თბ-ებ-ი (მე)*, 2. ე.წ. **„დონიანი პასივები“:** *ვ-წითლ-დ-ებ-ი (მე)*, 3. ე.წ. **„ინიანი პასივები“:** *ვ-ი-მალ-ებ-ი (მე)*, 4.ე.წ. **„ენიანი პასივები“:** *ვ-ე-მალ-ებ-ი (მე მას)*, 5. **ისევ „ინიანი პასივები“ ოღონდ უსულო სუბიექტით:** *ი-მალ-ებ-ა (ჩანთა ვიღაცის მიერ)*; ტრადიციული კლასიფიკაციით, ყველა მაგალითი **„ვნებითი გვარისაა“**, ანუ **პასივია**. არადა, პასივის შინაარსი ზმნას **მხოლოდ**

უკანასკნელ მაგალითში აქვს: 5. *ი-მალ-ებ-ა (წიგნი ვიღაცის მიერ).* პირველი სამი მაგალითი (1. *ვ-თბ-ებ-ი (მე), 2. ვ-წითლ-დ-ებ-ი (მე), 3. ვ-ი-მალ-ებ-ი (მე)* - **ერთპირიანი ავტოაქტივებია**, ანუ ავტოაქტიური გვარის (თვითმოქმედი) ზმნებია, რომელთა მოქმედება **ცენტრისკენულია**: მოქმედების აგენსი და პაციენსი ერთი და იგივე პირია[1], მოქმედება არ გადადის სხვა პირზე - ხდება მისი **ინტროვერტიზაცია**. შდრ., ქართული **„*წუხს*“** ტიპის ფორმები „***აწუხებს*“** ტიპის აქტივებს სწორედ **უკუქცევითობის** თვალსაზრისით უპირისპირდება. „***წუხს***“ - **უკუქცევითი** : **„*აწუხებს*“** - **უკუუქცევითი**. უღლების პარადიგმაში დაჩნდება უკუქცევის ნიშანი **ი-** პრეფიქსიც (162, 79). გარდამავლობის მიხედვით ამ ზმნებს გარდაუვალი ზმნები შეიძლება ეწოდოს;

რაც შეეხება მეოთხე მაგალითში მოყვანილ ზმნას (4). *ვ-ე-მალ-ებ-ი (მე მას) (აგრეთვე,* ***ეჯახება მანქანა კედელს, ესევიან მგლები ცხვარს*** *და მისთ.)* – სემანტიკური თვალსაზრისით ის აქტივია – მოქმედების აგენსითა და პაციენსით: ორპირიანია, ობიექტი ბრუნვაუცვლელი აქვს, აქედან გამომდინარე, გარდამავლობის მიხედვით იგი **ირიბგარდამავალია[2],** ანუ მოქმედება ობიექტზე გარდამავალია, ოღონდ ირიბად; მაგ., ***ეკვეთა ქორი წიწილას...*** (67,34).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზმნის ტრადიციული კლასიფიკაციის წინააღმდეგობები კარგად ჩანს ე.წ. „პასიური ზმნების“ მაგალითზე. ქართულში პასიური სემანტიკა შეიძლება გამოიხატოს აღწერითი წარმოებით; **მაგ., *დახატულიყო/იქნა* და ორგანული წარმოებით –მიერ/-გან თანდებულიან კონსტრუქციაში: *„იმალება წიგნი ბავშვის მიერ“* (R-ი სტრუქტურა).** აღწერითი წარმოება საკუთრივ პასივის სტრუქტურაა – ამ ზმნათა პასიური სემანტიკა სადავო არასდროს გამხდარა. რაც შეეხება ანალიზური წარმოების **R-ებ-ი** სტრუქტურის ზმნებს, ისინი მხოლოდ უსულო სუბიექტის შემთხვევაში იძენენ პასიურ შინაარსს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხშირად, განსაკუთრებით, პოეტურ მეტყველებაში, ამ სტრუქტურის უსულო სუბიექტის შემთხვევაშიც შეიძლება გამოისახოს აქტიური შინაარსი: მაგ., ***„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა“*** (ჭავჭ., 1860), ან: „***ეფინება ფოთლები მზის სხივები დედამიწას***“, საკმარისია იმავე ზმნას შევუწყოთ სულიერი სუბიექტი, იგი აქტიური, ხშირად კი ინტროვერტული მოქმედების გამომხატველი

[1] ტერმინ „ავტოაქტივის“ შესახებ დაწვრ. 68,84.
[2] ტერმინ „ირიბგარდამავალის“ შესახებ დაწვრ. იხ. დ. მელიქიშვილი, 68, 45, 85.

ხდება. შდრ., *ი-მალ-ებ-ა (წიგნი) : ვ-ი-მალ-ებ-ი (მე); მაგ.: <u>იგრიხება</u> თოკი ვიღაცის მიერ;* შდრ.: *<u>იგრიხება</u> (მანჭება, იპრანჭება) ბავშვი.*

ამგვარად, ანალიზური წარმოების პასიური შინაარსის ყველა ზმნა R-ი სტრუქტურისაა, მაგრამ ყველა R-ი სტრუქტურის ზმნა არ არის პასივი (67,84).

ზემოთ, ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ კლასიფიკაციის ძირითადი პოსტულატები, რომლებიც საფუძვლად დავუდებთ მეგრული ზმნის უღლებადი ფორმების ახლებურ კლასიფიკაციას. ახლებურს, იმიტომ, რომ მეგრული ზმნის შესახებ გამოქვეყნებული ძველი და უახლესი გამოკვლევები, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით არის გაანალიზებული. ტრადიციული კლასიფიკაცია მეტ-ნაკლებად ევროპული გრამატიკებისთვის შექმნილ „უნივერსალურ" ჩარჩოზეა მორგებული, რაც ხშირ შემთხვევაში მეგრული ზმნის თავისებურებების სრულფასოვან აღწერას უშლის ხელს ისევე, როგორც ეს გამოჩნდა ქართული ზმნის შემთხვევაშიც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კვლევის ამ ეტაპზე თავმოყრილი გვაქვს მეგრულ ზმნათა ფორმები გამოქვეყნებული მეგრული ტექსტებისა და ლექსიკონების მიხედვით (*იოსებ ყიფშიძის, „მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით",* **1914,** პ. ჭარაია, ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტური ენების მკვლევართათვის), შედგენილი პ.გ. ჭარაიას მიერ (მანქანაზე გადაბეჭდილი), **1918,** მაკარ ხუბუას მეგრული ტექსტები, ტფ., 1937, **ქართული ხალხური სიტყვიერება**, 2, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), **1991,** თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი **მეგრული ანდაზები და გამოთქმები** (იკე, 28-ე, თბ., 1989), კალისტრატე სამუშიას „ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები" (თბ., 1990), ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი" და ოთარ ქაჯაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონი), აგრეთვე ჩვენ მიერ ჩაწერილი მეგრული ტექსტები 2006/7 წწ. ს. ქვემო ქვალონში. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ მეგრულ ზმნათა კლასიფიცირებას შევეცდებით. მეგრულთან ძალზე ახლოს მდგარ ლაზურ ზმნათა მორფოსინტაქსური ანალიზი შემდგომი კვლევის საკითხად გვესახება.

ვეყრდნობით რა მოსაზრებას, რომ გრამატიკაში გრამატიკულ ერთეულთა კლასიფიცირება უნდა მოხდეს **არა სემანტიკური, არამედ ოდენ გრამატიკული – მორფოლოგიურად და სინტაქსურად მარკირებული კატეგორიებით** (68,78). ამიტომ, მეგრული ზმნის კლასიფიკაციის საფუძვლად ავიღეთ მორფოლოგიურად

და სინტაქსურად მარკირებული კატეგორიები. კერძოდ, ზმნური ფორმები დავალაგეთ მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით, რის შედეგადაც ზმნები თავად დაჯგუფდნენ ჰომოგენურობის პრინციპით.

ზმნათა სტატისტიკური კვლევა აუცილებლად გასავლელი პირველი ეტაპია, რათა მიღებული დასკვნები მხოლოდ მეცნიერული ალღოს მიხედვით არ იქნას გამოტანილი.

ჩვენ მიერ არჩეული გზის მართებულობაში გვარწმუნებს **დ. მელიქიშვილის** მიერ ჩატარებული ქართული ზმნის მორფოსინტაქსური, ფორმალურ-ფუნქციური კვლევის შედეგები (66, 17-23; 67; 68) და **ბ. ჯორბენაძის** ხელმძღვანელობით შესრულებული სტატისტიკური კვლევის ნიმუშები: „მორფემათა ლექსიკონი“ (16) „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი“ (15), „ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი“ (166).

შემდეგ ქვეთავებში წარმოვადგენთ ჩვენი მასალის შერჩევის კრიტერიუმებსა და ქართული ზმნის მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის მიხედვით განხილულ მეგრული ზმნის სტრუქტურისა და კონსტრუქციის სტატისტიკურ ანალიზს.

1.3. შერჩევის რეპრეზენტაციულობა და კვლევის მეთოდები

თანამედროვე ენათმეცნიერული კვლევები გულისხმობს **მასალის,** ანუ (სტატისტიკურ მეცნიერებათა ტერმინოლოგიით) **„პოპულაციის"** რელევანტურობას. ამ ტიპის კვლევის ჩასატარებლად მეცნიერთა მიერ უკვე დადგენილია მასალის //„პოპულაციის" განსაზღვრის პარამეტრები (40,272). მთავარია არ დაირღვეს პრინციპი: **შერჩევა რეალურად უნდა წარმოადგენდეს საკვლევ მასალას/პოპულაციას**. ელემენტების შერჩევა ორი ზოგადი პრინციპით ხდება: პირველ შემთხვევაში - ელემენტები სისტემის საკვლევი ნაწილის შესაბამისი უნდა იყოს. მეორე შემთხვევაში კი შერჩეული ელემენტების **რეპრეზენტაციულობაა** საჭირო (40,1002), ანუ, მასალა უნდა იყოს საკმარისი და აუცილებელი სწორი დასკვნის გამოტანისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამ ტიპის კვლევა იქნა ჩატარებული ქართული ზმნის რეპრეზენტაციული ბაზის მიხედვით (66:17-23).

ჩვენი სამუშაოს პირველ ეტაპზე, ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონიდან" და ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონიდან" ამოვიწერეთ მეგრული ზმნური ფორმები. თავისთავად **ის ფაქტი,** რომ ლექსიკონებში, კონკრეტულად კი ო. ქაჯაის ლექსიკონში შესულია ამ ნაშრომის გამოცემამდე გამოქვეყნებული ყველა მეგრული ტექსტიდან ამოწერილი სალექსიკონო სტატიები, საშუალებას გვაძლევს თამამად აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ შერჩეული მასალა შერჩევის პირველი პრინციპის **შესაბამისია**, ანუ **რეპრეზენტაციულია**. საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს მიუხედავად, შერჩევის მეორე პრინციპის - მასალის **ხელმისაწვდომობის** საკითხიც არ გამხდარა ჩვენთვის პრობლემური. მესამე პრინციპის – ჩვენი მასალის **შერჩევის მოცულობიდან** გამომდინარე კი, უკვე თავისუფლად შეგვიძლია ვისაუბროთ შერჩევის მეოთხე პრინციპზეც – **შედეგების განზოგადებაზე,** რაც გულისხმობს განსახილველი მასალის **აუცილებელი და საკმარისი** რაოდენობის შეგროვებას დასკვნების მართებულობისათვის, რომელიც შემდეგ **განზოგადდება** ბუნებაში არსებული, ჩვენ მიერ **აღწერილი თუ აღუწერელი** ყველა მეგრული ზმნური ფორმისთვის.

მასალის დამუშავების საწყის ეტაპზევე გამოვიყენეთ **კოდირების მეთოდი.** კერძოდ, თითოეულ ზმნურ ფორმას ვანიჭებდით მისი ზმნური სტრუქტურის იდენტურ კოდს და ვათავსებდით შესაბამის საქაღალდეში. კოდირება

მონაცემების **ადვილად სამართავ ერთეულებად** დახარისხებაში დაგვეხმარა **„ადრეულ ეტაპზევე დაწყებული კოდირება გამორიცხავს ანალიზის სისუსტეს"** (40,1086).

კოდირების პირველი საფეხურის შემდგომ, უკვე, თავისთავად გამოიკვეთა მეგრული ზმნის სტრუქტურული და კონსტრუქციული **ტენდენციები.** და ჩვენც კლასიფიცირების საშუალება მოგვეცა: კოდები **ჰომოგენურ პარადიგმებად** დავაჯგუფეთ და მივანიჭეთ **რიგითი ნომერი**. ამ გზით ჩვენ ადრეულ ეტაპზევე (კერძოდ, ანბანის მესამე ასო-ბგერა **განზე** დაწყებული ზმნური ფორმების ამოწერისას) მივაღწიეთ **თეორიულ სისავსეს, ანუ, მდგომარეობას, როცა ახალი ზმნური ფორმების დამატების მიუხედავად ახალი (ზმნის სტრუქტურების იდენტური) კოდების წარმოქმა აღარ იყო საჭირო.** კვლევის მეთოდების ცნობილი სპეციალისტის **ეზის** მიხედვით, „გამუდმებით შეიძლება ახალი მასალის აღმოჩენა, თეორიული სისავსე მაშინ მიიღწევა, როცა **დასრულებული კოდირება** ჩამოყალიბების პროცესში მყოფი თეორიის ადეკვატურია და ავსებს მას " (25,93).

ინდუქციური მეთოდით კვლევა ამცირებს **მიკერძოებულობის რისკს. სტატისტიკური კვლევის მეთოდი ჩვენი ნაშრომის ძირითადი საყრდენია,** რადგან რაოდენობრივ მონაცემები თვალსაჩინოა და საშუალებას აძლევს მკითხველს, თავად გადაამოწმოს შემოთავაზებული თეორიის სისწორე. შდრ.: *"რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის პერსპექტივა ბევრ დამწყებ მკვლევარს აშინებს, რომლებიც არა მარტო თავს არიდებენ სტატისტიკაზე ფიქრს, არამედ ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებიან კიდეც იმას, რასაც ისინი „ბუნების მათემატიზაციას" უწოდებენ" (171,* 198-199,*). „ზოგი შემოგვედავება, რომ განათლების სფეროში ცნებათა დიდი ნაწილი რიცხობრივ ანალიზზე უბრალოდ არ დაიყვანება. ისინი ამტკიცებენ, რომ სტატისტიკა დახვეწილი პროცესისა და დაუმუშავებელი ცნებების კომბინაციაა. ჩვენ არც ერთ ამ მოსაზრებას არ ვემხრობით. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი კვლევის მძლავრი ფორმაა, რომელიც, ნაწილობრივ, პოზიტივისტური ტრადიციიდან მომდინარეობს" (40, 1142).*

კვლევისას, ინდუქციური მიდგომის წყალობით, მეგრული ზმნური სტრუქტურების წყობა თავად მონაცემებმა შექმნეს – თავადვე დაჯგუფდნენ. **რეპრეზენტაციული შერჩევის**, **კოდირების** მეთოდის, **ძირითადი სტრუქტურების იდენტიფიცირებით** და **კოდების სისავსის ადრეულ ეტაპზევე მიღწევით** არსებული მონაცემებიდან თავისთავად, **ძალდატანების გარეშე** ჩამოყალიბდა

მეგრულ ზმნათა **მორფოსინტაქსური კლასიფიკაცია.** ვიხელმძღვანელეთ **დაფუძნების თეორიის პრინციპით**[3]**.** პროფ. დ. მელიქიშვილის კვლევის შედეგებმა ქართული ზმნის სისტემური – სტატისტიკური მორფოსინტაქსური ანალიზის სფეროში აჩვენა ამ თეორიის მართებულობა. ჩვენი კვლევაც ეფუძნება მასალის სტატისტიკურ ანალიზს – ინდუქციურ მეთოდს. ჩვენი მიზანი იყო:

- ემპირიული მასალის მონაცემებიდან გამომდინარე თეორიის შემოწმება და არა – პირიქით;
- თეორიის ჩამოყალიბება მონაცემების სისტემური შეგროვებისა და ანალიზის შედეგად;
- იმ ტენდენციათა დადგენა რომლებიც იმანენტურად არსებობენ ზმნურ ფორმებში და მხოლოდ რაოდენობრივ-სტატისტიკური კვლევის შედეგად გამოვლინდებიან.

ამგვარად, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა, ანუ „პოპულაცია“, შერჩევის ოთხივე პრინციპს აკმაყოფილებს. ესენია: **რეპრეზენტაციულობა, ხელმისაწვდომობა, შერჩევის მოცულობა და შედეგების განზოგადება.**

მეგრული ზმნათა უღლებადი ფორმების ინდუქციური მეთოდით კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა დიათეზების თეორიის **მეთოდოლოგიური მართებულობა** და ის წინასწარი ვარაუდი, რომ **დიათეზა წარმოადგენს საერთოქართველური ზმნის ძირითად, არქაულ მოდელს, რომელმაც სახე იცვალა მეგრულ-ჭანურში ერგატივის გამოყენების თვალსაზრისით: „ეს სისტემა საერთოა ქართველური ზმნური შესიტყვებისათვის, რომელმაც მეგრულსა და ლაზურში გარკვეული ცვლიელებები განიცადა, რაც მეტყველების ეკონომიურობისა და ენობრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელი სისტემური ანალოგიის პროცესებით აიხსნება, რაც ერთგვაროვანია ქართველურ ენა-კილოებში** (68,94, 69,829).

[3]**„დაფუძნების თეორია** – (Grounded Theory) ზოგადი მეთოდოლოგია თეორიის ჩამოყალიბებისა, რომელიც ეფუძნება ინდუქციურ კვლევის მეთოდოლოგიით სისტემურად შეგროვილ და გაანალიზებულ მონაცემებს (39,4-15).

1.4. გვარის ადგილისათვის ზმნის მორფოსინტაქსურ კლასიფიკაციაში

როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, მეგრულ ზმნათა კლასიფიკაციისას ვეყრდნობით სალიტერატურო ენის ზმნათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის პრინციპს (67; 68). კლასიფიკაციის ფარგლებში, **გვარი სემანტიკური კატეგორიაა. შესაბამისად, იგი გრამატიკული კლასიფიკაციის მორფოსინტაქსურ კრიტერიუმად არ გამოდგება.**

გვარი, როგორც სემანტიკური კატეგორია, გვიჩვენებს, თუ როგორია მიმართება გრამატიკულად მოქმედ პირსა და მის ქმედებას შორის. ქართული ზმნის სტატისტიკური, მორფოსინტაქსური ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ დიათეზათა თეორიის ფარგლებში გვარის სემანტიკური თვალსაზრისით კლასიფიკაცია ასეთია: გამოიყოფა **(1)**გვარის მიმართ ნეიტრალური ზმნები, (2)ავტოაქტიური გვარის ზმნები, (3)აქტივები და (4)პასივები. განვმარტოთ თითოეული მათგანი:

გვარის მიმართ ნეიტრალურია სტატიკური ზმნები, რომელთაც აწმყოში აქვთ R-ი-ვარ/ხარ/ა, ა-R-ი-ვარ/ხარ/ა სტრუქტურა (მაგ., ვწერივარ, აგდია). ისინი მეორე დიათეზის სტატიკურ, უსრული კონსტრუქციის ქვეჯგუფშია განთავსებული.

ყველა ერთპირიანი ზმნა, რომელსაც სულიერ (//პერსონალურ) აგენსს შეიცავს და ეს აგენსი ამავე დროს პაციენსიცაა, **შინაარსით რეფლექსივია//ავტოაქტივია**.

გვარის მიხედვით აქტივია ზმნა, რომელსაც სამოქმედო პირდაპირი ან ირიბი ობიექტი ახლავს.

აქტივ-პასივს შორის ფორმალურ (გრამატიკულ) ოპოზიციას პასივის აღწერითი ფორმები ქმნის: *გაკეთებულ იქნა, დაწერილ იქნა* და ა.შ.

ორგანული წარმოების **R-ებ-ი** სტრუქტურა საერთოა აქტიური და პასიური ზმნებისათვის; ამ სტრუქტურის ზმნათა სუბიექტი, ძირითადად, უსულოა და „მიერ/-გან“ ტიპის კონსტრუქციითაა აგებული: ***შენდება სახლი ამ კომპანიის მიერ*** ა.შ.

ლათინური და ბერძნული გრამატიკების თარგს მიჰყვება ძველი ქართული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელოებიც. ძალზე საინტერესოა გვარის

კატეგორიის კლასიფიკაცია ძველ ქართულ გრამატიკებში: **ზურაბ შანშოვანი**: „ნათესავნი ოთხნი: სამოქმედო, სავნებო, საშუალი და ზიარი“ (127, 21); **ანტონ კათალიკოსი**: „გარემონი ზმნათანი არიან რვა: 1. ნათესავი: შემოქმედებითი და ვნებითი...“ (2,23); **გაიოზ რექტორი**: „ზმნები, რომელთაც თავს უზით **მ-** (მსურს, მეგულება, მწადს) და მეორეში – რომელთაც უზისთ **ვ-**“ (122,67); **იოანე ქართველიშვილი**: „შემოქმედებითი, ვნებითი (ხატშემოქმედებითი და ხატვნებითი) და საშუალი (112, 59); **იოანე ბატონიშვილი:** „ნათესავი ზმნისა გუაჩვენებს სახესა სამსა: შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი“ (31,146); **ს. დოდაშვილი**: „საზოგადოდ ზმნანი განიყოფიან: არსებითად, მოქმედებითად, ვნებითად და უმეშვეობითად (ხატმოქმედებითი და ხატვნებითი)“ (24,20); **პლატონ იოსელიანი**: „ნათესავისამებრ ზმნანი იქმნებიან შემოქმედებითნი, ვნებითში და საშუალონი (საშუალონი მოქმედებითნი და ვნებითნი). არიან არსებითნიცა ზმნანი, რომელნიცა სიმცირისა გამო მათისა არა შევლენ ზოგადსა განყოფასა შინა“ (32, 39-40); **დიმიტრი ყიფიანთან** შემოდის დინამიკისა და სტატიკის ცნება მის „ახალ ქართულ გრამმატიკაში: „ზმნა რა აზრსაც გამოგვითქვამს, რასაც გამოგვიხატავს, ან რასაც გაგვაგონებს, იმის მიხედვით იყოფება, როგორც ამას წინათაცა ვსთქვით, - ორ უმთავრეს ხმად: <u>მოქმედებითად და მდგომარეობითად,</u> შესაბამისად იგი გამოყოფს ორ გვარს: მოქმედებითსა და მდგომარეობითს“. მეორე ხმის ზმნებში (მდგომარეობითში) ითვლება ერთი ცალკე მდგომარე ზმნაცა, რომელსაც ეწოდება არსებითი, „ვარ“ (122, 69); **პეტრე კვიცარიძის** გრამატიკაში გამოიყოფა ზმნის 4 გვარი: (1)**მოქმედებითნი**, რომლისაგან გამომდინარეობენ (2)**ვნებითი** (იკრულვის, იკვლის) და **თვითვნებითნი** (ვეჭმეინები, ვეჩაგვრინები) და **(3)უმეშვეობითი//საშვალო//მდგომარეობითი** (ხატშემოქმედებითი და ხატვნებითი) და **(4)მწეობითი//არსებითი**“ (36,111-113). საინტერესოა, რომ პ. კვიცარიძესთან საშუალ გვარს „მდგომარეობითი“ ეწოდება, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად ასახავს მათ სტატიკურ შინაარსს; **სილოვან ხუნდაძის** გრამატიკაში კი აღნიშნულია, რომ ვნებითის ყალიბით **შეიძლება გამოიხატოს აქტიური მოქმედებაც**, მაგალითში „ჩემი ძმა იწერება“ ნიშნავს „ჩემი ძმა კარგ ამბავს გვწერს“ (158, 57; 1920 წლის გამოცემაში კი ეს შენიშვნა ამოღებულია.)... **დ. კარიჭაშვილი** „თავიანთ თვისების მიხედვით ზმნები ზმნახრილის განსახულებისა სამის გვარისანი არიან: მოქმედებითნი, ვნებითნი და ყოფა-მდგომარეობითნი“ (35,52).

ა. შანიძემ მოახდინა კლასიკურ ენათა გრამატიკებზე დაყრდნობით შექმნილ და ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა სისტემატიზაცია და წლების მანძილზე ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკები სწორედ მისი სქემის მიხედვით იგებოდა და იგება; ა. შანიძის გრამატიკის მიხედვით, ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულია „კონვერსიაზე დაფუძნებული გვარის მორფოლოგიური კატეგორია“, თუმცა, როგორც ზემოთ განვიხილეთ, *ლაპარაკობს – ელაპარაკება* ტიპის ზმნებმა კარგად აჩვენა, რომ კონვერსია ყოველთვის არ მუშაობს და შესაბამისად, აქტივის კონვერსია ყოველთვის არ გვაძლევს პასივს.

გვარი რომ სემანტიკური კატეგორიაა, კარგად ჩანს ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში; თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც გრამატიკულ კატეგორიად მიიჩნევდა გვარს. მას შემოაქვს „ვნებითთან **შეუღლებული** მდგომარეობისა და **აქტიურობის** ფუნქციები“; კერძოდ: „**ი-** პრეფიქსის შემცველი ვნებითის ყალიბის მქონე ზმნათათვის პასიურობასთან ერთად ნიშანდობლივია მდგომარეობისა და აქტიურობის ფუნქციების გამოხატვაც, ამგვარი ფუნქციური ნაირსახეობა, ხშირად ერთსა და იმავე ფორმას ახასიათებს, რაც ფუნქციური ლაბილურობით იხსნება“ (162, 139); ბ. ჯორბენაძე „ვნებითის ყალიბს“ უწოდებს **R-ებ-ი** სტრუქტურის ყველა ზმნას, რომელთაც ახასიათებთ „**სემანტიკური ლაბილურობა, მნიშვნელობათა კონტექსტური ნაირსახეობა,** როცა **ერთსა და იმავე ფორმას შეუძლია გამოხატოს ვნებითიც, აქტიური მოქმედებაც და სტატუსიც (ნიშან-თვისებაც)**“, ამ მოსაზრების გასამყარებლად მოხმობილი აქვს შემდეგი მასაგილითები: „*სპილენძის ფული* ***იჭრებოდა*** – <u>**ვნებითი, პასივი**</u> შდრ.: *გამომშრალი პური ახალგამომცხვარ პურზე უფრო ადვილად* ***იჭრება*** – <u>**სტატუსი, გამოიხატება საგნის ნიშან-თვისება**</u> შდრ.: *მებრძოლი რაზმი მტრის ბანაკში* ***იჭრება*** – <u>**აქტივი, მოქმედების სემანტიკა**</u>“ (162, **110-111**)“.

ამგვარად, ერთი და იმავე ზმნური ფორმით გამოიხატება პასივიცა და აქტივიც – მოყვანილ მაგალითებში კარგად ჩანს, რომ ერთი და იმავე ფორმით გადმოიცემა განსხვავებული შინაარსი. **ვნებითი გვარის მორფოლოგიურად დაპირისპირებული ფორმები – აღწერითი წარმოება მეორეულია, გვიან არის ჩამოყალიბებული.**

გვარი არ არის მიჯაჭვული რომელიმე მორფოლოგიურ ყალიბს, რასაც ცხადყოფს ბ. ჯორბენაძის მიერ მოყვანილი მაგალითებიც (თუმცა მის ყველა

შრომაში გვარი მორფოლოგიურ კატეგორიად განიხილება): **ერთსა და იმავე ფორმას (მაგ., *იჭრება*) შეუძლია გამოხატოს სტატუსიც, პასივიცა და აქტივიც** (162, 110);

გვარი სემანტიკური კატეგორიაა დიათეზების სქემაში: **R-ებ-ი** სტრუქტურით გადმოიცემა აქტივიც, პასივიცა რეფლექსივიც (ავტოაქტივიც). ამათგან, პასივი – (მიერ/-გან) თანდებულის დართვით. **R-ებ-ი** სტრუქტურის ზმნების პასივის ყალიბს ქმნის თანდებულიანი შესიტყვება: **<u>R-ებ-ი–მიერ/-გან.</u>**

ამგვარად, დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში გვარი სემანტიკური კატეგორიაა: მნიშნელობა არა აქვს, რომელი სტრუქტურისა იქნება ზმნა: ***კანკალებს*** (**R-Ø** სტრუქტურა), ***ვთბები*** (**R-ებ-ი** სტრუქტურა), ***წითლდება*** (**R-ებ-ი** სტრუქტურა), ***იმალება*** (სულიერი ეგზეკუტორი, **R-ებ-ი** სტრუქტურა) – **ყველა ავტოაქტიური (რეფლექსივური) გვარის ფორმებია: აგენსი <u>თვითმოქმედია,</u> მის მიერ შესრულებული მოქმედება ინტროვერტიზებულია.**

R-ებ-ი სტრუქტურის ყველა ერთპირიანი ფორმა, რომლის სუბიექტიც/აგენსიც **უსულო** აქტანტია, შეიძლება იყოს სემანტიკურად **პასივი** (მაგ., *წიგნი რამდენიმე წელიწადს **იწერებოდა**)* ან **ავტოაქტივი** (მაგ., *სოფლიდან იწერება, ოთახი ყოველდღიურად **თბება**)*; თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **<u>სემანტიკურ დონეზე</u> მაგალითში „წიგნი იწერებოდა“ ზმნა გვარით პასივია.** სულიერი სუბიექტის შემთხვევაში ერთპირიანი **R-ებ-ი** სტრუქტურის ზმნა ყველა შემთხვევაში ავტოაქტიური შინაარსისაა და შესაბამისად, **გვარით ავტოაქტივი იქნება (*იმალება, იკიკნება, თბება*).**

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ხშირად, განსაკუთრებით, პოეტურ მეტყველებაში, ამ სტრუქტურის ზმნათა უსულო სუბიექტის შემთხვევაშიც შეიძლება გამოისახოს აქტიური შინაარსი: მაგ., *„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი **გადაეფარა***“ (ჭავჭ., 1860)“ (68, 77).

ანალოგიურად იქნება ზანურშიც (resp. **მეგრულში**), რადგან ქართველური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა და კონსტრუქცია მსგავსი პარადიგმის მქონეა ყველა ქართველურ ენობრივ ერთეულში. შდრ.: მაგ., ***ინეფი ტყასი იტყობუნა „ისინი ტყეში იმალებიან“*** – **ავტოაქტივია, შდრ.:** ***მიგამუაფუ(ნ) მუსიკა პიანისტგშე „იკვრება მუსიკა პიანისტის მიერ“*** – **პასივია. საინტერესოა, რომ მეგრულში** „იმალება ჩანთა ბავშვის მიერ/იჩეხება ტყე... **მიერ**” **ტიპის მაგალითები ძალზე ხელოვნური და ნაკლებპროდუქტიულია; ჩვენი დაკვირვებით,** მეგრულად

მოსაუბრეს ურჩევნია, მსგავსი შინაარსი აქტივის ფორმით გადმოსცეს, მაგ., ნაცვლად **„იკვრება ჩონგური გოგონას მიერ“** კონსტრუქციისა - ***ძღაბი ჩონგურცგ მეუგანც „გოგო ჩონგურს დაუკრავს“, ჩეხუნს თინა თის „ჩეხავს ის მას“, ფულუნს თინა თის „მალავს ის მას“...*** ქართულ სალიტერატურო ენაშიც არაბუნებრივია „იკვრება მის მიერ“ ტიპის კონსტრუქცია, როგორც ა. შანიძე აღნიშნავდა თავის ცნობილ სტატიაში, „ქართული აქტიური ფორმების ენაა“ (125, 375)

სულიერი/პერსონალური აგენსის მქონე ყველა ორ- და მეტაქტანტიანი ფორმა, განურჩევლად **სტრუქტურისა** (იქნება ის **R-Ø** თუ **R-ები სტრუქტურისა)**, სემანტიკურად აქტივად კვალიფიცირდება; მაგალითად, **ბრუნვაცვალებადობიექტიანი აქტივია R-Ø** სტრუქტურის ზმნა: ***ფულუნს*** *კოჩი ფარას "მალავს" კაცი ფულს,* შდრ.: **ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი აქტივია R-ი** სტრუქტურის ზმნა: *ატყობუუ(ნ) ძღაბი დიდას - ემალება გოგონა დედას,* ***აჩხიჩხუუ(ნ)*** *თინა თის – (საჩხუბრად)* ***ეჯახება*** *ის მას.*

ავტოაქტივი, აქტივი და პასივი სემანტიკური კატეგორიებია, აქედან გამომდინარე, მეგრულ (resp. ქართველურ) ზმნაში მათ **არ ეძებნებათ სტაბილურად შესაბამისი მორფოლოგიური სტრუქტურა;** გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მორფოლოგიური სტრუქტურის ზმნა (**ვგულისხმობთ ზმნის ძირითად სტრუქტურას დაბოლოების მიხედვით)**, შინაარსით შეიძლება ავტოაქტივიც იყოს, აქტივიც და პასივიც. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია **R-th.s-უ(ნ)** სტრუქტურის ზმნა, რომელიც შეიძლება იყოს აქტივიც, პასივიცა და ავტოაქტიური შინაარსის მქონეც (იხ. ცხრილი №1.1):

ცხრილი №1.1.

<u>სტრუქტურა: **R-უ(ნ)**</u> <u>**(დინამიკური:)**</u>		
ავტოაქტივი **1)სულიერი** **2) უსულო**	**აქტივი** **1) სულიერი** **2) უსულო**	**პასივი** **(უსულო)**
*1)**ტიბუ(ნ) თინა** (თბება (ის))* ***იტყობუ(ნ)** - იმალება* ***2) ხომუ(ნ) თინა** (ხმება ის)*	*1) **აფორუუ(ნ) თინა თის** ეფარება ის მას* *2) **ატყობუ(ნ)** თინა თის ემალება ის მას*	***<u>ხელოვნურია, თუმცა მცირე რაოდენობით მაინც არსებობს:</u>*** ****მიგამუაფუ(ნ) მუსიკა პიანისტგშე „იკვრება მუსიკა პიანისტის მიერ“ <u>(ძალზე ხელოვნური კონსტრუქციაა).</u>*** ***ჩანთა იჩუალუაფუ(ნ) ძღაბგშე „1. ჩანთა ინახება გოგონას მიერ; 2. ორპირიანი კონსტრუქციის შემთხვევაში იქნება: ისინი მას: ჩანთას უმალავენ გოგონას“.***

ამასთან, უგამონაკლისოა წესი: <u>ყველა ანალიზური წარმოების პასიური გვარის ზმნა **R-უ(ნ)** სტრუქტურისაა, მაგრამ არა პირიქით: ყველა მეგრული **R-უ(ნ)** სტრუქტურის ზმნა არ არის პასივი.</u> რადგან, მეგრულ **R-უ(ნ)** (ისევე როგორც სალიტერატურო ქართულ **R-ი**) სტრუქტურის ზმნათაგან ზოგი <u>**ავტოაქტივია**</u> (მოქმედება ინტროვერტულია: ***ჭითონდუ(ნ) „წითლდება“, ტიბუ(ნ) „თბება“, იფულუ(ნ) „იმალება“***), ზოგი <u>**პასივია**</u> (მოქმედება სრულდება ვიღაცის მიერ: ***იფულუუ(ნ) ფარა კოჩიშე „იმალება ფული კაცის მიერ“***) და ზოგიც <u>**აქტივი**</u> (მოქმედება პირდაპირ ან ირიბად გადადის პაციენსზე: ***ატყობუ(ნ) თინა თის „ემალება ის მას“).***

ერთი მორფოლოგიური სტრუქტურით შეიძლება გამოიხატოს გვარის სამი განსხვავებული სემანტიკურად განსხვავებული ერთეული: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი. კონტექსტის საშუალებით ზუსტდება კონკრეტული სტრუქტურის ზმნათა სემანტიკური ნიუანსები. „შეიძლება პარალელის გავლება კაუზაციის კატეგორიასთანაც, სადაც, ასევე მხოლოდ კონტექსტი წარმოაჩენს, იძულებით, რაღაც მიზეზით განპირობებული თუ „ჩვეულებრივი“ მოქმედება სრულდება (მაგ., ცალკე აღებული „ამუშავებს“ ფორმა თავისთავად არ იძლევა არავითარი დასკვნის გაკეთების საშუალებას (კაუზაციის თვალსაზრისით), შესაძლოა გლეხი ამუშავებდეს მიწას და ან ბატონი ამუშავებდეს გლეხს...)“ (119, 637).

ამგვარად, სემანტიკურია კატეგორია, რომელიც კონკრეტულ კონტექსტზეა დამოკიდებული. ამის ნათელი მაგალითია გვარის სემანტიკური კატეგორია ქართულში.

1.5. პირველი თავის შეჯამება

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნას მეგრული ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია. შესაბამისად, დავამუშავეთ მეგრული ტექსტები (*იოსებ ყიფშიძის, „მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით“,* **1914,** პ. ჭარაია, ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტური ენების მკვლევართათვის), შედგენილი პ.გ. ჭარაიას მიერ (მანქანაზე გადაბეჭდილი), **1918,** მაკარ ხუბუას მეგრული ტექსტები, ტფ., 1937, **ქართული ხალხური სიტყვიერება**, 2, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), **1991,** თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი **მეგრული ანდაზები და გამოთქმები** (იკე, 28-ე, თბ., 1989), კალისტრატე სამუშიას „ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები“ (თბ., 1990), ე. დადიანის მეგრული ტექსტები (22), ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“ (2010) და ოთარ ქაჯაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონი (2001-2004); აღვწერეთ მეგრული ზმნის ყველა შესაძლო მორფოლოგიური სტრუქტურა აწმყოს თემის მიხედვით. დავაკვირდით ამ ზმნათა კონსტრუქციას სერიებისა და მწკრივების მიხედვით.

საანალიზო ერთეულთა დამუშავებამდე გავითვალისწინეთ მასალის შერჩევის საბაზისო კრიტერიუმები: **რეპრეზენტაციულობა, ხელმისაწვდომობა; შერჩევის მოცულობა და შედეგების განზოგადება.**

მეგრული ზმნის მორფოსინტაქსური კლასიფიკაცია მოვახდინეთ ზმნის სტრუქტურასა და კონსტრუქციაზე დაყრდნობით და არა გვარის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით, რადგანაც გვარის გამოყოფის საფუძველი – კონვერსია არ მუშაობს ქართველური პოლიპერსონალური ზმნისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ აქტივის ფორმათა კონვერსია, უმეტეს შემთხვევაში, არ იძლევა პასივის შინაარსს, ჩვენ არ ვიზიარებთ გვარის როგორც გრამატიკული კატეგორიის ტრადიციულ კვალიფიკაციას.

მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში გვარი მხოლოდ სემანტიკური კატეგორიაა და იგი არ არის მიჯაჭვული რომელიმე მორფოლოგიურ სტრუქტურას. მეტიც, **ერთ მორფოლოგიურ სტრუქტურაში დასაშვებია გვარის სემანტიკური საოპოზიციო ერთეულები: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი. მათი გარჩევა მხოლოდ** კონტექსტის საშუალებით არის შესაძლებელი.

ჩვენ მიერ გაანალიზებული მეგრული მაგალითების მიხედვით ***აფორუ(ნ)*** *ეფარება,* ***ატყობუ(ნ)*** *ძღაბი დიდას „ემალება გოგონა დედას“* და მსგავსი უამრავი სულიერი სუბიექტის მქონე ზმნა სემანტიკურად აქტიურია, მოქმედება უშუალოდ გადადის ირიბ ობიექტზე: ***აჩხიჩხუ(ნ)*** *თინა თის „(საჩხუბრად)* ***ეჯახება*** *ის მას“* - არ არის პასივი, პირიქით, აქტიური მოქმედების გამომხატველია, ოღონდ **R-th.s.-უ(ნ)** სტრუქტურისა; ამდენად, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ გვარი მხოლოდ სემანტიკური კატეგორიაა, მით უფრო, რომ ერთსა და იმავე მორფოლოგიურ ყალიბს შეუძლია გამოხატოს აქტივიც, პასივიცა და საგნის ნიშან-თვისება/სტატუსიც (მაგ., „*სპილენძის ფული* ***იჭრებოდა*** – <u>**ვნებითი, პასივი**</u> შდრ.: *გამომშრალი პური ახალგამომცხვარ პურზე უფრო ადვილად* ***იჭრება*** – <u>**სტატუსი, გამოიხატება საგნის ნიშან-თვისება**</u> და შდრ.: *მებრძოლი რაზმი მტრის ბანაკში* ***იჭრება*** – <u>**აქტივი, მოქმედების სემანტიკა**</u>“ (162, 110-111)“);

დიათეზაში ერთიანდება მორფოლოგიურ დონეზე – ზმნური ფორმის სტრუქტურა, სინტაქსურ დონეზე – მისი კონსტრუქცია და სემანტიკურ დონეზე - გვარი; ამგვარად, გვარი დიათეზის გვარეობითი კლასიფიკაციის სემანტიკური ქვეკატეგორიაა. შესაბამისად, გვარის სემანტიკური კლასიფიკაციის ადგილი მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში არ არის.

II თავი

მეგრული ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია

2.1. შესავალი

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მეგრული ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო პრინციპად აპრიორულად გვარი და გარდამავლობა მოიაზრება; არნ. ჩიქობავას ჭანურის გრამატიკულ ანალიზში ვკითხულობთ: ***„მეგრულში სამი გვარია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. ...მოქმედებითი გვარისაა ყველა გარდამავალი ზმნა; ვნებითს გვარს დადებითი საწარმოებელი ნიშნები გააჩნია; საშუალი გვარისა იქნება ყველა გარდაუვალი ზმნა არავნებითი გვარისა“ (141, 12).*** როგორც ცნობილია, ქართულში არნოლდ ჩიქობავამ „მედიუმის“ არსებობა საერთოდ უარყო და ამ ტერმინის ქვეშ ნაგულისხმევი ზმნები **უგვარო სტატიკურ ზმნებში** გააერთიანა. ახლახანს გამოცემულ „ლაზურ-მეგრულ გრამატიკაში“ (119) ვკითხულობთ: **„თუ მაინც ცალკე გამოსაყოფია ე.წ. საშუალი გვარის ზმნათა წყება, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქმნიან ისეთ ზმნათა ჯგუფს, რომელსაც უგვარო ზმნები შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან გვარი არ განუვითარდათ, და ამას ნაწილობრივ მათი სემანტიკა და მნიშვნელოვანწილად სტატიკურობა განსაზღვრავდა“** (119, 595), იქვე აღნიშნულია: **„ზანურ დიალექტებში გვარის კატეგორია მკაფიოდ არის გამოკვეთილი – მოქმედებითი და ვნებითი (საშუალო გვარი აქ თითქმის არ ჩანს და ლოგიკურია ფიქრი იმაზე, რომ იგი უგვარო ზმნებში უნდა განვიხილოთ“** (119, 614).

ჩვენი სამუშაოს პირველ ეტაპზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტექსტებიდან და ლექსიკონებიდან ამოკრებილი მეგრული ზმნური ფორმები და დავახარისხეთ მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ მეგრულ ზმნას ორი ძირითადი სტრუქტურა აქვს. შემდეგ დავაკვირდით მეგრული ზმნის კონსტრუქციას: მასალის ანალიზის შედეგად, ვინისა და მანის რიგის ნიშნებისა და აგენსის ბრუნვათა მიხედვით სულ **სამი კონსტრუქცია** გამოიყო. ძალიან მწყობრი და სისტემური აღმოჩნდა ჩვენ მიერ გაანალიზებული მეგრული ზმნური სტრუქტურების დისტრიბუცია შესაბამისი კონსტრუქციების მიხედვით.

შემდეგ თავებში დაწვრილებით განვიხილავთ მეგრული ზმნის **სამ კონსტრუქციასა** და მათთან **მუდმივად დაკავშირებულ პირის მარკერებსა და მეგრულ ზმნათა სტრუქტურებს**.

2.2. სტატიკა და დინამიკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველ ქართულ გრამატიკულ აზროვნებაში დიმიტრი ყიფიანმა დააყენა საკითხი ზმნათა ორ უმთავრეს ხმად – დინამიკურად და სტატიკურად, მისი ტერმინებით – **„მოქმედებითად და მდგომარეობითად“** დაყოფის შესახებ: „ზმნა რა აზრსაც გამოგვითქვამს, რასაც გამოგვიხატავს, ან რასაც გაგვაგონებს, იმის მიხედვით იყოფება, როგორც ამას წინათაცა ვსთქვით, - ორ უმთავრეს ხმად: <u>მოქმედებითად და მდგომარეობითად</u>“ (**122,** 69).

„დიმ. ყიფიანისეული კლასიფიკაცია ქართულ გრამატიკებში ზმნათა ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად სტატიკურობისა და დინამიკურობის მიჩნევის პირველი ცდაა, თუმცა დიმ. ყიფიანის „მდგომარეობითი“ არ ფარავს სტატიკურობის თანამედროვე გაგებას“ (88, 5).

სტატიკური ზმნა გამოხატავს **საგნის მდგომარეობას** (***ხუ(ნ) „პირქვე წევს//დგას“)*** ან **საგნის მოქმედების მდგომარეობას** ***(ათგმუდოხოდუ(ნ) „(ქვეშ) ჯდება“, პირანს „ჰყვავის“ თაქ პირანს ჩქიმ მუმალ ჩხორია „აქ ჰყვავის ჩემი მომავალი სხივი“, ქაჯაია,გვ. 968).***

დინამიკური ზმნა კი გამოხატავს მოქმედების პროცესს: ***ჭითონდუ(ნ) „წითლდება“, უჭითონდუ(ნ) „უწითლდება“, იდიდარებუ(ნ) „დიდდება“.***

ა. შანიძის თვალსაზრისით, სტატიკური ზმნები ვნებითი გვარის ქვესახეა (126, 443, 463). არნ. ჩიქობავას აზრით, სტატიკური ზმნები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ზმნის გვარი (143, 106-112).

კავკასიურ ენათა თანამედროვე მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ გვარი ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული, როგორც გრამატიკული კატეგორია; მეტიც, „მთის კავკასიურ ენებში ეს პროცესი ეს-ესაა იწყება: მოქმედებითისა და ვნებითის დაპირისპირება სისტემური სახით არსადა გვაქვს, რაც შეეხება სტატიკურსა და დინამიკურ ზმნებს, მათ მკვეთრად განასხვავებს ისეთი არქაული წყობის ენაც კი, როგორიცაა აფხაზური, რომლისთვისაც მოქმედებითისა და ვნებითის გარჩევა უცხოა“ (143, 108). ზმნათა კლასიფიკაცია დინამიკურობასა და სტატიკურობაზეა აგებული სემანტიკურ-გრამატიკული ნიშნებით (როგორიცაა მაგ., პირიანობა და გარდამავლობა, ზმნისწინი, ფუძის სტრუქტურა, მწკრივთა წარმოება, კაუზატივი, ქცევა...). გამომდინარე აქედან, არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ კავკასიურ ენათათვის სტატიკურობა-დინამიკურობის

კატეგორია უფრო ძველია, გვარი კი – გვიანდელი: **„სტატიკურობა-დინამიკურობა, შეუდარებლივ უფრო ძველი ფორმაციის მოვლენებია, ვინემ მოქმედებითი და ვნებითი გვარი, ამიტომ ცნება სტატიკური ზმნა არ შეიძლება დავუქვემდებაროთ ცნებას „ვნებითი გვარი“** (143, 08). ქართული ენა კავკასიურ ენათა იბერიულ-კავკასიურ შტოს მიეკუთვნება, ამდენად, ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, გვარი მეორეულია კავკასიური ენებისთვის და უპირველეს ყოვლისა, ზმნები უნდა დაიყოს სტატიკურებად და დინამიკურებად: სტატიკურ ზმნას არ აქვს გვარის გაგება, ის გამოხატავს მხოლოდ მდგომარეობას ან მდგომარეობის მოქმედებას, დინამიკური ზმნა კი შეიძლება იყოს მოქმედებითი (აქტივი) ან ვნებითი (პასივი) გვარისა. „იბერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ ქართველურ ენებშია მოქმედებითისა და ვნებითის ჩამოყალიბების პროცესში არსებითად დამთავრებული (თუმცა **გვართა გაუდიფერენცირებლობის კვალი ქართველურ ენებში საბოლოოდ არაა გამქრალი!)**“ (143, 08).

მოქმედებითი და ვნებითი, როგორც ზემოთ დავასკვენით, გვარის სემანტიკური ქვეკატეგორიებია: ავტოაქტიური და მოქმედებითი გვარის ზმნა (აქტივი) შეიძლება იყოს როგორც **R-Ø**, ისე **R-ებ-ი** სტრუქტურისა, ვნებითი გვარის ზმნა (პასივი) კი მხოლოდ **R-ებ-ი** სტრუქტურისა ან აღწერითი წარმოებისა. სტატიკურ ზმნებში ყველა ზმნა იქნება ავტოაქტიური გვარისა, რომელთაგან ზოგი (1)სრული სტატიკის გამომხატველია, ზოგიც კი (2)შეფარდებითი სტატიკისა. (1)სრული სტატიკის გამომხატველი ზმნები გრაფიკულად შეიძლება წერტილით გამოხატონ (.) დგას, ზის... (2)შეფარდებითი სტატიკის ზმნები კი – წრეწირით (O): გორავს, ბორგავს, კანკალებს... (68, 28).

სტატიკური ზმნები უძველესი ქართველური (resp. კავკასიური) ზმნებია. სტატიკურ ზმნას არ გააჩნია დროის გაგება. დინამიკურ ზმნათა ანალოგიით კი მათ განივითარეს დროის კატეგორია, ოღონდ არა სისტემურად (68, 27).

არსებობს მოსაზრება, რომელიც სტატიკურობა-დინამიკურობის თვალსაზრისით არ განასხვავებს „საშუალ-მოქმედებითებსა” და აქტივებს. „მედოაქტიური ზმნები, როგორიცაა *ყეფს, ცურავს, ცეკვავს, ნადირობს, სადილობს*... უპირისპირდება *ხატავს, სწერს, სთხოვს* „.. ზმნებს არა სუბიექტის აქტივობის მიხედვით, არამედ პირდაპირი ობიექტის უქონლობით. ორივე დინამიკურია და ორივე უპირისპირდება ისეთ სტატიკურ ზმნებს, როგორიცაა წევს, სწერია (78, 67).

პირდაპირი ობიექტის უქონლობას ლ.ნოზაძე მიიჩნევს მედიოაქტიურ ზმნათა ორგანულ, ისტორიულ თვისებად. მათ „გარეგანი ობიექტი" არც არასდროს გააჩნდათ, არამედ შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს. იგი ხაზს უსვამს, რომ *„იმეფა'* ტიპის წარმოება ძირითადად ნასახელარ ზმნებს ახასიათებს. იგი პირდაპირი ობიექტის უქონლობასა და ზმნის ფუძედ სახელის გამოყენების ფაქტს უკავშირებს ერთმანეთს და აღნიშნავს, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არაა: „პირდაპირი ობიექტი" ***„იმეფა, ურქინა'*** ტიპის ზმნებისა უნდა იყოს ის, რაც ამ ზმნათა ფუძეებშია წარმოდგენილი, ე.ი. „პირდაპირი ობიექტი" აღნიშნულ ზმნებთან „შინაგანი ობიექტის სახით უნდა გვქონდეს. *იმეფა, ისერა, ინადირა, ურქინა, უწამლა...* ზმნათა „პირდაპირი ობიექტია", ჩვენი აზრით, *მეფე, სერი, ნადირი, რქა, წამალი...* (78, 98-102)"

ლ. ნოზაძე შენიშნავს, რომ „ზოგჯერ მედიოაქტივ ზმნებს ფორმალური რეალური ობიექტიც აქვთ რაც მეორეულ მოვლენად მიაჩნია: *„და ილოცა ლოცვაჲ იაკობ და თქუა: მარხვაჲ იმარხეთ ჩემთვის..."* (78, 99).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს თემის ნიშანთა შესახებაც ზანურში: მეგრულ სტატიკურ და დინამიკურ ზმნებში, ქართულისგან განსხვავებით, ნიველირებულია თემის ნიშნის ქონა-არქონის მიხედვით ოპოზიცია. მეგრულში ჯერ-ჯერობით კიდევ გვაქვს უთემისნიშნო სტატიკური ზმნები, როგორიცაა მაგ., ***ოჭე(ნ)*** **„სჭირს", *ოძინუ(ნ)*** *„მეტია"*, მაგრამ სტატიკურ ზმნათა უმრავლესობას წარმოადგენენ თემისნიშნიანი ზმნები; დინამიკურ ზმნათაგან მათი ერთადერთი მორფოლოგიურად მასხვავებელი ნიშანი მწკრივნაკლი უღლებაა: ძირითადად, პირველი და მეოთხე სერიის მწკრივები ეწარმოებათ, ხშირ შემთხვევაში, არასრულად; ასეთებია, მაგ., ***უხან-ან-ს*** *„ხანში მეტობს"* ***(ჟარნეჩი წანათ მიხანანს*** *„ორმოცი წლით უფროსია (მმეტობს),* ***უჩხირჩხ-ან-ს*** *(მხოლოდ აწმყოს მწკრივებში) „გაფარჩხული უჩანს (თითები)"...* მეგრულში სტატიკურ ზმნებს იგივე თემატური სუფიქსები დაერთვის, რაც დინამიკურ ზმნებს, თუმცა, აშკარაა, დინამიკურ ზმნებში თემატური სუფიქსები სულ სხვა ფუნქციისაა, სტატიკურ ზმნებში კი – სხვა. მსგავსი მოვლენა შენიშნული აქვს მ. სუხიშვილს ძველი ქართულის სტატიკურ ზმნებში: „სტატიკურ ზმნებში ეს ნაირგვარი სუფიქსები იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც სტატიკურობის თავდაპირველ ნიშნად გააზრებული –ან ფორმანტი. ამგვარად, სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა მასალობრივად იდენტურ სუფიქსებს სხვადასხვა ფუნქცია აკისრიათ, ე.ი. სისტემაში მათი ღირებულება განსხვავებულია" (88, 119).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა ერთ-ერთ განმასხვავებელ მორფოლოგიურ მარკერად სწორედ **თემის ნიშანთა** ქონა-არქონა განიხილება: სტატიკური ზმნები თემის ნიშნების დართვით გადინამიკურდებიან. მორფოლოგიურად მარკირებულია საოპოზიციო ცალთა უღლებაც: **უღლების თვალსაზრისით** სტატიკური ზმნები მწკრივნაკლია, დინამიკური ზმნები კი – არა (68,28-29). სტატიკურ ზმნათა მადინამიკურებელ ელემენტად **-დ** სუფიქსიც განიხილება სამეცნიერო ლიტერატურაში (გვაქვს სტატიკურ ზმნათა **დ**ონით გადინამიკურების შემთხვევებიც მაგ., **ჩანს** ზმნის შემთხვევაში... (88, 122).

ზანურში (resp. მეგრულში), ისევე როგორც სხვა ქართველურ ქვესისტემებში, სტატიკური ზმნები მწკრივნაკლია. სტატიკური ზმნები ფორმალურად ბაზაა დინამიკური სტრუქტურის ზმნების საწარმოებლად. დინამიკური ზმნების ანალოგიით, კაუზაციის წესით, ისინიც ნელ-ნელა დინამიკურ ზმნათა ბანაკში გადადიან: ***ინგარს*** *(ტირის)* - ***ონგარუანს*** *(ატირებს).*

მეგრულში დიდი სხვაობაა სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა უღლების პარადიგმებს შორის: სტატიკურ ზმნებს, ძირითადად, პირველი და მეოთხე სერიის მწკრივები ეწარმოებათ, დინამიკური ზმნები კი, სტატიკურებთან შედარებით, სრული პარადიგმის მქონეა, თუმცა, ზანურში მწრივთა მაქსიმალური რაოდენობა არ ეწარმოება ყველა დინამიკურ ზმნას: მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით, პარადიგმის სისრულით, „მეგრულში ***უჭარუნს, უხანტუნს*** ტიპის ზმნები გამოირჩევა: მათ აქვთ მაქსიმალური რაოდენობის – 15 ნაკვთიანი ფორმობრივი პარადიგმა: უჭარუნს –უჭარუნდუ – უჭარუნდას – უჭარუნდუკო – დოუჭარუნს – დოუჭარუნდუ – დოუჭარუნდას – დოუჭარუნდუკო – დოუჭარუ – დოუჭარას – დოუჭარუკო – დოუჭარუ(ნ) – დოუჭარუდუ – დოუჭარუდას – დოუჭარუდუკო(ნ) (119, 593).

სხვადასხვა მკვლევარი მეგრულში მწკრივთა განსხვავებულ რაოდენობას ასახელებს. სალიტერატურო ქართულთან შედარებით, მეგრულში მწკრივთა რაოდენობა მეტია; სხვაობას, უმთავრესად, -კო ფორმანტიანი ნამყო კავშირებითის (ე.წ. „პირობითის) და ნო- პრეფიქსიანი (IV სერიის) ფორმები ქმნის (21,17).

სტატიკური ზმნები იშვიათად დაირთავენ ზმნისწინს და, თუ დაირთავენ, მხოლოდ მიმართულების აღსანიშნავად, სივრცეში დეტერმინაციის ფუნქციით. „ამ მხრივ, ძველი ქართული უფრო შეზღუდულია, ვინემ ახალი ქართული. თავის

მხრივ, ეს უკანასკნელი დიდად ჩამორჩება მეგრულსა და ჭანურს; აქ პრევერბი სტატიკურ ზმნებს ისევე უხვად დაერთვის, როგორც აფხაზურში; ზმნისწინით გამოხატული სივრცეში დეტერმინაციის მაგალითებია: ***ხე*** *„ზის“,* ***გეხე*** *„ზის რამეზე“,* ***ელახე*** *„გვერდით ზის“,* ***ეკოხე*** *„ნაპირზე ზის“,* ***მიშახე*** *„რაღაცაში ზის“,* ***დიშახე*** *„რაღაცის შიგნით ზის“,* ***დინოხე*** *„რაღაც სიღრმეში ზის“,* ***მითოხე*** *„რაღაცის ქვეშ (ღრუში) ზის“ და ა.შ...* (143, 108).

ამგვარად, ქართველურ ქვესისტემებში, დინამიკური ზმნები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ.

2.3. მეგრული ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია

განვიხილავთ მეგრულ ზმნათა სინტაქსური კონსტრუქციას, ანუ ზმნაში მონაწილე მოქმედების ჩამდენ და აღმქმელ-განმცდელ აქტანტთა ბრუნვებს პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სერიაში. აგენსისა და პაციენსის ბრუნვებს დეტალურად აღვწერთ ნაშრომის შესაბამის ქვეთავში, აქ კი ზმნის სინტაქსურ კონსტრუქციას, პირობითად, მხოლოდ აგენსის ბრუნვებით წარმოვადგენთ. მაგალითად, თუ კონკრეტულ ზმნაში ჩართული სუბიექტის ბრუნვებია პირველ სერიაში სახელობითი, მეორე სერიაში – მოთხრობითი, ხოლო მესამე სერიაში – მიცემითი, პირობითად, მისი კონსტრუქცია **ფორმულის** სახით ასე დაიწერება: **nom-erg-dat-nom**.

მეგრულ ზმნას სულ **სამი კონსტრუქცია აქვს:** (1) **nom-erg-dat-nom, (2) nom-erg-nom-nom** და **(3) dat-(dat)-dat-dat**

ზმნის სტრუქტურას დაწვრილებით განვიხილავთ მომდევნო თავში, აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მეგრული ზმნა აწმყოს ფუძის მიხედვით შეიძლება იყოს ან **(1)** R-[Th.s]-Ø, ან **(2)**R-[Th.s]-უ/ე(ნ) სტრუქტურისა.

უგამონაკლისოდ, როგორც წესი, (1) **nom-erg-dat-nom** სინტაქსური კონსტრუქციის ზმნები **R-[Th.s]-Ø** სტრუქტურისაა. (2)**nom-erg-nom-nom** სინტაქსური კონსტრუქციის ზმნები – **R-[Th.s]-უ(ნ)** სტრუქტურისა, ხოლო (3)**dat-(dat)-dat-dat** კონსტრუქციის ზმნებს კი ორივე (ნარევი) სტრუქტურა აქვთ, რადგან ისინი პირველი და მეორე კონსტრუქციის ზმნების პირთა კონვერსიითა და ინვერსიით არიან მიღებული (მაგალითები იხ. №2.1 ცხრილში). **პირველი, მეორე და მესამე ტიპის კონსტრუქციებისა** და მათი შესაბამისი **მორფოლოგიური სტრუქტურების ერთიანობა** ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში (67; 68) დიათეზის მორფოსინტაქსურ კატეგორიად არის კვალიფიცირებული. შესაბამისად, თითოეული სინტაქსური **კონსტრუქციისა** და მასთან **რეგულარულად დაკავშირებული მორფოლოგიური სტრუქტურის საფუძველზე** მეგრულისთვისაც გამოიყოფა I (1), II (2) და III (3) დიათეზა.

პირველ საკლასიფიკაციო ერთეულად ჩვენ ავიღეთ ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია, რადგან მეგრულ (resp. ქართველურ) ზმნას აქვს სამი, მკვეთრად დაპირისპირებული კონსტრუქცია, რომელიც საფუძველია სამი დიათეზის გამოყოფისა. ეს კონსტრუქციები მწყობრად ჩამოყალიბებულ ოპოზიციას ქმნიან

და ერთმანეთის მიმართ კონტრასტული დისტრიბუციის დამოკიდებულებაში არიან.

კონსტრუქციათა ოპოზიცია დიათეზების მიხედვით კარგად ჩანს 2.1. ცხრილზე (თითოეულ სინტაქსურ კონსტრუქციას რეგულარულად უკავშირდება შემდეგი მორფოლოგიური სტრუქტურები):

ცხრილი 2.1.

დიათეზა	S(აგენსის) სინტაქსური კონსტრუქცია	მორფოლოგიური სტრუქტურა	მაგალითი
I	**nom - erg - dat- nom** **I სერია-II სერია-III სერია- IV სერია**	<u>ვინის რიგი:</u> R-[th.s.]-Ø	***ხანტ-უნ-ს/დოხანტუ/დუუხანტუ/ნოხანტუე(ნ)*** *„ხატავს-დახატა-დაუხატავს/ია/დახატავდა თურმე“*
II	**nom - erg- nom- nom** **I სერია-II სერია-III სერია- IV სერია**	<u>ვინის რიგი:</u> R-[th.s.]-უ/ე[4](ნ)	***ტიბ-უ(ნ) /გოტიბუ/გოტიბაფელე/ნოტიბუე(ნ)*** *„თბება/გათბა/გამთბარა/გათბებოდა თურმე“*
III	**dat –(dat)- dat- dat** **I სერია-(II სერია)-III სერია- IV სერია**	<u>მანის რიგი:</u> R-[th.s.]-Ø R-[th.s.]-უ/ე[5] (ნ)	***მოხვალაფუანს/(ქუდგ)მოხვალაფუ*** *„მახველებს-დამახველა“* ***უცორს/ - /ქოცოროფებუ(ნ)/ნოცოროფუე(ნ)*** *„უყვარს / ჰყვარებია /ნაყვარება”* ***მოჭყორდუ(ნ) / გუმოჭყორდუ – გობჭყოლადუ(ნ) – გონობჭყოლადუე(ნ)*** *„მავიწყდება/ – /დამავიწყდა/დამვიწყებია/* მავიწყდებოდა თურმე“

[4] **მეორე** დიათეზაში შემოდის ვინის რიგით მარკირებული **ი-R-ე(ნ)** სტრუქტურისა და **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციის მქონე პოტენციალისის ქვეკატეგორიაც. იგი **R-უ(ნ)** სტრუქტურის ქვესტრუქტურად გვაქვს განხილული II დიათეზის შესაბამის პარაგრაფებში.

[5] **მესამე** დიათეზაში შემოდის მანის რიგით მარკირებული **ა-R-ე(ნ)** სტრუქტურისა და **dat-(dat)-dat-dat** კონსტრუქციის მქონე პოტენციალისის ქვეკატეგორიაც. იგი **R-უ(ნ)** სტრუქტურის ქვესტრუქტურად გვაქვს განხილული მესამე დიათეზის შესაბამის პარაგრაფებში.

2.4. მეგრული ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა

მეგრული ზმნის სტრუქტურული ანალიზისას აწმყოს ფუძის დაბოლოების მიხედვით გამოიკვეთა **მწყობრი ბინარული სისტემა**:

ზმნათა ორგანული ფორმები ორ გვარეობით სტრუქტურად იყოფა: ზმნა აწმყოს ფუძის მიხედვით შეიძლება იყოს (1) R-[Th.s]-Ø, ან (2) R-Th.s-უ/ე(ნ) სტრუქტურისა. უკანასკნელი სტრუქტურა (R-Th.s-უ/ე(ნ)) ორი ქვესტრუქტურისგან შედგება (იხ. ცხრილი 2.2.)

ცხრილი 2.2.



*(*იჭარაფე(ნ) ფორმა მ. ჩუხუას მიერ არის შენიშნული და გამოყოფილი მეგრულშიც და ლაზურში.)*

ორგანული წარმოების ყველა ზმნას აქვს **ორადორი** ძირითადი სტრუქტურა, სადაც, შემდგომში გამოიყოფა ქვესტრუქტურები/კლასები ზმნის თემატური ნიშნების, ხმოვანი პრეფიქსებისა და აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინის მიხედვით (იხ. ცხრილი 2.3.) R-[Th.s]-Ø და R-[Th.s.]-უ/ე(ნ). მაგალითები:

ცხრილი 2.3.

R-[Th.s]-Ø	**R-Th.s-უ/ე(ნ)**
იბირ-ს *(„მღერ(ი)ს“)*	***სქიდ-უ(ნ)*** *(„შრება“)*
ივარ-ან-ს *(„უარობს“)*	***იგორ-აფ-უ(ნ)*** *(„იგინება“)*
ირგ-უნ-ს *(„იგლოვს“)*	***ია(ნ)თას-ებ-უ(ნ)*** *(„ათასდება“)*
ხაჩქ-უნ-ს *(„თოხნის“)*	***უტიბ-უ(ნ)*** *(„უთბება“)*
უთას-უნ-ს *(„უთესავს“)*	***ბიზონ-დ-უ(ნ)*** *(„სივდება“)...*
ჟარჟალანს *(„კანკალებს, ჟრჟოლავს“)...*	***იჭარ-ე(ნ)*** *(„შეიძლება დაიწეროს“)...*

R-[Th.s]-Ø სტრუქტურაში აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინის (რომელიც ცვლის ზმნის შინაარსს), თემის ნიშნებისა და ხმოვანი პრეფიქსების მიხედვით გამოვყოფთ ქვესტრუქტურებს. განსხვავებულ ხმოვანპრეფიქსთა და თემის ნიშანთა მიხედვით შექმნილ ყველა ქვეჯგუფს/კლასებს სათითაოდ განვიხილავთ ნაშრომის შესაბამის ქვეთავებში. **R-[Th.s]-Ø** ძირითადი სტრუქტურის ფორმულაში აწმყოს თემის ნიშანი ფრჩხილებშია ჩასმული, რადგანაც, ქართულის მსგავსად, ზმნების გარკვეულ ჯგუფს ეს ფორმანტი საერთოდ არ გააჩნია: ***ბარ-ს*** *„უბერავს“,* ***ა-კგმურ-ს*** *„გადადის (რძე)“ (←* აკგმოურს)...*

ზემოთაც აღვნიშნეთ და 2.1. ცხრილზეც კარგად ჩანს, რომ **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ **R-[Th.s]-Ø** სტრუქტურა. ამ ორი გრამატიკული კატეგორიის ერთიანობა ქმნის I დიათეზას (ქართული ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზის მიხედვით (67).

მეგრული ზმნის **მეორე** კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom** ამ კონსტრუქციის ზმნების ერთადერთი და ძირითადი სტრუქტურაა **R-[Th.s]-უ/ე(ნ)**.

R-[Th.s]-უ/ე(ნ) ზმნათა კონსტრუქციასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: (მეგრულში) **„სუბიექტის ბრუნვა საკლასიფიკაციოდ არ გამოდგება, რადგან ცნობილია, რომ მეგრულ ნამყო ძირითადის (აორისტის) ფორმებში სუბიექტი <u>ნებისმიერ ზმნასთან მოთხრობით ბრუნვაში (ერგატივში) დგას</u>** (141, 105-106) **და <u>ამაში სხვაობას ვერ შეიტანს ვერც ზმნის გარდამავლობა და ვერც გვარებში</u>** <u>სხვაობა</u>“ (119, 595). როგორც ცნობილია, **კონსტრუქციათა განმასხვევებელი ფუნქცია მესამე სერიამ იტვირთა მეგრულში:**

მეორე დიათეზის, ანუ **R-th.s.-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ყველა ზმნის კონსტრუქცია **პირველ, სერიაში ნომინატიურია, მეორე სერიაში – ერგატიული** (და ამით მართლაც ემთხვევა პირველი დიათეზის ზმნების კონსტრუქციას), ხოლო, **მესამე და მეოთხე სერიაში ისევ - ნომინატიური** (nom-erg-**nom-**nom); **მაგრამ განსხვავებით II დიათეზის ზმნათაგან, პირველი დიათეზის ზმნათა კონსტრუქცია მესამე სერიაში დატიურია** nom-erg-**dat-** nom **(ანუ, სუბიექტი მესამე სერიის ფორმებთან დგას მიცემით ბრუნვაში)**. სწორედ **მესამე სერიით** განირჩევა **R-th.s.-Ø** და **R-th.s.-უ/ე(ნ)** სტრუქტურის (ანუ, პირველი და მეორე დიათეზის) ზმნათა კონსტრუქციები.

ამგვარად, მეგრული ზმნის **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციისა და მისი ძირითადი **R-[Th.s]-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ერთიანობა ქმნის II დიათეზას (მსგავსად სალიტერატურო ქართულისა). ვნახოთ II დიათეზის ზმნათა კონსტრუქციის მაგალითი:

I სერია /nom.: ***ათე დიხა იწყარუ(ნ)*** *„ეს მიწა ირწყვება“.*

II სერია /erg.: ***ათე დიხაქ დიწყარუ*** *„ეს მიწა მოირწყა /სიტყვასიტყვით: ამ მიწამ მოირწყო“.*

III სერია /nom.: ***ათე დიხა დონაყარელე(ნ)*** *„ეს მიწა (nom) მორწყულა“.*

IV სერია/nom.: ***ათე დიხა ნოწყარუე(ნ)*** *„ეს მიწა *ნარწყავა /ირწყვებოდა თურმე“.*

როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, **R-Th.s-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ზმნის აორისტის ფორმაში მოსალოდნელი ნომინატიური კონსტრუქციის ნაცვლად ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს. ამოსავალი ვითარება მეგრულ ზმნათა კონსტრუქციისთვის სალიტერატურო ქართულის მსგავსი უნდა ყოფილიყო; მაგრამ (სალიტერატურო ენის ნორმისგან თავისუფალ) მეგრულ მეტყველებაში გაფართოებულია ერგატივის გამოყენების არე; ეს გამოწვეული უნდა იყოს ენის განვითარების შინაგანი კანონის – მეტყველების ეკონომიისა და სისტემის უნიფიკაციისადმი მიდრეკილებით: ერგატიული კონსტრუქციის უნიფიცირებით.

იოსებ ყიფშიძე ამ მოვლენას მეგრულის გავლენას მიაწერს, მისი თქმით, ქვემო იმერეთში გვხვდება ისეთი სინტაქსური მოვლენები („კაცმა მოვიდა“ ნაცვლად კონსტრუქციისა „კაცი მოვიდა”), რომელიც **„ივერიზმებად“** კვალიფიცირდება (123, 27). ვ. თოფურია არ იზიარებს ამ მოსაზრებას: „ი. ყიფშიძის განმარტება მართებული მაშინ იქნებოდა, მისი გავრცელების

ტერიტორია სამეგრელოს მეზობლად მყოფი კილოებით რომ განსაზღვრულიყო. მას აღმოსავლურ კილოებშიც უჩენია თავი, მაგ., მთის კილოში, გომარულ თქმაში. მაგალითები მთის კილოდან, <u>ზემო მლეთე</u>: ***დასხდნენ ერთგანა ფალავნებმა და სადილი ჭამეს“, წავიდა ქალმა და შასტირა სიზმარას“...*** <u>გომარული თქმიდან:</u> ***„მივიდა ამ ბიჭმა, სანთელი უნდა აანთოს...“, „დაიღალა ბიჭმა უნდა დაიძინოს“*** <u>ყალამშიიდან:</u> ***„გამოვიდნენ მოახლეებმა და ნახეს დილითა“...*** <u>კლდეისიდან</u>***: „წავიდა იმ ბიჭმა და მიყვანა ის დედაც“...*** ორიოდე მაგალითი ფერეიდნული ქართული ენიდან: ***შირმა დაყაბულდა; წავიდა ეხლა კი კაცმა და ერთი საბელი აიღო“...*** ვ. თოფურიას განმარტებით, ამ ზმნათა ერგატიულ კონსტრუქციას „ხელი შეუწყო ერთი მხრივ ისეთმა სიტყვათა ორგანიზაციამ, როგორიცა გვაქვს მთის კილოსა და გომარულ თქმაში (რთული წინადადების მეორე, **<u>გარდამავალ ზმნასთან სიახლოვე</u>**) და მეორეს მხრით, თვით მათმა მერყევითმა ხასიათმა. გარდაუვალი ზმნების მეორე სახეს ასეთი მერყეობა არ ახასიათებს... მოსალოდნელია, აგრეთვე, აღმოსავლურ კილოებში გარდაუვალი პირველი სახის ზმნები შეუერთდნენ ისე, როგორც ეს დასავლურ კილოებში მოხდა, **სადაც მათ ის საფეხური უნდა ქონდეთ გავლილი, რომელზედაც დღეს აღმოსავლურ კილოებში გვევლინება,** ამიტომ **მიუღებელია პროფ. ი. ყიფშიძის განმარტება მეგრულის გავლენით**“ (29,303).

ბუნებრივია, აქ დგება **იცის/უწყის** სტატიკურ ზმნათა კონსტრუქციის საკითხიც – ისინი აწმყო დროის გამომხატველნი არიან, სუბიექტი კი მოთხრობით ბრუნვაში შეეწყობათ. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისტორიულად, ეს ზმნები მეორე სერიის კუთვნილება იყო: ძველ ქართულში II სერიაში 4 მწკრივი შედიოდა: წყვეტილი, II კავშირებითი, II ხოლმეობითი და II ბრძანებითი. აღნიშნული ზმნები, სწორედ, II ხოლმეობითის მწკრივისა იყო. სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები, ანუ ზმნის კონსტრუქცია ამიტომაც არის განსხვავებული ყველა სხვა ზმნისგან. ა. შანიძის შენიშვნით, მათ აწმყო დროის გაგება აქვთ, ფორმით კი წარსულ მრავალგზის მოქმედებას გამოხატავენ (124, 6).

საინტერესოა როგორ იქცევიან იგივე (**იცის/უწყის**) ზმნები ზანურში? მეგრულში ისინი **მ-**ს რიგის პრეფიქსებით არიან მარკირებული, **კონსტრუქცია კი დატიური** აქვთ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი **მესამე დიათეზის R-Ø** სტრუქტურის სათანადო ქვესტრუქტურაში მოექცევიან მათივე მსგავსი დატიური

კონსტრუქციისა და მანის რიგის პირის ნიშნებით მარკირებულ გრძნობა-აღქმის მქონე ზმნებთან ერთად. მაგ., ***მითინს***$_{dat}$ ***ვაუჩქუ(ნ)*** *„არავინ იცის“,* ***შქირენს***$_{dat}$ ***გიშაგორუა ვაუჩქუნია*** *„შიმშილმა გამორჩევა არ იცისო“,* ***ინა ირ კოცdat უჩქუ(ნ)*** *„ის ყველამ იცის“...* მეგრულად მოსაუბრის სალიტერატურო კოდზე გადმორთვისას გვხვდება ამ ფორმათა დატიური კონსტრუქციით გადმოცემის შემთხვევები: ***<u>მას</u> იცის*** და სხვ. (29,301)

ამგვარად, I დიათეზა გამოიყოფა მეგრულ ზმნათა **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის საფუძველზე, რომელთა ძირითადი სტრუქტურაა: **R-[Th.s]-Ø.**

II დიათეზა კი გამოიყოფა მეგრულ ზმნათა **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციის საფუძველზე, რომელთა ძირითადი სტრუქტურაა **R-Th.s-უ/ე(ნ)**.

ახლა განვიხილოთ მეგრულ (resp. ქართველურ) ზმნათა **მესამე - დატიური კონსტრუქცია.** ამ კონსტრუქციის ზმნებს აქვთ როგორც **R-Ø,** ასევე **R-უ(ნ)** სტრუქტურა. დატიური კონსტრუქციის მქონე ზმნები აწმყოში სტრუქტურულად ემთხვევა პირველი და მეორე დიათეზის ზმნურ ფორმებს. განსხვავება აწმყოს ფუძის შემთხვევაში დგინდება კონტექსტით (*აკანკალებს ის მას - აკანკალებს მას (უნებლიეთ)* და რეგულარული მწკრივნაკლულობით (იხ. ცხრილი 2.4.).

ცხრილი 2.4.

	ზმნური ფორმა	აქტანტები	კონსტრუქცია	სტრუქტურა
I **დიათეზა**	მოკანკალაფუანს	თინა **მა**	nom-erg-dat-nom	R-Ø
III **დიათეზა**	მოკანკალაფუანს	**მა**	dat-(dat)-dat-dat	R-Ø

როგორც წესი, მესამე დიათეზის ფორმებს **მ**ანის რიგის აფიქსები მოუდით აგენსის პირის ნიშნებად. ამ ზმნათა აგენსი სუსტი ნებელობისაა, მოქმედების აღმქმელ-განმცდელია (მაგ., ***მი-მ-ო-ჩიონაფუანს*** *„მიმახველებს“,* ***მი-მ-ო-ქი-ონ-აფ-უ-ან-ს*** *„მიმამთქნარებს“,* ***მუ მაკონცერტუაფ(ნ) მა?*** *„რა მეკონცერტება მე“).* სწორედ იმიტომ, რომ მესამე დიათეზა პირველი და მეორე დიათეზის სტრუქტურის კონვერსია-ინვერსიითაა მიღებული და ფორმობრივად ორივე სტრუქტურის ზმნებს შეიცავს, სამეცნიერო ლიტერატურაში იგი **სტრუქტურულად ნარევი სტრუქტურისა** და **დატიური კონსტრუქციის** დიათეზად არის კვალიფიცირებული (67,68).

მესამე დიათეზის ზმნები მწკრივნაკლია. I და II დიათეზების მსგავსად, აქაც **ორი ქვეჯგუფი** გამოიყოფა.

მესამე დიათეზის I ქვეჯგუფის კონსტრუქცია პირველადია; ეს ქვეჯგუფი სტატიკურია – მოიცავს ***მიღორს*** *(მიყვარს)* ტიპის ზმნებს, რომელთა სუბიექტიც/აგენსიც მოქმედების აღმქმელ-განმცდელია, სუსტი ნებელობისაა და ზმნაში **მ**ანის რიგის პირის ნიშნებით არის გამოხატული (67,228).

მესამე დიათეზის II ქვეჯგუფის კონსტრუქცია მეორეულია:

1. იკარგება შესაბამისი სრული კონსტრუქციის აგენსი პირი: ის მე → მე, შესაბამისად, მიცემითში დასმული პირი გაიაზრება ინაქტიურ სუბიექტად;

2. ნომინატიური კონსტრუქცია იცვლება დატიურით (nom → dat);

3. აქვე შემოდის რელატიური პოტენციალისები, რომელთაც დატიური კონსტრუქცია და მანის რიგის პირის ნიშნებით მარკირება ახასიათებთ.

ამგვარად, მესამე დიათეზაში შედის ოთხი ტიპის ზმნები, რომელთაგან ყველას **სუსტი ნებელობის სუბიექტი**, **მ-ანის რიგის პირის ნიშნებით** მარკირება და **დატიური კონსტრუქცია** აერთიანებს:

1. **მ-იყვარს** ტიპის სტატიკური ზმნები;
2. პირველი დიათეზის ინვერსიაქმნილი, პირდაკარგული ფორმები, „**მ**-აკანკალებს ის მე →**მ**აკანკალებს მე“;
3. მეორე დიათეზის კონვერსიული ფორმები „მ-აინტერესებს ის მე → მ-აინტერესებს მე“;
4. რელატიური პოტენციალისები.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ე.წ. „ინვერსიული ზმნების“ კონსტრუქციასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ *„სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით კონსტრუქცია შერეულია,* ***დატიურ-ნომინატიურია*** *რეალური სუბიექტის გათვალისწინებით და ნომინატიურ-ერგატიული რეალური ობიექტის გათვალისწინებით“* (34,330). აქვე მოყვანილია **ქვემდებარისა და დამატების ბრუნვათა სერიული განაწილების სქემა** (იხ. ტაბულა №1):

ტაბულა №1

კონსტრუქცია / სერიები	არაინვერსიული		ინვერსიული	
	S	O^{ind}	S^R	O^R
I სერია	ნომინატივი	[დატივი]	დატივი	ნომინატივი
II სერია	ერგატივი		დატივი	ერგატივი
III სერია	ნომინატივი ‖ დატივი		ნომინატივი	ნომინატივი
IV სერია	ნომინატივი			

ტაბულაში, მარჯვენა მხარეს, კარგად ჩანს, რომ ე.წ. „ინვერსიული ზმნებისათვის“[6] <u>**მესამე სერიაში**</u> **ე.წ. „S^R - რეალური სუბიექტის“**[7] კონსტრუქცია მეგრულში **ნომინატიურია**. არსებული გამოქვეყნებულ ტექსტებსა და ცოცხალ რესპონდენტებთან ჩვენ მიერ გადამუშავებული მასალის მიხედვით ამ ტიპის ზმნებში მიცემითში მხოლოდდამხოლოდ სუბიექტი მოიაზრება. ვფიქრობთ, **მესამე სერიაში,** მეგრულში ე.წ. „ინვერსიულ” ზმნებში (და მთლიანად, ჩვენს მესამე დიათეზაშიც) მხოლოდ დატიური კონსტრუქციაა დასაშვები – მოქმედების აღმქმელ-განმდელი აქტანტი მუდმივად მიცემით ბრუნვაში დგას ყველა სერიაში; ე.წ. „შერეული **დატიურ-ნომინატიური** კონსტრუქცია“ ***მიყვარს/მენატრება*** ტიპის ე.წ. „ინვერსიულ ზმნებთან“ შეუძლებელია.

ამასთან, შეუძლებელია ინვერსიულთათვის გამოყოფილ გრაფებში (როგორც ეს მითითებულია №1 ტაბულაში – S^R და O^R) რეალურ სუბიექტთანაც და რეალურ ობიექტთანაც **- ერთდროულად, ორივეგან <u>სახელობითი</u>** ბრუნვა გვქონდეს, მსგავსი კონსტრუქცია დაუშვებელია ქართველური ენობრივი ქვესისტემებისათვის. ე.წ. რეალური სუბიექტი (ჩვენი კვალიფიკაციით **მოქმედების აღმქმელ-განმცდელი მიცემითბრუნვიანი აქტანტი**) მუდმივად მიცემით ბრუნვაში დგას, ე.წ. „რეალური ობიექტი” კი პირველ, მესამე და მეოთხე სერიებში სახელობით ბრუნვაში დგას, მეორე სერიაში კი – მოთხრობოთში (შდრ., სალიტერატურო ქართულში ე.წ. „რეალური ობიექტი” ბრუნვაუცვლელია, მუდმივად სახელობითი ბრუნვის ნიშნით არის წარმოდგენილი); ვნახოთ მაგალითები: <u>I სერია:</u> ***წყარი**nom* **ჰკუმენც** (*მა*dat) „*წყალი*nom *მწყურია* (*მე*dat)“, <u>II</u>

[6] ჩვენ მათ მესამე დიათეზის სტატიკურ ზმნებად განვიხილავთ.

[7] დიათეზათა მორფოსინტაქსური კატეგორიის ფარგლებში ე.წ. „რეალური სუბიექტი“ **მ**-ს რიგის პირის ნიშნებით მარკირებული სუსტი ნებელობის სუბიექტია: III დიათეზაში მ- სუბიექტის გრამატიკული მარკერია.

<u>სერია:</u> *წყარქ*erg *მიმაღუმინუ (მ*dat*) გოღა სერ „წყალმ*erg **მომეწყურა (მომწყურდა) გუშინ ღამით (მ*dat*)“,* <u>III</u> <u>სერია</u>: ***ჩქიმ <u>მუმას</u>***dat ***<u>წყარი</u>***nom ***ქჯმოღუმინაფ(უ)*** *„მამაჩემს*dat *წყალი*dat *მოსწყურებია“.*

ამით შეგვიძლია დავასრულოთ მეგრული ზმნის ზოგადი პორტრეტი - ძირითადი სტრუქტურებისა და კონსტრუქციის საკითხი. დეტალურად, თითოეულ დიათეზას ცალ-ცალკე განვიხილავთ შესაბამის პარაგრაფებში.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ზმნური ბაზის სიმრავლე თავისთავად დაჯგუფდა ორი ძირითადი სტრუქტურის ქვესტრუქტურებად (ზმნისწინური და ხმოვანი პრეფიქსების, თემატური ნიშნებისა და **-დ** სუფიქსის მიხედვით); შესაბამისად, შემდეგ თავებში გამოვყოფთ ქვესტრუქტურებს ხმოვანი პრეფიქსების, აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინის, **-დ** სუფიქსისა და თემატური ნიშნების მიხედვით. აქვე აღვნიშნავთ, რომ **ხმოვანპრეფიქსებსა და -დ სუფიქსს ჩვენ ფუძის აპლიკატორებად, ამგებად/მაშენებლებად განვიხილავთ.** მათ ვერ მივაკუთვნებთ მხოლოდ **ქცევის**, ან ე.წ. **„დონიანი პასივის“ სემანტიკურ კატეგორიებს**. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „**ი-, ე-, უ-** ხმოვანპრეფიქსები ქართულ ზმნაში პირთა კორელაციის მორფოლოგიური ნიშნებია, რომელთაც სხვადასხვა კონტექსტში პირთა შორის მიმართების სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსი შეუძლიათ გამოხატონ: ვერსია, დესტინაცია-პოსესიურობა, ლოკალიზაცია...“ (68,130-134), ხოლო **-დ** სუფიქსის ძირითადი ფუნქციებია გარდაქცევითობაზე, სახელიდან ზმნად ქცევაზე მითითება და აქტანტის გააქტიურების აღნიშვნა; მაგ., *<u>ჩე რენ დო ჭითონ-<u>დ</u>-უ(ნ)</u> „თეორია და წითლდება“.* შდრ., „**-დ** სუფიქსი ზმნის მადინამიკურებელი, მაინტესივებელი ელემენტია, რომელიც ისტორიულად შეიძლება „უწყვეტლის“ მწკრივისა და მრავლობითი რიცხვის -ენ/-ედ სუფიქსებსაც დავუკავშიროთ (68, 66).

ერთი დიათეზის ფარგლებში ზმნათა უღლების პარადიგმები ანალოგიურია, ამიტომ, დიათეზის შიგნით ადგილი არა აქვს უღლების პარადიგმის არსობრივ ცვლილებებს. მაგ., მორფემათა საზღვარზე მიმდინარეობს გარკვეული პროცესები, როგორიცაა მაგ., აწმყოს სტრუქტურაშივე დართული ზმნისწინისეული ხმოვნისა და ხმოვანი პრეფიქსის კონტამინაცია და სხვ. . ასეთ შემთხვევაში ვიკვლევთ მიმდინარე ფონეტიკურ პროცესს და აღვადგენთ პირვანდელ სავარაუდო ფორმას, რის შედეგადაც, მიღებული ტრანსფორმირებული ჯგუფი შესაბამისი ხმოვანპრეფიქსიანი პარადიგმის

ქვეჯგუფად გამოიყოფა. ბუნებრივია, ამგვარი პროცესები ჩვენ მიერ გამოყოფილი გვარეობრივი სტრუქტურის გარეთ არ გადის. ასევეა თემის ნიშანთა შემთხვევაში: ცნობილია, რომ მეგრულში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულის დიალექტებში, ხდება თემის ნიშანთა უნიფიკაცია. მაგ., ნებისმიერი შერჩევის წესით თუ ავიღებთ რამდენიმე მეგრულ **-ან** (ან სხვა) თემისნიშნიან ზმნას, ვნახავთ, რომ სალიტერატურო ქართულის შესაბამის ფორმებში სხვადასხვა თემის ნიშანი დაჩნდება (იხ. ცხრილი 2.5):

ცხრილი 2.5.

მეგრული	**სალიტერატურო ქართული**
(R-ან-Ø)	**(R-ობ-Ø, R-ებ-Ø, R-ი-Ø)**
ი-ბუდურ-ან-ს	*: ბუდ-ობ-ს*
ი-ზაფ/რხულ-ან-ს//(ი ზარხულ-ენ-ს))	*: ი-ზაფხულ-ებ-ს*
ი-ცქვ-ან-ს	*: ი-ქ-ებ-ს*
ი-ძიც-ან-ს	*: ი-ცინ-ი-ს*

თემის ნიშანთა მიხედვით შექმნილი ქვესტრუქტურებიც ჩვენ მიერ *გამოყოფილ ორ ძირითად, გვარეობით* სტრუქტურაში ნაწილდება (მაგალითისთვის, იხ. ცხრილი 2.6):

ცხრილი 2.6.

R-[Th.s]-Ø	**R-Th.s-უ/ე(ნ)**
იბირ-ს *(„მღერის“)*	***იგორ-აფ-უ(ნ)*** *(„იგინება“)*
ივარ-ან-ს *(„უარობს“)*	***სქიდუ(ნ)*** *(„რჩება“)*
ირგ-უნ-ს *(„იგლოვს“)*	***ია(ნ)თას-ებ-უ(ნ)*** *(„ათასდება“)*
ხაჩქ-უნ-ს *(„თოხნის“)*	***უტიბ-უ(ნ)*** *(„უთბება“)*
უთას-უნ-ს *(„უთესავს“)*	***ბიზონდუ(ნ)*** *(„სივდება“)...*
კანკალ-ან-ს *(„კანკალებს“)...*	***იბაცე(ნ)*** *(„შეიძლება (გა)ნიავება“)...*

ამ ტიპის პროცესები ჩვენ მიერ გამოყოფილი ორი ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურის შიგნით ხორციელდება და არ იწვევს მის დესტრუქტურიზაციას.

2.5. მეორე თავის შეჯამება

საკმაოდ ვრცელი მასალის გაანალიზებამ აჩვენა, რომ მეგრულ ზმნას აქვს ორი ძირითადი სტრუქტურა და სამი კონსტრუქცია: (1) **nom-erg-dat-nom**, (2) **nom-erg-nom-nom** და (3) **dat-(dat)-dat-dat**.

(1) **nom-erg-dat-nom** სინტაქსური კონსტრუქციის ზმნები **R-[Th.s]-Ø** სტრუქტურისაა. ისინი, I-II სერიაში რეგულარულად, ვინის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული (აქ, რა თქმა უნდა, გვხვდება მანის რიგის პირის ნიშნები III (ინვერსიულ) სერიასა ობიექტურ წყობაში); ამის საფუძველზე გამოვყოფთ პირველ დიათეზას.

(2) **nom-erg-nom-nom** სინტაქსური კონსტრუქციის ზმნები, როგორც წესი, **R-[Th.s]-უ(ნ)** სტრუქტურისაა, ისინი, ყოველთვის, ვინის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული (აქაც გვაქვს მანის რიგის პირის ნიშნები მესამე სერიასა და ობიექტურ წყობაში); ამის საფუძველზე გამოვყოფთ მეორე დიათეზას.

(3) **dat-(dat)-dat-dat** კონსტრუქციაში ორივე სტრუქტურის ზმნები შედის **R-[Th.s]-Ø** **და R-[Th.s]-უ(ნ).** ეს ზმნები, რეგულარულად, **მ**ანის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული. ამიტომ, არასდროს მოხდება მესამე დიათეზის ზმნური ფორმების აღრევა სხვა დიათეზების ფორმებთან. მეგრულისთვის **ორივე სტრუქტურის ზმნათა დატიური კონსტრუქციისა** და **მანის რიგის პირის ნიშნებით** მარკირების საფუძველზე გამოვყოფთ მესამე დიათეზას. მეგრული ზმნის მესამე დიათეზაში ერთიანდება **(1)** სტატიკური ზმნები პირველადი, ძირეული სტრუქტურისა*: **ბღუმენს** (მწყურია), **მიღორს** (მიყვარს)* ტიპის აფექტური ზმნები და **(2)**მანის რიგის ნიშნებით მარკირებული რელატიური პოტენციალისები, აგრეთვე **R-[Th.s.]-Ø** და **R-th.s.-უ/ე(ნ)** სტრუქტურის სტატიკური ზმნები, რომლებიც I და II დიათეზის ზმნებისგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდებიან:

1. მოქმედების აგენსს პირის ნიშნებად **მ-ანის** რიგის აფიქსები მოუდის;
2. ძირითადად, აწმყოს წრისა და მეოთხე სერიის ფორმები ეწარმოება;
3. მოქმედების აგენსი (ინაქტიური სუბიექტი), როგორც წესი, I და II დიათეზის ზმნათა კონვერსიის შედეგადაა მიღებული. კაუზაციური ფორმის აგენსი იკარგება, ხოლო ეგზეკუტორი გაიაზრება ინაქტიურ სუბიექტად:

მაგ.,

სამპირიანი → ორპირიანი:

ო-ნარტ-უ-ან-ს თინა თის თის *„ანატრებს ის მას მას“ (I დიათეზა)* → ***ონარტუ(ნ) თის თინა*** *„ენატრება მას ის“* (III დიათეზა)

ორპირიანი →ერთპირიანი:

ოძიცინუანს თინა თის → აძიცინუაფუ(ნ) თის *„აცინებს ის მას → ეცინება მას“* (I დიათეზა) → (III დიათეზა)

III თავი. I დიათეზა
კონსტრუქცია: **nom-erg-dat-nom**

3.1. შესავალი

წინამდებარე თავში განვიხილავთ **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებს, რომელთაც მეგრულში აქვთ ერთადერთი **R-Ø** მორფოლოგიური სტრუქტურა.

ხმოვანი პრეფიქსებისა და თემატური ნიშნების დართვისას ძირითად R-Ø სტრუქტურაში გამოიყოფა ქვესტრუქტურები. ამ ქვესტრუქტურებს უღლების ერთი, ძირითადი პარადიგმა აერთიანებს.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მეგრულ (resp. ქართველურ) **ზმნაში ჩართული აქტანტების ბრუნვათა მიხედვით გვაქვს სულ სამი კონსტრუქცია. თითოეული კონსტრუქციის სახელწოდებად, პირობითად, ვიღებთ აგენსური აქტანტის (სუბიექტის) ბრუნვას სერიების მიხედვით** (მაგ., რომელიმე ***ჭარ-უნს*** *„წერს“* ტიპის ზმნისთვის **nom-erg-dat-nom)**, **რომელიც საერთოა ერთი ჯგუფის შესული ყველა ზმნისათვის**.

ქართველური ენობრივი სამყაროსთვის ასე დამახასიათებელ - ქვემდებარეზე არანაკლები სინტაქსური ძალის მქონე დამატება-ობიექტების ბრუნვათა კონსტრუქციების (ძირითად საუღლებელ მწკრივებში) მიხედვით კი თითოეულ დიათეზაში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ერთპირიანი და რელატიური ბრუნვაუცვლელ-ობიექტიანი ზმნები პირველ ქვეჯგუფში მოექცევიან, ხოლო რელატიური ბრუნვაცვალებად ობიექტიანი ზმნები - მეორე ქვეჯგუფში.

სრულყოფილი სურათის შესაქმნელად წარმოვადგენთ მეგრული ზმნის სუბიექტის/აგენსისა და ობიექტების კონსტრუქციათა სრულ ცხრილს სამივე დიათეზისათვის (ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1

აგენსისა და ობიექტების ბრუნვათა ცხრილი

დიათეზა	კონსტრუქცია	ზმნის მორფოლოგ. სტრუქტურა	მაგალითი	ქვემდებარ. აგენსის ბრუნვები	ბრუნვაუცვლელი დამატება-ობიექტის ბრუნვები	ბრუნვაცვალებადი დამატება-ობიექტის ბრუნვები
I	**nom-erg-dat-nom**	**R-[Th.s.]-Ø**	**უკარკატანს** **თინა თის თის** უხვევს ის მას მას	**nom -** I სერია **erg -**II სერია **dat -**III სერია **nom -** IV სერია	**dat -**I სერია **dat -**II სერია **III სერი**ა >> >>თანდებულიანი დამატება **dat -**IV სერია	**dat-** I სერია **nom-** II სერია **nom-**III სერია **dat -**I სერია
II	**nom-erg-nom-nom**	**R-th.s.-უ/ე(ნ)**	**აჩხიჩხუუ(ნ)** თინა თის – (საჩხუბრად) **ევჯახება** ის მას) **ქააჩხიჩხვუ თიქ თის** შეეჯახა მან მას **ქჭჩხიჩხვაფუ** **თინა თის** (შეჯახებია ის მას)	**nom -** I სერია **erg -** II სერია **nom-**III სერია **nom -** IV სერია	**dat -**I სერია **dat -**II სერია **dat -**III სერია **dat -**I სერია	- - - -
III	**dat-(dat)-dat - dat**	**R-[Th.s.]-Ø** **R-th.s.-უ/ე(ნ)**	**<u>მეონჯღორებუ(ნ)</u>** **<u>მა ურჩქინობა</u>** **<u>(მცხვენია მე უცოდინრობა)</u>** **<u>მეონჯღორუ(ნ)</u>** **<u>მა ურჩქინობაქ// ურჩქინობა</u>** **<u>(შემრცხვა მე უცოდინრობამ// უცოდინრობა)...</u>** **<u>ონარტუ(ნ)</u>** *<u>(ენატრება)</u>* თის თინა…	**ინაქტიური სუბიექტის ბრუნვები** (I და II დიათეზის ზმნათა კონვერსიული//ინვერსიული ფორმათა კონსტრუქცია): **dat -** I სერია **(dat-**II სერია) **dat-**III სერია **dat-IV** სერია	**nom-**I სერია **(erg–**IIსერია) **nom-**III სერია **nom-**IV სერია	- - - -

3.2. I დიათეზის ორი ქვეჯგუფი – (3.2.1.) სტატიკური - <u>უსრული</u> და (3.2.2.) დინამიკური - <u>სრული</u> კონსტრუქციები

საუღლებელ მწკრივთა სამი სერიის მიხედვით I დიათეზის ზმნათა აგენსის კონსტრუქციაა **nom-erg-dat-nom** (ანუ, მოქმედების აგენსი ბრუნვაცვალებადია ყველა სერიაში). დამატება-ობიექტის **ბრუნვაცვალებადობის** მიხედვით კი გამოვყოფთ პირველი დიათეზის ორ ქვეჯგუფს:

პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებულია აბსოლუტური აგებულებისა და ორპირიანი ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნები (მაგ., ***ფუნს*** *„დუღს ის“* და ***უძიცანს*** *„უცინის ის მას“*).

მეორე ქვეჯგუფში შესულია ბრუნვაცვალებადობიექტიანი ზმნები (მაგ.*„* ***იბირს*** ***თინა***$_{nom}$ ***თის***$_{dat}$ *„*მღერს ის მას“, იბირუ თიქ*$_{erg}$ *თინა*$_{nom}$ *„იმღერა მან*$_{erg}$ *ის*$_{nom}$*“,* ***უკარკატანს*** *თინა თის თის „უხვევს ის მას მას“*). ქვემოთ წარმოდგენილ პირველი დიათეზის ზმნათა ცხრილში (იხ., ცხრილი 3.2) კარგად ჩანს, რომ ორივე ქვეჯგუფს აქვს **საერთო სტრუქტურა (R-Ø)** და **საერთო კონსტრუქცია (nom-erg-dat-nom).**

ცხრილი 3.2

I დიათეზა	
კონსტრუქცია: nom-erg-dat	
სტრუქტურა: R-Ø	
1. **ერთპირიანი** (გვარი: რეფლექსივი//ავტოაქტივი) **და** 2. **ბრუნვაუცვლელობიექტიანი** (გვარი: აქტივი)	1. **ბრუნვაცვალებადობიექტიანი** (გვარი: აქტივი)

პირველი დიათეზის ერთპირიანი, ბრუნვაუცვლელობიექტიან და ბრუნვაცვალებადობიექტიან ზმნებს აერთიანებს აგენსის სინტაქსური კონსტრუქცია (**nom-erg-dat-nom**) და ერთი (**R-Ø**) მორფოლოგიური სტრუქტურა. პირველი დიათეზის ქვეჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი და გამოყოფის საფუძველი ბრუნვაცვალებადი (ე.წ. „პირდაპირი“) ობიექტის ქონა-არქონაა (მელიქიშვილი, 2008:124); ბრუნვაუცვლელი (ე.წ. „ირიბი“) ობიექტისგან

განსხვავებით, ბრუნვაცვალებადი (ე.წ. „პირდაპირი“) ობიექტი იწვევს ზმნის კონსტრუქციის ცვლილებას. ვნახოთ ამ ზმნათა კონსტრუქციის მაგალითები:

<u>ერთპირიანი:</u>

ფუნს *თინა „დულს ის: nom.”*

ფუ *თიქ „იდულა მან: erg.”*

უფუუ(ნ) *თის „უდულია მას: da.t“*

ნოფუნუე(ნ) თინა *„დულდა ხოლმე nom.“*

<u>ბრუნვაუცვლელობიექტიანი:</u>

უძიცანს *თინა თის „უცინის ის მას“ nom-dat*

უძიცუ *თიქ თის „გაუცინა მან მას“ erg-dat*

უძიცინუ(ნ) *თის (თიშოთ) „გაუცინია მას (მისთვის)“ dat*

ნოძიცინუე(ნ) თინა თის *„გაუცინებდა ხოლმე ის მას“: nom-dat*

<u>ბრუნვაცვალებადობიექტიანი:</u>

იბირს *თინა თის „მღერის ის მას“ nom-da.t*

იბირუ *თიქ თინა „იმღერა მან ის“ erg-nom.*

ბირუ(ნ) *თის თინა „უმღერია მას ის“ dat-nom.*

ნობიერუე(ნ) თის თინა *„იმღერებდა ხოლმე ის მას“ nom.-dat.*

უკარკატანს *თინა თის თის „უხვევს ის-მას-მას“ nom-dat-dat*

დუუკარკატუ *თიქ თის თინა „შეუხვია მან მას ის“ erg-dat-nom*

დუუკარკატუუ(ნ) *თის თინა თიშოთ „შეუხვევია მას ის (მისთვის//მისდა): dat-nom.*

ნოკარკატუე(ნ) თინა თის თის *„შეუხვევდა ხოლმე ის მას მას“ nom.-dat-dat*

პირველი დიათეზის **ერთპირიანი** და ოდენ **ბრუნვაუცვლელობიექტიან** ზმნათა ფორმების კონსტრუქცია უსრულია, რადგან მათ, განსხვავებით მეორე ქვეჯგუფის ზმნებისაგან, არა აქვთ სამოქმედო ბრუნვაცვალებადი ობიექტი; პირველი დიათეზის **ბრუნვაცვალებადობიექტიანი** ქვეჯგუფის ზმნათა კონსტრუქცია კი სრულია, რადგან მათ აქვთ სამოქმედო ბრუნვაცვალებადი ობიექტი/დამატება.

ერთპირიანი კონსტრუქციის შემთხვევაში ზმნა საკუთარ თავში შეიცავს სამოქმედო (ბრუნვაცვალებად) ობიექტს (უკუქცევითია, რეფლექსივია) და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთპირიანი კონსტრუქციის მოქმედების აგენსი, ამავე დროს, პაციენსიცაა. გვარის თვალსაზრისით, რეფლექსივია//ავტოაქტივია. შესაბამისად, არ აქვს სრული კონსტრუქცია. მაგ., ***წუხენს*** *თინა „**წუხს** ის“.* მაგრამ მათ, პოტენციურად შეიძლება გაუჩნდეთ ბრუნვაცვალებადი (ე.წ. „პირდაპირი“) ობიექტი, მაგ., ***წუხენს*** *თინა* ***უფარობას***$_{dat}$ *წუხს ის უფულობას.*

ბრუნვაუცვლელობიექტიანი კონსტრუქციის შემთხვევაში მოქმედება გადის ზმნის უკუქცევის წრიდან და გადადის **ბრუნვაუცვლელ ობიექტზე**, ოღონდ ეს ობიექტი „**ირიბია**“, არ არის „**პირდაპირი**“ - **ბრუნვაცვალებადი** ობიექტი, შესაბამისად, ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნებიც უსრული კონსტრუქციისაა; მაგ., ***უბირს*** *დიდა ჩქჩქს „უმღერს დედა ჩვილს“* – ***უბირუ*** *დიდაქ ჩქჩქს „უმღერა დედამ ჩვილს“* – ***უბირუ(ნ) დიდას*** *ჩქჩქშა „უმღერია დედას ჩვილისთვის“.* მათი უსრული კონსტრუქცია კი, კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება სრულად გარდაიქმნას: ბრუნვაუცვლელობიექტიანი კონსტრუქციის ზმნებს პოტენციურად შეუძლიათ გაიჩინონ ბრუნვაცვალებადი (ე.წ. „პირადპირი“) ობიექტი; მაგ., მაგ., ***უბირს*** *დიდა ჩქჩქს*$_{dat}$ *ბედინერას*[8]$_{dat.}$ – ***უბირუ*** *დიდაქ ჩქჩქს*$_{dat.}$ *ბედინერა*$_{nom}$ *„უმღერის დედა ჩვილს „ბედინერას*[9]*“ – უმღერა დედამ ჩვილს „ბედინერა“.*

ბრუნვაცვალებადობიექტიანი (ე.წ. „პირდაპირობიექტიანი – ტელიკური“) კონსტრუქციის ზმნები **სრული კონსტრუქციის** ზმნებად იწოდება, შესაბამისად, (ე.წ. ატელიკური) ზმნები, რომელთაც არ აქვთ ბრუნვაცვალებადი ობიექტი – **უსრული კონსტრუქციისად** (68, 94). მაგ., ***ოგანს*** *ჭკადუ კიდას*$_{dat.}$ *– ოგუ ჭკადუქ კიდა*$_{nom}$ *„აგებს მჭედელი კედელს – ააგო მჭედელმა კედელი“;* იგივე კონსტრუქცია ექნება ყველა ბრუნვაცვალებადობიექტია ზმნას (69, 833), მაგ., აწუხენს (რომელსაც სალიტერატურო ენის ფაქტად არის მიჩნეული (მ. ჩუხუა): ***აწუხენს*** *„აწუხებს“;* მაგ., ***მუში ანბეეში გოშინაქგ კინი შეაწუხუ*** *„მისი ამბის გახსენებამ ისევ შეაწუხა“,* (ქაჯაია ო., 2001, ა. ცაგ., გვ.24); აგრეთვე: ***მი-ო-შქვ-ან-ს – მი-ო-შქვ-უ*** *„მიაგზავნის – მიაგზავნა“...* ამგვარად, შეიძლება გამოვყოთ „**უსრული** “ და „**სრული**“ კონსტრუქციის ქვეჯგუფები I დიათეზის ცხრ.: №3.3.

ცხრილი №3.3

I დიათეზა	
კონსტრუქცია: nom-erg-dat-nom	
სტრუქტურა: R-Ø	
1. ერთპირიანი, 2. ოდენ ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი **კონსტრუქცია: უსრული**	ბრუნვაცვალებადობიექტიანი **კონსტრუქცია: სრული**

[8]მეგრული სიმღერის სახელწოდება.

3.2.1. I დიათეზის <u>უსრული</u> კონსტრუქცია

<u>ძირითადი სტრუქტურა</u> R-Ø, <u>კონსტრუქცია</u>: nom-erg-dat-nom

გვარი: ავტოაქტივი

განვიხილოთ I დიათეზის უსრული კონსტრუქციის ზმნათა ქვესტრუქტურები, რომელთა (ისევე როგორც ამავე დიათეზის სრული კონსტრუქციის ზმნათა) აგენსის **ძირითადი კონსტრუქციაა nom-erg-dat-nom** ხოლო, **ძირითადი სტრუქტურაა R-[Th.s]-Ø.**

I დიათეზის **უსრული კონსტრუქციის I ქვეჯგუფში R-Ø** სტრუქტურის ერთპირიანი და ოდენ ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნები ერთიანდება.

ამ ქვეჯგუფის ერთპირიან ზმნათა აგენსი მოქმედია, ოღონდ არ გააჩნია სამოქმედო ობიექტი. ისინი ბრუნვაცვალებად (ე.წ. „პირდაპირ“) ობიექტს საკუთარ თავში შეიცავენ - მოქმედება უკუქცევითია (ინტროვერტიზებულია). ამას ამტკიცებს აწმყოს ან მყოფად-წყვეტილის მწკრივის ფორმებში გამოვლენილი **ი-** პრეფიქსი, რომელიც ერთპირიან ზმნებში „რეფლექსივის აღმნიშვნელი ორგანული პრეფიქსია. ხოლო იგივე პრეფიქსი აქტივის სრულ კონსტრუქციაში სასუბიექტო ვერსიის შინაარსის მატარებელია” (67,85).

შემდეგ ქვეთავში მოკლედ მიმოვიხილავთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს **ი-** პრეფიქსის შესახებ.

3.2.1.ა. ი- პრეფიქსის კვალიფიკაცია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში

ი- პრეფიქსს რეფლექსივის, ინტროვერტიზებული მოქმედების მორფოლოგიური მარკერია (67,85). შდრ.: „ი- თავსართი მეგრულ ზმნურ რეფლექსივებში ანალოგიური ღირებულებისაა“ (162, 108). მაგ., იძიცანს „იცინის“ (შდრ., სვანურში: *ი-ცუნ̆ალ „იცინის“ (*153, 8).

სამეცნიერო ლიტერატურაში **ი-** პრეფიქსის ძირითად ფუნქციად მიჩნეულია უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა (58,136-137; 81, 209; 162,107; 67,84-85; 104, 115).

ი- პრეფიქსის წარმომავლობას მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა ლ. ნოზაძემ; მან დაწვრილებით გამოიკვლია, თუ რა მიმართება არსებობს ისტორიულად აწმყოში უპრეფიქსო და მყოფად-წყვეტილის ჯგუფებში **ი-** პრეფიქსიან ტიპთა წარმოებას შორის; აგრეთვე, რა წარმოშობისაა **ი-** პრეფიქსი ე.წ. „მედიოაქტიურ“, ლ. ნოზაძის გაგებით კი დინამიკურ, აქტიურ, პირდაპირი ობიექტის არ მქონე ზმნებში, როგორიცაა, პირობითად, საანალიზო ფორმებს ლ. ნოზაძე **მეფობს – იმეფა** ტიპის ფორმებს უწოდებს. მან დაასკვნა, რომ აღნიშნულ ზმნებში ი- პრეფიქსი არა ნასესხები, არამედ ორგანული პრეფიქსია როგორც ქართულში, ასევე მეგრულსა და სვანურში (78, 91-92).

ა. შანიძის კლასიფიკაციით, ე.წ. „მედიოაქტივები“ ძველ ქართულში, იშვიათად **ი-** პრეფიქსის გარეშე აწარმოებდნენ აორისტის ჯგუფის მწკრივთა ფორმებს: ქადაგებს – ქადაგა (ქადაგა და თქუა, ზღაპრ. 36, 12), ***<u>მეფობს – ჰმეფა</u>***: ***მეფე დავით VIII 19 წელი ჰმეფა*** (ქართ. ცხოვრ., II, 16), თუმცა აღნიშნულ ზმნათა უპრეფიქსო წარმოება, როგორც ჩანს ვერ განვითარდა განსხვავებით ჭანურისა და სვანურისაგან (78, 85).

სხვა მოსაზრებით, არსებითია **ზმნურ ფორმათა წარმოების პოტენციალის მიხედვით დაჯგუფება: <u>მეფობს – იმეფებს</u>** ორი სხვადასხვა ზმნის ერთი და იმავე ნაკვთის ფორმებია (14,144, 119, 590); მეფობს გააზრებულია აწმყოს ფორმად, რომელსაც მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთები გააჩნია *(მეფობს-მეფობდა-მეფობდეს*), ***იმეფებს*** – ასევე აწმყოა ფორმის თვალსაზრისით (შდრ.: *იკეთებს*), რომელსაც ეწარმოება აწმყოს წრის ნაკვთები (*იმეფებს – იმეფებდა – იმეფებდეს*) და მეორე სერიის ნაკვთებიც (*იმეფა – იმეფოს*). აქვე აღნიშნულია, რომ „***მეფობს*** ტიპში მოიაზრება უყვარს, მიფრინავს, ჰყავს რიგის ზმნები, რადგან მათაც 3 ნაკვთიანი პარადიგმა აქვთ. (თავად მეფობს ფორმის არქეტიპად კი *ჰმეფენს ფორმა ივარაუდება) (119, 590). ვფიქრობთ, „**ზმნურ ფორმათა წარმოების პოტენციალის**“ ანუ საუღლებელ მწკრივთა **რაოდენობის** მიხედვით დაჯგუფება სხვადასხვა მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის მქონე ზმნებს მოაქცევს ერთად (როგორებიცაა მაგ., **ვმეფობ (I-II-III სერიაში კონსტრუქცია nom-erg-dat-ია), მიყვარს (dat-dat-dat-dat), მივფრინავ (nom-erg-dat), მყავს (dat-dat-dat)...**), რაც, საუღლებელ ფორმათა ქვეჯგუფთა სიმრავლეს გამოიწვევს.

ადვილი შესაძლებელია, აღნიშნულ ზმნებში ყოფილიყო **ი-** პრეფიქსი და მოგავიანებით დაკარგულიყო ფონეტიკურ ნიადაგზე; ლ. ნოზაძე ქართველურ

ზმნურ ფორმებში გამოყოფს სამი ტიპის **ი-** პრეფიქსიან ფორმებს, მოვიყვანთ მეგრულის მაგალითებს:

1. **ი-** პრეფიქსი დასტურდება აწმყოშიც და მყოფად-წყვეტილის ჯგუფებშიც; მაგ., ***იბურჯანს – იბურჯუ*** *„შფოთავს – იშფოთა“,* ***იხვამანს – იხვამუ*** *„ლოცულობს – ილოცა“,* ***იჯგვიჯგვინანს – იჯგვიჯგვინუ*** *„გამოიყურება ტლანქი რამ“,* ***იპიჩვანს – იპიჩვუ*** *„მარხულობს – იმარხულა“,* ***ინგარს – ი[ნ]გარუ*** *„ტირის –იტირა“,* ***იგანს – იგუ*** *„ქრის – იქროლა“...*
2. **ი-** პრეფიქსი არ გვაქვს აწმყოს მწკრივებში, მაგრამ დაჩნდება მყოფად-წყვეტილის ჯგუფში: ***ორჩანენს – იორჩანუ*** *„ზარმაცობს – ოზარმაცა“,* ***ნარტენს – ინარტუ*** *„ნატრობს – ინატრა“...*
3. ყველა მწკრივში **ი-** პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი: ***სხაპუნს – [ქო]სხაპუ*** *„ცეკვავს – იცეკვა“,* ***ლალუნს – ლალუ*** *„ყეფს – იყეფა“,* ***ჭვათანს – ჭვათუ*** *„წვეთავს – იწვეთა“,* ***გურგინუნს – გოგურგინუ*** *„გრგვინავს – იგრგვინა“...* (78, 91-92).

ლ. ნოზაძე აღნიშნულ სამ ჯგუფს ქართველურ დონეზე აღადგენს და **ი-** პრეფიქსს, თავდაპირველად, მოიაზრებს აღნიშნული ჯგუფის ყველა ზმნასთან, მოგვიანებით კი, ხმოვანპრეფიქსს გაუჩინარებულად მიიჩნევს ფონეტიკურ ნიადაგზე. ამის მაგალითად მოჰყავს ძველი და ახალი ქართული ენის მაგალითი: ძველ ქართულში **ი-** პრეფიქსი წარმოდგენილია ზოგ ისეთ ზმნასთანაც, რომელსაც დაუკარგავს **ი-** პრეფიქსი თანამედროვე ქართულში: ***ისტუენს–სტუენს:*** *სხუანი ეშმაკნი* ***ისტუენდეს****...კ.I 225,19.ყოველი,რომელი განვიდოდის... მას შინა* ***დაისტნოს:*** *ამბაკ.342,3,1,* ***იმარხავს – მარხულობს:*** *რად ჩუენ ფარისეველნი* ***ვიმარხავთ*** *ფრიად,ხოლო მოწაფენი შენნი არა* ***იმარხვენ?*** *მ.9,14 C ...* ***იმარხეს*** *მას დღესა შინა :მსაჯ.20,26...* განსხვავება თანამედროვე და ძველ ქართულს შორის დასტურდება შემდეგ ზმნებშიც: ***იბრდღუენს – ბრდღვინავს, ილოცავს – ლოცულობს, იღაღადებს – ღაღადებს, ისადილებს – სადილობს, ისამხრებს – სამხრობს, იმრუშებს – მრუშობს, იხარებს – ხარობს, ივაჭრებს//ივაჭრობს – ვაჭრობს, ინადირებს – ნადირობს, იმღერის – მღერის, ინანის – ნანობს.***

ამდენად იკვეთება ტენდენცია ერგატიული უსრული კონსტრუქციის ზმნებში <u>ი-</u> პრეფიქსის დაკარგვისა.

ძველ ქართულში I დიათეზის ავტოაქტივ ზმნათა აწმყოში დადასტურებული **ი-** პრეფიქსი და თანამედროვე ქართულში მისი უქონლობა ლ. ნოზაძეს

აფიქრებინებს, რომ **შესაძლოა ასეთივე ცვლილებები განეცადა იმ ზმნებსაც, რომელთა ი- პრეფიქსიანი ფორმები აწმყოს წყებაში არ დასტურდება უკვე ძველ ქართულში:** ***დრტკნავს, მეფობს, კელობს, დღესასწაულობს, რუდუნებს, ჰელმწიფებს, მოძღუარობს, ჰმობს*** **და ა.შ.** (78, 102).

მეცნიერი ასკვნის, რომ ქართული ენის განვითარების უძველეს ეტაპზე **ი-** პრეფიქსი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამ ტიპის (ე.წ. „მედიოაქტივი“) ზმნების აწმყოს წრის ფორმებისთვისაც. ხოლო ის განსხვავება, რომელიც დღეს გვაქვს აწმყოსა და ნამყოს ძირითადის წყებაში ე.წ. „მედიოაქტივ“ ზმნებთან, წარმოქმნილი უნდა იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე. ამ ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში (***დრტკნავს, დღესასწაულობს, სადილობს*** ...) მეორეულია, მიღებულია **ი-** პრეფიქსიანი ფორმებისაგან ხმოვნის დაკარგვის შედეგად სუფიქსაციის ტენდენციის გაძლიერების გამო (78, 93).

შენიშვნა: საინტერესოა, რომ ამავე სტატიაში ავტორი კრიტიკულად უდგება ტერმინს „მედიოაქტივი“, საფუძველს აცლის მის არსებობას, რაც ძალზე დასაფასებელია: „ჩვენ ტერმინით „მედიოაქტიური“ აღვნიშნავთ **უგვარო, აქტიურ (დინამიკურ) ზმნათა იმ ჯგუფს, რომლის ძირითადი მახასიათებლებია:** დრო-კილოთა I და II სერიის ფუძეთა დაპირისპირება **ი-** (ასევე **უ-**) პრეფიქსის მიხედვით, აორისტში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად **–ეს** სუფიქსი, III ჯგუფის ფორმათა წარმოება ინვერსიულად, II სერიის მწკრივებში სუბიექტი – ერგატივში, პირდაპირი ობიექტის უქონლობა (78, 105).

ი- პრეფიქსის დაკარგვის მეორეულობის შესახებ დასკნის გაკეთების საფუძველს ლ. ნოზაძეს აძლევს **ი-**სთან ერთად ასევე **ა-, ე-, უ-** პრეფიქსების დაკარგვის ფაქტები ზოგ ე.წ. „მედიოაქტივ“ და ასევე სხვა ტიპის ზმნებში, რაც შენიშნულია სხვადასხვა მეცნიერების მიერ; მაგ., ხევსურულში **ა-** პრეფიქსის დაკარგვის ტენდენცია **–ავ** თემის ნიშნის დართვისას: *აბარია – ღბარავ (3,* 14), ფუძის თავკიდური **ა- ს** მოკვეცა მრავლობითი რიცხვის VC სტრუქტურის მქონე სუფიქსიან ფორმებში: *აბია – ღბიან, აცვია – სცვიან* (78, 115),

ამგვარი მაგალითები გამორიცხავს ი- პრეფიქსის ნასესხობის თეორიას. „მედიალურ ზმნებში ი- პრეფიქსი წყვეტილსა და მყოფადის მწკრივებში <u>ნასესხები კი არაა, არამედ იგი ორგანული აფიქსია.</u> ამ მოვლენას ლ. ნოზაძე სუფიქსაციის ტენდენციას უკავშირებს, კერძოდ VC სტრუქტურის მორფემების, ძირითადად, თემის ნიშნების ჩამოყალიბებას (78, 123). **ლ. ნოზაძეს მოჰყავს მაგალითები სამივე ქართველური ქვესისტემიდან:**

სვანური

აწმყ.

ბქ. იკლი „კოჭლობს,კელობს”	*იკლუნი*	*ლაჷკილ*
ბქ.იკვჩხი „კოჭლობს”	*იკვჩხუნი*	*ლაჷკვეჩხ*
ბზ.ითხვიარ „ნადირობს”	*ითხვიარნი*	*ადთხვიარე*
ზსვ.იკგლმახი„თევზაობს”	*იკლგმახნი*	*ანკგლმახე*
ბზ.იმზირ „ლოცულობს”	*იმზირნი*	*ლაჷმეზრე*
ბზ.ითუეფ „ისვრის (თოფით)	*ითფუნი*	*ადთუეფ*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრულ-ჭანურში მედიოაქტივი ზმნები **ი-** პრეფიქსიან ფორმათა სამ ტიპს გვიჩვენებს: **1.იცინის – იცინა:** *ინჩვირს „ცურავს” – **ინჩვირუ** „იცურავა” (ჭან.), **იონჯუანს** „ისაღამოვებს” – **[დ]იონჯუ** „დაისაღამოვა” (მეგრ.),* **2.მეფობს – იმეფა:** ***ხორონაფს** „ცეკვავს” – **იხორონუ** „იცეკვა” (ჭან.), გვარგვალანს, „დუღს” – **იგვარგვალუ** „იდუღა” (მეგრ.),* 3. ***მეფობს – ჰმეფა** წარმოებისა: **პეტელაფს** „ბღავის” – **პეტელუ** „იბღავლა” (ჭან.), **სხაპუნს** „ცეკვავს” – **[ქო]სხაპუ** „იცეკვა” (მეგრ.).*

სვანურზე აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უპრეფიქსო აწმყოს ფორმები მხოლოდ ფუძედრეკად ავტოაქტივებს მოეპოვებათ, მაგრამ მყოფად-წყვეტილის ფორმებში **ი-** პრეფიქსი წარმოდგენილია. ხოლო დანარჩენ I დიათეზის უსრული კონსტრუქციის ზმნებს **ი-** პრეფიქსიანი ფორმები აწმყოშივე უდასტურდებათ. ამასთან დაკავშირებით შენიშნული აქვს დ. მელიქიშვილს: „**-ი** პრეფიქსი გარდა წყვეტილისა და მისგან ნაწარმოები მყოფადისა, ძველ ქართულში აწმყოს ჯგუფშიც ერთვოდა და დღესაც შემონახულია გარკვეული ტიპის ზმნებში: ძვ. ქართული: ***ხ-ი-მოთხვიდეს, ი-სტუენს, ი- ნადირობს, ი-ლოცავს, ი-ტყჳს...*** ახ. ქართული: ***ი-ძინებს, ი-ღვიძებს, ი-ბანაკებს, ი-სმენს, ი-ძენს, ი-ნატრის, ი-მღერის,ი-ჩქარის, ი-ხარის და სხვ...*** (პარადიგმები; №3, №11, 67,83; 68,29).

„ძველი ქართულისა და სხვა ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინება საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ **ი-** პრეფიქსი აწმყოს ფორმებში საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი მედიოაქტივი ზმნებისათვის. **ი-** პრეფიქსის მიხედვით აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფორმათა დაპირისპირება აღნიშნულ ზმნებთან **მეორეული ჩანს**, მიღებული აწმყოს ფორმებში პრეფიქსის დაკარგვის შედეგად. ე.ი ***მეფობს – იმეფა*** ტიპის წარმოება

ისტორიულად მიღებული ჩანს ***იცინის – იცინა*** ტიპის წარმოებისაგან. *ცურავს, გორავს, დრტკნავს, მეფობს, დღესასწაულობს, სამხრობს, ღალადებს* ტიპის ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში შემდეგდროინდელია. ამგვარ ზმნებთან აწმყოს **ი-** ხმოვანი დაჩნდება ნამყო-ძირითადში ისევე, როგორც **ა-** ხმოვანი – ჰრგებს –არგო, ჰვნებს – ავნო, სტკენს – ატკინა, სწყენს – აწყინა... (77, 25-53,45). აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ხელმძღვანელის, მ. ჩუხუას შენიშვნით, ა/ი/ჰ/ს პრეფიქსთა ურთიერთჩანაცვლებას პირის ნიშანთა ფუნქციური სუბსტიტუციის კვალიფიკაცია ენიჭება.

3.2.1.ბ. ი- პრეფიქსი მეგრულ ერთპირიან ზმნებში

წინა პარაგრაფში (**3.2.1.ა**) მიმოხილული სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები გვაფიქრებიებს, რომ მეგრული **ი-** პრეფიქსიანი ინტროვერტიზებული მოქმედების მიმანიშნებელია მეგრულშიც (მსგავსად სხვა ქართველური ენობრივი ერთეულებისა). ამასთან, ეს ერთპირიანი ზმნები, გვარის სემანტიკური კატეგორიის თვალსაზრისით ავტოაქტივებია, მათი სუბიექტი თვითმოქმედია, „ავტოაქტიურია“.

R-Ø სტრუქტურის ერთპირიან ავტოაქტიურ ზმნებს ვაერთიანებთ პირველი დიათეზის პირველ – უსრული კონსტრუქციის (სტატიკურ) ქვეჯგუფში.

ამავე ქვეჯგუფში ვაერთიანებთ ოდენ ბრუნვაუცვლელობიექტიან ზმნებსაც - ბრუნვაუცვლელი ობიექტი ყველა სერიაში მიცემით ბრუნვაში დგას. ამ ზმნათა სტრუქტურაც - R-Ø-ია, კონსტრუქცია კი ბრუნვაუცვლელი აქტანტის ბრუნვებით განივრცობა, თუმცა, იმის გამო, რომ მათ არ აქვთ ბრუნვაცვალებადი ობიექტი, მათი კონსტრუქციაც **უსრულია** (მსგავსად აბსოლუტივებისა), რაც იმას ნიშნავს, რომ მა თარ გააჩნიათ ბრუნვაცვალებადი ობიექტი; ამგვარად, ოდენ ირიბობიექტიანი ორპირიანი R-Ø სტრუქტურის ზმნათა კონსტრუქციაა nom-erg-dat-nom (აგენსი); ხოლო ბრუნვაუცვლელი ობიექტის ბრუნვებია dat-dat-dat-dat.

მაგ.,

უკინტორუანს *თინა თის (nom-dat) „უკირტნის, უჩხიკინებს ის მას“*

უკინტორუუ *თიქ თის (erg-dat) „უკირტნა, უჩხიკინა მან მას “;*

უკინტორუაფუ(ნ) *თის (dat) თიშა „უკირტნია, უჩხიკინებია მას (მისთვის)“*
ნოკინტორაფუე(ნ) თინა თის *„უკირტნიდა ხოლმე ის მას“*
ან:
უძიცანს *თინა თის (nom-dat) „უცინის ის მას“*
უძიცუ *თიქ თის (erg-dat) „(გა)უცინა მან მას“*
უძიცინუ(ნ) *თის (dat) „(გა)უცინია მას (მისთვის)“*
ნოძიცინუე(ნ) თინა თის (nom-dat) „უცინოდა თურმე ის მას“
შდრ.:
უძიცანს *თის თოლი (nom-dat) „უცინის მას თვალი“*
უძიცუ *თის თოლქ (erg-dat) „(გა)უცინა მას თვალმა“*
უძიცინუ(ნ) *თიშა თოლს (dat) „(გა)უცინია მას (მისთვის)“*

I დიათეზის უსრული კონსტრუქციის ზმნათა კონსტრუქციისა და სტრუქტურის ზოგადი დახასიათების შემდეგ გადავიდეთ ქვესტრუქტურული ჯგუფების აღწერაზე. ამ სტრუქტურების ძირითად **ქვესტრუქტურულ** ვარიანტებს ქმნის აწმყოს ფუძეზე ზმნისწინის, ხმოვანი პრეფიქსისა და თემატური ნიშნების დართვა. თუმცა, ეს ცვლილება, როგორც წესი, არ გადის ძირითადი R-Ø სტრუქტურისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის გარეთ.

აწმყოს სტრუქტურაშივე დართული **ზმნისწინის**, **ხმოვანი პრეფიქსებისა** და **თემატური ნიშნების** მიხედვით გამოიყოფა პირველი დიათეზის უსრული კონსტრუქციის სულ 22 ქვესტრუქტურა. ამათგან **15** არის **R-Ø** სტრუქტურისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის მქონე **ავტოაქტიური ერთპირიანი** ზმნური ფორმა, რომლის აგენსი ამავე დროს პაციენსიცაა. დანარჩენი **7** ქვესტრუქტურა კი იმავე სტრუქტურისა და კონსტრუქციის **ოდენ ბრუნვაუცვლელობიექტიანი (ორპირიანი)** ზმნური ფორმებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ პროდუქტიულია აწმყოშივე ზმნისწინიანი ზმნური ფორმები. ზმნისწინი აქ დაცლილია ასპექტური შინაარსისგან და მხოლოდ გეზისა და ორიენტაციის ფუნქციით არის დატვირთული. ასეთი ზმნები მყოფად-წყვეტილის სრულასპექტიან ფორმებს დადასტურებითი **ქო-** ნაწილაკით აწარმოებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ “მეგრულსა და ლაზურში ერთდროული პროცესი ჩანს **ქო-** ნაწილაკის გამოყენება სრულასპექტიანი

ფორმების გამოსახატავად. მეგრულსა და, განსაკუთრებით, ლაზურში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ასპექტის გამოხატვის ძველი სისტემა, როცა ზმნისწინის დართვა არ განარჩევდა მოქმედების სრულობა-უსრულობას, ხოლო ახალი სისტემის ჩამოყალიბებისას ფუნქციური დატვირთვა მიენიჭა **ქო-** ნაწილაკს: მტკიცებითი სემანტიკის გაფართოებით მოქმედების სასრულობამდე (119, 367.)

ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენ მიერ აღწერილ თემატური ნიშნების, ზმნისწინისა და ხმოვანპრეფიქსების მიხედვით გამოყოფილ ქვესტრუქტურებს პირველი დიათეზის უსრული აბსოლუტური და ბრუნვაუცვლელობიექტიანი კონსტრუქციის ფარგლებში, რომელთაც აერთიანებთ ძირითადი სტრუქტურა – **R-[Th.s.]-Ø** და კონსტრუქცია: **nom-erg-dat-nom.**

3.2.1.1. <u>უსრული კონსტრუქციის</u> ერთპირიან ზმნათა ქვესტრუქტურები (კლასები)

3.2.1.1.1. R-Ø ქვესტრუქტურა №1

ამ ქვესტრუქტურის ზმნები ათემატური ერთპირიანი ზმნებია, რომლებიც, როგორც წესი, მყოფად-წყვეტილის ჯგუფებს ზმნისწინითა და დადასტურებითი <u>ქო-</u> ნაწილაკით, ხანაც **ი-** პრეფიქსის დართვით იწარმოებენ.

ამ სტრუქტურის ზმნები არაპრდუქტიულობით გამოირჩევა მეგრულში: ***ბონს (გობონუ-გუბონუ(ნ)-ნობონუე(ნ))*** *„ბანს“*... მაგალითისთვის ვნახოთ ***წვიმს*** ზმნის ძირითადი მწკრივების ფორმები ოთხივე სერიისათვის:

აწმყო: ***ჭვინს/ც//ჭვენს*** *„წვიმს“*

მყოფადი: ***დოჭვინს*** *„მოწვიმს“*

წყვეტილი: ***ჭვიმუ*** *„იწვიმა“*

I რეზულტატივი: ***უჭვიმუ(ნ)*** *„უწვიმია“*

III რეზულტატივი: ***ნოჭვიმუე(ნ)*** *„წვიმდა თურმე“*

საინტერესოა, რომ **R-Ø** ქვესტრუქტურაში მეგრულშიც გვაქვს მყოფადის **ი-** პრეფიქსიანი წარმოება (იწვიმებს ტიპისა): ***ი-ჭვემ-(უ)-ან-ს*** *„გაწვიმდება“.*

შენიშვნა: ამ ზმნებს, სემანტიკიდან გამომდინარე, I და II პირის ფორმები არ აქვთ (არ გვექნება ****ვწვიმ, *ვთოვ...***), თუმცა, გამორიცხული არ არის ამ ფორმათა დაშვება გაპიროვნების შემთხვევაში (პოეტურ მეტყველებაში).

ი- პრეფიქსი, რომელიც მყოფად-წყვეტილისა და აწმყოს მწკრივში გამოჩნდება ამ ზმნათა ორგანული სუფიქსია, და არ უნდა იყოს ნასესხები აქტივის ფორმათაგან (**ი-** პრეფიქსის ნასესხობის შესახებ დაწვრილებით იხ. წინა პარაგრაფებში, გვ.:55-62).

3.2.1.1.2. Prev-R-Ø ქვესტრუქტურა №2

მე-2 ქვესტრუქტურაში ვათავსებთ **Prev-R-Ø** ქვესტრუქტურის ათემატურ აბსოლუტივებს. მაგ., ***გითგმოცენს*** *„ცვივა“...* აწმყოშივე დაირთავენ ზმნისწინს, რომელიც დაცლილია ასპექტური სემანტიკისაგან. მყოფადისა და სრული ასპექტის ფორმებს დამადასტურებელი ფუნქციის მქონე **ქო-** ნაწილაკის ან ზმნისწინის გართულებით, ზოგჯერ კი ფუძის შეცვლით აწარმოებენ: ***გილა-ცენ-ს – გეგგლა-ცენ-ს*** *„ცვივა - ჩამოცვივა“* ***(გილგმაცენს –გეგლაცუ –გილაცუმე(ნ) – გილგნოცუმუე(ნ), ათგმადიარს - ათადიარს//ქათადიარს (>*ქოათადიარს)*** *„ბალახობს – იბალახებს“...*

ეს ქვესტრუქტურა პროდუქტიულობით არ გამოირჩევა; ეს ზმნები სალიტერატურო ქართულშიც თავისებური ზმნებია *(თვლემს ის – ჩათვლიმა მან...).*

ათადიარს *– ბალახობს (ხოჯი უღუს ათადიარსგნი, გემაცვენჯიში ბრალი რენია: ხალხ. სიბრ., 1, გვ. 186 -- უღელქვეშ ხარი რომ ბალახობს, მიმყოლის (პატრონის) ბრალიაო.),* ***გეკინს*** *„გუთნისდედობს“;*

ამ და სხვა პარადიგმის აწმყოშივე ზმნისწინდართულ ფორმებს, ჩვეულებრივ, ახლავს –თი, -მა, თგმა ნაწილაკები, რომელბიც ანიჭებენ ზმნურ ფორმებს აწმყოს ან უსრული ასპექტის გაგებას (21,75).

სამაგალითო ზმნის ძირითადი მწკრივების ფორმები ოთხივე სერიისათვის:

აწმყო: ***გეკინს*** *- ←*გი-ა-კინ-ან-ს//გი-ა-კინ-უ(ნ) გუთნისდედობს*

მყოფადი: ***გიაკინუუ(ნ)***[10] *- იგუთნისდედებს*

წყვეტილი: ***გიაკინუ*** *- იგუთნისდედა*

I რეზულტატივი: ***გეუკინალუ*** **-** *უგუთნისდედია*

III რეზულტატივი: **გენოკინუე(ნ)** *– იგუთნისდედებდა ხოლმე/თურმე*

აქ საინტერესოა ისიც, რომ ნაუღლებ მაგალითში მყოფადის შენაცვლებული ფორმა ***(გიაკინუუ(ნ))*** გვაქვს, რომელიც ი. ყიფშიძესთან გვხვდება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ზმნათა თავისებურ ხასიათზე.

---

[10] აქ და ყველა სხვა მაგალითშიც ქვემოთ III პირის მხოლობითი რიცხვის სუფიქსის –**უ(ნ)-** თანხმოვნითი ნაწილი ფრჩხილებშია ჩასმული, რადგან მეტყველების პროცესში იკარგება და აღდგება მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1. კითხვითობის –ო ნაწილაკის დართვისას: ***გიაკინუუნო? - “იგუთნისდედებს?***“; 2. სხვათა სიტყვის –ია სუფიქსის დართვისას, მაგ., გიაკინუუნია – „***იგუთნისდედებსო***“. (123, 144). **აღნიშნული წესი მოქმედებს სხვა პარადიგმებშიც, ამიტომ ამის შესახებ იქ აღარ მივუთითებთ.**

3.2.1.1.3. ი-R-Ø ქვესტრუქტურა №3

მე-3 ქვესტრუქტურაში ერთიანდება **ი-R-Ø** სტრუქტურის ათემატური ერთპირიანი ზმნები, როგორიცაა, მაგ., ***იბონს*** *„იბანს“*, ***ინგარს*** *„ტირის“*, ***იბირს*** *„მღერის“*, ***იდიარს*** *„ბალახობს“*. ეს ზმნები, საერთო წესისამებრ, მყოფადს (და სრულ ასპექტს) **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკით აწარმოებენ (123, 158; 55, 164). **ქო-** ნაწილაკის ხმოვანი ნაწილი, როგორც წესი, ასიმილაციის წესით ერწყმის **ი-** პრეფიქსს და კონტამინაციის გზით ვიღებთ (**ოი < ეი < ი**) მარკერს: “Гласный **о** перед **о** подвергается полной съ нимъ ассимилации, напр., ***ქი-იბთხი*** *„ვითხოვე“* (вм. ***ქო-იბთხიი***)“ (123, 161).; სხვა მაგალითი: ***ი-(ნ)ძგერ-ს “ძგერს”– *ქო-ი-(ნ)ძგერ-ს – ქი-ი(ნ)ძგერს - ქი(ნ)ძგერს “იძგერებს”*** შეიძლება დაერთოს ზმნისწინიც, მაგრამ ზოგჯერ ზმნისწინის დართვა სემანტიკურ ცვლილებას იძლევა.

როგორც ჩანს, ამ ტიპის ზმნებში მყოფადის წარმოება სხვა გზით წარიმართა: სალიტერატურო ქართულში აწმყოშივე **ი-** პრეფიქსის მქონე ფორმები მყოფადს ზმნისწინისა და თემატური სუფიქსის დართვით აწარმოებენ: *ი-ცინის – გა-ი-ცინ-ებ-ს.* მეგრულში კი არ გაითიშა აწმყოს ფუძე მყოფადისაგან და მხოლოდ ქო-დადასტურებითი ნაწილაკი დაირთო: ***იბირს*** *„იმღერს“ –* ***ქიბირს*** *„იმღერებს“* ვნახოთ სამაგალითო ზმნის უღლების ნიმუში:

I სერია

აწმყოს ჯგუფი			
აწმყო	***უწყვეტელი***	***აწმყოს კავშ.***	***აწმყოს პირობითი***
ვიბირ-ქ /-თ	*ვიბირდ-ი /-თ*	*ვიბირდ-ა/-ე /-ათ*	*ვიბირდი-კო /-თ-(ი)-კო*
“ვმღერი /-თ”	*“ვმღეროდი”*	*“ვმღერდე”*	*“რომ ვმღერდე”*
იბირ-ქ /-თ	*იბირდ-ი /-თ*	*იბირდ-ა/-ე /-ათ*	*იბირდი-კო /-თ-(ი)-კო*
“მღერი”	*“მღეროდი”*	*“მღერდე”*	*“რომ მღერდე”*
იბირ-ს /-ა(ნ)	*იბირდ-უ /-ეს*	*იბირდ-ა-ს /-ან*	*იბირდუ-კო /-ეს-(ი)-კო*
“მღერის”	*“მღეროდა”*	*“მღერდეს”*	*“რომ მღერდეს”*
მყოფადის ჯგუფი			
მყოფადი	***მყოფადის ხოლმ.***	***მყოფადის კავშ.***	***მყოფადის პირობითი***
ქივბირ-ქ /-თ	*ქივბირდ-ი /-თ*	*ქივბირდ-ა/-ე /-ათ*	*ქივბირდიკო /თ(ი)კო*
“ვიმღერებ”	*“ვიმღერებდი”*	*“ვიმღერებდე”*	*“რომ ვიმღერებდე”*
ქიბირ-ქ /-თ	*ქიბირდ-ი /-თ*	*ქიბირდი-ა/-ე /-ათ*	*ქიბირდიკო /თ(ი)კო*
“იმღერებ”	*“იმღერებდი”*	*“იმღერებდე”*	*“რომ იმღერებდე”*
ქიბირ-ს /-ა(ნ)	*ქიბირდ-უ /-ეს*	*ქიბირდ-ა-ს /-ან*	*ქიბირდუკო /ეს(ი)კო*
“იმღერებს”	*“იმღერებდა”*	*“იმღერებდეს”*	*“რომ ვიმღერებდეს”*

II სერია

წყვეტილი	***II კავშირებითი***	***II პირობითი***
ვიბირ-ი /-თ “ვიმღერე”	*ვიბირ-ა/-ე /-ათ “ვიმღერო”*	*ვიბირ-ი-კო /-თ-(ი)-კო*
იბირ-ი /-თ “იმღერე”	*იბირ-ა/-ე /-ათ “იმღერო”*	*“რომ მემღერა”*
იბირ-უ /-ეს “იმღერა”	*იბირ-ა-ს /-ან “იმღეროს”*	*იბირ-ი-კო /-თ-(ი)-კო*
		“რომ გემღერა”
		იბირ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
		“რომ ემღერა”

III სერია

I *რეზულტატივი*	*II რეზულტატივი*	*III კავშირებითი*	*III პირობითი*
მიბირ-უ-(ნ)/-ა(ნ) *“მიმღერია”* *გიბირ-უ(ნ)/-ა(ნ)* *“გიმღერია”* *უბირ-უ(ნ)/ -ა(ნ)* *“უმღერია”*	*მიბირუდ-უ /-ეს* *“მემღერა”* *გიბირუდ-უ /-ეს* *“გემღერა”* *უბირუდ-უ /-ეს* *“ემღერა”*	*მიბირუდ-ა-ს /-ან* *“მემღეროს”* *გიბირუდ-ა-ს /-ან* *“გემღეროს”* *უბირუდ-ა-ს /-ან* *“ემღეროს”*	*მიბირუდ-უ-კო/-ეს-(ი)კო* *“რომ მემღერა”* *გიბირუდ-უ-კო/-ეს-(ი)კო* *“რომ გემღერა”* *უბირუდ-უ-კო/-ეს-(ი)-კო* *“რომ ემღერა”*

IV სერია

III რეზულტატივი	*IV რეზულტატივი*	*IV კავშირებითი*	*IV პირობითი*
ნოვბირ-უ-ე-ქ /-თ *“ვიმღერებდი თურმე”* *ნობირ-უ-ე-ქ /-თ* *“იმღერებდი თურმე”* *ნობირ-უ-ე(ნ) /ან* *“იმღერებდა თურმე”*	*ნოვბირ-უ-ე-დ-ი /-თ* *“ვიმღერებდი თურმე”* *ნობირ-უ-ე-დ-ი /-თ* *“იმღერებდი თურმე”* *ნობირ-უ-ე-დ-უ /-ეს* *“ვიმღერებდი თურმე”*	*ნოვბირ-უ-ე-დ-ა/-ე /-თ* *“რომ ვიმღერებდე თურმე”* *ნობირ-უ-ე-დ-ა/-ე/-თ* *“რომ იმღერებდე თურმე”* *ნობირ-უ-ე-დ-ა-ს /-ან* *“რომ იმღერებდეს თურმე”*	*ნოვბირუედიკო /ით(ი)კო* *“რომ მემღერა თურმე”* *ნობირუედიკო /ით(ი)კო* *“რომ გემღერა თურმე”* *ნობირუედუკო /ეს(ი)კო* *“რომ ემღერა თურმე”*

3.2.1.1.4. Prev-ი-R-Ø ქვესტრუქტურა №4

მე-4 ქვესტრუქტურაში **Prev-ი-R-Ø** ქვესტრუქტურის ზმნები ათემატური ერთპირიანები ერთიანდება. ამ პარადიგმაშიც, ძირითადად, სტატიკური ზმნებია წარმოდგენილი. მათ აწმყოშივე აქვთ ზმნისწინი, რომელიც, როგორც წესი, მოქმედების მიმართულებასა და ორიენტაციაზე მიუთითებს. ზმნისწინი დაცლილია ასპექტური სემანტიკისაგან. მყოფადის მწკრივებს მაასპექტირებელი ზმნისწინის ფუნქციის მქონე **ქო-** ნაწილაკის, ან ზმნისწინის გართულებით ან ფუძის ცვლილებით აწარმოებენ, მაგ., ***კოჩი ლიშიში ცურწის გით-ი-ლენსია*** -- *კაცი ნემსის ყუნწში გაივლისო (გავაო);*

აწმყოშივე ზმნისწინიან ფორმებს უსრული ასპექტისა და აწმყოს გაგებას, ხშირად თ/მV ელემენტი ანიჭებს. სამეცნიერო ლიტერატურაში, ამასთან დაკავშირებით, გამოყოფენ **(თ)მV** ელემენტს, რომელიც „იხმარება მხოლოდ პრევერბთა მომდევნოდ აწმყოში და საშუალებას აძლევს პრევერბიან ფორმას აწმყოდვე დარჩეს და მომავლის გაგება არ მიიღოს (რაც ქართულში ვერ ხერხდება) (154, 143; 21,82; 119, 470).

ამ ქვესტრუქტურაში, როგორც წესი, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები ერთიანდება. შესამჩნევია ზოგადი აწმყოს გაგება; ერთსა და იმავე ზმნურ ფორმას მრავალგვარი ზმნისწინი შეიძლება დაერთოს, რაც ძალზე ამრავალფეროვნებს მეგრულ მოძრაობის ზმნებს.

გეითოხირს *„ჩათვლემს“* (სიტყვასიტყვით: გამოეპარება თვალი: ***ვოხედინი, თოლი გეითუხირუდუ*** -- *რომ ვიჯექი, ჩამთვლემოდა (თვალი გამომპარვია),* **გილენგარს (←*გილაინგარს) „ტირილით დადის აქეთ-იქით“, დილენგარს (←*დილაინგარს) „გარეთ ტირის“, დიინგარს (←*დო-ინგარს) „დაიტირებს“, ელენგარს (←*ელა-ინგარს) „გვერდით, გარეთ ტირის“ ...**

ძალზე საინტერესო ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს ზმნისწინისა და **ი-** ხმოვანპრეფიქსის მორფემათა მიჯნაზე.

ე- ხმოვანპრეფიქსი მოყვანილ მაგალითებში **მეორეულია,** როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ზმნისწინისეული –ა ხმოვანი **ი-** ხმოვანპრეფიქსთან უშუალო მეზობლობაში გვაძლევს **ე-**ს: აი→ე (119, 369): ***გილედიარს ← გილა-ი-დიარს*** *„ბალახობს“,* ***გილეცხვაბარს ← *გილა-ი-ცხვაბარს*** *„დაფხაჭუნობს“...*

სალიტერატურო ქართულში აღნიშნულ ზმნათა შესატყვისი ფორმები მწკრივნაკლია, მხოლოდ პირველი სერია ეწარმოება, ისიც ნაკლულად, მეგრულში კი ზოგი მათგანი თანდათან ივსებს პარადიგმას, თუმცა, შესაძლოა გამოვლინდეს მწკრივში ფუძემონაცვლეობის შემთხვევებიც. პარადიგმათა შევსების შემთხვევები დინამიკური ზმნების ანალოგიით მიმდინარე პროცესი შესაძლოა იყოს:

სამაგალითო ზმნის ძირითადი მწკრივების ფორმები ოთხივე სერიისათვის:

აწმყო: ***ელენგარს*** *„გვერდით, გარეთ ტირის“*

მყოფადი: ***ქიგგლენგარს*** *„იტირებს“*

წყვეტილი: ***ელე{ე}ნგარუ*** *„გვერდით, გარეთ იტირა“*

I რეზულტატივი: ***ელუ{უ}ნგარი{ნ}უ(ნ)*** *„გვერდით, გარეთ უტირია“*

III რეზულტატივი ***ელგონგარუე(ნ)*** *„ტიროდა თურმე გარეთ“*

3.2.1.1.5. R-ან-Ø ქვესტრუქტურა №5

მე-5 ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **R-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნებს. ისინი საკმაოდ პროდუქტიული წარმოებით ხასიათდებიან. მყოფად-წყვეტილის ჯგუფებს **ი-** პრეფიქსითა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკით იწარმოებენ. მაგ., ***კანკალანს „კანკალებს“ - იკანკალანს*** *(ეს ფორმა გვიანდელია, სალიტერატურო ენიდან უნდა იყოს შესული) „იკანკალებს“,* ჩვენი ხელმძღვანელის შენიშვნით, საკუთრივ მეგრული იქნება ქო- დადასტურებითნაწილაკიანი ფორმა: **ქო-კანკალ-ან-ს.**

საინტერესოა, რომ **–ან** თემატური სუფიქსი ფუნქციურად სალიტერატურო ქართული ენის **–ებ** თემატური სუფიქსის რანგისაა., მაგ., *ბარბაჩ**ანს** „ბრიალ**ებს**“.*

ზოგიერთი მათგანის სალიტერატურო ქართული შესატყვისი **–დ** სუფიქსიანი R-**დ**-ებ-ი სტრუქტურის ზმნაა, მაგ., ***მუწუკანს // ბუზუკანს „მუწუკდება“ ქობუზუკანს „დამუწუკდება“.*** **ი-** პრეფიქსი, ისევე როგორც **–დ** სუფიქსი ზმნური ფორმის ინტროვერტულობაზე მიუთითებს. მართლაც, ეს ზმნები სემანტიკურად სტატიკურია, ოღონდ სრული სტატიკისგან განსხვავებით (როგორიცაა მაგ., დგას, წევს) ავტოაქტიურ ზმნებში შეფარდებითი სტატიკაა გამოხატული, მოქმედება ერთ ადგილას ხორციელდება, წრეზე ბრუნავს და მოქმედ პირზევე აისახება. ერთპირიან **ი-** პრეფიქსიან და **–დ** სუფიქსიან ზმნები დიათეზათა კლასიფიკაციის ფარგლებში რეფლექსივებად, ავტოაქტივებად არის გააზრებული.

ამ ზმნათა უმრავლესობა ონომატოპოეტურ, ხშირად გაორკეცებულ ფუძეზე VS (S=Sonor) სუფიქსის (**-ალ, -არ**) დართვით არის ნაწარმოები:

ბანდალანს „ბანდალებს“, ბანცალანს „ბანცალობს, ბარბაცობს“, ბარბაჩანს „გიზგიზებს, ბრიალებს“, ბარკალანს „ბორძიკობს, ბარბაცებს“, ბარძგალანს „ძაგძაგებს“, ბანჩვალანს „სასიამოვნოდ ლაპარაკობს“,ბაჯალანს(ნ) „სასიამოვნოდ ლაპარაკობს“, ბაძგალანს „ძგერს, კანკალებს“, ბუდურანს „ბუდობს“, ბუზუკანს „მუწუკდება“, ბუ{რ}ცხანს „ფოცხავს“, ბურჯანს[11] „შფოთავს, ბორგავს, იბრძვის“, გარგაზანს „გიზგიზებს“, გვარგვათანს „ჯგუფდება“, გვარგვალანს „თუხთუხებს“,

[11] არაბუნებრივად ჟღერს, თუმცა დავადასტურეთ ო. ქაჯაიას ლექსიკონში ლემა **ბურჯუა**[1]-ს პარადიგმაში: ბურჯანს (შფოთავს), იბურჯუ (იშფოტა), უბურჯუუ(ნ) (უშფოთავს), ნობურჯუე(ნ) (ბორგავდა თურმე).

სამაგალითო ზმნის ძირითადი მწკრივების ფორმები ოთხივე სერიისათვის:

აწმყო: ***ბანჩვალანს*** *„სასიამოვნოდ ლაპარაკობს“ (//ი-ბანჩვალუ(ნ))*

მყოფადი: ***ქობაჩვალანს*** *„სასიამოვნოდ ილაპარაკებს (//ქ-ი-ბანჩვალუ(ნ))“*

წყვეტილი: ***ბაჩვალუუ*** *„სასიამოვნოდ ილაპარაკა“(//იბანჩვალუ)*

I რეზულტატივი: ***უბაჩვალუ(ნ)*** *„სასიამოვნოდ ულაპარაკია“*

III რეზულტატივი: ***ნობაჩვალუე(ნ)*** *„სასიამოვნოდ ლაპარაკობდა თურმე“*

3.2.1.1.6. ი-R-ან-Ø ქვესტრუქტურა №6

მე-6 ქვესტრუქტურაში ი-R-ან-Ø ქვესტრუქტურის ზმნები ერთიანდება. მათ მყოფადისა და აორისტის მწკრივები ზმნისწინით ან დადასტურებითი **ქო-** ნაწილაკის დართვით ეწარმოებათ. ზოგჯერ, **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკი, ითავსებს რა ზმნისწინის ფუნქციას, სრულ ასპექტს გამოხატავს (123, 161).

ი-R-ან- Ø ქვესტრუქტურაში ხშირია ნასახელარი ზმნები: **ი-ზაფ/რხულ-ან-ს – გეში-ზარხულ-ენ-ს** „იზაფხულ-ებს - გამოიზაფხულებს”, **ი-მო(ნ)ჭვ-ან-ს – ქი-მო(ნ)ჭვ-ან-ს** „კრუხავს/-ობს - იკრუხებს”, **ივარანს - ქივარანს** „უარს ამბობს” **-** „უარს იტყვის” …

ამ ზმნების აწმყოს მოდელი ი- პრეფიქსიანია: **ი-R-ან-Ø: ი-ზაფ/რხულ-ან-ს** – „იზაფხულ-ებს; ამიტომაც, მყოფადისა და წყვეტილის საწარმოებლად ზმნისწინი ან ქო- დადასტურებითი ნაწილაკის დართვა ხდება აუცილებელი: **გეშ-ი-ზარხულ-ენ-ს** „გამოიზაფხულებს”... მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, მეგრულშიც ამ ზმნებს მესამე სერიაში თემის ნიშანი არ ექნებათ. ***გომიძიც(ინ)უ*** *„გამიცინია“,* ***იბურჯანს – ქიბურჯანს - ქიბურჯუუ*** *„ბორგავს – იბორგებს - იბორგა“.*

მყოფადის საწარმოებლად დაირთავს ზმნისწინსა და ქო-დადასტურებით ნაწილაკს. აღსანიშნავია, რომ ამ ზმნათაგან ზოგს სალიტერატურო ქართულში II დიათეზის **–დ** სუფიქსიანი ავტოაქტივები შეესაბამება. როგორც ჩანს, ეს პროცესი უკვე კანონზომიერ სახეს იღებს:

გი-ი-რიფინანს *„გამართული დგას“,* **გი-ი-ც{ქ}იცქინანს** „მხიარულობს, უზომოდ იცინის”, **გინირიფინანს** „ლაღად და ამაყად გადმომდგარია“, **გეგგნიტკარჩალანს** „ტკრციალით გადავა, გადაიფრენს//დატკრჩიალობს“... ***ქიგგნირიფინანს*** *„ლაღად გადმოდგება“,* ***ქიგიცქინცქინანს*** *„იმხიარულობს“...*

ულლების პარადიგმა რეგულარულია, როგორც სხვა ქვესტრუქტურათა შემთხვევაში, მოყვანილ ფორმებსაც ეძებნება **R-უ(ნ)** სტრუქტურის პარალელური ფორმები:

აწმყო: *გეგგ-ი-ტკარჩალანს „გადაიფრენს“ //ტკარჩალანს //იტკარჩალუ(ნ)*

წყვეტილი: *გეგგ-ი-ტკარჩალუ „გადაიფრინა“*

I რეზულტატივი: *გეგგ-უ-ტკარჩალ(ინ)უ(ნ) „გადაუფრენია“*

III რეზულტატივი: *გო-ნო-ტკარჩალ-უ-ე(ნ) „გადაუფრენია თურმე“*

I სერია			**პარადიგმა №6**
აწმყოს ჯგუფი			
აწმყო	**უწყვეტელი**	**აწმყოს კავშ.**	**აწმყოს პირობითი**
ვიძიცან-ქ /-თ “ვიცინი” იძიცან-ქ /-თ “იცინი” იძიცან-ს /-ა(ნ) “იცინის”	ვიძიცან-დ-ი /-თ “ვიცინოდი” იძიცან-დ-ი /-თ “იცინოდი” იძიცან-დ-უ /-ეს “იცინოდა”	ვიძიცან-დ-ა/-ე /-ათ “ვიცინოდე” იძიცან-დ-ა/-ე /-ათ “იცინოდე” იძიცანდ-ა-ს /-ან “იცინოდეს”	ვიძიცანდ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ ვიცინოდე” იძიცანდ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ იცინოდე” იძიცანდ-უ-კო /-ეს-(ი)-კო “რომ იცინოდეს”
მყოფადის ჯგუფი			
მყოფადი	**მყოფადის ხოლმ.**	**მყოფადის კავშ.**	**მყოფადის პირობითი**
გივძიცან-ქ /-თ “გავიცინებ” გიძიცანქ /თ “გაიცინებ” გიძიცანს /ა(ნ) “გაიცინებს”	გივძიცან-დ-ი /-თ “გავიცინებდი” გიძიცან-დ-ი /-თ “გაიცინებდი” გიძიცან-დ-უ /-ეს “გაიცინებდა”	გივძიცან-დ-ა/-ე /-ათ “გავიცინებდე” გიძიცანდ-ა/-ე /-ათ “გაიცინებდე” გიძიცანდ-ა-ს /-ან “გაიცინებდეს”	გივძიცან-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ გავიცინებდე” გიძიცან-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ გაიცინებდე” გიძიცან-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო “რომ გაიცინებდეს”

II სერია

წყვეტილი	**II კავშირებითი**	**II პირობითი**
გივძიც-ე /-თ “ვიცინე” გიძიც-ე /-თ “იცინე” გიძიც-უ /-ეს “იცინა”	გივძიც-ა/-ე /-ათ “ვიცინო” გიძიც-ა/-ე /-ათ “იცინო” გიძიც-ა-ს “იცინოს”	გივძიც-ე-კო /-თ-(ი)-კო “რომ გამეცინა” გიძიც-ე-კო /-თ-(ი)-კო “რომ გაგეცინა” გიძიც-უ-კო /-ეს-(ი)-კო “რომ გაეცინა”

III სერია

I რეზულტატივი	**II რეზულტატივი**	**III კავშირებითი**	**III პირობითი**
გომიძიც(ინ)-უ(ნ)/-ა(ნ) “გამიცინია” გოგიძიც(ინ)-უ(ნ)/-ა(ნ) “გაგიცინია” გუ(უ)ძიც(ინ)უ(ნ) /-ა(ნ) “გაუცინია”	გომიძიც(ინ)-უ-დ-უ /-ეს “გამეცინა” გოგიძიც(ინ)-უ-დ-უ /-ეს “გაგეცინა” გუ(უ)ძიც(ინ)-უ-დ-უ /-ეს “გაეცინა”	გომიძიც(ინ)-უ-დ-ა-ს/-ან “გამეცინოს” გოგიძიც(ინ)-უ-დ-ა-ს/-ან “გაგეცინოს” გუ(უ)ძიც(ინ)-უ-დ-ა-ს/-ან “გაეცინოს”	გომიძიც(ინ)-უ-დ-უ-კო/-ეს-(ი)-კო “რომ გამეცინა” გოგიძიცინ-უ-დ-უ-კო/-ეს-(ი)-კო “რომ გაგეცინა” გუ(უ)ძიცინ-უ-დ-უ-კო/-ეს-(ი)-კო “რომ გაეცინა”

IV სერია

III **რეზულტატივი**	IV **რეზულტატივი**	IV **კავშირებითი**	IV **პირობითი**
გონოვძიც(ინ)-უ-ე-ქ /-თ "გავიცინებდი თურმე" გონოძიც(ინ)-უ-ე-ქ /-თ "გაიცინებდი თურმე" გონოძიც(ინ)-უ-ე-(ნ) /-ა(ნ) "გაიცინებდა თურმე"	გონოვძიც(ინ)-უ-ე-დ-ი /-თ "გავიცინებდი თურმე" გონოძიც(ინ)-უ-ე-დ-ი /-თ "გაიცინებდი თურმე" გონოძიც(ინ)-უ-ე-დ-უ /-ეს "გაიცინებდა თურმე"	გონოვძიც(ინ)-უ-ე-დ-ა/-ე /-ათ "რომ გავიცინებდე თურმე" გონოძიც(ინ)-უ-ე-დ-ა/-ე /-ათ "რომ გაიცინებდე თურმე" გონოძიც(ინ)-უ-ე-დ-ა-ს /-ან "რომ გაიცინებდეს თურმე"	გონოვძიც(ინ)-უ-ე-დ-ი-კო /-ი-თ-(ი)-კო "რომ გამეცინა თურმე" გონოძიც(ინ)-უ-ე-დ-ი-კო /-ი-თ-(ი)-კო "რომ გაგეცინა თურმე" გონოძიც(ინ)-უ-ე-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო "რომ გაეცინა თურმე"

3.2.1.1.7. ო-R-ან-Ø ქვესტრუქტურა №7

მე-7 ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ ო-R-ან-Ø ქვესტრუქტურის ერთპირიან ზმნებს. მათი, ისევე, როგორც პირველი დიათეზის ყველა ზმნის კონსტრუქციაა nom-erg-dat-nom.

სალიტერატურო ქართულში ამ ზმნებს I დიათეზის R-Ø სტრუქტურისა სხვადასხვა თემატურნიშნიანი ზმნური სტრუქტურები შეესაბამება, ზოგი მათგანი სტატიკური, აღწერითი წარმოებისაა.

საინტერესოა, რომ ამ ფორმათა უმრავლესობა აწმყოშივე დაირთავს **მი-** ზმნისწინს, რაც მხოლოდ მოქმედებისა და მიმართულების გეზსა და ინტენსივობაზე მიუთითებს. ხშირია უზმნისწინო ფორმებიც; მაგალითები:

ობირინანს *„გაშტერებული იყურება“,* ***ობიტინანს*** *„უდარდელად იყურება“,* ***(მი)ობადანს*** *„ბადუნობს“, (მი)****ობაძღვანს*** *„მიდის“ (პატარა მოგვაჯული ადამიანი), (მი)****ობაწკანს*** *„კოხტად და ფეხაკრეფით მიდის“, (მი)****ობაჯგანს*** *„მყარი ნაბიჯებით მიდის“, (მი)****ოგაგანს*** *„წალასლასდება“, (მი)****ოგვაჯანს*** *„მიდის (კოხტად)“,* ***ოგვიგვინანს*** *„შეშუპებულია, დამსხვილებულია“.*

მაგ., „მევოჯინინი, ამარ ***ვემიოგვაჯანსო*** *ჩქიმი ბოში -- რომ შევხედე, აგერ* ***არ მიდის (კოტად)*** *ჩემი ბიჭი (****ოგვაჯანს*** *- „წავა (კოხტად)“,* ***ოგვაჯუუ*** *„წავიდა კოხტად“,* ***უგვაჯუუ*** *„წასულა კოხტად“).*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: (მი)***ობარდღანს*** *„ბორდღვით, ფორთხვით მიდის“*

მყოფადი: ***მიდაბარდღანს//მიდებარდღალუ(ნ)*** *„გაფორთხდება*

წყვეტილი: ***ქიბარდღუუ //მიდაბარდღუ „****იფორთხა“*

I რეზულტატივი: ***უბარდღინუ(ნ)*** *„უფორთხია“*

III რეზულტატივი: ***ნობარდღინუე(ნ)*** *„ბორდღავდა/ფორთხავდა თურმე“*

Prev-ო-R-ან-Ø ქვესტრუქტურა №8

მე-8 ქვესტრუქტურის ზმნები **Prev-ო-R-ან-Ø ქვესტრუქტურ ᲔᲑᲜ** თემისნიშნიანი აბსოლუტივებია. აწმყოს ფუძეშივე დართული ზმნისწინი დაცლილია ასპექტური შინაარსისაგან და, როგორც წესი, გეზსა და ორიენტაციაზე მიუთითებს. მყოფად-წყვეტილის ფორმებს, როგორც წესი, დადასტურებითი ქო- ნაწილაკით იწარმოებენ. ***მიობაცანს – ქიმიობაცანს – ქიმიობაცუუ „მიცუნცულებს (მიპარვით)“ - „მიცუნცულდება მიპარვით“ - „მიცუნცულდა მიპარვით“.***

წინა პარაგრაფებშიც აღვნიშნეთ და ანალოგიური მორფოლოგიური მოვლენის გამო, აქაც აღვნიშნავთ: პირველი დიათეზის უსრული კონსტრუქციის სხვა ზმნების მსგავსად, **Prev-ო-R-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნათა უმრავლესობასაც სალიტერატურო ქართულში **Prev-R-th.s.-ები** სტრუქტურის ზმნებს შეესატყვისება; გარდა იმისა, რომ იცვლება **გვარეობითი სტრუქტურა** (**R-th.s.-Ø >> R-th.s.-ება**), სალიტერატურო ქართულში გამქრალია მეგრული **ო-**ხმოვანი პრეფიქსის რანგობრივი შესატყვისიც, სამაგიეროდ, რიგ შემთხვევებში, როგორც მოსალოდნელი იყო (და როგორც ავტოაქტივთათვის არის დამახასიათებელი), ჩნდება დინამიკურობის, ინტენსივობის გამომხატველი სუფიქსი **-დ**: მი-**ო**-ბაც-**ან**-ს – მი-**Ø**-ცუნცულ-**დ-ებ**-ა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ზმნას ო. ქაჯაიას ლექსიკონში გარდაუვალი **ვნებითი გვარის ფორმის კვალიფიკაცია** აქვს მინიჭებული, სავარაუდოდ, აწმყოს მწკრივში, –ები/ება დაბოლოების გამო, მაშინ, როდესაც, გვარის ტრადიციული კლასიფიკაციით, მეგრული ზმნური ფორმა ***მიობაცანს (თინა)*** ე.წ. „საშუალ-მოქმედებითი“ გვარის ფორმის ყალიბში ჯდება (ამ ტერმინს ჩვენ არ ვაღიარებთ და ვიზიარებთ არნ. ჩიქობავას მოსაზრებას ე.წ. მედიოაქტივ“ ზმნებთან დაკავშირებით):

მიობაცანს (ქიმიობაცუუ მიცუნცულდა,

ქემეუბაცინუ მიცუნცულებულა, მინობაცუე(ნ) მიცუნცულდებოდა თურმე) *გრდუვ. ვნებ.* მიცუნცულდება (ძიპარვით).

სხვა მაგალითები:

გი-ო-კაშ-ან-ს „ღრმად სუნთქავს(მწუხარების ნიშნად), წუხს“, ***მი-ო-ლალ-ა-ნს*** „დაიყეფებს“, ***გ/მი-ო-ხვალ-ან-ს*** „დაახველებს“, ***მი-ო-ბაჯგ-ან-ს „მიაბიჯებს (მყარად)“***, ***მი-ო-ცაც-ან-ს*** *„ფრთხილად მიდის“*, ***მი-ო-ნჩხურ-ანს*** *„მისცურავს“...*

მაგ.,

შორიშე გე-კაშ-ვნ-ა(ნ) შურს: ი. ყიფშ., გვ. 155 -- *შორიდან ამოისუნთქავენ.*

ან:

მეურს, ***მი-ო-ბაჯგ-ან-ს*** *შარას ქომოლკოჩიცალო - მიდის,* ***(მყარად) მიაბიჯებს*** *გზაზე ვაჟკაცივით.*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***მი-ო-ბაც-ან-ს*** *“მიცუნცულებს (მიპარვით)“*

წყვეტილი: ***ქიმიობაცუუ*** *„მიცუნცულდა“*

I რეზულტატივი: ***ქემეუბაცუ*** *„მიცუნცულებულა“*

III რეზულტატივი*:* ***მინობაცუე(ნ)*** *„მიცუნცულდებოდა თურმე“*

3.2.1.1.9. Prev-R-ან-Ø ქვესტრუქტურა №9

მე-9 ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **Prev-R-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნებს. ზნათა უმრავლესობას მოძრაობის სემანტიკის nom-erg-dat-nom კონსტრუქციის ზმნები წარმოადგენენ, რომელთა რიგებშიც ხშირია მეტყველება წრის ზმნები;

აწმყოშივე ზმნისწინდართულ ფორმებს, შეიძლება დაერთოს **–თი, -მა, თგმა** ნაწილაკები, რომელბიც ზმნურ ფორმებს აწმყოს ან უსრული ასპექტის გაგებას ანიჭებენ (21,75).

მყოფად-წყვეტილის მწკრივთა საწარმოებლად ადგილი აქვს ზმნისწინთა შენაცვლება და დადასტურებითი **ქო-** ნაწილაკის დართვას.

ალა-კუსანს *„გვერდით კრუსუნებს“,* ***გილა-ცქი{რ}ცქინანს*** *„უშნოდ იცინის“,* ***გილა-ცხაკანს*** *„მოკლე და ჩქარი ნაბიჯით დადის“,* ***გილა-ძაგანს*** *„დაეთრევა“,*

გილა-ძაკანს *„დაეცეტება“,* ***გილა-ძღვარანს*** *„არასოლიდურად დადის“,* ***გილა-წარწალანს*** *„წრიალებს“,* ***გილა-წენს*** *„იღვრება“,* ***გილა-ჭაჭყალანს*** *„ჭაჭყანებს (სიარულის დროს)“...*

ზოგიერთი მათგანი უზმნისწინოდაც შეიძლება შეგვხვდეს: ***ალა-კუსანს*** *„გვერდით კრუსუნებს“,* ***გილა-წენს*** *„იღვრება“*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ქურქულანს*** *„ვიშვიშებს“*

მყოფადი: ***ქოქურქულანს*** *“ივიშვიშებს”*

წყვეტილი: ***ქურქულუუ*** *„ივიშვიშა“*

I რეზულტატივი: ***უქურქულუუ(ნ)*** *„უვიშვიშია“*

III რეზულტატივი: ***ნოქურქულუე(ნ)*** *„ვიშვიშებდა თურმე“*

3.2.1.1.9. Prev-ი-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა № 9

მე-9 ქვესტრუქტურაში გაერთიანებული Prev-ი-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურის ზმნებიც ერთპირიანი ზმნებია. მათ სტრუქტურაში დადასტურებული **ი-** პრეფიქსი ზმნით გამოხატული მოქმედების ინტროვერტულობაზე მიუთითებს. კონსტრუქცია: **nom-erg-dat-nom**. მათ აწმყოშივე დაერთვით ზმნისწინი, რომელიც დაცლილია ასპექტური გაგებისაგან. ამიტომ, მყოფადის ფორმებს ზმნისწინის ან **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის დართვით აწარმოებენ.

გი-თგმ-ი-რულ-უ-ან-ს *„რამეზე დაიძინებს“,* ***გიმ-ი-რინ-უ-ან-ს*** *„გამოიყენებს“,* ***გინგმისუმარუანს*** *„გადაისტუმრებს (დიდხანს არის სტუმრად)“,* ***გინგიკათუანს*** *„(გა)ადენს (ზღართანს)“,* ***გითგმიჩხანუანს*** *„გამოანათებს“;* ***აკიმუნუანს*** *„მოიღრუბლება“,* (გვხვდება უზმნისწინო ვარიანტიც: ***იმუნუანს*** *„იღრუბლება“).*

Prev-ი-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურის ზმნებს წყვეტილში სუფიქსად **-უ-ან** დაბოლოების ზმნებს (ისევე როგორც **-აფ-უ-ან-Ø** სტრუქტურის ზმნებს) **–უუ(ნ)** მოუდის. მაგ., *ჭვიმა გაგგნიღუ* დო ***გეგგთიჩხანუუ*** -- *წვიმამ გადაიღო და მზე გამოვიდა* ***(გამომზიანდა);***

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მეგრული მორფოსინტაქსის წესებით, აქ უნდა გვქონდეს მოთხრობითი ბრუნვის **-ქ** სუფიქსით მარკირება: *ჭვიმაქ გაგნიღუ,* მაგრამ როგორც ჩანს, ორივე ფორმა დასტურდება, ამიტომ,

ჩვენ ორივე მაგალითს დავტოვებთ: ***ჭვიმა გაგგნიღუ*** *„წვიმა გადაიღო“ და ამის პარალელურად:* ***ჭვიმაქ გაგგნიღუ*** *„წვიმამ გადაიღო“,* ***გოდირთუ ჭვიმაქ*** *„დადგა წვიმები“ (ქაჯაია,*Lemma: godgina2, Number 4104*). შდრ.:* **სალიტერატურო ქართულში,** ზოგ შემასმენელთან ქვემდებარის გამოსახატავად სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნებით პარალელური მარკირება შენიშნული აქვს ა. კიზირიას: „ასეთი შემასმენლებია: გადაიღო, გადაიხარა: ***იგი გადაიღო //მან გადაიღო:*** *გათენებისას* ***წვიმა*** *გადაიღო, დილისათვის* ***თოვლი*** *გადაიღო,* ***ილიკო*** *გადაიხარა ჭურში,* შდრ.: ***წვიმამ*** *გადაიღო, ჟუჟუნა* ***წვიმამ*** *გადაიღო, მ****ზემ*** *კარგა გადაიხარა ჩასავალისკენ.* საინტერესოა ისიც, რომ **გამოიღვიძა** ზმნასთან სალიტერატურო ქართულში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას, **ჭანურში კი – სახელობითში:** *ოხოიში* ***საჰები*** *ნჯირიშენ ქაგოკუცხუ „სახლის პატრონმა ძილისაგან გამოიღვიძა“,* სახელობითშია ქვემდებარე **სვანურშიც**: *მერმა ლადელ ჟ'ანდაცხ* ***ბეფშვ*** *„მეორე დღეს გაიღვიძა ბავშვმა“* (38,95-103).

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ი-რულ-უ-ან-ს „იძინებს// დაიძინებს“***

მყოფადი: (***ქი)დირულუანს „დაიძინებს“***

წყვეტილი: (***ქი)დირულუუ „დაიძინა“***

I რეზულტატივი: (***ქგ)დურულუაფუ(ნ) „დაუძინია“***

III რეზულტატივი: ***დონორულაფუენ „დაიძინებდა თურმე“***

3.2.1.1.10 R-ენ-Ø ქვესტრუქტურა № 10

მე-10 ქვესტრუქტურაში ვათავსებთ **R-ენ- Ø** სტრუქტურის ერთპირიან ზმნებს, რომლებიც, როგორც წესი, მყოფადს <u>ი–ენ</u> კონფიქსით აწარმოებენ:

გურენს *„გულობს“, მაგ.,* ***გური იშენი გურენც*** *„გული მაინც გულობს“ (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან),* ***აბრაგენს*** *„აბრაგობს“,* ***აზრენს*** *„აზროვნებს“, *აზრობს (ფიქრობს),* ***წუხენს - იწუხენს*** *“წუხს - იწუხებს”* ***ნანენს – ინანენს*** *“ნანობს - ინანებს”;* ***ნატრენს//ნარტენს – ინატრენს//ინარტენს*** *„ნატრობს - ინატრებს”;* ***ნა(რ)ღენს – ინა(რ)ღენს*** *„ნაღვლობს - ინაღვლებს”;* ***ჩიულენს – იჩიულენს*** *“ჩივის - იჩივლებს”;* ***ჩხუპენს – იჩხუპენს*** *“ჩხუბობს (იბრძვის) - იჩხუბებს (იბრძოლებს)“.* ***ვაჭრენს//ვარჭენს - ივაჭრენს//ივარჭენს***

*„ვაჭრობს - ივაჭრებს". **რძღი(რ)კაფულენს - ქი-ი(რ)ძღირკუანს** „აიტაცებს, მოიკიდებს"; **ხარენს - იხარენს „**ხარობს - იხარებს".*

აქ აუცილებლად უნდა ითქვას მ. ჩუხუას შენიშვნის შესახებაც, რომ მოყვანილ მაგალითთაგან მხოლოდ ***რძღი(რ)კაფულენს - ქი-ი(რ)ძღირკუანს*** *„აიტაცებს, მოიკიდებს"* ფორმაა საკუთრივ მეგრული, სხვა ფორმები სალიტერატურო ქართულის ფაქტებია და, შესაბამისად, ემთხვევა მას. ჩვენ მაინც დავტოვეთ ისინი სამაგალითო ფორმათა სვეტში, რადგან ყველა მათგანი დადასტურებულია მეგრულ მეტყველებასა და რაც მთავარია, ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში. ზოგადენათმეცნიერული მიდგომის თანახმად, რაც დაფიქსირებულია მეტყველებაში, აუცილებლად აისახება ენაშიც, ამდენად, ვფიქრობთ, რომ ეს მაგალითები უნდა დარჩეს **R-ენ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნათა ჩამონათვალში.

R-ენ-Ø ქვესტრუქტურის ზმნათა რიგ ქართულ შესატყვისებში (ინატრის, ინანის, იკვეხის, იღვწის, იღიმის...) აწმყოში დღემდე შემორჩენილია **ი-** პრეფიქსი, რაც მათი რეფლექსივური შინაარსის მაჩვენებლია.

მყოფადის მწკრივებს **ი-** პრეფიქსის დართვით აწარმოებენ: ***პოტიკენს*** *(პარალელური, იმავე შინაარსისაა **იპოტიკუ(ნ))** „ჩხირკედელაობს";* ***აბანენს – იაბანუანს*** *„ბანაობს – იაბანოებს;* ***კილაოზნიკენს*** *(იყენ. **იკილაოზნიკუ** იშარა, **უკილაოზნიკებუ** უშარია, **ნოკილაოზნიკებუე(ნ)** შარობდა თურმე) -* ***შარობს, შარს სდებს,*** *მაგ., **ირფელიშენი კილაოზნიკენს** - „ყველაფერზე შარობს".*

ამ ტიპის მყოფადის ი- პრეფიქსიანი ავტოაქტივები მეგრულში, ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, უსრულასპექტიანია.

ამ სტრუქტურის ზმნებს ხშირად ბრუნვაცვალებადი ობიექტი შეეწყობა. მაგ., ***ჯგირო გურაფულენს ძღაბი*** *„კარგად სწავლობს გოგო".* შდრ. იმავე ზმნის ორპირიანი ფორმა*: **გურაფულენს ძღაბი გაკვეთილს** „სწავლობს გოგო გაკვეთილს". ულლების პარადიგმა კი ამ ორივე ზმნას ერთი აქვს: წყვეტილი:* ***იგურუუ*** *„ისწავლა (მან /მან ის),* ***უგურუაფუ*** *„უსწავლია" (მას/მას ის),* ***ნოგურაფუე(ნ)*** *„ნასწავლება" (მას/ მას ის).*

განსხვავება ამ ორ ფორმას (ამ ტიპის) ფორმას შორის სემანტიკურია: ერთპირიანი „გურაფულენს" ტიპის ზმნები, რომელიც I დიათეზის პირველ, სტატიკურ ქვეჯგუფში ირიცხებიან, გამოხატავენ მოქმედების მდგომარეობას, ანუ, მოქმედება ერთ წერტილზე ტრიალებს, ავტოქატივია.

იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ კონტექსტში გაიჩინეს ბრუნვაცვალებადი ობიექტი, მაშინ უკვე პირველი დიათეზის მეორე – დინამიკურ ქვეჯგუფში გადაირიცხებიან: ***გურაფულენს ძღაბი ჭარუას*** *„სწავლობს გოგო წერა*ს*ბრუნვაცვალებადი ობიექტი“*

ამ პარადიგმის ზმნებს წყვეტილიც **ი-** პრეფიქსიანი აქვთ, სუფიქსად კი გვექნება **-უ**.

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***წუხენს*** *„წუხს“* ***(//იწუხებუ(ნ)***

მყოფადი: ***იწუხენს*** *„იწუხებს“*

წყვეტილი***: იწუხუ*** *„იწუხა“*

I თურმეობითი: ***უწუხებუ(ნ)*** *„უწუხია“*

III თურმეობითი: ***ნოწუხებუე(ნ)*** *„უწუხია თურმე“*

R-ენ-Ø ქვესტრუქტურა, ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, ძალზე პროდუქტიულია მეგრულშიც, რასაც ვერ ვიტყვით ამავე ქვესტრუქტურის ზმნისწინიან ვარიანტზე: Prev-R-ენ-Ø. იხ. შემდეგი - მე-11 კლასი.

3.2.1.1.16. Prev-R-ენ-Ø ქვესტრუქტურა № 16

მე-16 ქვესტრუქტურაში გაერთიანებული **Prev-R-ენ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნები პროდუქტიულობით არ გამოირჩევა. ***გილაცუხენს „თაღლითობს, გაიძვერობს“ (იცუხუ*** *ითაღლითა,* ***უცუხებუ(ნ)*** *უთაღლითია,* ***ნოცუხებუე(ნ)*** *თაღლითობდა თურმე)* ზმნისწინი დაცლილია ასპექტური სემანტიკისგან, მისი ფუნქცია მოქმედების სემანტიკური ნიუანს(ებ)ის დაზუსტებაა. *მაგ.,* ***„თიში საშველი ვანოცოფუე, ჯვეშებურო გილურს დო გილაცუხენს*** *-- იმისი საშველი არ იქნება, ძველებურად დადის და* ***თაღლითობს“, გილგმაწენს*** *„იღვრება“:* ***ჯას თოფური გილმაწენს*** *„ხიდან თაფლი იღვრება“* (123, *ნ)* **(მაგალითები მოხმობილია ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან)**.

ადვილი შესამჩნევია, რომ წინა პარადიგმისგან ამ კლასს მხოლოდ და მხოლოდ აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინი განასხვავებს, ფაქტობრივად, იგივე პარადიგმაა, ოღონდ ზმნისწინიანი. აწმყოშივე დართული ზმნის

განსაკუტრებულ სემანტიკურ ნიუანსს სძენს ზმნით გამოხატულ მოქმედებას. როგორც აღვნიშნეთ, აწმყოშივე ზმნისწინდართულ ფორმებს, ჩვეულებრივ, ახლავს **-თი, -მა, თგმა** ნაწილაკები, რომელბიც ანიჭებენ ზმნურ ფორმებს აწმყოს ან უსრული ასპექტის გაგებას (21,75).

ამავე სტრუქტურის უზმნისწინო (მე-10 კლასის) ზმნათაგან განსხვავებით, არც უღლების პარადიგმაში გვაქვს რაიმე განსხვავება.

კონსტრუქცია: **nom-erg-dat-nom.** წყვეტილში მწკრივის ნიშნად მოუდით **–ი** სუფიქსი. მყოფად-წყვეტილის მწკრივებს **ქო-** ნაწილაკის დართვით აწარმოებს.

აწმყო: ***გილგმაწენს*** *„იღვრება“*
მყოფადი: (***ქი)გგლაწენს*** *„ჩამოიღვრება“*
წყვეტილი: ***გილაწიუ//უუ*** *„დაიქცა, დაიღვარა“*
I რეზულტატივი: ***გილაწუმელე(ნ)*** *„დაქცეულა“*
III რეზულტატივი: **გილნოწუმუე(ნ)** „დაიქცეოდა ხოლმე“

3.2.1.1.12. R-უნ-Ø ქვესტრუქტურა № 12

მე-17 ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **R-უნ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნებს. ესენი – **უნ** თემისნიშნიანი აბსოლუტივებია. მოქმედების აგენსი ავტოაქტიურია. ამ ქვესტრუქტურაში, ძირითადად ხმიანობის გამომხატველი ზმნები ერთიანდება. კონსტრუქცია: **nom-erg-dat-nom.** მყოფად-წყვეტილის ჯგუფები **ი-** ხმოვანი პრეფიქსის, ზმნისწინის ან **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის დართვით ეწარმოება.

ბუდინუნს *„დუდუნებს, გაურკვევლად ლაპარაკობს“,* ***ბურდღინუნს*** *„ბურდღუნებს“,* ***ბურტყინუნს*** *„ბურტყუნებს“,* ***ბურწინუნს*** *„გრუხუნებს (ზარბაზანი, ი.ყიფშ.)“,* ***წკირწკინუნს*** *„ჭრიჭინებს“: მეურს ურემი, მიწკირწკინუ(ნ) „მიდის ურემი, მიჭრიჭინებს.*

მ. ჩუხუას შენიშვნით, აღნიშნული ზმნები პირდაპირობიექტიანი აქტივებისგან იმით განსხვავდებიან, რომ რეზულტატივის მწკრივებში **–უნ** თემატურ სუფიქსს არ შეირჩენს, შდრ.: ***შ-უნ-ს /შ-უ, უ-შ-უმ-უ(ნ), ნო-შ-უმ-უ-ე(ნ)***; თუმცა,

პარალელურად, ო-R-ან(←ამ) ქვესტრუქტურას ერთნაირად აწარმოებენ; შდრ.: ***ბუდინ-უნ-ს /მი-ო-ბუდინ-ან-ს – ჭარ-უნ-ს/მი-ო-ჭარ-ან-ს, ჭკომ-უნ-ს/მი-ო-ჭკომ-ან-ს…***

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ბუდინუნს „დუდუნებს“

მყოფადი: ქობუდინუნს „იბუდუნებს“

წყვეტილი: ქობუდინუ „იდუდუნა“

I თურმეობითი: უბუდინ(ებ)უ(ნ) „უბუდუნია“

III თურმეობითი: ნობუდინ(ებ)უე(ნ) „უწუხია თურმე“

3.2.1.1.13. Prev-R-უნ-Ø ქვესტრუქტურა № 13

მე-13 ქვესტრუქტურაში ერთიანდება **Prev-R-უნ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნები. ისინი აწმყოშივე დაირთავენ ზმნისწინს, რომელიც არ აღნიშნავს სრულ ასპექტს, დაცლილია ასპექტური გაგებისაგან და მხოლოდ მოქმედების ნიუანსურ სემანტიკას აკონკრეტებს. სრულ ასპექტს მაასპექტირებელი ზმნისწინის ფუნქციის მქონე **ქო-** ნაწილაკის ან ზმნისწინის გართულებით აწარმოებენ. *მაგ.,* ***გეგგთორწკინუნს*** *„{გამო}ბზინავს, {გამო}ბრწყინავს სერით გერიში თოლი* ***გითგმორზინუნს*** *-- ღამით მგლის თვალი {გამო}ბზინავს, {გამო}ბრწყინავს;* ***გეგგშადგიდგონუნს/ გიშადგირდგონუნს*** *„ამოიგუნგლება“,* ***გიგგნოფურინუნს //გეგგნოფურინუნს*** *„გადაფრინდება“…*

შდრ., წინა - **R-უნ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნა ***„ბურდღინუნს“*** *ნიშნავს „ბურდღუნებს“.* აწმყოშივე ზმნისწინდართული იგივე ფორმა კი მოხვდება **Prev-R-უნ-Ø** ქვესტრუქტურაში: ***გილაბურდღინუნს*** *„დადის, დაბურდღუნებს“.*

სხვა მაგალითები:

გეჟვექუნს *„ტლინკაობს, უშნოდ ცეკვავს“,* ***აშადგიდგონუნს*** *„იგუნგლება“,* ***გინოთანთუნს*** *„(გადა)ფითრდება“,* ***გეგგნოტურინუნს*** *„გადაიფრენს (ტრიალით, ხმაურით, ფრთების ტყლაშუნით)“,* ***გინოჩაჩუნს*** *„ჩოჩვით გადადის“,* ***გეგგნოცოღუნს*** *„გადახტება“,* ***გინოცხალუნს*** *„გადაიტრუსება, გადაირუჯება“,* ***გეგგნოჭვენგუნს*** *„გადახტება (ძლიერად)“,* ***გოდაცუნს*** *„უკანმოუხედავად გარბის“,* ***გექენჩუნს*** *„თავდავიწყებით ხტის“,* ***გექექუნს*** *„ხტის ადგილზე“,* ***გილაზუმინუნს***

„დაზუზუნობს“, ***გაგგმოკვანწ-უნ-ს*** *„კოპწიაპობს“,* ***გაგგმიკვანწუ დო მიდართუ დიარაშა*** *„გამოეწყო (კოხტად) და წავიდა ქორწილში“ (ქაჯ. Lemma: gamok'vanc'ua, Number 2301),* ***გეგამოზოჯუნს*** *„გამობრძანდება“,* ***გეგგმოსხაპუნს*** *„გამოხტება“,* ***გეყაყუნს*** *„ბევრს დალევს“,* ***გეცვარუნს*** *„ცოტას შესვამს“...*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***გილაკვანწანს*** *„დაკოპწიაობს“*

წყვეტილი: ***ქიგგლაკვანწუ*** *„იკოპწიავა“*

I რეზულტატივი*:* ***გილუკვანწ(ინ)უ(ნ)*** *„უკოპწიავია“*

III რეზულტატივი: **გილგ*ნოკვანწუე(ნ)*** *„უკოპწიავია თურმე“*

3.2.1.1.14. R-გნ-Ø ქვესტრუქტურა №14

14-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **R-გნ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნებს. ისინი -**გნ** თემატურ ნიშნიანი აბსოლუტივებია. სამეცნიერო ლიტერატურაში **-გნ** სუფიქსი **-უნ** თემატური ნიშნის ალომორფად განიხილება. **–უნ →გნ.** კონსტრუქცია: **nom-erg-dat-nom**. მყოფად-წყვეტილის ჯგუფები **ი-** ხმოვანი პრეფიქსის, ზმნისწინის ან **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის დართვით ეწარმოება.

ბუჯგინგნც *„(მსუქანი) საუბრობს“,* ***ბულინგნს*** *„ტყუის, საკუთარი თავს იქებს“,* ***გოგგნს*** *„გოგავს“...*

მყოფად-წყვეტილის ფორმებს, **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკისა და ზმნისწინის დართვით იწარმოებენ: ***ქობუჯგინუნს „(მსუქანი) ილაპარაკებს“,*** **ქობულინუნს** „მოიტყუებს, საკუთარ თავს შეიქებს“

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ბუჯგინგნც*** *„(მსუქანი) საუბრობს“*

მყოფადი: ***ქობუჯგინგნც*** *„(მსუქანი) საუბრობს“*

წყვეტილი: ***ქობუჯგინუ*** *„სასიამოვნოდ ისაუბრა“*

I რეზულტატივი: ***უბუჯგინუ(ნ)*** *„სასიამოვნოდ უსაუბრია“*

III რეზულტატივი: **ნობუჯგინუე(ნ)** „სასიამოვნოდ უსაუბრია თურმე“.

3.2.1.1.15. Prev-R-ინ-Ø ქვესტრუქტურა №15

15-ე ქვესტრუქტურაში (**Prev-R-ინ-Ø) –ინ** თემისნიშნიანი ზმნები ერთიანდება. ისინი აწმყოშივე დაირთავენ ზმნისწინს, რომელიც დაცლილია ასპექტური სემანტიკისაგან. სრულ ასპექტს მაასპექტირებელი ზმნისწინის ფუნქციის მქონე **ქო-** ნაწილაკის ან ზმნისწინის გართულებით აწარმოებენ. განსხვავებით **–ან, -ენ, -უნ/-ნ** თემატურნიშნიან ზმნათაგან, რომელთა სტრუქტურებიც რთულდება ზმნისწინითა და ხმოვანი პრეფიქსებით, ერთპირიან უსრული კონსტრუქციის ზმნებში –**ინ** თემის ნიშნის მიხედვით მხოლოდ ეს ერთი ჯგუფი გამოიყო. **–ინ** თემისნიშნიან ზმნათა უმრავლესობა სრული კონსტრუქციის რელატიურ ზმნებში გადაირიცხება.

კონსტრუქცია – რეგულარულად **nom-erg-dat-nom**ია. ზმნისწინი დაცლილია ასპექტური შინაარსისგან და მხოლოდ მოქმედების მიმართულებას აკონკრეტებს. უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***გილეთხიინს*** *„დადის და მათხოვრობს“*

წყვეტილი: ***გილეთხუ*** *„მათხოვრობდა“*

I რეზულტატივი: ***გილუთხუუ*** *„უმათხოვრია“*

III რეზულტატივი*:* ***გილგნოთხუე(ნ)*** *მათხოვრობდა თურმე“*

3.2.1.1.16. I დიათეზის უსრული კონსტრუქციის აბსოლუტივები – შეჯამება

ამგვარად, პირველი დიათეზის უსრული კონსტრუქციის აბსოლუტივები რეფლექსივური შინაარსისაა, მათი სუბიექტი თვითმოქმედია, მოქმედება უშუალოდ აისახება მოქმედ პირზე. **კონსტრუქცია: nom-erg-dat-nom** , **სტრუქტურა -R-Ø**.

როგორც ვნახეთ, სულ 22 კლასი გამოიყო აწმყოს მწკრივშივე დადასტურებული ზმნისწინის, ხმოვანი პრეფიქსებისა და თემატური სუფიქსების მიხედვით. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს ქვესტრუქტურები არ ცვლიან ძირითად, გვარეობით სტრუქტურას - **R-Ø** და მის ქვევარიანტებს წარმოადგენენ. მათი უღლების პარადიგმები რეგულარულია.

3.2.1.2. I <u>დიათეზის უსრული კონსტრუქციის</u> ორპირიანი ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნები

პირველი დიათეზის უსრული კონსტრუქცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგება ერთპირიანი ავტოაქტივებისა (***ბუდინუნს „დუდუნებს“***) და ორპირიანი, ბრუნვაუცვლელბობიექტიანი აქტივებისაგან (***აწასხაპანს თინა თის*** – *წინ უხტება* ***ის მას-ქაწასხაპანს – დაახტება ის მას, ქაწასხაპუ თიქ თინას – ქაწუსხაპინუ(ნ) // ქაწუსხაპაფუ(ნ) თის თიშა).*** აბსოლუტივები უკვე განვიხილეთ (იხ. ზემოთ), ახლა ორპირიან, ბრუნვაუცვლელ ობიექტიან უსრული კონსტრუქციის ზმნებზე ვიმსჯელოთ. აგენსის ბრუნვათა მიხედვით, ზმნის კონსტრუქცია ისევ nom-erg-dat-nom –ია, სტრუქტურა კი, ისევ - R-Ø. მაგ.,

უ-ცვირინ-ან-ს თინა$_{nom}$ ***თის***$_{dat}$ *„გაოგნებით უყურებს ის*$_{nom}$ *მას*$_{dat}$

უცვირინუუ თიქ$_{erg}$ ***თის***$_{dat}$ *„გაოგნებით უყურა მან*$_{erg}$ *მას*$_{dat}$

უცვირინუაფუ(ნ) თის$_{dat}$ ***თეშა*** *„გაოგნებით უყურებია მას*$_{dat}$ *მისთვის*

ნოცვირინუე(ნ) თინა თის *„გაოგნებით უყურებდა ხოლმე ის*$_{nom}$ *მას*$_{dat}$

<u>შენიშვნა</u>: აქ უ- პრეფიქსი პირთა საკორელაციო ფუნქციისაა, მესამე, ბრუნვაუცვლელი ობიექტური პირის ზმნაში ჩართულობაზე მიუთითებს. ჩვენი აზრით, იგი დაცლილია როგორც საობიექტო, ისე სასუბიექტო კუთვნილების გაგებისაგან. საინტერესოა, რომ ო. ქაჯაიას ლექსიკონში მას სასხვისო ქცევის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული (რაც, ჩვენი აზრით, არამართებულია):



ამგვარად, ამ ტიპის ზმნები აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ, მათი მოქმედება ბრუნვაუცვლელ ობიექტზე გადადის, **უ-** პრეფიქსი დაცლილია საობიექტო ქცევის გაგებისაგან და პირთა საკორელაციო ფუნქციისაა; მაგ., ***ტურა გერე შორსგ დო <u>უკგჟინგნცგ კოცგ:</u> ი.ყიფშ., გვ. 20 - ტურა დგას შორს და <u>უყვირის/უკიჟინებს</u> <u>კაცს.</u>***

განვიხილოთ პირველი დიათეზის **უსრული კონსტრუქციის** მეორე ქვეჯგუფის, ანუ **ორპირიანი ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნები.**

3.2.1.2..1. უსრული კონსტრუქციის ბრუნვაუცვლელობიექტიანი **prev.-ო-R-ან-Ø** ქვესტრუქტურა №16

16-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **prev.-ო-R-ან-Ø** ქვესტრუქტურის ორპირიან ბრუნვაუცვლელობიექტიან ზმნებს. **ა-** პრეფიქსი მეორეულია, ყველგან **ო-** პრეფიქსი ივარაუდება: **ოო→აა** (***მიკგმა-ა-სხაპ-ან-ს ← მიკგმა-ო-სხაპ-ან-ს***); ზმნის კონსტრუქციაა **nom-erg-dat-nom,** ბრუნვაუცვლელი ობიექტის ბრუნვებია **dat- dat- dat-dat.**

ქო- დადასტურებითი ნაწილაკისა და ზმნისწინის დართვით ამ ზმნებს რეგულარულად ეწარმოებათ მყოფად-წყვეტილის მწკრივები, მაგ., ***ქანასხაპანს*** *„ჩახტება“...*

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ ზმნათა ქართული შესატყვისების შესახებაც: მეგრული ზმნების სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ პირველი დიათეზის **R-[Th.s.]-Ø** სტრუქტურის (და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, 16-ე ქვესტრუქტურის ორპირიან **prev.-ო-R-ან-Ø** სტრუქტურის) ზმნათა უმრავლესობას, **კანონზომიერად,** II დიათეზის **R-th.s.–ებ-ი** სტრუქტურის ორპირიანი ზმნები შეესატყვისება[12]: მაგ., ***მიკგმა-ა-სხაპ-ან-ს თინა თის – მი-ა-ხტ-ება*** *ის მას „ღონეში მიდმადალარ ღვინს: მ. ხუბ., გვ. 4 -- მიახტა ღონის წამრთმევ ღვინოს“ (ქაჯაია:) ;* (ამავე ზმნის პირველი პირის ფორმაში გამოჩნდება ი- პრეფიქსი: ***მიკგვ-ი-სხაპანქ მა თის*** *„მივახტები მე მას“*). ***ქანა-ა-სხაპ-ან-ს - ჩა-ხტ-ებ-ა: „ჭიჭე დობიძგაფა ოკო დო ქანაასხაპანს*** *- პატარა ბიძგება უნდა და ჩახტება“.* აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქანაასხაპანს ფორმა, რომელიც, პროფ. მერაბ ჩუხუას აზრით, მიღებული უნდა იყოს **ქანაოსხაპანს//ქანოოსხაპანს → ქანაასხაპანს** ფუძეში ასიმილაციის პროცესის შედეგად, შეიძლება გავიგოთ ორნაირად: 1. ჩახტება ის და 2. ჩა-ა-ხტება ის მას, პირველ შემთხვევაში ობიექტი არ გამოვლინდება და ზმნა აბსოლუტური იქნება, შესაბამისად, პირველი დიათეზის შესაბამის აბსოლუტურ **Prev.-ა-R-ან-Ø** ქვესტრუქტურაში გადაირიცხება. ორპირიანი გაგების შემთხვევაში, ობიექტი ბრუნვაუცვლელია, მუდმივად მიცემით ბრუნვაშია წარმოდგენილი, ამიტომ,

[12] ასევე, როგორც ზემოთ ვნახეთ, I დიათეზის უსრული კონსტრუქციის (ერთპირიანი) ავტოაქტივების მეგრულ ფორმებს სალიტერატურო ქართულში, ხშირად, II დიათეზის (**R-ებ-ი**) სტრუქტურის ერთპიარიანი ავტოაქტივები შეესაბამება. მაგ., ***აკურს*** *„ღელდება“,* ***მიობაცანს*** *„მიცუნცულდება“...*

პირველი დიათეზის ამ ბრუნვაუცვლელ ობიექტიან **Prev.-ა-R-ან-Ø** ქვესტრუქტურაში დარჩება.

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ელგმასხაპანს თინა თის – ეცეკვება ის მას***

წყვეტილი: ***ქელასხაპუ თიქ თის – ეცეკვა მან მას***

I რეზულტატივი: ***ელუსხაპინ(//აფ)უ(ნ) თის თიშა*** *„ეცეკვება, ცეკვაში პარტნიორობა გაუწევია მას მისთვის“*

III რეზულტატივი***: ელგნოსხაპინუე(ნ) თინა თის*** *„ეცეკვებოდა თურმე ის მას“*

სხვა მაგალითი:

აწმყო: ***აწგმასხაპ-ან-ს (თინა თის)*** *„წინ უხტ-**ებ-ა** ის მას“,*

წყვეტილი: ***ქაწასხაპუ (თიქ თის)*** *„წინ გაუხტა ის მას“,*

I რეზულტატივი: ***აწუსხაპინ(//აფ)უ(ნ) (თის თიშა)*** *„წინ დახტომია ის მას“,*

III რეზულტატივი: აწგნოსხაპ***უე(ნ) (თის თიშა)***,*„წინ დაუხტებოდა თურმე ის მას“*

<u>შენიშვნა:</u> *როგორც ვხედავთ, ამ ქვესტრუქტურაში მოყვანილ მაგალითშიც მეგრულ **R-Ø** სტრუქტურის ზმნას (აწასხაპ-ან-ს) სალიტერატურო ქართულის **R-ებ-ი** სტრუქტურის ზმნა შეესაბამება (წინ უხტ-**ებ-ა**). რადგან, მეგრულ ზმნაში უფრო მეტად არის დაცული უძველესი ქართველური ტენდენციები, ჩვენი აზრით, ამგვარი შემთხვევები **R-ები** სტრუქტურის მეორეულობაზე მიუთითებს.*

მოყვანილ მაგალითებში სპორადულად აღდგება **ო-** ხმოვანპრეფიქსი, რომელიც ბრუნვაუცვლელი ობიექტური პირის პოვნიერებაზე მიუთითებს. სალიტერატურო ქართულში ამ ქვესტრუქტურის ზმნებში **ო-** პრეფიქსის რანგში სამიმართებო **ა/უ-** (იშვიათად **ე-**) ხმოვანპრეფიქსები და **ჰ-/ს-** პირის ნიშნები გვხვდება:***(ა-): მითგმი-ო-ხვალანს*** *„მიახველებს“, გითგმიორშვინანს „დაასტვენს“, გიოსხაპანს „დაახტება“, გიოფურინანს „დააფრინდება“,*

(უ-): *გითგმიოტყობანს „ჩა**უ**საფრდება“,*

(ჰ-/ს-): მი-ო-ძიც-ან-ს *„შესცინის“, გითგმიოძახანს-და**ს**ძახის, დაჰყვირის, გიორჯგინანს - **ს**ჯობნის//აჯობებს*

(ე-): *გითგმიოჭყვარტანს-და**ე**შხეფება...*

ორპირიან prev.-**ო-R-ან-Ø** სტრუქტურის ზმნათა დიდ ნაწილს, **კანონზომიერად,** II დიათეზის prev.-R-th.s.–**ებ-ი** სტრუქტურის ორპირიანი ზმნები შეესატყვისება:

გიოტყობანს – ჩაუსაფრდება, გიოსხაპანს – დაახტება, გიოფურინანს – დააფრინდება, გიოჭყარტანს – დაეშხეფება…

ამ ზმნებს რეგულარულად ეწარმოებათ მყოფად-წყვეტილისა და რეზულტატივთა მწკრივები.

ულლების ნიმუში:

აწმყო: ***გითგმიოსხაპანს „****ახტება ის მას“*

მყოფადი: ***გიოსხაპანს თინა თის „****დაახტება ის მას“*

წყვეტილი: ***გიოსხაპუ თიქ თის*** *„დაახტა მან მას“*

I რეზულტატივი: ***გეუსხაპაფუ(ნ) თინა*** *„დაჰხტომია ის მას“*

III რეზულტატივი: *გ****ნოსხაპინუე(ნ) თინა „****ხტოდა თურმე ის“*

3.2.1.2.2. უსრული კონსტრუქციის ორპირიანი ბრუნვაუცვლელობიექტიანი Prev-უ-R-ან-Ø ქვესტრუქტურა №17

17-ე ქვესტრუქტურაში ერთიანდება **Prev-უ-R-ან-Ø** სტრუქტურის ზმნები. მათი კონსტრუქცია **nom-erg-dat-nom**-ია. ბრუნვაუცვლელი ობიექტის ბრუნვები კი – dat-dat-dat-dat. მაგ., ***ალურთანს თინა თის - (ჩა)უხვევს ის მას, ალულუანს*** *„ჩაუვლის“* **ობიექტი აორისტშიც ბრუნვაუცვლელია, ამასთან,** ამ ტიპის ზმნებს ქართულში, კანონზომიერად, II დიათეზის **R-ები** სტრუქტურის ზმნები შეესატყვისება: ***(თიქ)ქათუურჩქინუ მუმას – (მან) შეუჩნდა მამას*** **(მაგალითს ვიმოწმებთ ოთარ ქაჯაის ლექსიკონიდან).**

სხვა ქვესტრუქტურების მსგავსად, აქაც, ხშირად ადგილი აქვს ზმნისწინეული ხმოვნის შერწყმას ქვესტრუქტურისეულ ხმოვანპრეფიქსთან, ამ კონრკეტულ შემთხვევაში - **უ-** პრეფიქსთან: მაგ., ***ალურთანს -(გვერდს უქცევს, უხვევს) > *ალაურთანს.***

ამ ზმნებს რეგულარულად ეწარმოებათ მყოფად-წყვეტილისა და რეზულტატივთა მწკრივები.

ულლების ნიმუში:
აწმყო: *ალგმურთანს თინა თის „სცდება /გვერდს უქცევს ის მას“*
მყოფადი: *ალურთანს თინა თის „გასცდება /გვერდს აუქცევს ის მას“*
წყვეტილი: *ალურთუ თიქ თის „გასცდა / გვერდი აუქცია მან მას“*
I რეზულტატივი: *ალურთუაფუ თის თიშა „გასცდენია ის მას/გვერდი აუქცევია მას მისთვის“*
III რეზულტატივი: *ალგნორთუაფუე(ნ) თინა თის „გვერდანაქცევა ის მას“*

3.2.1.2.3. უსრული კონსტრუქციის ბრუნვაუცვლელობიექტიანი prev.-ო-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №18

18-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **prev.-ო-R-უ-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნებს, რომელთაც, მსგავსად პირველი დიათეზის სხვა ქვესტრუქტურებისა, nom-erg-dat-nom კონსტრუქცია აქვთ. ბრუნვაუცვლელი ობიექტი მუდმივად მიცემითშია, მაგ., მი-ო-წურ-უ-ან-ს თინა **თის**$_{dat.}$ – მი-ო-წურ-უ თიქ **თის**$_{dat}$.

აქაც გვაქვს ზმნისწინისა და ხმოვანი პრეფიქსის დავიწროვებისა და ასიმილაციის შემთხვევები, მაგ., ***<u>გი-ო-</u>გორუანს (მიაგნებს) ← *<u>გე-ო-</u>გორუანს, <u>გი-ო-</u>ჭიშუანს (დაეწევა) ← *<u>გე-ო-</u>ჭიშუანს...***

ამ ქვესტრუქტურის ზოგიერთ ზმნას სალიტერატურო ქართულში II დიათეზის, ანუ, **R-Th.s.-ი** სტრუქტურის ზმნები შეესატყვისება, ნაცვლად, მისსივე **R-Th.s.-Ø** სტრქუტურისა. მაგ., ***<u>გი-ო-</u>ჭიშუანს „დაეწევა“***,

ამ ზმნებს რეგულარულად ეწარმოებათ მყოფად-წყვეტილისა და რეზულტატივთა მწკრივები.

უღლების ნიმუში:

აწმყო: **გ/*მითგმიოჭიშუანს თინა თის*** *„ეწევა ის მას“*

წყვეტილი: ***მ/გიოშიშუუ თიქ თის*** *„დაეწია მან მას“*

I **რეზულტატივი**: ***უჭიშუაფუ თის*** *თიშა „დასწევია ის მას“*

III **რეზულტატივი**: ***ნოჭიშაფუე(ნ) თინა თის*** *„დაეწეოდა თურმე ის მას“*

3.2.1.2.4. უ-R-უ-ან-Ø ოდენ ბრუნვაუცვლელობიექტიანი ქვესტრუქტურა №19

19-ე ქვესტრუქტურაში **უ-R-უ-ან-Ø** სტრუქტურის ზმნებს, რომელთაც აქვთ nom-erg-dat-nom კონსტრუქცია და ოდენ ბრუნვაუცვლელი ობიექტი. ***უგვაგუანს*** *„ურტყამს“*.

მოცემული სტრუქტურის მყოფადის ფორმები, ძირითადად, ზმნისწინისა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის დართვით იწარმოება; მყოფადის სტრუქტურა იქნება – **Prev-უ-R-უ-ან-Ø;** გვაქვს ზმნისწინური ხმოვნისა და **უ-** ხმოვანპრეფისის

ურთიერთმეზობლობით განპირობებული ფონეტიკური პროცესები. მაგ., *გუწულუანს* > **გუწო-უ-ლ-უ-ან-ს „გაუსწრებს“*;

ღარიბიქ მიწიკინგ, შელებუანც გუწუულუ, კ. სამუშ, ქხპს, ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან – *ღარიბმა წამოიწია, შეძლებულს გაუსწრო*

Prev-უ-R-უ-ან-Ø სტრუქტურაში გვაქვს ისეთი მაგალითებიც, სადაც წარმოდგენილია როგორც ხმოვანი პრეფიქსი, ასევე ზმნისწინისეული ხმოვანიც მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებით, მაგ., **გუ-უ-**რზინ-უ-ან-ს – გააძლებინებს > **გო-უ-**რზინუანს (ხმოვანთა სრული, კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია).

ოთარ ქაჯაიას ლექსიკონში ამ ქვესტრუქტურის ზმნებსაც ხშირად სასხვისო ქცევის გაგება მიეწერება:

უგვაგუანს (უგვაგუუ ურტყა მაგრად, უგვაგუაფუ ურტყია მაგრად) *გრდმ. სასხვ. ქც.*
გვაგუნს ზმნისა -- ურტყამს მაგრად.

შდრ., ანალოგიური ვითარებაა ქართულშიც: *ა-რტყამს/**უ**-რტყამს ის მას.*

<u>შენიშვნა</u>: **ამ ტიპის ზმნებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს მათი ლაბილური კონსტრუქციის შესახებ: ამ ზმნებს ხან გამოუჩნდებათ მესამე პირი – ბრუნვაცვალებადი ობიექტი, ხან – არა. მაგ., ა-/უ-რტყამს** *ის მას [მას] (მათრახს/ხელს)* → *ურტყამს ის მას [მას] ; ანალოგიურად, მეგრულშიც:* ***თინა თის <u>ხელ</u> უბეზუანდუნი „ის მას ხელს ურტყამდა“ შდრ.: თინა თის უბეზუანდუნი, გური მეგაჭუუდუ*** *„ის იმას რომ ურტყამდა (ხმის გამოცემით), გული დაგეწვებოდა“;* ***თოფი დუუკასუდუ ჯიმუთ დო ოჭიშიშა ქუბეზუდუ*** *„თოფი დაუტენია მარილით და ზურგში უსვრია“(გაურტყამს).*

ან:

უბაზუანს (უბაზუუ ურტყა, უბაზუაფუ ურტყია) *გრდმ. სასხვ. ქც.*
ბაზუნს ზმნისა -- ურტყამდა მაგრად.

ყველა შემთხვევაში არა, მაგრამ ამ სტრუქტურის ზმნათა უმრავლესობაში **უ-** პრეფიქსი კუთვნილება-დანიშნულებით ფუნქციას (ე.წ. „სასხვისო ქცევას“) არ გამოხატავს, „იგი არ უნდა იყოს წარმოშობით ქცევის გამომხატველი, ქცევის ფუნქცია მას შემდეგ უნდა ჰქონდეს დაკისრებული“ (81, 207-211); **უ-** პრეფიქსის გრამატიკული ფუნქცია კი პირთა კორელაციის გამოხატვაა, (68, 6). შდრ., „**უ-** პრეფიქსს აქვს შესაძლებლობა, გამოხატოს კუთვნილებითი ურთიერთობა (კერძოდ, მოქმედების შედეგის განკუთვნება ირიბი ობიექტისადმი), მაგრამ ეს

ფუნქცია მისთვის არც ამოსავალია და არც ძირითადი... **უ-** პრეფიქსი მიუთითებს კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე“ (162, 173-180).

სხვა ქვესტრუქტურების მსგავსად, სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, აქაც გვაქვს **სტრუქტურათა შენაცვლების შემთხვევები: უ-R-უ-ან-Ø** სტრუქტურის ზოგიერთი ზმნის სალიტერატურო ქართული შესატყვისი **II დიათეზის,** ანუ, **R–(ებ)-ი** სტრუქტურისაა, მაგ., *უნჭუ**ან-ს** თინა თის – ესწრაფ-**ებ-ა** ის მას.*

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქვესტრუქტურის ზმნების ობიექტი მხოლოდ მიცემითბრუნვიანია. მაგ., <u>**უ-თაკარ-უ-ან-ს** ჩხანა ქიანას</u> (აცხუნებს მზე მიწას), <u>**უთაკარუუ** ჩხანაქ ქიანას</u> (დააცხუნა მზემ მიწას_**dat**). ჩვენი კლასიფიკაციით, ეს (და მსგავსი მაგალითები) არის **უ-R-უ-ან-Ø** სტრუქტურის ზმნა, რომლის სუბიექტის ბრუნვებიც სერიების მიხედვით არის: **nom-erg-dat-nom;** ობიექტი კი ბრუნვაუცვლელია, მიცემით ბრუნვაშია. ო. ქაჯაიას კლასიფიკაციით, ეს **გარდაუვალი** ზმნაა; ლექსიკონში კი, რატომღაც, გარდამავლად არის მიჩნეული – სავარაუდოდ, ლექსიკონში ამ ზმნასთან შეწყობილი ობიექტი ბრუნვაცვალებადად განიხილება, მაგ.:

> **უთაკარუანს** (უთაკარუუ ცეცხლად მოედო, ცეცხლივით წვავდა; უთაკარუაფუ ცეცხლივით მოსდებია, უცხუნებია, ნოთაკარუე(ნ) აცხუნებდა თურმე) *გრდმ.* ცეცხლივით სწვავს;

როგორც ვხედავთ, წყვეტილის მწკრივის ფორმაში (***უთაკარუუ***) ორი მნიშვნელობაა მითითებული: ***ცეცხლად მოედო*** *მან*$_{erg}$ *მას*$_{dat.}$ *და ცეცხლივით* ***დასწვა*** *მან*$_{erg}$ *მას*$_{dat.}$

ორივე სემანტიკური გაგების შემთხვევაში ობიექტი **ბრუნვაუცვლელია** (მიცემითბრუნვიანია) როგორც პირველ, ასევე მეორე სერიაში.

სხვა მაგალითი:

> ***უფუჩონუნს/უფუჩონუანს*** *(უფუჩონუუ მოუალერსა; უფუჩონუაფუ ხელი მოუსვამს, მოუალერსებია)* ***გრდმ. სასხვ. ქც.*** ***ფუჩონუნს*** *ზმნისა -- ხელს უსვამს, უალერსებს.*

ჩვენი აზრით, აქ ობიექტი ბრუნვაუცვლელია და მუდმივად მიცემითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული, შესაბამისად, ის **ვერ იქნება** ტრადიციული გაგებით, გარდამავლად გააზრებული: ***უ-თაკარ-უ-ან-ს*** *ჩხანა ქიანას* – ***უ-თაკარ-უ-უ*** *ჩხანაქ ქიანას.* ანალოგიურად: ***უხიტონუანს*** *უღიტინებს ის მას - უხიტონუუ -* <u>***უღიტინა მან***$_{erg}$ <u>***მას***$_{dat}$</u></u>.

ამ ზმნებს რეგულარულად ეწარმოებათ მყოფად-წყვეტილისა და რეზულტატივთა მწკრივები.

უღლების ნიმუში:

აწმყო: ***უბაზუანს თინა თის*** *„ურტყამს ის მას“*

წყვეტილი: ***უბაზუუ თიქ თის*** *„ურტყა მან მას“*

I **რეზულტატივი**: ***უბაზუაფუ თის თიშა*** *„ურტყია მას მისთვის“*

III **რეზულტატივი**: ***ნობაზუაფუე(ნ) თინა თის*** *„ურტყამდა თურმე ის მას“.*

3.2.1.2. 5. უსრული კონსტრუქციის ბრუნვაუცვლელობიექტიანი (Prev)-უ-R-ენ-Ø ქვესტრუქტურა №20

20-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **Prev-უ-R-ენ-Ø** სტრუქტურის ზმნებს, რომელთაც, ისევე როგორც პირველი დიათეზის ყველა ზმნას ქვემდებარის ბრუნვის მიხედვით **nom-erg-dat-nom** კონსტრუქცია აქვს. ამ რიგის ზმნებია: ***გუუგონენს*** *(გაუგონებს),* ***გინუურქენს*** *(გადაუქროლებს, გადაიქნევს),* ***გამუნტენს*** *(გამოუნთებს)* და სხვ. ობიექტი, როგორც წესი, მიცემით ბრუნვაშია. **თ/მV** ელემენტის დართვის შემთხვევაში ზმნისწინი ზმნას უსრული ასპექტისა და ახლანდელი მოქმედების გაგებას სძენს, სხვა შემთხვევაში კი მყოფადი დროის გამომხატველია.

ამ ზმნებს რეგულარულად ეწარმოებათ მყოფად-წყვეტილისა და რეზულტატივთა მწკრივები.

პროფ მ. ჩუხუას შენიშვნით, დასტურდება ამავე ყალიბის **–უ-ან** სუფიქსიანი ვარიანტიც: ***გუუგონ-უ-ან-ს*** *„გაუგონებს“.*

უღლების ნიმუში:

აწმყო: ***გოთგმუგონენს // უგონენს თინა თის*** *„უგონებს ის მას“*

მყოფადი: გუუგონენს თინა თის *„გაუგონებს ის მას“*

წყვეტილი: ***გუუგონუ თიქ თის*** *– გაუგონა მან მას*

I რეზულტატივი: *გუუგონებუ მას მისთვის – გაუგონია მას მისთვის*

III რეზულტატივი: *გუნოგონებუე(ნ) თინა თის– *გაუგონებდა თურმე ის მას.*

ანალოგიურად: ***დუუჯერენს*** *„დაუჯერებს“,* ***დუუჯერუ*** *„დაუჯერა“,* ***დუუჯერებუ*** *„დაუჯერებია“,* ***დონოჯერებუე(ნ)*** *დაიჯერებდა თურმე“.*

აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ზმნის შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული **უ-R-უ-ან-Ø** სტრუქტურის ზმნებში, **უ-** პრეფიქსს რიგი ზმნის შემთხვევაში **ვერ** განვიხილავთ სასხვისო ქცევის ნიშნად, მისი გრამატიკული ფუნქციაა მიცემითბრუნვიანი სახელის/ობიექტის პოვნიერება, ჩვენება. იგი პირთა საკორელაციო ნიშნად მიგვაჩნია. შდრ., ო. ქაჯაიას ლექსიკონში მითითებული კვალიფიკაცია „გრდმ. სასხვ. ქც.“:

გუუგონენს (გუუგონუ გაუგონა, გუუგონებუ გაუგონია)
გრდმ. სასხვ. ქც. **გეეგონენს** ზმნისა -- გაუგონებს.

ამ ტიპის მაგალითის შემთხვევაში **უ-** პრეფიქსის ამგვარი კველიფიკაცია ჩვენთვის მიუღებელია.

II.2.1.2. 6. უსრული კონსტრუქციის ბრუნვაუცვლელობიექტიანი (Prev)-R-უნ-Ø ქვესტრუქტურა №21

21-ე ქვესტრუქტურაში ვათავსებთ **Prev-R-უნ-Ø** სტრუქტურის უსრული კონსტრუქციის ბრუნვაუცვლელ ობიექტიან ქვესტრუქტურას. ამ სტრუქტურის ზმნებსაც აწმყოს სტრუქტურაშივე შეიძლება ჰქონდეთ თ/მV ელემენტჩართული ზმნისწინი, რომელიც დაცლილია ასპექტური შინაარსისგან და მხოლოდ გეზისა და ორიენტაციის, ხანაც ინტენსივობის გამომხატველია; მაგ., ***გოლახუნს*** *„სცემს“.*

Prev-R-უნ-Ø სტრუქტურის ზმნებს, ხშირად, მყოფადში მოუდით **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკი, მაგ., ***ქობარტყუნს თინა თის – ქობარტყუ თიქ თის*** *„წაუპარტყუნებს, პერტყავს ის მას - წაუპარტყუნა მან მას”.* **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკი აქ აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინის რანგისაა, ამიტომ, ზმნისწინის რანგში შევიყვანეთ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, „მტკიცებითი ნაწილაკებისა და მოქმედების უსრულობის აღმნიშვნელი ნაწილაკების გამოყენება აწმყოსა და მყოფადის ფორმათა გასარჩევად მეგრულის სპეციფიკური თავისებურებაა, რითაც ის განსხვავდება სხვა

ქართველური ენებისგან" (154, 143; 119, 352). ი. ქობალავას აზრით, **ქო-** ნაწილაკი, იშვიათად, უსრულასპექტიან ფორმებშიც გვხვდება, როგორც დაპირისპირების ან მტკიცების გამომხატველი..." (120, 237; 119, 362).

ქობარტყუნს თინა თის (თინას) *„წაუპარტყუნებს ის მას (მას)"* - ამ ზმნურ ფორმას ხან გამოუჩნდება ბრუნვაცვალებადი ობიექტი და მაშინ პირველი დიათეზის სრული კონსტრუქციის ზმნებში გადაირიცხება (***ქობარტყუნს თინა თის ხეს*** *„წაუპარტყუნებს ის მას ხელს"*), ხან – არა, შესაბამისად, დარჩებიან აქ - პირველი დიათეზის უსრული კონსტრუქციის, ოდენ ბრუნვაუცვლელ ობიექტიან კონსტრუქციაში: მაგ., (***ქობარტყუნს თინა თის „****წაუპარტყუნებს ის მას"*). ამიტომ, მესამე პირს ფრჩხილებში ვსვამთ.

უღლების ნიმუში:

აწმყო: ***ქობარტყუნს თინა თის (თინას)*** *„წაუპარტყუნებს ის მას (მას)"*

წყვეტილი: ***ქობარტყუ თიქ თის (თინა)*** *„წაუპარტყუნა მან მას (ის)",*

I რეზულტატივი: ***ქოუბარტყუ თის თიშა (თინა)*** *„წაუპარტყუნებია თურმე მას მისთვის (ის)"*

III რეზულტატივი: ***ქონობარტყუე(ნ) თინა თის (თინას)*** *წაუპარტყუნებდა თურმე ის მას (მას)"*

სხვა მაგალითები:

გინოკგჟინუნს *(გადაჰყვირის: ირ ონჯუას ოკო გინაკგჟინგკო მუში ღგმალასგ – ყოველ სადამოს უნდა გადაეყვირა თავისი სამფლობელოსთვის, ყიფშ. ვიმოწმებთ ლექსიკონიდან),* ***ალმესქუნს*** *(ებღლარძუნება),* ***გიმობერტუნს*** *(გამოყრის ტანზე),* ***გიმოტერტუნს*** *(გამოაყრის),* ***აშაცუნს*** *(მიჰყვება, შეჰყვება),* ***აწოცუნს*** *(წინ უძღვის),* ***გინოლენდუნს*** *(გადა)ახტება,* ***გეგნორენჯუნს*** *(ენერგიულად გადაახტება),* ***გეგნოქვენდუნს*** *(გადაახტება),* ***გიმოფერტუნს*** *(გამოაფოთლავს),* ***გეგნონქერუნს*** *(გადაახტება),* ***გოლალუნს*** *(შეჰყეფს),* ***გეგნონძალუნს*** *(გადაძალავს),* ***გეგნოშვენგუნს//გეგნორენჯუნს*** *(ენერგიულად გადაახტება), გოჩხვიჟუნს (გაკაწრავს);*

უღლების ნიმუში:

აწმყო: ***გოლალუნს თინა თის*** *„შეჰყეფს ის მას"*

წყვეტილი: ***გოლალუ თიქ თის*** *„შეჰყეფა მან მას"*

I რეულტატივი: ***გოულალუ(ნ) თის თიშა*** *„უყეფია მას მისთვის"*

III რეზულტატივი: ***გონოლალუე(ნ) თინა თის*** *„შეჰყეფდა თურმე ის მას"*

3.2.1.2.7. უსრული კონსტრუქციის ბრუნვაუცვლელობიექტიანი Prev-ო-R-უნ-Ø ქვესტრუქტურა №22

22-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **Prev-ო-R-უნ-Ø** სტრუქტურის ზმნებს. მათი კონსტრუქცია **nom-erg-dat-nom**ია. ზმნისწინი აწმყოს სტრუქტურის ნაწილია, მსგავსად სხვა შემთხვევებისა, აქაც, ზმნისწინი ვერ გამოხატავს სრულ ასპექტს, იგი სხვადასხვა მიმართულებისა თუ ორიენტაციის მაჩვენებელია. მაგ., ***გიობსუნს (დააფსამს), გიობუნს*** *(ზედ ასხამს),* ***გიო(ნ)თუნს*** *(დაათოვს)...* უკანასკნელ მაგალითში ჩანართი **–ნ-** ხან დასტურდება, ხან არა, მაგ.: ***ჩქიმი ჭიჭე ორტვინიას დღას ვეგიოთგნცგ:*** *ი. ყიფშ., გვ.183 -- ჩემს პატარა ბოსტანს არასოდეს არ დაათოვს (გამოცანა: ნიგოზი)* (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან) შდრ.: ***გიოთუნს თის*** *„დაათოვს მას“.*

ზმნაში ჩართული ობიექტური აქტანტი, ჩვეულებრივ, მიცემით ბრუნვაში დგას.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „ამ ტიპის ფორმების ნაწილს უზმნისწინო ვარიანტები ცოცხალ მეტყველებაში არ დაეძებნება” (119, 63). მაგ., არაბუნებრივია *„ობსუნს“, „ო(ნ)თუნს“.* მოყვანილ მაგალითებში დადასტურებული **გი-** ზმნისწინი, სინამდვილეში, ფონეტიკურ ნიადაგზე გარდაქმნილი **გე-** ზმნისწინია: „ხმოვნის წინა პოზიციაში **გე-** გვაძლევს **გი-** ფონეტიკურ ვარიანტს“ (119, 362). **გე-/გი-** ზმნისწინის ერთადერთი ფუნქცია „მიმართულების ზედაპირზე/სიბრტყეზე ლოკალიზებაა, დროულ-ასპექტური თვალსაზრისით იგი ნეიტრალურია. როგორც წესი, ასეთ ფორმებთან დროულ-ასპექტური ოპოზიცია მიიღწევა **ქო-** ნაწილაკის დართვით.

ზმნისწინის საშუალებით მოქმედების ზედაპირზე, სიბრტყეზე ლოკალიზება ზმნის კონსტრუქციაში **ბრუნვაუცვლელი ობიექტის შემოსვლასთანაა** დაკავშირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა სათანადოდ არის შესწავლილი. მაგ., ***თიქ მო-რთგ*** *(მოვიდა)* - ***გინო-რთგ თიქ თის*** *(გადაიარა) (65,82-83).* ულლების ნიმუში:

აწმყო: ***გითმიოთუნს თინა თის*** *„დაათოვს ის მას“*

მყოფადი: ***გიოთუნს თინა თის*** *„დაათოვს ის მას“*

წყვეტილი: ***გიონთუ თიქ თის*** *„დაათოვა მან მას“*

I რეზულტატივი: ***გეუთუაფუ(ნ) თის თიშა*** *„დაუთოვია მას მისთვის“*

III რეზულტატივი: ***გინოთუე(ნ) თინა თის*** *„დაათოვდა თურმე ის მას“.*

3.2.1.3. I დიათეზის <u>სრული კონსტრუქცია: აბსოლუტივები</u> და <u>ბრუნვაუცვლელობიექტიანი ორპირიანი ზმნები</u>

(შეჯამება)

პირველი დიათეზის ზმნათა ძირითადი სტრუქტურისა (**R-Ø**) და კონსტრუქციის (**nom-erg-dat-nom**) გვარეობითი კატეგორიის ქვეშ გამოიყოფა ორი დიდი ჯგუფი ზმნებისა.

1. **R-Ø სტრუქტურისა** და **nom-erg-dat-nom კონსტრუქციის** <u>**ავტოაქტივები**</u>: ერთპირიანი ზმნები, რომელთა სუბიექტიც თვითმოქმედია, ინტროვერტიზებულია.
2. **R-Ø სტრუქტურისა** და **nom-erg-dat-nom კონსტრუქციის** <u>**ბრუნვაუცვლელობიექტიანი** (მუდმივად მიცემით ბრუნვაში მდგარი ობიექტი) **ორპირიანი ზმნები**</u>.

ორივე ჯგუფის ზმნებში გამოიყო ქვესტრუქტურები **ზმნისწინის**, **ხმოვანპრეფიქსებისა** და **თემატური ნიშნების** მიხედვით;

ერთპირიან ზმნებში სულ 15 ქვესტრუქტურა გამოიყო; მათი მოქმედება ინტროვერტიზებულია. სემანტიკური ანალიზის დონეზე მათ ავტოაქტივების კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეთ.

ორპირიან ბრუნვაუცვლელობიექტიან ზმნებში მხოლოდ 7 ქვესტრუქტურის გამოყოფ მოხერხდა. ზოგი მათგანი ლაბილურობით ხასიათდება, შეიძლება გამოუჩნდეთ მესამე პირი – ბრუნვაცვალებადი ობიექტი. ამ შემთხვევაში ისინი პირველი დიათეზის სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფში გაერთიანდებიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ქვესტრუქტურები ექცევიან **ძირითადი სტრუქტურისა და კონსტრუქციის ჩარჩოში** და უღლების ჩამოყალიბებული სისტემა აქვთ.

3.2.2. I დიათეზის სრული კონსტრუქცია

<u>ძირითადი სტრუქტურა: R-[Th.s.]-Ø,</u>

<u>კონსტრუქცია: nom-erg-dat-nom,</u> გვარი აქტივი

პირველი დიათეზის პირველი და მეორე ქვეჯგუფების განმასხვავებელი ნიშანია ბრუნვაცვალებადი ობიექტის ქონა-ქონა. ამის გამო, პირველი დიათეზის პირველი ქვეჯგუფისგან განსხვავებით, მეორე ქვეჯგუფის ზმნებს სრული კონსტრუქცია აქვთ, რადგან ბრუნვაცვალებადი ობიექტი შეეწყობათ. სტრუქტურა ისევ **R-Ø**–ია, კონსტრუქცია ისევ - **nom-erg-dat-nom.** პირიანობის მიხედვით ბრუნვაცვალებადობიექტიანი **R-Ø** სტრუქტურისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნები შეიძლება იყოს ორპირიანი ან სამპირიანი. ამ ჯგუფის ზმნებიც აღვწერეთ ფუძის სტრუქტურის მიხედვით: გამოვყავით ქვესტრუქტურები **ზმნისწინის**, **ხმოვანპრეფიქსებისა** და **თემატური სუფიქსების მიხედვით;** ქვესტრუქტურებს აერთიანებს ძირითადი **R-Ø** სტრქუქტურა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქცია.

3.2.2.1. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი R-Ø ქვესტრუქტურა №23

23-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **R-Ø** სტრუქტურისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის მქონე ზმნებს. მათ ბრუნვაცვალებადი ობიექტი შეეწყობათ. ***რცხონს*** *„ვარცხნის“,* თუმცა გვხვდება ამავე ფორმის –უნ თემის ნიშნიანი ვარიანტიც: ***რცხონუნს.*** *ბონს „ბანს“:* მაგ., ***ქოთი ბონდუ, ქოთი რცხონდუ*** *„კიდეც ჰბანდა, კიდეც ვარცხნიდა“* (ქაჯ.: ქხს, 1, გვ. 214). უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ბონ(//უნ)ს*** *„ბანს“*

მყოფადი: ***გობონ(//უნ)ს*** *„დაბანს“*

წყვეტილი: ***გობონუ*** *„დაბანა“*

I რეზულტატივი: ***გოუბონუ(ნ)*** *„დაუბანია“*

III რეზულტატივი: ***გონობონუე(ნ)*** *„დაბანდა თურმე“*

3.2.2.2. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი **ი-R-Ø** ქვესტრუქტურა №24

24-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **ი-R-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებს. ***ირცხონუნს*** *„ივარცხნის“,* ***იბირს*** *„მღერის“,* ***იბონს... ბჟაპის იბონს*** *„მზე პირს იბანს“* ***ნამგდა თიშ გური თი ბირას იბირს*** *„რომ მისი გულისთვის იმ სიმღერას მღერის“.*

ადვილი შესაძლებელია, კონკრეტულ კონსტრუქციაში დაიკარგოს ბრუნვაცვალებადი ობიექტი და ზმნა ერთპირიან ავტოაქტივად იქცეს; კონსტრუქციის მხრივ ლაბილურია მაგ., ***იბირს თინა თის*** *„მღერის ის მას“* შდრ.: *იბირს თინა „მღერის ის“;* ***ართი იბირსინი, თიწკმა მაჟია ინგარსია*** *„ერთი რომ მღერის, მაშინ მეორე ტირისო“.*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***იბირს*** *„მღერის“*

მყოფადი: ***ქ-ი-ბირს*** *„იმღერებს“*

წყვეტილი: ***ქიბირუ*** *„იმღერა“*

I რეზულტატივი: ***უბირუ*** *„უმღერია“*

III რეზულტატივი: **ნობირუე(ნ)** *„უმღერია თურმე“*

3.2.2.3. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი **R-ან-Ø** ქვესტრუქტურა №25

№25-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **R-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებს.

ბათურ-ან-ს *„ცუდად თოხნის“,* ***ბაის-ან-ს*** *„ტკეპნის“,* ***ბალაგ-ან-ს*** *„სვრის“,* ***ბალიშ-ან-ს*** *„მაგრად სცემს“,* ***პანტალ-ან-ს*** *„ბეუტურობს“,* ***ბარდღალ-ან-ს*** *„ბეუტურობს“,* ***ბარდგალ-ან-ს*** *„როშავს, ლაყბობს“,* ***ბაქვალ-ან-ს*** *„ლაპარაკობს (ბოხ ხმაზე)“,* ***ბაჯალ-ან-ს*** *„ამშვიდებს, აწყნარებს (მოფერებით)“,* ***ბაჯგალ-ან-ს*** *„ლაყბობს, წინდაუხედავად ყველაფერს ლაპარაკობს“,* ***ბაჯგვალ-ან-ს***

„სასიამოვნოდ ლაპარაკობს“, ***ფელეკ-ან-ს*** *„აპობს, ხლეჩს“,* ***ბელენ-ან-ს*** *„ძლიერ ბღავის, ხმამაღლა ტირის“.*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ბორდიშანს „*****ბოდავს“**

მყოფადი: ***ქიბორდიშანს „*****მობოდავს“**

წყვეტილი: ***ბორდიშუუ*** *„იბოდა“*

I რეზულტატივი: ***უბორდიშუუ(ნ)*** *„უბოდავს“,*

III რეზულტატივი: ***ნობორდიშუე(ნ)*** *„ბოდავდა თურმე“*

მყოფადის წარმოებისას ამ სტრუქტურის ზმნებსაც ზმნისწინი ან/და ქო-დადასტურებითი ნაწილაკი დაერთვის; ***გოშქვილანს*** *„მოშვილდავს“. ბოშიქგ გოშქვილუუ საგანი: ი. ყიფშ., გვ. 58 -- ბიჭმა მოშვილდა ისარი. მაგ.,* ***გოქამაჩანს*** *-გაატყავებს,* ***გოქანქალანს-*** *გააქათქათებს,* ***გოქვარქვალანს-*** *მაგრად გაასუფთავებს, გაწმენდს,* ***გოქვარქვაშანს*** *„გაასუფთავებს, გაწმენდს“,* ***გოღვარანს*** *„დაიყვირებს“ (1.ის მას / 2.ის),* ***გოღვარწკალანს*** *„გააკრიალებს“,* ***გოღვინტანს*** *„აფრთხობს (სულს)“* ***გოშარშალანს*** *„გააშანშალებს“,* ***გოჩანს*** *„1.გასცემს (სულს, გულს) 2. აბია, ასხია (რისამე ნაყოფისა, თმისა...)“.* ***გოჩხირკანს*** *„გაჩხრეკს“,* ***გოჩხვრანცგ*** *„(მო)ჩხრიალებს, ჩახჩახებს“,* ***გოცხაბაკანს*** *„გაფხაჭნის“,* ***გოცხაბარანს*** *„გაკაწრავს“,* ***გოცხვანტალანს*** *„ტოტებს მოჭრის, გასხეპავს, გაროკავს“,* ***გოძაგურანს*** *„გალანძღავს“,* ***გოუძინანს*** *„მოუმატებს“,* ***გოწიმინდანს*** *„გაწმენდს“,* ***გოწკიპტანს*** *„გატენის, გაჭედავს“,* ***გოჭანს*** *„გაკერავს“.*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ხვარჩალანს*** *„ასუფთავებს“*

მყოფადი: ***გოხვარჩალანს*** *„გაასუფთავებს“*

წყვეტილი: ***გოხვარჩალუუ*** *„გაასუფთავა, დაბანა“;*

I რეზულტატივი: ***გუუხვარჩალუუ(ნ)*** *„გაუსუფთავებია, დაუბანია“;*

III რეზულტატივი: ***გონოხვარჩალუე(ნ)*** *„კარგად დაბანდა თურმე“*

3.2.2.4. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი Prev-ი-R-ან-Ø ქვესტრუქტურა №25

25-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **Prev-ი-R-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის მქონე ზმნებს. მათ ბრუნვაცვალებადი ობიექტი შეეწყობათ, შესაბამისად, სრული კონსტრუქციისანი არიან. ზმნისწინისა და **ი-** ხმოვანი პრეფიქსის უშუალო მეზობლობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ფონეტიკურ პროცესებს, ზოგ შემთხვევაში ნაწილობრივ ან სრულ ასიმილაციას ასიმილაციას, ხმოვნის დაკარგვას და სხვ.: ***აკინჭირანს*** *„უჭერს, (შე)მართავს“,* ***აკიღუნანს*** *„ამოჰყავს (მდინარიდან), ადედებს (რძეს)“,* ***გეთგმიითვანს*** *„ახურავს (ბოში, მუ რე გიგოთუნი? -ბიჭო, რაა, რომ გახურავს?)“,* ***გინიძირუანს*** *„გადაინახულებს (ქალს)“,* ***გიიციკინანს*** *„უმიზნოდ დგას“,* ***გიიჭყანს*** *„დაიწყებს“,* ***გაგგთიღუნანს*** *„გამოიყვანს“,* ***გინგმიღონანს*** *„გადაიყვანს“,* ***გინგმიიგანს*** *„იხდის (მადლობას)“,* **გინგმიღანს** „გაიღებს, გაიტანს, გახსნის“ (***ჯამპიშ ნოღელას შვები ოკო გოუღენი*** *-თუთის ხის ტოტს კანი უნდა გაუღო (გაუხსნა).*

ხშირ შემთხვევაში გვხვდება **ი-** ხმოვანპრეფიქსის **ე-** ვარიანტი. იმდენად მრავლადაა ამის მაგალითები, რომ ამ ქვესტრუქტურაში ცალკე ქვეჯგუფის გამოყოფაც კი შესაძლებელია; მაგ., ***ალებიჯანს*** *„აბიჯგება, აბჯენს“ (>**ალა-ი-ბიჯანს),* ***ალედვანს*** *„(ჩა)იდებს“ (>*ალა-ი-დვანს),* ***ალე-{ე}-სვანს*** *„(ამო)ისვამს“ (>*ალა-ი-სვანს),* ***ალეღანს*** *„(ამო)იღებს“(>*ალა-ი-ღანს),* ***აშეტახანს*** *„ჩამტვრევა (სიმინდისა და მისთ.), ხელში იაფად ჩაგდება“,* ***გიშეშქვანს*** *„გამოუშვებს (დროს)“.*

Prev.-ი-R-ან-Ø სტრუქტურისა და ბრუნვაცვალებადი ობიექტის მქონე ზმნურ ფორმებს, რომელთაც ფონეტიკურ ნიადაგზე **ი-<ე-**, როგორც წესი, ი-პრეფიქსიანი შესატყვისი ეძებნებათ სალიტერატურო ქართულში. ამ ქვესტრუქტურის ზმნათაგან ბევრი მყოფადისა და აწმყოს სემანტიკა შეიძლება ჰქონდეს, გააჩნია კონტექსტს (მაგ., ***გეთგმიირთვანს*** *„იხურავს“).*

ულლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: **დი-ი-ჭყ-ან-ს** „დაიწყებს“

წყვეტილი: **დი-ი-ჭყ-უ** „დაიწყო“

I რეზულტატივი: **დო-ჭყ-აფუ(ნ)** „დაუწყია“

III რეზულტატივი: **დგ-ნო-ჭყ-აფ-უ-ე(ნ)** „დაიწყებდა თურმე“

3.2.2.4. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი ო-R-ან-Ø ქვესტრუქტურა №26

26-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **ო-R-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat** კონსტრუქციის მქონე ზმნურ ფორმებს. ეს კლასი სხვა ქვესტრუქტურებთან შედარებით ნაკლებპროდუქტიულია. სალიტერატურო ქართულში ამ ზმნათა შესატყვისები ყველა **ა-** ხმოვანპრეფიქსიანია. ძირითად შემთხვევებში, ამ სტრუქტურის ზმნებს სალიტერატურო ქართულში მათ **ა-R-ე/ობ-Ø** სტრუქტურის ზმნები შეესაბამება.

მაგ., ***ოგორანს*** *„ლანძღავს, აძაგებს, აგინებს, ჰგმობს“,* ***ოდგინანს*** *„ადგენს“,* ***ოკირანს*** *„აბამს“,* ***ო-ძირ-ან-ს*** *„აჩვენებს“,* ***ორზანს*** *„ანთებს, აგზებს“,* ***ორღვანს*** *„გადაყრის“,* ***ორჩანს*** *„დააგებს“,* ***ორჯგინანს*** *„სჯობნის“,* ***ოფშანს*** *„ავსებს“,* ***ოყოთანს*** *„ისვრის“,* ***ოცქვანს*** *„აქებს“,* ***ოწკარანს*** *„აწყობს“.*

ულლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ოგორანს*** *„აძაგებს, აგინებს“*

მყოფადი: ***დააგორანს //დოოგორანს*** „აძაგებს, შეაგინებს“

წყვეტილი*:* ***ოგორუ*** *„აძაგა, შეაგინა“*

I რეზულტატივი: ***უგორაფუ(ნ)*** *„უძაგებია“*

III რეზულტატივი: ***ნოგორუაფუე(ნ)*** *„აძაგებდა თურმე“*

3.2.2.5. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი prev-ო-R-ან-Ø ქვესტრუქტურა №27

27-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ prev-**ო-R-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებისაგან. ზოგ შემთხვევაში აქ **ო-** პრეფიქსი საზედაო სიტუაციის მაჩვენებელია (***გითგმიოჭანს*** *„დააკერებს“,* ***გითგმიოჭარანს*** *„დააწერს“,* ***გითგმიოჭვათანს*** *„დააწვეთებს“*), ზოგჯერ კი ბრუნვაცვალებადი ობიექტის პოვნიერებაზე მიუთითებს (***გითგმიოჩინჩოლანს*** *„ფშვნის“,* ***გითგმიოციკანს*** *„ოდნავ ასობს“...*);

ეს ქვესტრუქტურა საკმაოდ პროდუქტიულია, მყოფად წყვეტილის ჯგუფებს ქო- დადასტურებითი ნაწილაკისა და თ/მV ელემენტის მოშორებით აწარმოებენ; მაგ., ***გითგმიოძახანს*** *„დასძახის, დაჰყვირის“,* ***გითგმიოჭაბანს*** *„დააწებებს“,* ***გითგმიოჭკადანს*** *„დააჭედებს“,* ***გითგმიოჭონჭანს*** *დააჭინჭებს,* ***გითგმიოჭოფანს-*** *„1.დაიჭერს; 2.ზევიდან ეყუდება, დახრილია“,* ***გითგმიოჭყვარტანს*** *„დაეშხეფება“,* ***გითგმიოჭყინტოლანს*** *„დააჭყლეტს“,* ***გითგმიოხანტანს*** *„დაახატავს“,* ***გითგმიოხირცქანს*** *„დაასკდება“,* ***გითგმიოხინტკანს*** *„დააჭდევს (ჭდეს დაადებს მისანიშნებლად)“,* ***გითგმიოხორგანს*** *„დახერგავს“,* ***გითგმიოხუტორანს*** *„ძირში კვნეტს“;* ***გითგმიოჯვარზანს*** *„მაგრად აჭედებს (ლურსმანს)“,* ***გი-ო-ხიბ-ან-ს*** „ყრის, ხერგავს“, ***გეგგმოქვარქვაშანს*** *„გამოასუფთავებს, გამოაკრიალებს“,* ***გითგმიოფორანს*** *„აფარებს“,* ***გითგმიოხირცქანს*** *„დასკდუნებს“* ***გითგმიორზანს*** *„დააგზებს/დაანთებს (ზემოდან)“,* ***გითგმიობიჯანს*** *„დააბიჯებს* ***(გიობიჯუუ კგდგრც კუჩხი:*** *ქხს., 2, გვ. 46 -- დააბიჯა მკერდზე ფეხი, ო. ქაჯაია)“* ***ან*** *„დააბჯენს“...*

ამ ქვესტრუქტურის გამოყოფის ერთადერთი საფუძველია აწმყოს მწკრივშივე დადასტურებული ზმნისწინი **თ/მV** ელემენტით, რომელიც, როგორც წესი, უსრული ასპექტის, გეზისა და ორიენტაციის მაზუსტებელია: *გითგმიორზანს „დააგზებს/დაანთებს* ***ზემოდან****“, და სხვ.;* სხვა მხრივ, იქნება ეს უღლების პარადიგმა თუ სხვა მორფოლოგიური პარამეტრი, ისინი არ განსხვავდებიან წინა 26-ე ქვესტრუქტურის, იმავე აგებულების უზმნისწინო ფორმებისაგან.

უღლების პარადიგმა რეგულარულია.
აწმყო: ***გი-თგმი-ო-ძიცანს*** *„დასცინის“*
მყოფადი: ***გი-იო-ძიცანს*** *„დასცინის“*
წყვეტილი: ***გი-ო-ძიცუ*** *„დასცინა“*
I რეზულტატივი: ***გიუძიცუ(ნ)*** *„დაუცინია“*
III რეზულტატივი: ***გონოძიცუე(ნ)*** *„დასცინოდა თურმე“*

ამავე სტრუქტურის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია **ა-** პრეფიქსიანი ზმნების ქვეჯგუფი სინქრონიულ დონეზე (ტექსტებსა და ლექსიკონებში მოძიებული მასალის მიხედვით); სიღრმისეულ დონეზე ანალიზისას გამოჩნდა, რომ **ა-პრეფიქსი** ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული ზმნისწინისა და **ო-** პრეფიქსის

მორფემათა საზღვარზე. მაგ., ***გიმააჯღონანს*** ← ***გიმაოჯღონანს*** *„გამოაგზავნის (გარეთ)“... აა* → *ოო:* ***გაარზანს*** *„დააგზებს“* ← ***ორზანს;*** ზმნურ ფორმათა პრეფიქსულ მიკროსტრუქტურაში მთელი რიგი ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს: **ოო/აა/აო →აა//ა, შდრ.,** პირველი პირის ფორმა: ***დიკგ-ვ-ო-ჯღონ-ან-ქ*** *„ჩამოვგზავნი“.*

კლასიფიცირების პროცესში ვფიქრობდით, ცალკე გამოგვეყო თუ არა ეს ქვესტრუქტურა, რადგან არსებობს ამ ზმნათა უპრევერბო ფორმებიც; თუმცა, არც სტრუქტურულად და მით უმეტეს, არც კონსტრუქციის თვალსაზრისით ფონეტიკურ ნიადაგზე შექმნილი ამ ქვეჯგუფის ცალკე გატანა მართებულად არ მივიჩნიეთ: ***გაარზანს*** *„დააგზებს“,* ***გინააგანს*** *„გადახდის“,* ***გინაარჩანს*** *„გადააფენს, გადააფარებს“,* ***გინაარჩქინანს*** ***„*** *გადააჩენს“,* ***გინაარჭიპანს*** *„გადაჭიმავს“,* ***გინაარჯგინანს*** *„ჯობნის“,* ***გინაასასანს*** *„გადაავსებს“,* ***გინააფინანს*** *„გადააფენს“,* ***გინააფორანს*** *„გადააფარებს“,* ***გინააფურტინანს*** *„გადააფურთხებს“,* ***გინააქვაჩალანს*** *„გადაფურჩქნის“,* ***გინააქუნანს*** *„გადაახურავს, წამოასხამს“,* ***გინაალა/ოთანს*** *„გადააგდებს, გააგდებს“,* ***გინაა შქვანს*** *„1.გაუშვებს; 2. გადააქცევს“,* ***ა/ეკარაგადანს*** *„უკან მიალაპარაკებს“,* ***გინოალაბანს*** *„გადაზომავს“,* ***გინააგანს*** *„გადაიხდის (მადლობას)“,* ***გეგგმაარჩქინანს*** *„გამოაჩენს“,* ***გეგგმააწკარანს*** *„გამოამწკრივებს“,* ***გაანჯანს*** *„გააღებს (კარს), გაახელს (თვალს)“...*

ულლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ოჯღონანს*** *„აგზავნის“*

მყოფადი: ***დიკააჯღონანს*** *„ჩამოგზავნის“*

წყვეტილი: ***დიკააჯღონუ*** *ჩამოგზავნა*

I რეზულტატივი: ***დიკუჯღონუუ*** *„ჩამოუგზავნია*

III რეზულტატივი: **დიკნოჯღონუე(ნ)** „ჩამოგზავნიდა თურმე“

3.2.2.6. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი ი-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №28

26-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **ი-R-უ-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნურ ფორმებს. მათ ბრუნვაცვალებადი ობიექტი შეეწყობათ, შესაბამისად, სრული კონსტრუქციისანი არიან.. მაგ., ***იცუნუანს*** *„(შემო)ივლებს; გაიყვანს“:* ***მარგალი გოხირეს დო ღობერს უკული გითგმიცუნუანდუა:*** *თ. სახოკ., გვ. 251 -- მეგრელი გაქურდეს და ღობე შემდეგ შემოავლოო (ეზო-კარსო).* ***იხუტოლუანს*** *„იხუტებს“,* ***იჭყოლიდუანს*** *„ივიწყებს“,* ***იკორინუანს*** *„ისურვებს“.*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:
აწმყო: ***იჭყოლიდუანს*** *„ივიწყებს“*
მყოფადი: გი(ი)ჭყოლიდუანს „ივიწყებს“
წყვეტილი: ***გიიჭყოლიდუუ*** *„დაივიწყა“,*
I რეზულტატივი: ***გუუჭყოლიდუაფუ(ნ)*** *„დაუვიწყებია“*
III რეზულტატივი: ***გონოჭყოლიდაფუე(ნ)*** *დაივიწყებდა თურმე“*

მყოფად-წყვეტილის ფორმებს **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკისა და ზმნისწინის დართვით იწარმოებენ; მყოფადის სტრუქტურა იქნება **prev-ი-R-უ-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნურ ფორმებს. ზმნისწინისეული ხმოვანი და ხმოვანპრეფიქსი მორფემათა საზღვარზე მთელ რიგ ფონეტიკურ მოვლენებს განიცდიან, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ასიმილაციასა და ხმოვნის დაკარგვას. მაგ., ***გინიირშუმუანს*** *„იღრძობს“.* ***ათიშვიტუანს*** *„ამოი(ი)ღლიავებს“,* ***ათი{ი}შუტოლუანს*** *„ამოი(ი)ღლიავებს“,* ***ათი{ი}ხვარუანს*** *„ანგარებით იყენებს“,* ***ათიხირუანს*** *„იპარავს“,* ***გეგგთიტყურუანს*** *„გაიტყუებს“,* ***ქიგგლიკვეწელუანს*** *„ჩამოიკიდებს“,* ***გეგგმიტყურუანს*** *„გამოიტყუებს“.*

ამავე ქვესტრუქტურის გაგრძელება და ნაირსახეობაა **სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი** prev-ე-R-უ-ან-Ø **ქვესტრუქტურაც**, რომელიც წმინდა მორფონოლოგიური ცვლილების შედეგად არის მიღებული, ზმნისწინისეული ხმოვნისა და ხმოვანი პრეფიქსის მიჯნაზე: **ა+ი →ე, ო+ი→**

ი/ეე: მაგ., ***ალგმ-ე-საქვარ-უ-ან-ს*** *„საჭმლის მომზადებასთან ერთად სხვა რამესაც საქმობს“,* ***ალ-გ-მ-ე-სქუანს*** *„შეიზიარებს“ (გამწევი ძალისა (მაგ., ხარისა - სამეურნეო სამუშაოების დროს),* ***ალ-ე-ქიმინ-უ-ან-ს*** *„ძირითად საქმესთან ერთად სხვა რამესაც საქმობს“,* ***ალ-ე-ხაჭუანს*** *„იჯიბავს“,* ***გილე-ე/ი-კვირ-უ-ან-ს*** ***„****გაიკვირვებს“,* ***დე-ე-ბაღინ-უ-ან-ს*** ***„****იკმარებს, იმყოფინებს“*

ულლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ათგმი{ი}ხვარუანს*** *„ანგარებით იყენებს“*

მყოფადი: ***ათი{ი}ხვარუანს*** *„ანგარებით იყენებს“*

წყვეტილი: ***ქათი{ი}ხვარუუ*** *„ანგარებით გამოიყენა“*

I რეზულტატივი: **ქათუხვარუაფუ(ნ)** *„ანგარებით გამოუყენებია“*

III რეზულტატივი: **ქათნოხვარაფუე(ნ)** *„ანგარებით გამოუყენებდა თურმე“*

3.2.2.7. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი ო-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №29

29-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **ო-R-უ-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებს. ამ ქვესტრუქტურის ზმნები, ისევე როგორც პირველი სრული კონსტრუქციის, დიათეზის ბრუნვაცვალებადობიექტიანი ყველა ზმნა აქტიური მოქმედების გამომხატველია (როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, გვარი, დიათეზების ფარგლებში მხოლოდ სემანტიკური კატეგორიაა. სემანტიკურ დონეზე, პირველი დიათეზის სრული კონსტრუქციის ზმნებში მუდამ აქტივებია, ანუ, აქტიური მოქმედების გამომხატველნი არიან: ***ცხენს მუში კუნჩხი ოდინუანსია****: თ. სახოკ., გვ. 266 -- ცხენს მისი ფეხი კარგავსო (ღუპავსო) (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან).*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ო-R-უ-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნური ფორმები საკმაოდ პროდუქტიულია მეგრულში როგორც დერივაციული, ასევე გრამატიკული - მწკრივთა წარმოებიც მხრივაც: ***ო-რაგად-უ-ან-ს თინა თის*** *„ალაპარაკებს ის მას“,* ***ოზიზინუანს*** *„ავსებს“,* ***(გაზიზინუუ*** *„გაავსო“,* ***გუუზიზინუაფუ*** *„გაუვსია“,* ***გონოზიზინაფუე(ნ)*** *„გაავსებდა თურმე“),* ***ოზიკინუანს*** *„გააფშეკინებს ფეხს, მოკლავს“* ***(გაზიკინუანს*** *„გააფშეკინებს (ფეხს)“,* ***გაზიკინუუ*** *„გააფშეკინა ფეხი“,* ***გონოზიკინაფუე(ნ)*** *„გააფშეკინებდა ფეხს“),*

ოთირსინუანს *ავსებს, ბევრს ასხამს (**გაათირსინუუ** „გაავსო“, **გუუთირსინუაფუ** „გაუვსია“, **გონოთირსინ{აფუ}ე(ნ)** „გაავსებდა თურმე“); **ოთხოზინუანს** „გამოაკიდებს“ (**ოთხოზინუუ** „გამოაკიდა“, **უთხოზინუაფუ** „გამოუკიდებია“), **ოკვიზინუანს** „აამპარტავანებს თავს, ბზეკს თავს/კუდს“ (**ოკვიზინუუ** „აამპარტავანა“, **უკვიზინუაფუ** „უამპარტავანებია“); **ოკურცხინუანს** „აღვიძებს“ (**გააკურცხინუუ** „გააღვიძა“, **გოუკურცხინუაფუ** „გაუღვიძებია“, **გონოკურცხინაფუე(ნ)** „გააღვიძებდა თურმე“), **ოლინუანს** „ატარებს“ (**ოლინუუ** „ატარა“, **ულინუაფუ** „უტარებია“, **ნოლინუე(ნ)** „ატარებდა თურმე“), **ომარწვინუანს** „ამაწვნებს, -- მაწვნის დედას ურევს“ (**ომარწვინუ{უ}** „ამაწვნა“, **უმარწვინუაფუ** „უმაწვნებია“, **ნომარწვინაფუე(ნ)** „ამაწვნებდა თურმე“), **ომონჭინუანს** „ამწიფებს“ (**დაამონჭინუუ** „დაამწიფა“, **დუუმონჭინუაფუ** „დაუმწიფებია“, **დონომონჭინაფუე(ნ)** „დაამწიფებდა თურმე“)*

შეგვიძლია ვთქვათ, რომ უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ოგვიგვინუანს*** *„აფუებს, აშუპებს“*

მყოფადი: ***და(ა)გვიგვინუანს*** *„აფუებს, აშუპებს“*

წყვეტილი: ***ოგვიგვინუუ*** *„გააფუა*

I რეზულტატივი: ***ოგვიგვინუაფუ(ნ)*** *„გაუფუებია“*

III რეზულტატივი: ***ნოგვიგვინაფუე(ნ)*** *„გააფუებდა თურმე“*

მყოფადის წარმოებაც რეგულარულია, ზმნისწინითა და ქოდადასტურებითი ნაწილაკის დართვით. იმ შემთხვევაში თუ ზმნისწინიან ფორმას დაერთვის თმV ელმენტი, მაშინ ზმნა უსრული ასპექტის სემანტიკას იძენს და აწმყოს მწკრივებში გადმოინაცვლებს. მყოფადის სტრუქტურა იქნება: **prev-ო-R-უ-ან-Ø;** გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით, ისინი აქტივებია. მაგ., ***გი-ო-გორ-უ-ან-ს*** *„მიაგნებს“* ***გიორაგუანს*** *„აგდებს (**ცხენიშა ქეგურაგვეს: მ.** ხუბ., გვ. 68 -- „ცხენზე დაუგდეს“, ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან“)* ***გიორგინუანს*** *„აგორებს“,* ***გიორგუანს*** *„დაარგავს (ზემოდან)“,* ***გიორსხუანს*** *„დააშენებს, დააფუძნებს“//**გიორცხუანს** „დააფუძნებს, დააშენებს (რამეზე)“,* ***გიორუმუანს*** *„დააქცევს, დაამრუმებს, გაანადგურებს“,* ***გიოსვანჯუანს*** *„მოასვენებს, დაასვენებს (მკვდარს)“,* ***გიოშუანს*** *„შესვამს, სასმელს დააყოლებს“,* ***გიოცუნუანს*** *„ასობს, არჭობს (არაღრმად)“,* ***გიოწურუანს*** *„1.დაუმიზნებს, მიუშვერს; 2.დაარიგებს, ასწავლის, მიუთითებს“,* ***გიოჭუანს*** *„დააწვავს“,* ***გეგგნუქიორუანს*** *„ზემოდან დააყრის, დააფრქვევს (ფქვილს, შაქარს)“.*

prev-**ო-R-უ-ან-Ø** ქვესტრუქტურის გაგრძელებასა და ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია **სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი** prev-**ა-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურის ზმნები.** prev-**ო-R-უ-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნებზე დართული ზმნისწინი (კერძოდ, კი მისი ხმოვნითი სუფიქსი **-ო**), ხშირად იწვევს **ო-** ხმოვანი პრეფიქსის ფონეტიკურ სახეცვლიელებას. მაგალითად, ავიღოთ ზმნა ***ათაარდუანს „(თან) ზრდის“: ჟირი ქაცარი ქათაარდუუ თხას „****ორი ციკანი გამოზარდა თხასთან“ (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან); როგორც ვხედავთ,* მესამე პირში ორი პრეფიქსული **–ა** ხმოვანი იყრის თავს, რომლის წარმომავლობის ასახსნელადაც პირველი პირის ფორმა გვიჩვენებს გზას: ჩვენი ხელმძღვანელის, პროფ. მ. ჩუხუას მითითებით, ამ ზმნის პირველი პირის ფორმაა *„ქ/ათგ-ვ-ო-რდ-უ-ან-ქ,* ანუ, აქ: **ა+ა ← ო+ო.** ანალოგიურად იქნება ***აკაართინუანს*** *„(წა)აქცევს“* ზმნური ფორმის შემთხვევაშიც: *ქ/აკგ-ვ-ო-რთინ-უ-ან-ქ „წავიქცევი“:* **ა+ა ← ო+ო.** ანალოგიური მორფონოლოგიური პროცესის შედეგადაა მიღებული შემდეგი მაგალითებიც: ***აკაა ზღოდუანს*** *„წყვეტს, ხოცავს“,* ***აკაანდღულუანს*** *„(შე)ადუღებს, ადნობს“,* ***აკაარუმუანს*** *„(შე)ბნელდება, გადატ., განადგურდება, მოისპობა.* **შდრ.**: ბგერათშერწყმის ფონზე ბგერის დაკარგვის შემთხვევები, სავარაუდოდ, ო+ო →ა+ა → ᾱ → ა: ***გეჟშასარგალუანს*** *„გაათრევს (შუაში)“ (>*გეჟშა-ა-სარგალუანს),* ***გითაშქვიდუანს*** *„ჩამოახრჩობს“ (გით-ა-შქვიდუანს >*გითა-ა-შქვიდუანს >*გითო-ო-შქვიდუანს); ამ ფონეტიკურ პროცესს მხარს უჭერს მასდარისა (**გითო-შქვიდუა** „ჩამოხრჩობა“) და უზმნისწინო ფორმის (ო-შქვიდ-უ-ან-ს) ჩვენებაც. ანალოგიურად, იქნება:* ***გითაჩანუანს*** *„გამოაჩენა, გამოჰყოფს (თავს)“ (>გით-ა-ჩანუანს >*გითა-ა-ჩანუანს >*გითო-ა-ჩანუანს).*

ამ და სხვა მსგავსი მაგალითების გამო, prev-**ა-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურის ზმნებს** prev-**ო-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურის ზმნათა ფონეტიკურ ნაირსახეობად მივიჩნევთ და ცალკე კლასად არ გამოვყოფთ.**

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***გააჭყოლიდუანს*** *„დაავიწყებს“*

წყვეტილი: ***გააჭყოლიდუუ*** *„დაავიწყა“*

I რეზულტატივი: ***გუუჭყოლიდუაფუ(ნ)*** *„დაუვიწყებია“*

III რეზულტატივი: ***გინოჭყოლიდაფუე(ნ)*** „დაავიწყებდა თურმე“

3.2.2.8. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი (prev)-უ-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №30

30-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ (prev)**-უ-R-უ-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებს, რომელთაც სასხვისო ქცევის გრამატიკული კვალიფიკაცია ენიჭება ო. ქაჯაიას ლექსიკონის მიხედვით, დიათეზათა მორფოსინტაქსური კატეგორიის ფარგლებში კი ამ ზმნებში გამორიცხულია სასხვისო ქცევა, **უ-** ხმოვანპრეფიქსი პირთა საკორელაციო ფუნქციისაა: ***გოუცანცალუანს*** *„უცანცარებს“,* მაგ., ***ცოროფაქ დინომილუ დო გურს გომიცანცალუ:*** *შ. ბერ., გვ. 185 -- „სიყვარული შემეყარა და გულში შემიცაცხანა“.*

საკმაოდ პროდუქტიული ქვესტრუქტურაა, ვნახოთ მაგალითები: ***ათოულუანს*** *„ხელს ქვევიდან (ამო)ავლებს“,* ***ათგმუ{უ}სქუანს*** *„უბამს, აბამს (უღელში)“,* ***ალულუანს აწურინუანს*** *„წინ აყენებს“,* ***გეგგნუქიორუანს*** *„გადაყრის (ფხვიერ რამეს)“,* ***გუულუანს „*** *შემოავლებს თავს, გაავლებს წყალს“,* ***გეუზიმუანს*** *„უმიზნებს“,* ***გეუნთხუანს*** *„დაყნოსავს“,* ***გეურაცუანს „*** *დააკარებს“,* ***გეულაზუანს*** *„დაწერს, დახაზავს“,* ***გეუშურუანს*** *„დაყნოსავს (ზემოდან)“,* ***გეუშხომუანს*** *„დააბედებს“,* ***გეუწაწუანს*** *„აწებს, აკარებს“,* ***გეუჭოფუანს*** *„დაუმიზნებს, მიუშვერს“,* ***გეუხაჩქუანს*** *„წაუთოხნის“,* ***გითუღვათუანს*** *„აფახულებს“,* ***გილუდერღუანს*** *(ნინას) „ატარტარებს ენას, ლაყბობს“,* ***გილუფურკუანს*** *თუთუნს „(და)აბოლებს (შდრ.: აჭარ.: უფშუკუნებს) თუთუნს“,* ***გინულუანს*** *„გადაუვლის, გადაუვლებს (გინულუანს ← გინო+უ-ლუანს)“,* ***გეუჩხანუანს*** *„დასიცხავს“,* ***გინუუფუჩონუანს*** *„მოფერებით გადაუსვამს (ხელს)“,* ***ქიგგნუუღუნუანს*** *„1. გადააწნავს, გადაჰკრავს 2. მოწნავს (რისამე ზედა ნაწილს), 3.შემოაყოლებს“,* ***გინუჩარქალუანს*** *„გადააჩანჩალებს (რამეზე)“,* ***გოუცაცხუანს „*** *აპკურებს“.* ***ეუფაფუანს*** *„ასწევს“ (****ეუფაფუუ*** *„ასწია“,* ***ეუფაფუაფუ*** *„აუწევია“,* ***ენოფაფუე(ნ)*** *„ასწევდა თურმე“)* ***შქართუნს ვეუფაფუა!*** *„საბანს ნუ სწევ მაღლა“.*

როგორც ვხედავთ, ამ სტრუქტურის ზმნათა ფორმულაში ზმნისწინი ფრჩხილებშია მოთავსებული, რადგან იგივე ფორმები უზმნისწინოთაც შეიძლება შეგვხვდეს. მყოფადის მწკრივებს თ V ელემენტიც ჩამოშორებით აწარმოებენ.

ამ ქვესტრუქტურაშიც, ზმნისწინისეული ხმოვნისა და ხმოვანპრეფიქსის მორფოლოგიურ მიჯნაზე ადგილი აქვს რიგ ფონეტიკურ პროცესებს, მაგ.,

*<u>ათუსქუანს</u> „უბამს, აბამს (უღელში)“ ← *ათუ̄სქუანს ← *ათუ-უსქუანს >*ათო-უ-სქუანს.*

უღლების ნიმუში:

***აწმყო: უქიორუანს** „აყრის“*

***მყოფადი: გეგგნუქიორუანს** „მიაყრის“*

***წყვეტილი: გეგგნუქიორუუ** „მიაყარა“*

***I რეზულტატივი: გეგგნუქიორუაფუ** „მიუყრია“*

***III რეზულტატივი: გეგგნოქიორაფუე(ნ)** „მიაყრიდა თურმე“*

3.2.2.9. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი (prev)-ო-R-აფ-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №31

31-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **prev-ო-R-აფ-უ-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნურ ფორმებს, რომელთაც, თითქოს, მეგრული ზმნისთვის დამახასიათებელი კაუზაციის გამომხატველი სტრუქტურა აქვთ: **R-აფ-უ-ან-Ø** დაბოლოებით და, როგორც წესი, ამ სტრუქტურის ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა არის კიდეც კაუზატიური.

ისტორიულად, ამ ტიპის კონსტრუქციაში ნამდვილად შეიძლება კაუზაციის დაშვება, მაგრამ, სინქრონიულ დონეზე, დაცლილნი არიან კაუზაციური სემანტიკისაგან. მხედველობაში გვაქვს ***გააფალაფუანს** „გაახარებს (მცენარეს)“* ტიპის ზმნები, რომელთაც, მორფემათა ზღვარზე ფონეტიკური ცვლილებები განიცადეს: ზმნისწინისეული –ო+ო **(ხმოვანპრეფიქსი) → აა: ო-პრეფიქსი თვალნათლივ გამოჩნდება პირველ პირში:** ***გუ-მ-ო-ფალაფუანს , გუ-მ-ო-ტებ-აფ-უ-ან-ს.***

ამიტომ, ამ ზმნებს, რომელნიც მესამე პირის ფორმებში <u>აა-</u> პრეფიქსაციით ხასიათდება, ვათავსებთ Prev-ო-R-აფ-უ-ან-Ø ქვესტრუქტურულ ფორმულაში, რადგან ყალიბისეული ო- პრეფიქსი პირველსა და მეორე პირში სრულყოფილად აღდგება, მესამე პირის ფორმა კი ფონეტიკურადაა სახეცვლილი.

***გა-ატებაფუანს** „გაუშვებს, გაუტევებს“, მაგ., **დედაქ ჩქიმ დუდ მასწავლებელს გაკვეთილშე გატებაფუ** „დედამ ჩემი თავი მასწავლებელს გაკვეთილიდან გააშვებინა (გაათავისუფლებინა)“, **გა-აცარებაფუანს** „გაადენს“,*

ვაგავალაფუანს *„არ გააკარებს“,* ***გააჩიონაფუანს*** *„დააცემინებს“..* **მაგ.,** ***ქიდაანთხუუ, ვარა ბარსაფის <u>გაადგარებაფუანს</u>, ქიდააცხაკუუ*** *„დაეცემა, თორემ ბრაგვანს <u>გაადენს</u>, უხმოდ დაეცემა (პატარა რამ)“,* ***თი არდგილს მუთუნს <u>ვაგაფალაფუანს</u>*** *„იმ ადგილზე არაფერს <u>გააკარებს (გაახარებს)</u>“,* ***კოს <u>გააჩიონაფუანსინი</u>, ჯგირობუა ოკო ქუუზალე*** *„კაცი ცხვირს რომ <u>დააცემინებს</u>, ჯანმრთელობა (კარგობა) უნდა უსურვო“.*

ამ ფორმათა უმრავლესობა, ზმნისწინის გარეჩე აწმყოს დროის გამომხატველია, ზმნისწინიან ფორმას უსრული ასპექტის გამოხატვა, როგორც წინა სტრუქტურებთან აღვნიშნეთ, **თმV** ელემენტის ჩამოშორებით შეუძლია. უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ოტებაფუანს*** *„უშვებს“*

მყოფადი: ***გა(ა)ტებაფუანს*** *„გააშვებინებს“*

წყვეტილი: ***გატებაფუ*** *„გააშვებინა“*

I რეზულტატივი: ***გოუტებაფუაფუ(ნ)*** *„გაუშვებინებია“*

III რეზულტატივი: ***გინოტებაფუე(ნ)*** *„განაშვება ხოლმე“*

3.2.2.10. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი ო-R-ებ-აფ-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №32

32-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **ო-R-ებ-აფ-უ-ან-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნურ ფორმებს, რომელთაც მოიუხედავად მეგრული კაუზატიური სუფიქსაციისა, არ აქვთ კაუზატივის გაგება.

მხედველობაში გვაქვს ოჩინებაფუანს, გეეჩინებაფუანს, გომოჩინებაფუანს ფორმები. ***თი კოც სქანი საქმე ვაგაჩინებაფუვავა*** *„იმ კაცს შენი საქმე არ გააცნოვო“* (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან), ***ბოშიქ ძღაბ გეჩინებაფუ „ბიჭმა გოგო გაიცნო“.***

ოჩინებაფუანს „აცნობს“ **ფორმის მყოფადის ფორმაში, -ე ხმოვანპრეფიქსი დაჩნდება:** ***გეეჩინებაფუანს „გააცნობს“.*** **ე-** ხმოვანი პრეფიქსი ქართული **ა-** ხმოვანპრეფიქსის ფარდია მესამე პირში: ***გე-ე-ჩინებ-აფ-უ-ან-ს*** „გაიცნობს“. ქვესტრუქტურული პარადიგმის ფორმულისათვის მნიშვნელოვანია პირველი პირის ჩვენება, სადაც აღდგება პირვანდელი **ო-** პრეფიქსი: ***გო-მ-ო-ჩინებ-აფ-უ-ან-ს***

„გამაცნობს“, სწორედ ამიტომ, ფორმულად გავიტანეთ **ო-** პრეფიქსიანი ვარიანტი, რომელიც მესამე პირში **ა-** მაქცევრით შეიცვალა.

ამ სტრუქტურის ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა კაუზაციური შინაარსისაა, ვფიქრობთ, ეს ერთი ზმნა გამონაკლისია, რადგან ***„გეეჩინებაფუანს“*** გაიცნობს ის მას – სინქრონიულ სემანტიკურ დონეზე ნაწილობრივ დაჩრდილულია კაუზაციური დატვირთვა, კაუზატიური ფორმა იქნება ***გოო→გააჩინებაფუანს თინა თის თის*** *„გააცნობ-ინ-ებ-ს ის მას მას“*, მაგ., ***თინა გააჩინებაფუანს დიდას დიანთირს „****გააცნობინებს ის დედას დედამთილს“,* ***გააჩინებაფუეს თის დიანთირი*** *„გააცნობინეს/გააცნეს მას დედამთილი“*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ოჩინებაფუანს*** *„აცნობს“*

მყოფადი: ***გა(ა)ჩინებაფუანს*** *„გააცნობს “*

წყვეტილი: ***გე(ე)ჩინებაფუ(ნ)*** *„გაიცნო“*

I რეზულტატივი: ***გოუჩინებაფუაფუ(ნ)*** *„გაუცვნია“*

III რეზულტატივი: ***გონოჩინებაფუე(ნ) „****გაიცნობდა თურმე ის მას“*

3.2.2.11. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი R-ენ-Ø ქვესტრუქტურა №33

33-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **R-ენ-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat** კონსტრუქციის ზმნებს. გავრცელებული აზრის თანახმად, ამ ქვესტრუქტურის ზმნის ძირთა დიდი ნაწილი სალიტერატურო ქართულისგანაა ნასესხები. მაგ., ***ანგარიშენს „ანგარიშობს“, ბადენს „ბადებს“, გურენს*** *„გულობს, გულით სურს“.,* ***ეჭვენს*** *„ეჭვობს“,* ***იეჭვენს*** *„იეჭვებს“,* ***იეჭუ*** *„იეჭვა“,* ***უეჭვებუ(ნ)*** *„უეჭვია“,* ***ნოეჭვებუე(ნ)*** *„ეჭვობდა თურმე“*, ***ლამენს*** *„ლამობს“,* ***ილამენს*** *„ისურვებს“,* ***ილამუ*** *„ისურვა,* ***ნოლამუე(ნ)*** *„სურდა თურმე“...*

ამ პარადიგმაში გვაქვს დინამიკური ზმნები. მაგ., ***ლამენს*** *„ლამობს“,* მისი სტატიკური ცალისგან (***ო-ლამუ(ნ)*** *(*მხოლოდ აწმყოს და მე-4 სერიაში*) „ელამება, ეპირება“)* განსხვავებით, დინამიკურ ფორმებს მადინამიკურებელი ელემენტი – თემატური სუფიქსი (***-ენ***) აქვს დართული.

R-ენ-Ø ქვესტრუქტურის დინამიკური ზმნები მყოფად-წყვეტილის ფორმებს **ი-** პრეფიქსის, ზმნისწინისა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის დართვით იწარმოებენ, მათ სრული პარადიგმა აქვთ, მართალია, ისინი სალიტერატურო ენიდან ნასესხებ ფორმებად არის მიჩნეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მოხვდნენ ო. ქაჯაიას ლექსიკონსა და ისეთ ტექსტებში, როგორიცაა, მაგ., **1975** წელს გამოცემული ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, ქხს-I, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, ტოგო გუდავას რედაქციით, ასევე, 1990 წელს გამოცემული კალისტრატე სამუშიას ქართული ზეპირსიტყვიერება: მეგრული ნიმუშები, თბ.1990, 1991 წელს გამოცემული ქხს II ტ., მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ) კორნელი დანელიასა და აპ. ცანავას რედაქციით... ამიტომ ვთვლით, რომ ეს ზმნები უკვე არსებობს მეგრულ მეტყველებაში და შესაბამისად, აუცილებლად უნდა შევიყვანოთ ჩვენ მიერ მეგრული ზმნისთვის გამოყოფილ ქვესტრუქტურულ ჯგუფებში: მაგ., ***რსხებულენს*** *„იხსნის“,* ***თაკილენს*** *„თაკილობს“,* ***ითაკილუ*** *„ითაკილა“,* ***უთაკილებუ*** *„უთაკილია“,* ***ნოთაკილებუენ*** *„თაკილობდა თურმე“:* ***ითამ ბოშალა ცუდი რენია, მარძენა თეშენი თაკილებას:*** *კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. 23 „ყმაწვილკაცობა ვითომ ცუდიაო, ამისათვის მძრახავენ (მაძლევენ თაკილობას), ან:* ***ეს მა ვამიფთაკილუა:*** *ქხს, 1, გვ.333 „ამას მე არ ვიუკადრისებ“,* **აგრეთვე:** ***ჯაბენს*** *„ჯავრობს“,* ***იჯაბენს*** *„იჯავრებს“,* ***იჯაბუ*** *„იჯავრა“,* ***უჯაბებუ(ნ)*** *„უჯავრია“,* ***ნოჯაბებუე(ნ)*** *„ჯავრობდა თურმე“. მაგ.,* ***ის ირო თენა იჯაბუ დო გურქ გეუხორცქ:*** *ქხს, 1, გვ. 195 „სულ ეს იჯავრა და გული გაუსკდა“.*

საჭიროდ მიგვაჩნია, დავაზუსტოთ ამ ზმნათა კონსტრუქციაც: თუ ზმნური ფორმა მხოლოდ სუბიექტურ პირს ან სუბიექტურ და ბრუნვაუცვლელ ობიექტურ პირებს ითანხმებს, მაშინ ეს ზმნები გადაირიცხებიან პირველი დიათეზის არასრულ კონსტრუქციაში (ტრადიციული კლასიფიკაციით, ბრუნვაცვალებადი ობიექტის **არ-ქონის** გამო, მათ „საშუალ-მოქმედებითები“ ეწოდებათ), მაგ., ***გურაფულენს ცირა*** *„სწავლობს გოგო“.* **ხოლო** თუ იმავე ფორმებში ჩართულია **ბრუნვაცვალებადი ობიექტიც**, მაშინ ისინი გადაირიცხებიან პირველი დიათეზის სრულ კონსტრუქციაში: ***გურაფულენს ცირა ჭარუას*** *„სწავლობს გოგო წერას*$_{dat}$*“* - ***იგურუუ ცირაქ ჭარუა*** *„ისწავლა გოგომ წერა*$_{nom}$*“.* **ტრადიციული კლასიფიკაციით, ბრუნვაცვალებადობიექტიანი ზმნურ ფორმა აქტივად კვალიფიცირდება.**

საინტერესოა, რომ ამ ზმნებს, რომელთაც სრულიად ბუნებრივად შეეწყობათ ბრუნვაცვალებადი ობიექტი, ო. ქაჯაიას ლექსიკონში მხოლოდ საშუალ-მოქმედებითი გვარის ფორმების კვალიფიკაცია აქვთ მინიჭებული:

გურაფულენს (*იყენ.* იგურუუ ისწავლა; უგურუაფუ უსწავლია; ნოგურაფუე(ნ) სწავლობდა თურმე, -- ნასწავლება) *გრდუვ. საშ. - მოქმ.* სწავლობს.

ან:

ლამენს (*იყენ.* ილამენს ისურვებს, ილამუ ისურვა, ულამებუ უსურვებია, ნოლამუე(ნ) სურდა თურმე) *გრდუვ. საშ. -- მოქმ.* სურს, ლამობს. **ოლამუ(ნ)** (*მხოლოდ აწმყოს წრისა და 4 სერიის მწკრივებში*) *გრდუვ. ვნებ.* ელამება, ეპირება.

რსხებულენს (*იყენ.* ირსხენს იხსნის, ირსხუ იხსნა, ურსხებუ უხსნია, ნორსხებულე(ნ) იხსნიდა თურმე) *გრდუვ. საშ.- მოქმ.* იხსნის.

მხედველობაში თუ მივიღებთ **ბრუნვაცვალებად ობიექტს**, ჩვენი აზრით, ტრადიციული კლასიფიკაციის ჩარჩოებშიც კი არამართებულია ამ ზმნათა „საშუალ-მოქმედებითი“ გვარის ფორმებად კვალიფიცირება.

ამ ზმნათა კონსტრუქციასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მართებული დიქოტომია შემოგვთავაზა **დ. მელიქიშვილმა დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის** ფარგლებში, რომელიც, თავის მხრივ, **არნ. ჩიქობავას** ლაბილური კონსტრუქციის ზმნების იდეას ეფუძნება: მან ერთი და იგივე ზმნური ფორმები, მათი ლაბილური კონსტრუქციის გამო პირველი დიათეზის **არასრული კონსტრუქციის ქვეჯგუფშიც მოათავსა**, სადაც მხოლოდ **(R-Ø სტრუქტურის)** სუბიექტიანი ან სუბიექტიანი და ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი ზმნური ფორმებია დაშვებული: (67,277, *პარადიგმა **14**: სწავლობს გიგლა*) და - **სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფშიც, სადაც ერთიანდება (R-Ø სტრუქტურის) ბრუნვაცვალებადი ობიექტის მქონე ზმნური ფორმები** (67, *317, პარადიგმა 15 (32): სწავლობს გიგლა გაკვეთილს*)[13].

---

[13] *ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მცირე კორექტივაა შესატანი დ. მელიქიშვილის 2001 წ. გამოცემულ ზმნურ ბაზებში: რამდენიმე ზმნა 277-ე გვერდზე მოყვანილი მე-14 (ოდენ სუბიექტიანი ან სუბიექტიანი და ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი) პარადიგმიდან უნდა განმეორდეს 317-ე გვერდზე მოყვანილ მე-15 (32) (ბრუნვაცვალებადი ობიექტის მქონე) პარადიგმაშიც მათი ლაბილური კონსტრუქციის გამო;* ***აქვე მოვიხმობთ გამორჩენილ მაგალითებს, რადგან, ჩვენ მიერ ამ ზმნათა მეგრული შესატყვისების დისტრიბუცია სწორედ ლაბილურობის პრინციპს ეფუძნება:*** *თაკილობს, ჰკარნახობს, ლამობს, მათხოვრობს, მეცადინეობს, ჯავრობს – ყველა მათგანი ლაბილური კონსტრუქციისაა, კონტექსტის მიხედვით, ხან გამოუჩნდებათ ბრუნვაუცვლელი ობიექტი, ხან – არა. უობიექტო ფორმებს გვარი არ ექნებათ, ისინი* ***უგვარო სტატიკური ზმნებია.***

აწმყო: ***პიანენს „სურს“***

აწმყო: ***იპიანენს „ისურვებს“***

წყვეტილი: ***იპიანუ*** *„ისურვა“*

I რეზულტატივი: ***უპიანებუ(ნ)*** *„უსურვებია“*

III რეზულტატივი: ***ნოპიანებუე(ნ)*** *„მოისურვებდა თურმე“*

ამ ზმნათა მყოფადის სტრუქტურაა **prev-R-ენ-Ø**: მაგ., ***გეგენს*** *„გაიგებს“*, ***ამორსენს*** *„გამოცდის“*, ***განარჩენს*** *„გაარჩევს“*, ***გაცადენს*** *„გამოცდის“*, ***გილათხულენს*** *„წარამარა თხოვს“*, ***გილეტენს*** *„დატოვებს; გადატ. ჩამოსდის“*, ***გიმოკითხენს*** *„გამოჰკითხავს“*, ***გომორსენს*** *„გამოსცდის“*, ***დაბედენს*** *„დაჰბადებს“*, ***აკოცენს*** *„(და)შლის“* (ამ ზმნის პირველი პირის ფორმაში, **ბ-** პირველი პირის პრეფიქსის წინ გამოვლინდება **–ო** პრეფიქსი, რომელიც, ჩვენი აზრით რთული ზმნისწინის ხმოვნითი სუფიქსი უნდა იყოს: ცნობილია, რომ **–მო** შეიძლება იყოს რთული ზმნისწინის მეორე ელემენტი მეგრულში (119, 369); ვფიქრობთ, ***აკჷმო-*** ← ***აკო+მო-***; ამდენად, პირველი პირის ფორმის მორფოლოგიური სეგმენტაცია ამგვარი იქნება: *აკჷმო-ბ-ცენ-ქ).*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

მყოფადი: ***გო/ამორსენს*** *„გამოსცდის“*

წყვეტილი: ***გომორსუ*** *„გამოსცადა“*

I რეზულტატივი: ***გუ̄მორსებუ(ნ)*** *„გამოუცდია“*

III რეზულტატივი: ***გონომორსებუე(ნ)*** *„გამოსცდიდა თურმე“*

3.2.2.12. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი (Prev.)-ა-R-ენ-Ø ქვესტრუქტურა №34

34-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **ა-R-ენ-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებს. მყოფად-წყვეტილის მწკრივებს ზმნისწინისა და **ქო-**დადასტურებითი ნაწილაკის დართვით აწარმოებენ.

მყოფადის წარმოების მაგალითებია:

დაადაბალენს *„დაადაბლებს“*, ***დააბიენს*** *„დააბნევს“*, ***გაახირზენს „გახიზნავს“***, ***გაახუზენს*** *„გაახურებს, გაალაღებს“*, ***გაგმახეტერენს*** *„გამოაჩერჩეტებს“*,

გინაფულენს *„გრძნობს, გებულობს“,* ***გინაა ზარენს*** *„გააცილებს“,* ***გინაატენს*** *„გადაარჩენს“,* ***გიშარკენს*** *„გამოაკლებს (ბევრიდან ნაწილს)“,* ***დაახლენს*** *„დაუახლოვდება“,* ***დააბარგენს*** *„დააბარგებს“,* ***დააბარენს*** *„დააბარებს“,* ***დააბინენს*** *„დააბინავებს“,* ***დააბნიენს*** *„დაბნევს“,* ***დააბოლენს*** *„დაბოლავებს“,* ***დააბრალენს*** *„დააბრალებს“,* ***დააგემუანენს*** *„დააგემრიელებს, დაატკბილებს“,* ***დააგვიანენს*** *„დააგვიანებს“,* ***დაადომენს*** *„დააწყნარებს, დაადუმებს“ ,* ***აკათენს*** *(← *აკო-ა-თენ-ს) „ამთავრებს“,* ***გინაპენჯენს (←*** *გინო-ა-პეჯ-ენ-ს) „გადაიპატიჟებს“...*

ა-R-ენ-Ø ქვესტრუქტურა საკმაოდ პროდუქტიულია, თუმცა ზმნის ძირთა უმრავლესობა სალიტერატურო ენიდან შესული ჩანს. ამ ზმნებს, სალიტერატურო ქართულში, როგორც წესი, **-ებ** თემატურნიშნიანი ფორმები შეესატყვისება.

მაგ., ***აბათილენს*** *„აბათილებს“,* ***ანძვარენს*** *„ამძუვნებს“* ***აბარენს*** *„აბარებს“,* ***აბაძგენს*** *„(ა)ტეხს, (ა)შლის“,* ***აბახენს*** *„აბახებს“,* ***აბენენც*** *„ანთებს, აგზებს“,* ***აბზადენს*** *„ამზადებს“,* ***აბინძურენს*** *„აბინძურებს“,* ***აბნენს*** *„(ა)ბნევს, (ა)რევს“,* ***აბორენს*** *„ასულელებს“,* ***აბრალენს*** *„აბრალებს, აცოდებს“,* ***აბორჯენს*** *„არევს, ააბნევს“,* ***აბოძორენს*** *„აწეწს; არევს, არევ-დარევს“,* ***აბრალენს₁*** *„აბრალებს; აცოდებს“,* ***აბრალენს₂/აბრელენს*** *„ამრავლებს“,* ***აბუნტენს*** *„აბუნტებს“,* ***ადიდორენს*** *„ადიდებს“,* ***არენს*** *„(ა)რევს“,* ***არიდენს*** *„არიდებს“,* ***არიენს*** *„(ა)რევს“,* ***ასრულენს*** *„ასრულებს“,* ***აატენს*** *„(შე)არჩენს, ატოტენს-აშფოთებს,* ***აღიარენს*** *„აღიარებს“,* ***აგინძარენს/აგინძორენს*** *„აგრძელებს“,* ***აგირენს*** *„აგირავებს“,* ***აბორჯენს*** *„აწვალებს, აბნევს“,* ***ათავისუფალენს*** *„ათავისუფლებს“,* ***აგემენს*** *„აგემებს“,* ***აგემუანენს*** *„ატკბობს“,* ***აგვარენს*** *„აგვარებს“,* ***აგვირგვინენს*** *„აგვირგვინებს“,* ***არყენს*** *„არყევს“,* ***არზენს*** *„აზრობს“,* ***აგემუანენს*** *„აგემრიელებს, ატკბობს“,* ***აპეჯენს*** *„აპატიჟებს“* *(****დააპეჯუ*** *„დაპატიჟა“,* ***დუუპეჯებუ*** *„დაუპატიჟებია“,* ***დონოპეჯებუე(ნ)*** *„დაპატიჟებდა თურმე“)...*

შენიშვნა: *ჩვენი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის,* ***პროფ. მერაბ ჩუხუას*** *შენიშვნით, აქ ქვესტრუქტურაში მეგრული არაფერია, რადგან მთლიანად ქართულის სტრუქტურებია აღებული. ჩვენთვის საინტერესოა ყველა ის ზმნა, რომელიც დაფიქსირებულია მეგრულ მეტყველებაში; ჩვენ მიერ მოყვანილი ფორმები, უკლებლივ, დასტურდება ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონსა და ისეთ ტექსტებში, როგორიცაა,* ***1914*** *წ. გამოცემული ი. ყიფშიძის ტექსტები:* ***ამარიდი მა საწყალი:*** (123, *108), „ამარიდე მე საწყალი“,* ***1918*** *წ. გამოცემულ პეტრე ჭარაიას ლექსიკონში ვხვდებით მასდარს* ***გაბორჯება*** *„გაწვალება,*

დაბნევა“ (პ. ჭარაია, ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტური ენების მკვლევართათვის), შედგენილი პ. ჭარაიას მიერ (მანქანაზე გადაბეჭდილი). ***1937*** *წ. გამოცემული მაკარ ხუბუას მეგრული ტექსტები, (ტფ., 1937):* ***ხენწიფეშ ცირასქუა ძღაბი დროს გიშეშქვანს დო <u>არზენს</u> ოჭკომალს:*** *მ. ხუბ., გვ.53 „ხელმწიფის ქალიშვილი გოგო დროს გამოუშვებს (დროგამოშვებით) და აძლევს საჭმელს“, ან:* ***<u>გაბზადი, ქეგედოხოდი</u> დო დილაფურცქინი:*** *მ. ხუბ., გვ.32 „გაამზადე, დააჯექი და ჩასჩურჩულე“,* ***1991*** *წელს გამოცემული* ***ქართული ხალხური სიტყვიერება****, 2, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ):* ***არძო <u>ჩააბარუ</u> დო გუუტუ*** *ქხს, 2, გვ.22 – „ყველაფერი ჩააბარა და გაუშვა“,* ***1989*** *წელს გამოცემული თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი* ***მეგრული ანდაზები და გამოთქმები*** *(იკე, 28-ე, თბ., 1989):* ***ასე გეგლანთხასინი, მა ქოდმაბრალენსია:*** *თ. სახოკ., გვ.250, „ახლა რომ ჩამოვარდეს, მე დამაბრალებსო“,* ***1990*** *წ. გამოცემული კალისტრატე სამუშიას ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები (თბ., 1990):* ***ცირეფიში ეკოდუნათ ნანდული დუც <u>გებახე</u>****, კ.სამუშ., ქართ. ზეპ., გვ.109 „გოგოების დევნით ნამდვილად თავს შეირცხვენ“...* ***1996*** *წ. გამოცემული აია – გაზეთ „აღდგომის“ დამატება:* ***დაჩხირც <u>აბანენც</u>, ჭვიშტარემც ორთ, ოხვამერც ბენენც,*** *აია, 1, გვ.19 „ცეცხლს ანთებს, ჭვიშტარს აკეთებს, ილოცება (სალოცავ აკეთებს)“...*

მაგალითებმა დაადასტურა, რომ დამოწმებულ ზმნურ ფორმათაგან ზოგი ***1914*** *წლიდან დასტურდება ტექსტებში, ზოგი* ***1937*** *წლიდან, ზოგიც უფრო გვიანი პერიოდიდან... ჩვენი აზრით, ეს* ***ა-R-ენ-Ø*** *ქვე-ყალიბი უკვე დამკვიდრებულია მეგრულ მეტყველებაში, ამიტომ ამ ფორმებს ვტოვებთ საანალიზო ზმნათა რიგებში,* ***პირობითად****, დათქმით, რომ სალიტერატურო ენის ყალიბია.*

ულლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***აგინძარენს*** *//* ***აგინძორენს*** *„აგრძელებს“*

მყოფადი: **და*აგინძა/ორენს*** *„დააგრძელებს“*

წყვეტილი: ***გააგინძა/ორუ*** *„გააგრძელა“,*

I რეზულტატივი: ***გუუგინძა/ორებუ(ნ)*** *„გაუგრძელებია“,*

III რეზულტატივი: ***გონოგინძა/ორებუე(ნ)*** *„გააგრძელებდა თურმე“.*

3.2.2.12. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი ი-R-ენ-Ø ქვესტრუქტურა №34

34-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **ი-R-ენ-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნებს. ამ სტრუქტურის ზმნები თითზე ჩამოსათვლელია. მაგ., **ირდენს** „იგდებს“ (ის მას აბუჩად იგდებს). მაგ., ***კოჩი დღას ვერდა; გირდუ-და, დუდი არდებაფევა*** *„კაცი არასოდეს არ აიგდო; თუ აგიგდო, თავი ააგდებინე“.* უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყალიბი გამოიყენება **ა-R-ენ-Ø** სტრუქტურის ზმნათა სასუბიექტო და საობიექტო ვერსიის ფორმათა გამოსახატადაც: ***იბზადენს*** *„იმზადებს“ (აბზადენს „ამზადებს“, შდრ.: უბზადენს „უმზადებს“),* ***იბორჯენს*** *„ირევს თავისას“(>**აბორჯენს** „არევს“).* სასუბიექტო ვერსიის ფორმები **ა-R-ენ-Ø** სტრუქტურის ცალკე ქვესტრუქტურულ ქვე-ერთეულად შეიძლება გამოიყოს, ისე, რომ გაერთიანდეს ამავე სტრუქტურის სხვა – არასუბიექტური ვერსიის გამომხატველ ფორმებთან ერთად. გამოყოფის საფუძველს გვაძლევს მთელი რიგი ს ზმნებისა, რომლებიც დაცლილია სათავისო ქცევის გაგებისაგან. ამ ზმნურ ფორმებში წარმოდგენილი **ი-** პრეფიქსი **სარელაციო ფუნქციისაა** – მოქმედების ინტროვერტიზაციაზე, უკუქცევითობაზე მიუთითებს. ზოგ შემთხვევაში თვალნათლივ დაჩნდება **ი-** პრეფიქსისთვის დამახასიათებელი უკუქცევითობის სემანტიკა: ***იბახენს*** *„იბახებს ის თავს, გაიტეხავს სახელს“,* ***იბორენს*** *„იგიყებს ის თავს, ისულელებს“...*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ზმნები სრული სინტაქსური კონსტრუქციის მქონენი არიან, რადგან ბრუნვაცვალებადი ობიექტი შეეწყობათ: ***ირიდენს*** *„ირიდებს ის მას“,* ***იბაზარენს*** *„იბაზარებს ის მას“,* ***იბარენს*** *„იბარებს ის მას“, ,* ***იბრალენს*** *„იბრალებს თავისას; იცოდებს“,* ***იგემენს*** *„იგემებს თავისას“,* ***იგემუანენს*** *„იტკბობს“,* ***ინინალენს*** *„იმსახურებს (ის მას)“,* ***ისურენს*** *„ისტუმრებს (ვალს)“,* ***იცვენს*** *„იცავს“, მაგ., ღვანეფც იცვენც (მო)ჯალაგუაშე - ყანებს იცავს გადათელვისაგან,* ***იჩინენს*** *„იცნობს“...*

აწმყო: ***ირდენს*** *„იგდებს“*

მყოფადი: ე***ირდენს*** *„იგდებს“*

წყვეტილი: ***ეირდუ//ეერდუ*** *„აიგდო“*

I რეზულტატივი: ***ეურდებუ(ნ)*** *„აუგდია“*

III რეზულტატივი: ***ენორდებუე(ნ)*** *„ანაგდება, აიგდებდა თურმე“*

მყოფად-წყვეტილის ფორმები ზმნისწინითა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის საშუალებით ეწარმოებათ, ზმნისწინისა და **ი-** ხმოვანპრეფიქსის გასაყარზე, სხვა პარადიგმათა მსგავსად, აქაც მიმდინარეობს რიგი ფონეტიკური, რიგ შემთხვევებში იმდენადაა შეხორცებული მორფემები ერთმანეთს, რომ საკმაოდ გაჭირდა აქ **ი-** ხმოვანპრეფიქსის ამოცნობა:

ოი →იი **(→*ი)**: <u>გინ**ი-ი-წვ**ეენს</u> „გადაიწვევს (სტუმარს)“ <u>გინ-**ი-**ვ</u>არენს <u>←*</u>გინ**ო-ი-**ვარენს „გადაიუარებს, უარს ეტყვის“, მაგ., ***უკული ვამივარენქო?*** *შემდეგ არ იტყვი უარს? ი. ყიფშ., გვ. 143 (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან).*

ეი →იი ***(→ი): <u>შ**ი**ი**ძ**ი**ნ**ენ**ს</u> ← *შე-ი-ძინენს „შეიძენს“, **მ**ი**ი**ვ**ا**ر**ენ**ს ←**მ**ე-ი-**ვ**ا**ر**ენ**ს „**ი**უ**ا**ر**ეებ**ს, **უ**ا**ر**ს **ი**ტ**ყ**ვ**ი**ს“...*

დო+**ი→ი**ი: <u>*დ**ი**ი**ჯ**ი**მ**ا**ل**ენ**ს</u> <u>←</u>*დ**ო**ი**ჯ**ი**მ**ا**ل**ენ**ს „**დ**ا**ი**ძ**ო**ბ**ი**ل**ებ**ს“, <u>*დ**ი**ი**ტ**ا**ل**ენ**ს</u> ← *დ**ო**ი**ტ**ا**ل**ენ**ს „**დ**ا**ი**ტ**ო**ვ**ებ**ს“...*

اი **→ ე**: <u>*გ**ე**ი**შ**ე**ჩ**ი**ნ**ენ**ს</u> „**გ**ا**მ**ო**ი**ც**ნ**ო**ბ**ს“ (←*გ**ი**შ-ე-ჩ**ი**ნ**ენ**ს ←**გ**ი**შ**ا-**ი**-ჩ**ი**ნ-ენ-ს), <u>*ა**შ**ე**დ**ი**დ**ენ**ს</u> ← *ا**შ**ا-**ი**-**დ**ი**დ**ენ**ს „**შ**ი**გ**ا**დ**ا**შ**ი**გ **ყ**ი**დ**ულ**ი**ბ**ს“,*

ا**ი→**ا**ე→**ე**ე(→*ე): **გ**ი**შ**ე**ე**წ**ვ**ი**ენ**ს ← *გ**ი**შ**ا**ი**წ**ვ**ი**ენ**ს** „**გ**ا**მ**ო**ი**წ**ვ**ევ**ს“,* **გ**ე**ე**სურენს **←გ**ا-ი**-სურენს „**გ**ا**ი**სტუმრებს“, **გ**ე**ე**ფ**ი**რ**ქ**ენ**ს ←**გ**ا**ი**ფ**ი**რ**ქ**ენ**ს „**გ**ا**ი**ფ**ი**ქ**ر**ებ**ს“, <u>*ე**ე**ჩ**ე**მ**ენ**ს</u> ← *ე**ე**ჩ**ე**მ**ენ**ს ← *ე**ი**ჩ**ე**მ**ენ**ს ← *ا**ი**ჩ**ე**მ**ენ**ს „**ا**ი**ჩ**ე**მ**ებ**ს“, **მ**ا**გ**.,* სახელი ეეჩემენს ზმნისა არის **ا**ჩ**ე**მ**ებ**ا: ***ბ**ო**შ**ი**ქ **დ**ا**ا**ჩ**ე**მ**უ ც**ი**რ**ا**ს**გ** : ი. ყ**ი**ფშ., **გ**ვ.65; ქ**ი**ს, 2, **გ**ვ.32 „**ბ**ი**ჭ**მ**ا **დ**ا**ا**ვ**ا**ლ**ا **გ**ო**გ**ო**ს“...* თავისუფლად შეიძლება, აქ პირვანდელ **ا**ი**ჩ**ე**მ**ენს ფორმაში შუა რიგის **ი ხ**მ**ო**ვ**ا**ნ**ი კ**ონ**ტ**ا**ქ**ტ**ურ**ი**, **პ**რ**ო**გ**რ**ე**ს**ულ**ი**, **ნ**ا**წ**ილ**ობ**რ**ივ**ი ასიმილაციით მიმსგავსებოდა აწეულობისა მიხედვით დაბალი აწეულობის **ا-** ხმოვანს: ا**ი→ا**ე, შემდეგ კი **ا-** ხმოვანპრეფიქსი, საშუალო აწეულობის და წინა რიგის მიხედვით მიემსგავსა საშუალო აწეულობისა და წინა რიგის **ე-** ხმოვანს **რ**ე**გ**რ**ე**ს**ულ**ი**, **კ**ონ**ტ**ا**ქ**ტ**ურ**ი** და შედეგის მიხედვით **ს**რ**ულ**ი** ასიმილაციის წესებით: **ا**ე**→ე**ე; ვფიქრობთ, ასიმილაციის პროცესი დასრულებული არაა და განვითარების შემდგომ ეტაპზე ***ეე→ე**: *ეჩემენს, ისევე როგორც ***გ**ი**შ-ე-ლ**ენ**ს** ←**გ**ი**შ**ا-**ი**-ل**ენ**ს „**გ**ا**მ**ო**ვ**ا“* მაგალითში დავუშვით სტატიკურ, ერთპირიან ზმნებზე მსჯელობისას. უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ივარა/ენს*** *„იუარებს“*

მყოფადი: ***გინივარენს*** *„გადაიუარებს“*

წყვეტილი: ***გინივარუ*** *„გადაიუარა“*

I რეზულტატივი: ***გინუვარებუ(ნ)*** *„გადაუარებია“*

III რეზულტატივი: ***გინნოვარებუე(ნ)*** *გადაიუარებდა თურმე“*

3.2.2.13. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი R-უნ-Ø ქვესტრუქტურა №35

35-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **R-უნ-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat** სრული კონსტრუქციის ზმნებს. მათ ბრუნვაცვალებადი ობიექტი შეეწყობათ. ეს კლასი პროდუქტიულობით გამოირჩევა. ***ბაგუნს*** *„ბრიგავს, ბეგვავს“,* ***ბაზუნს*** *„მაგრად სცემს“,* ***ბათქუნს*** *„მაგრად სცემს, ბეთქავს“,* ***ბაკუნს*** *„ტკეპნის, სცემს (მაგრად)“,* ***ბამბუნს*** *„ბამბავს, ბამბას დებს“,* ***ბანდუნს*** *„ბლანდავს“,* ***ბანძღუნს*** *„ხლართავს, რევს“,* ***ბანჭუნს*** *„მაგრად სცემს“,* ***ბაჟუნს*** *„ბაჟს ადებს“,* ***ბარგუნს*** *„მარგლავს“,* ***ბარდუნს*** *„ბურდავს“,* ***გვამუნს*** *„ანაგვიანებს“,* ***გვეგუნს*** *„გამეტებით სცემს“,* ***გვირდუნს*** *„გლეჯს,წყვეტს (ბევრს ერთად)“,* ***გვირიშტუნს*** *„აგვირისტებს“,* ***გიბუნს*** *„1.ხარშავს (აბრეშუმის პარკს, აბედს...), 2.გამეტებით ცემს მათრახით, წნელით ან სხვა ელასტიური საგნით“,* ***გიგონუნს*** *„კიკნის, გიგნის (ბალახს)“,* ***გორუნს*** *„ეძებს“.*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ბაცუნს*** *„დაბეგვავს, მაგრად ცემს (წნელით, მათრახით, ჯოხით...)“,*

წყვეტილი: ***დობაცუ*** *„დაბეგვა“,*

I რეზულტატივი: ***დოუცუ(ნ)*** *„დაუბეგვავს“,*

III რეზულტატივი: ***დონობაცუე(ნ)*** *„დაბეგვავდა თურმე“.*

მყოფად-წყვეტილის ფორმებს, ძირითადად, ზმნისწინის დართვით აწარმოებენ:

გიშაგორუნს *„გამოარჩევს“,* ***გოკოჭაკუნს*** *„არევ-დარევს“,* ***გოთხიფუნს*** *„გათხიფავს, გათხვრის“,* ***გოკვაშუნს*** *„გატენის, გაჭედავს“,* ***გოკვახუნს*** *„გაეკვეხება“ (კისერს ქიგააკვახუ მუდგაქიენი დო ვაადირტე -- კისერში გაეჩხირა რადაცაა და ვერ ყლაპავს),* ***გოკიდუნს*** *„გატიხრავს“,* ***გოკიკონუნს*** *„გაკიკნავს“,* ***გოკირუნს*** *„გაახვევს, შეკრავს“,* ***გოკიჩუნს*** *„გაკეცავს“,* ***გოკიჭონუნს*** *„თმებს დააგლეჯს“,* ***გოკგეინუნს*** *„ყვირის (ფერი დდა ღორონთიში ვარე,თიქ ვაგოკგეინასგნი: კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. 108 -- ისეთი დღე ღვთისა არ არის, იმან რომ არ იყვიროს, ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან)“.* ***გოლახუნს*** *„1. სცემს; 2. წყენს (შარაქ ძალამი გოლახუ -- გზამ ძალიან აწყინა)“,* ***გოლიფუნს***

„გალიფავს, გაპოხავს, გასანთლავს“ (მაგალითებს ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან)... ძირითად მწკრივის ფორმათა უღლების ნიმუში:

აწმყო: ***ლოლუნს*** *„ბოლავს“*

მყოფადი: ***გოლოლუნს*** *„გაბოლავს“*

წყვეტილი: ***გოლოლუ*** *„გაბოლა“*

I რეზულტატივი: ***გუულოლუ(ნ)*** *„გაუბოლავს“*

III რეზულტატივი: ***გონოლოლუე(ნ)*** *„გაბოლავდა თურმე“*

3.2.2.14. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი (prev-)ი-R-უნ-Ø ქვესტრუქტურა №36

36-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ ი-**R-უნ-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat** კონსტრუქციის ზმნურ ფორმებს. მაგ., ***იხუშუნს*** *„იგვის“, ,* ***იქოსუნს*** *„იწმენდს, იხოცავს (ცხვირს, პირს)“;* სემანტიკურად განსხვავებულია, მაგრამ ამავე სტრუქტურისაა **R-უნ-Ø** ქვესტრუქტურის სასუბიექტო ქცევის ფორმები: ***ჭარუნს – იჭარუნს „წერს – იწერს“, იჭაჭუნს*** *„(ა)იცვამს, (ა)ისხამს (წაბლს...)“.* ისევე, როგორც სხვა **ი-** პრეფიქსიან ფორმებში, **ი-R-უნ-Ø** ქვესტრუქტურის (არასათავისო ქცევის) ზმნათა ფორმებშიც ყველგან დაჩნდება მოქმედების ინტროვერტიზაციის ტენდენცია: ***იჭაჭუნს*** *„(ა)იცვამს, (ა)ისხამს მაგ., წაბლს.*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***იქოსუნს*** *„იწმენდს, იხოცავს (ცხვირს, პირს)“*

მყოფადი: ***გიიქოსუნს*** *„მოიწმენდს, მოიხოცავს (ცხვირს, პირს)“*

წყვეტილი: ***გიიქოსუ*** *„მოიწმინდა“*

I რეზულტატივი: ***გუუქოსუ(ნ)*** *„მოუწმენდია“*

III რეზულტატივი: ***გონოქოსუე(ნ)*** *„მოიწმენდდა თურმე“*

მყოფადის სტრუქტურა იქნება: **prev-ი-R-უნ-Ø** ***გინ-ი-ი-დგ-უნ-ს*** *„ჩაიდგამს“,* ***გინი-ი-ბონუნს*** *„დაიბანს“,* ***გინი-ი-ჭუნს*** *„გადაიწვავს“,* ***გინი-ი-ბუნ-ს*** *„გადაისხამს“* . ისევე, როგორც სხვა **ი-** პრეფიქსიან ფორმებში, Prev.-**ი-R-უნ-Ø** ქვესტრუქტურის (არასასუბიექტო ქცევის) ზმნათა ფორმებშიც ყველგან დაჩნდება მოქმედების უკუქცევის ტენდენცია: ***გინიიჟლიფუნს*** *„იშვლეპს (მოიხდის)“,* ***გინიიჟლიფუნს***

„გადაიშვლეპს; უკან დაუბრუნებს (გაბრაზებით)“, ***გინიქირჩონუნს*** *„გადაიტყავებს, გადაიყვლეფს“.*

მორფემათა საზღვარზე ადგილი აქვს ხმოვანპრეფიქსისა და ზმნისწინისეული ხმოვნის შერწყმასა და/ან ასიმილაციას: ხან ორი **ი-** მოიყრის თავს (***გინიიჟლიფუნს*** *„იშვლეპს“),* ხან – ერთი ი- პრეფიქსი რჩება, ხანაც სრულიად რიგისა და აწეულობის **ე-** ხმოვანი (ე←აი) დაჩნდება... ამიტომ, prev-**ი-R-უნ-Ø** ქვესტრუქტურის **ნაირსახეობად** მივიჩნევთ prev-**ე-R-უნ-Ø** ქვესტრუქტურას (რომელიც, ასევე **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციისაა და ბრუნვაცვალებად ობიექტს შეითანხმებს). მაგალითად მოვიყვანთ **გალა-** ზმნისწინისა და **ი-** ხმოვანი პრეფიქსის შემთხვევას: ***გალეესოფუნს*** *„იგლეჯს“: მიოკორდგ ხორციქგნ, გალეესოფგ ჩირქე: მ. ხუბ., გვ. 306 - ხორცი რომ მიაკლდა, მოიგლიჯა ჩლიქი (ბარკალი) (მაგალითებს ვიმოწმებთ ოთარ ქაჯაიას ლექსიკონიდან).* ***გალეესოფუნს*** ← ****გალეისოფუნს*** ← ****გალაისოფუნს.***

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***(გი)ისოფუნს*** *„იგლეჯს“*

მყოფადი: ***გალეესოფუნს*** *„მოიგლეჯს“*

წყვეტილი: ***გალეესოფუ*** *„მოიგლიჯა“*

I რეზულტატივი: ***გალუუსოფუ(ნ)*** *„მოუგლეჯია“*

III რეზულტატივი: ***გალგნოსოფუე(ნ)*** *„მოგლეჯდა თურმე“*

3.2.2.15. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი (Prev.-)ო-R-უნ-Ø ქვესტრუქტურა №37

37-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **ო-R-უნ-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat** კონსტრუქციის ზმნებს. **ო-ბ-უნ-ს** „ასხამს“, აქცევს”, ***ქოდგუნს*** *„გაადგამს“...* ***ონწყუნს*** ***„***აწყობს“. **ო-** პრეფიქსი აქ პირთა საკორელაციო ფუნქციისაა. სალიტერატურო ქართულში, საერთო წესისამებრ, მათ **ა-** პრეფიქსიანი ფორმები შეესატყვისება.

მყოფადის სტრუქტურაა **prev-ო-R-უნ-Ø:** ***გაგგმოკვანწუნს*** *„გამოაწყობს“,* ***გიობუნს*** *„დაასხამს“,* ***გიოთუნს*** *„დაათოვს“,* ***გიონწყუნს*** *„დააწყობს“,* ***გიოღვენთუნს*** *„დაალვენთავს“...*

ზმნისწინისა და ხმოვანპრეფიქსის მორფემათა საზღვარზე ადგილი აქვს ფონეტიკურ პროცესებს: **აო→აა** : ***<u>გინააბუნს (← *გინა-ო-ბუნს)</u>*** *„გადაასხამს“,* ***ოო+აა:*** ***<u>გააბუნს (←*გო-ო-ბუნს)</u>*** *„შეასხამს (სითხეს)“* ***<u>გაანწყუნს (←*გო-ო-ნწყუნს)</u>*** *„გააწყობს“.* ახლახან გამოცემულ მონოგრაფიაში „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“ (2015, გვ.371:) **ოო→ა** პროცესი დაშვებულია მეგრული ზმნისწინური სტრუქტურისათვის.

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***ონწყუნს*** *„აწყობს“*

წყვეტილი: ***დაანწყუ*** *„დააწყო“*

I რეზულტატივი: ***დუუნწყუაფუ(ნ)*** *„დაუწყია“*

III რეზულტატივი: ***დონონწყუაფუე(ნ)*** *„დააწყობდა თურმე“*

3.2.2.16. სრული კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი R-გნ-Ø ქვესტრუქტურა №38

38-ე ქვესტრუქტურაში ვაერთიანებთ **R-გნ-Ø** ყალიბისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ზმნურ ფორმებს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **-გნ** თემატური ნიშანი **–უნ** თემატური ნიშნის ფონეტიკური ვარიანტია. გვხდება როგორც *ძირუნს,* ასევე ***ძირგნს*** *„ნახავს“ ფორმაც.* მაგ., ***თოლი მუსგთ ძირგნსგნი, ჭკუაქ ოკო დოწონასია „*****თვალი რასაც ნახავს, ჭკუამ უნდა აწონოსო“ *(ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან: ხალხ. სიბრ., 1, გვ. 54), მაგ.,* ***გაკონწყგნს*** *„აბეზღებს“.*

ამ ქვესტრუქტურის ფორმებიც, მსგავსად საერთო წესისა, სრული ასპექტისა და მყოფადის ფორმებს ზმნისწინისა და ქო- დადასტურებითი ნაწილაკის დართვით იწარმოებენ: ***ეშასგროტგნს*** *„ამოჟლეტს“,* ***დოღანქგნს*** *„ბევრს შეჭამს“,* ***დოღუშქორგნს*** *„ხმის გამოცემით, ხარბად შეჭამს“,* ***დოყგრტონგნს*** *„გადაყლაპავს“,* ***დოშქგშქონგნს „****შეჭამს (ხარბად და უშნოდ)“* ***(დოშქგშქონგ***

„ხარბად შეჭამა“, ***დოუშქვშქონგ*** *„ხარბად შეუჭამია“,* ***დონოშქვშქონუე(ნ)*** *„ხარბად შეჭამდა თურმე“),* ***დოძგრძონგნს*** *„დაფლეთს, დაგლეჯს“,* ***დოპილგნს „****მომკლავს“,* **დოფაჩგნს** „დაშლის“ და სხვ. (მაგალითებს ვიმოწმებთ ოთარ ქაჯაიას ლექსიკონიდან), აწმყოს ფორმა უზსმნისწინო იქნება მსგავსად შემდეგი მაგალითისა: ***გგბგნს*** *„1.ხარშავს (აბრეშუმის პარკს, აბედს...)2. გამეტებით ცემს მათრახით, წნელით ან სხვა ელასტიური საგნით“.* ***დგგნს*** *„დგამს“ (მაგ.,* ***ქოძირგ, ჯგგრი ცუდეს დგგნს*** *„ნახა, კარგ სახლს დგამს“) (მაგალითებს ვიმოწმებთ ოთარ ქაჯაიას ლექსიკონიდან).*

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***დგუ/გნს*** *„დგამს“ ,* ***დოფაჩგნს*** *„დაშლის“*

მყოფადი: *დო****დგუ/გნს*** *„დგამს“ , დო****დოფაჩგნს*** *„დაშლის“*

წყვეტილი: ***დოდგუ*** *„დადგა“,* ***დოფაჩუ*** *„დაშალა“*

I რეზულტატივი: ***დოუდგუმუ(ნ)*** *„დაუდგამს“,* ***დოუფაჩუ(ნ)*** *„დაუშლია“*

III რეზულტატივი: ***დონოდგუმუე(ნ)*** *„დადგამდა თურმე“,* **დონოფაჩუე(ნ)** „დაშლიდა თურმე“

3.2.2.17. კაუზატივთა ქვესტრუქტურა №39 (R-Ø სტრუქტურა, nom-erg-dat-nom - სრული კონსტრუქცია, ბრუნვაცვალებადი ობიექტი)

კაუზატივთა ქვესტრუქტურაში (№39) ვაერთიანებთ **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის მქონე სხვადასხვა აგებულების კაუზატივებს:

მეგრული კაუზატივების განხილვამდე მოკლედ მიმოვიხილავთ შუალობითი კონტაქტის საბაზისო პოსტულატებს: „სამეცნიერო ლიტერატურაში კაუზატივის მრავალგვარი განმარტება არსებობს, **ქეგლის** მიხედვით, შუალობითი კონტაქტის ფორმები ასეთი ფორმულირებით წარმოგვიდგება: აიძულებს ან საშუალებას აძლევს, დაავალებს (რაღაც გააკეთოს), დაეხმარება (რაღაცის გაკეთებაში), ხელს შეუწყობს, საშუალებას მისცემს, აიძულებს ან სთხოვს, აიძულებს ან ხელს შეუწყობს...“ „...კაუზატივის განმარტებისას

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მაგ., „ამუშავებს“ კაუზატიურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირი, რომელსაც „მუშაობას აიძულებენ“, კონტექსტის მიხედვით სულიერია: ***„ბატონი ყმას ამუშავებს“*** შდრ.: ***ყმა მიწას ამუშავებს“***... ამგვარად, მხოლოდ კონტექსტი წარმოაჩენს იძულებით, რაღაც მიზეზით განპირობებული თუ „ჩვეულებრივი“ მოქმედება სრულდება“ (119, 640).

„მეგრულ-ლაზურში კაუზატიური სემანტიკის გამოხატვა ო-R-აფ-უ-ან ყალიბთან არის დაკავშირებული. გამოყოფენ სემანტიკურ (***ორაგად-აფ-უ-ან-ს // ორაგად-უ-ან-ს*** *„ათქმევინებს, „ალაპარაკებს“, შდრ.: ქართ.:* ***აყლაპებს – აყლაპვინებს)*** და მორფოლოგიურ კაუზატივებს (***ო-ბახვ-აფ-უ-ან-ს*** *„აბრახუნებინებს“...) (*119, 6*45).*

საინტერესოა, აგრეთვე კაუზატიურ და არაკაუზატიურ ფორმათა მიმართება მეგრულში: ზემოთ მოყვანილი წინადადებების მაგალითზე (***ამუშავებს ბატონი ყმას,*** შდრ.: ***ამუშავებს ყმა მიწას***) კარგად ჩანს, რომ მეგრულში გარჩეულია სემანტიკური დონის სულიერი და უსულო სუბიექტი-ინიციატორი და სუბიექტი-ეგზეკუტორი:

ყმა მიწას ამუშავებს *„ჭკორი დიხას ამუშენს“*

შდრ.:

ბატონი ყმას ამუშავებს *„პატონი ჭკორს ომუშებაფუანს“*

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით გამოვყოფთ კაუზატივთა 5 ქვესტრუქტურას მეგრულში:

№39.1. ო-R-აფ-უ-ან-Ø

ობახვაფუანს(ნ) *„აბრახუნებინებს“,* ***ობნუალაფუანს*** *„აბნევინებს“,* ***ეჟორთუაფუანს*** *„გაართობინებს“,* ***ობაგვაფუანს*** *„აბრეგვინებს, აბეგვინებს“,* ***ობაზაფუანს*** *„აცემინებს“,* ***ობათქაფუანს*** *„მაგრად აცემინებს“,* ***ობაკაფუანს*** *„ატკეპნინებს, აცემინებს (მაგრად)“,* ***ობამბაფუანს*** *„აბამბვინებს“,* ***ობანდაფუანს*** *„აბლანდვინებს“,* ***ობანცალაფუანს*** *„აბანცალებინებს, აბარბაცებინებს“,* ***ობანძღაფუანს*** *„არევინებს, ახლართვინებს“,* ***ობანჭაფუანს*** *„აცემინებს მაგრად“,* ***ობაჟაფუანს*** *„აბაჟვინებს“,* ***ობარგაფუანს*** *„ამარგვლინებს“,* ***ობარდაფუანს***

„აბურდვინებს“, ***ობარდღალაფუანს*** *„აბჟუტურებინებს“,* ***ობარაფუანს*** *„აბარვინებს“,* ***ობარჯაფუანს*** *„არევინებს, აწეწვინებს“,* ***ობალინაფუანს*** *„ამყოფინებინებინებს“,* ***ობაცაფუანს*** *„ანიავებინებს.* ***ობეგვაფუანს*** *„აბეგვინებს, აჟეჟვინებს“,* ***ობეზაფუანს*** *„აცემინებს“,* ***ობეთქაფუანს*** *„მაგრად აცემინებს“,* ***ობეშტაფუანს/ობეჭდაფუანს*** *„აბეჭდვინებს“,* ***ობეჭაფუანს*** *„აწვნევინებს“,* ***ობინაფუანს*** *„შეაბნევინებს“,* ***ობირაფუანს*** *„ამღერინებს“,* ***ობირზინუანს*** *„უფართოვდება (თვალები) ჭყეტს, აბრიალებს“,* ***ობირძღაფუანს*** *„აბღაუჭებინებს, ატატებინებს“,* ***ობისკონაფუანს*** *„აჩქმეტინებს, აპწკენინებს“,* ***ობიძგაფუანს*** *„აბიძგვინებს, ხელს აკვრევინებს“,* ***ობიხვინაფუანს*** *„ასუქებინებს“,* ***ობიჯაფუანს*** *„აბიჯებინებს, ნაბიჯს ადგმევინებს“,* ***ობოგაფუანს*** *„ხიდს ადებინებს, ბაგას აგებინებს“,* ***ობონდაფუანს*** *„აწვნევინებს“,* ***ობონდღაფუანს*** *„ქსელს აბმევინებს“,* ***ობონაფუანს*** *„აბანინებს“,* ***ობორდიშაფუანს*** *„აბოდვინებს“,* ***ობორკაფუანს*** *„აბორკვინებს“,* ***ობჟინაფუანს*** *„ამზევ{ებ}ინებს, ამზეურებინებს“,* ***ობჟღირაფუანს*** *„აჭკნობინებს“,* ***ობუდონაფუანს*** *„აკრეფინებს (გაურჩევლად), აბურდნინებს“,* ***ობუმაფუანს*** *„ასხმევინებს“,* ***ობურდაფუანს*** *„აბურდვინებს“,* ***ობურდღონაფუანს*** *„აბდღვნევინებს, აგლეჯინებს“,* ***ობურინაფუანს*** *„ატყორცნინებს, ასროლინებს“,* ***ობურიწაფუანს*** *„აფხრეწინებს“,* ***ობურაფუანს*** *„აბურვინებს, აფარვინებს“,* ***ობურღაფუანს*** *„აბურღვინებს“,* ***ობურცხაფუანს*** *„აფოცხვინებს“, ობურჯგონაფუანს „აბურჯგნინებს, აყღვლემინებს“,* ***ობურჯაფუანს*** *„აშფოთვინებს, აბორგვინებს“,* ***ობუქაფუანს*** *„აბუქვინებს“,* ***ობუცინაფუანს*** *„აბლუყუნებინებს“,* ***ოგირგონაფუანს*** *„ახრამუნებინებს“,* ***ოგირდონაფუანს*** *„აგლეჯინებს“,* ***ოგიროხაფუანს*** *„აგრეხინებს“,* ***ოგირჯონაფუანს*** *„აგლეჯინებს, ატყავებინებს უხეშად“,* ***ოგანაფუანს*** *„აგენვინებს, აწოვინებს (ხბოს)“,* ***ოგარგატაფუანს*** *„ახვევინებს“,* ***ოგერგელაფუანს*** *„აგორავებინებს“,* ***ოგვაგვაფუანს*** *„აცემინებს მაგრად, აბეგვინებს“,* ***ოგვანაფუანს*** *„ასუქებინებს“,* ***ოგვარგვაზაფუანს*** *„აკოშტებინებს“,* ***ოგვარგვალაფუანს*** *„ათუხთუხებინებს“,* ***ოგვარებაფუანს*** *„აგვარებინებს“,* ***ოგვიანებაფუანს*** *„აგვიანებებინებს“,* ***ოგიბაფუანს, ოგგბაფუანს*** *„ახარშვინებს, აცემინებს“,* ***ოგილოსაფუანს*** *„აგლესინებს“,* ***ოგი/ემაფუანს*** *„ამკევინებს“,* ***ოგინაფუანს*** *„აგრძნობინებს“,* ***ოგორაფუანს*** *„აგინებინებს“,*

ოგორგოლაფუანს *„აგორავებინებს“,* ***ოგორაფუანს*** *„აძებნინებს“,* ***ოგრინჯაფუანს*** *„აბეგვინა, აცემინა მაგრად“,* ***ოგრინჯაფუუ*** *„აბეგვინა“,* ***უგრინჯაფუაფუ*** *„უბეგვინებია“,,* ***ნოგრინჯაფუ{აფუ}ე(ნ)*** *„აბეგვინებდა თურმე“,* ***ოგუბაფუანს*** *„აგუბვინებს“,* ***ოგუდორაფუანს*** *„ახრამუნებინებს“,* ***ოგურჯინაფუანს*** *„აღვრევინებს“,* ***ოგურიშთაფუანს*** *„აგვირისტინებს“,* ***ოგურჯაფუანს*** *„ალევინებს“,* ***ოგუჯაფუანს*** *„ატენინებს“...*

უღლების პარადიგმა სრულია:

აწმყო: ***ოგუჯაფუანს*** *„ატენინებს“*

წყეტილი: ***ოგუჯაფუუ*** *„გაატენინა“*

I რეზულტატივი: ***უგუჯაფუაფუ(ნ)*** *„უტენებინებია“*

III რეზულტატივი: ***ნოგუჯაფუე(ნ)*** *„დაატენინებდა თურმე“*

ო-R-აფ-უ-ან-Ø კაუზატივთა მყოფადის სტრუქტურა, ფორმულის სახით, ასე გადაიწერება: **prev-ო-R-აფ-უ-ან-Ø:** ***გიოგუაფუანს*** *„დააჩვევინებს“,* ***გიოკონაფუანს*** *„დაახრევინებს* ***გიოტოულაფუანს*** *„დააბმევინებდა“,* ***გოოღვინტაფუანს*** *„გააფრთხობინებს“ (გოოღვინტაფუანს შურსუ: ქხს, 1, გვ. 189 გააფრთხობინებს სულს)...*

მყოფადის ფორმათა წარმოებისას, ზოგჯერ ადგილი აქვს ხმოვანპრეფიქსის ფონეტიკურ გარდაქმნას, შედეგად ვიღებთ **prev-ა-R-აფ-უ-ან-Ø** სტრუქტურის კაუზატივებს:

გინაართაფუანს *„გადაახვევინებს“,* ***გინაართინაფუანს*** *„გადააქცევინებს“,* ***გაადგინაფუანს*** *„მოასუქებინებს“,* ***გაათანაფუანს*** *„გაათენებინებს“,* ***გაალუაფუანს*** *„შემოავლებინებს (თავს), გაავლებინებს (წყალს)“,* ***გეშაართაფუანს*** *„გამოაყოფინებს“,* ***გეგმაღალაფუანს*** *„გამოატანინებს“,* ***გინაართაფუანს*** *„გადაახვევინებს“,* ***გინაართინაფუანს*** *„გადააქცევინებს“,* **შემდეგი კაუზაციური ყალიბები, ჩვენი ხელმძღვანელის, პროფ. მ. ჩუხუას შენიშვნით, სალიტერატურო ენიდან უნდა იყოს შესული მეგრულში:** *გაარზებაფუანს „გააძლებინებს“* ***დაადაბალებაფუანს*** *„დაადაბლებინებს“...* **კაუზატივთა ეს ჯგუფიც, მსგავსად სხვა ჯგუფებისა, უღლების სრული პარადიგმის მქონეა:**

აწმყო: ***დაადაბალებაფუანს*** *„დაადაბლებინებს“*

წყეტილი: ***დაადაბალებაფუუ*** *„დაადაბლებინა“*

I რეზულტატივი: ***დუუდაბალებაფუაფუ(ნ)*** *„დაუდაბლებინებია“*

III რეზულტატივი: ***დონოდაბალებაფუე(ნ)*** *„დაადაბლებინებდა თურმე“*

№39.2. ო-R-ებ-აფუ-ან-Ø

ობორჯებაფუანს *„არევინებს, აბნევინებს“,* ***ობოძორებაფუანს*** *„არევინებს, აწეწვინებს (საქმეს) “,* ***ოანგარიშებაფუანს*** *„აანგარიშიბენინებს“,* ***ოარგამებაფუანს*** *„ააშკარავებინებს“,* ***{ე}ადორდებაფუანს*** *„ააგდებინებს“,* ***ორიებაფუანს*** *„არევინებს“,* ***ორიდებაფუანს*** *„არიდებინებს“,* ***ოარსებაფუანს*** *„აარსებინებს“,* ***ოსრულებაფუანს*** *„ასრულებინებს“,* ***ედოტებაფუანს*** *„შეატოვებინებს“,* ***ობადებაფუანს*** *„აბადებინებს“,* ***ობათილებაფუანს*** *„აბათილებინებს“,* ***ობარებაფუანს*** *„აბარებინებს“,* ***ობარტყებაფუანს*** *„აბარტყებინებს/ აბარტყვინებს“,* ***ობედებაფუანს*** *„1.აბედვინებს, 2.აბედებინებს“,* ***ობზადებაფუანს*** *„ამზადებინებს“,* ***ობზითებაფუანს*** *„ამზითვებინებს“,* ***ობინებაფუანს*** *„აბინავებინებს“,* ***ობინძურებაფუანს*** *„აბინძურებინებს“,* ***ობოდებაფუანს*** *„აბოდვინებს“,* ***ობორებაფუანს*** *„ასულელებინებს“,* ***ობრალებაფუანს*** *„აბრალებინებს, აცოდებინებს“,* ***ობრელებაფუანს*** *„ამრავლებინებს“,* ***ოგინძა/ორებაფუანს*** *„აგრძელებინებს“,* ***ოგემებაფუანს*** *„აგემებინებს“,* ***ოგემუანებაფუანს*** *„ატკბობინებს“,* ***ოგვამ{ებ}აფუანს*** *„ანაგვიანებინებს“...*

მყოფადის ფორმები, ჩვეულებრივ, ზმნისწინის დართვით ეწარმოებათ, მაგ., ***გოომორძგვებაფუანს*** *„გაამარჯვებინებს“,* მყოფადის ფორმათა უღლების პარადიგმაც რეგულარულია; როგორც მოსალოდნელი იყო, მასდარისეული **–ებ** თემატური სუფიქსი ძირეულ მორფემასაა შეხორცებული, შესაბამისად, სუფიქსად აღარ განიხილება და გადაჰყვება აღნიშნულ ფორმებს ყველა მწკრივში:

აწმყო: ***ომორძგვებაფუანს*** *„გაამარჯვებინებს“ //ომორძგვ**ინ**უანს*

მყოფადი: ***გოომორძგვებაფუანს*** *„გაამარჯვებინებს“ //გოომორძგვ**ინ**უანს*

წყვეტილი: ***გოომორძგვებაფუუ*** *„გაამარჯვებინა“*

I რეზულტატივი: ***გუუმორძგვებაფუაფუ*** *„გაუმარჯვებინებია“*

III რეზულტატივი: ***გონომორძგვებაფუე(ნ)*** *„გაამარჯვებინებდა თურმე“*

უპრევერბო ფორმათა უღლების პარადიგმა კი, ასეთია:

აწმყო: ***ობორჯებაფუანს*** *„ადებინებს კვერცხს“*

წყეტილი: ***ობორჯებაფუუ*** *„კვერცხი {და}ადებინა“*

I რეზულტატივი: ***უბორჯებაფუაფუ*** *„კვერცხი {და}უდებინებია“*

III რეზულტატივი: ***ნობორჯებაფუაფუე(ნ)*** *„კვერცხს ადებინებდა თურმე“*

მყოფადის ფორმათა წარმოებისას ზმნისწინისა და ხმოვანპრეფიქსის მორფოლოგიურ საზღვარზე მთელი რიგი ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს. ზედაპირულ სტრუქტურაზე სახეზეა **ა-** ხმოვანპრეფიქსი: **აა ←ოო:** შედეგად ვიღებთ **Prev-ა-R-ებ-აფ-უ-ან-Ø** სტრუქტურის კაუზატივებს: ***გაა ზარებაფუანს*** *„გააცილებს“,* ***გააგებაფუანს*** *„გააგებინებს“,* ***გააგონებაფუანს*** *„გააგონებინებს“,* ***გაავითარებაფუანს*** *„განავითარებინებს“,* ***გაგმაარსებაფუანს*** *„გამოაცდევინებს“,* ***გაანქარებაფუანს*** *„გააქრობინებს“,* ***გაარიგებაფუანს*** *„გაარიგებინებს“,* ***დაავალებაფუანს*** *„დაავალებინებს“...*

ჩამოთვლილი ფორმები სალიტერატურო ენდიან შეთვისებული უნდა იყოს.

ამ ზმნათა უღლებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით თემატური ნიშანი **-ებ** წყვეტილშიც გადაჰყვებათ, სავარაუდოდ, **-ებ** თემატური სუფიქსი უკვე ძირეულ მორფემადაა გარდაქმნილ-შეხორცებული, შდრ.: მასდარი: დავალ**ებ**ა; სხვა მხრივ, უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***დაავალებაფუანს*** *„დაავალებინებს“*

წყვეტილი: ***დაავალებაფუუ*** *„დაავალებინა“*

I რეზულტატივი: ***დუუვალებაფუაფუ*** *„დაუვალებინებია“*

III რეზულტატივი: ***დონოვალებაფუ{აფუ}ე(ნ)*** *„დაავალებინებდა თურმე“*

№39.3. ო-R-უ-აფ-უ-ან-Ø

ოგონ{უ}აფუანს *„აფიქრებინებს“,* ***ოთქუაფუანს*** *„ათქმევინებს“,* ***ოთხუაფუანს*** *„ათხოვნინებს“,* ***ონდუაფუანს*** *„აფლობინებს, აძირვინებს“,* ***ონთხუაფუანს*** *„აყნოსვინებს, ასუნებინებს“,* ***ონწყუაფუანს*** *„ანგრევინებს, აქცევინებს“,* ***ონწყუაფუანს*** *„აწყობინებს, ალაგებინებს, აშლევინებს (სუფრას) “,* ***ონწყუაფუანს*** *„აყვინთვინებს (თავს)“,* ***ონჭუაფუანს*** *„ასწრაფვინებს“,* ***ორგუაფუანს***

„აგლოვებინებს“, ***ორგუაფუანს*** *„არგვევინებს“,* ***ორსხუაფუანს*** *„საძირკველს აყრევინებს“,* ***ორტუაფუანს*** *„ალბობინებს“,* ***ორშუაფუანს*** *„ქსელვას აწყებინებს“,* ***ორჩუაფუანს*** *„აძარცვინებს“,* ***ორცუაფუანს*** *„ანგრევინებს, აქცევინებს, აცამტვერებინებს“,* ***ორწყუაფუანს*** *„არწყვევინებს“,* ***ორხვაფუანს//ორხუაფუანს*** *„ახვრეტინებს“,* ***ოსკუაფუანს*** *„ასკვნევინებს“,* ***ოსკუაფუანს*** *„კვერცხს ადებინებს“,* ***ოსქუაფუანს*** *„{შე}აბმევინებს“,* ***ოქუაფუანს*** *„აფქვევინებს“,* ***ოშუაფუანს*** *„აქსოვინებს“,* ***ოჩუაფუანს*** *„ანახვინებს“,* ***ოწანუაფუანს*** *„აწამებინებს, არწმუნებინებს“,* ***ოწუაფუანს*** *„აწოვებინებს“,* ***ოხაფუანს//ოხუაფუანს*** *„აშობინებს, აჩენინებს; აგებინებს“,* ***ოხუაფუანს*** *„აშობინებს // აგებინებს (ხბოს); არღვევინებს; ახვრეტინებს“,* ***ოხუაფუანს*** *„ამხობინებს; არღვევინებს“...*

უღლების პარადიგმა სრულია:

აწმყო: ***ოსკუაფუანს*** *„ადებინებს კვერცხს“*

წყეტილი: ***ოსკუაფუუ*** *„კვერცხი {და}ადებინა“*

I რეზულტატივი: ***უსკუაფუაფუ(ნ)*** *„კვერცხი {და}უდებინებია“*

III რეზულტატივი: ***ნოსკუაფუე(ნ)*** *„კვერცხს ადებინებდა თურმე“*

№39.4 prev-უ-R-ინ-უ-ან-Ø(ნ)

prev-უ-R-ინ-უ-ან-Ø(ნ) კაუზაციური სტრუქტურისაა ***გუ-ურზ-ინუანს(ნ)*** *„გააძლებინებს მისთვის“* ფორმა. მაგ., ***გადვალარს ურზინუანს*** *„ფეხსაცმელს აძლებინებს“...*

ლექსიკონში ტრადიციული გრამატიკული ტერმინოლოგიით, სასხვისო ქცევის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული. უღლების პარადიგმა რეგულარულია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ო. ქაჯაიას ლექსიკონში ვერ მოვიძიეთ ამ ზმნის *მეოთხე სერიის ფორმები.* რესპონდენტებმა კი ***„გონორზიუე(ნ)“*** ფორმა დააგვისახელეს. სავარაუდოდ, თუ ზმნას აქვს პირველი სერიის ფორმები, უნდა ეწარმოებოდეს მეოთხე სერიისაც:

აწმყო: ***ურზინუანს(გ)*** *„აძლებინებს მისთვის“*

მყოფადი: ***გუურზინუანს(გ)*** *„გააძლებინებს მისთვის“*

წყვეტილი: ***გუურზინუუ*** *„გააძლებინა მისთვის“*

I რეზულტატივი: ***გუურზინუაფუ*** *„გაუძლებინებია“*

I რეზულტატივი: ****გონორზინუე(ნ)*** *„გააძლებინებდა თურმე“*

№39.5 prev-R-უ-ან-Ø

კაუზატივთა მე-5 ქვესტრუქტურად გამოვყოფთ prev-R-უ-ან-Ø სტრუქტურულ ტიპს: ***გ-ო-გონ-უ-ან-ს*** *„გაფიქრებინებს“, საინტერესოა, რომ ამ ფორმასთან, ო. ქაჯაიას ლექსიკონში ვერ ვხედავთ კაუზატივის კვალიფიკაციას,* ამ ზმნის, როგორც გარდამავალი, მოქმედებითი გვარის ზმნური ფორმის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული:



მაგალითად კი მოყვანილია: ***უგონებუს გოგონუანს ღორონთიშე მოცხადებულს*** *„გაუგონარს გაფიქრებინებს ღმერთისაგან გაცხადებულს“* და იქვე მითითებულია კაუზატიური ფორმაც: ***ოგონ{უ}აფუანს*** *„აფიქრებინებს“.*

მოყვანილი კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ***გოგონუანს*** *„გაფიქრებინებს“* ფორმა ნამდვილად არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამომხატველი, რასაც განაპირობებს სულიერი სუბიექტი-ინიციატორი და ობიექტი-ეგზეკუტორი, (რომელიც ემორჩილება მას); ამდენად, ჩვენს სადისერტაციო შრომაშიც, ამ ზმნურ ფორმას **სემანტიკური კაუზაციის** მაგალითად მივიჩნევთ.

სავსებით მართებულად, სემანტიკური კაუზაციის კვალიფიკაცია ენიჭება, აგრეთვე ***ო-რაგად-უ-ან-ს*** ***//ო-რაგად-აფ-უ-ანს*** *„ალაპარაკებს“* ზმნურ ფორმებსაც (119, 640).

ამით, ამოიწურა მეგრული ზმნის კაუზატიურ ფორმათა ძირითადი სტრუქტურები ჩვენს ხელთ არსებული საკმაოდ ვრცელი და მომცველობითი მასალის მიხედვით.

3.3. მესამე თავის შეჯამება
(I დიათეზა)

ამგვარად, პირველ დიათეზაში ერთიანდება უგამონაკლისოდ **R-Ø** სტრუქტურისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი უსრული და სრული კონსტრუქციის მქონე სულ 39 ქვესტრუქტურული ჯგუფი.

R-Ø სტრუქტურის **უსრული** კონსტრუქციის ქვეშ გამოიყო **22** ქვესტრუქტურა (აქედან აბსოლუტივები – **15** და ბრუნვაუცვლელობიექტიანები - **7**) აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინის, ხმოვანი პრეფიქსებისა და თემატური ნიშნების მიხედვით;

R-Ø სტრუქტურის **სრული** კონსტრუქციის ქვეჯგუფში – 17 განსხვავებული ქვესტრუქტურა გამოვყავით (აქედან მე-17-ე – კაუზატივთა ჯგუფი 5 ქვესტრუქურული ნაირსახეობით ხასიათდება).

IV თავი. მეორე დიათეზა

კონსტრუქცია: **nom-erg-nom-nom**

4.1. შესავალი

მეორე დიათეზის გამოყოფის საფუძველია მეგრული ზმნისთვის დამახასიათებელი **nom-erg-nom-nom** კონსტრუქცია**.** ამ კონსტრუქციის ზმნათა ზოგადი სტრუქტურაა **R-[Th.s]-უ/ე(ნ)**.

R-[Th.s]-უ/ე(ნ) სტრუქტურის ზმნათა კონსტრუქცია განსხვავდება პირველი და მესამე დიათეზის ზმნათა კონსტრუქციისაგან: ამ ზმნების კონსტრუქცია (სუბიექტის ბრუნვა) პირველ სერიაში **ნომინატიურია**, მეორე სერიაში – **ერგატიული**, მესამე სერიაში კი – ისევ **ნომინატიური**. მეორე დიათეზის ზმნები შეიწყობენ მხოლოდ ბრუნვაუცვლელ ობიექტს: ***აბურსუ{უ}(ნ)*** *მაშინა კიდას – ქააბურსუ მაშინაქ კიდას „ეჯახება მანქანა კედელს – დაეჯახა* ***მანქანამ კედელს“.*** მეგრულში მიმდინარე ანალოგიის პროცესების გამო ნამყო ძირითადის (აორისტის) ფორმებში I და II დიათეზის ზმნატა სუბიექტი ერგატივშია, მაგრამ **მათი განმასხვავებელი ნიშანი, გარდა სტრუქტურისა, მესამე სერიის კონსტრუქციაა, რომელშიც მეორე დიათეზის ზმნები ნომინატიური კონსტრუქციით უპირისპირდებიან პირველი დიათეზის ზმნურ ფორმებს;**

მეორე დიათეზის, ანუ **R-[th.s**.]-**უ/ე(ნ)** სტრუქტურის ყველა ზმნის კონსტრუქცია **პირველ სერიაში - ნომინატიურია, მეორე სერიაში – ერგატიული** (სწორედ აქ ემთხვევა იგი პირველი დიათეზის ზმნებს), ხოლო **მესამე და მეოთხე სერიაში ისევ - ნომინატიურია** (nom-erg-**nom**-nom); საპირისპიროდ ამისა, **პირველი დიათეზის ზმნათა კონსტრუქცია მესამე სერიაში დატიურია** nom-erg-**dat**-nom **(ანუ, სუბიექტი მესამე სერიის ფორმებთან დგას მიცემით ბრუნვაში)**. სწორედ **მესამე სერიის კონსტრუქციით** განირჩევა პირველი დიათეზის **R-th.s.-Ø** და მეორე დიათეზის **R-th.s.-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ზმნათა კონსტრუქციები.

ამგვარად, მეგრული ზმნის **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციისა და მისი ძირითადი **R-Th.s-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ერთიანობა ქმნის II დიათეზას. მაგ.:

I სერია /nom.: ***დიხა სქირუ(ნ)*** *„მიწა შრება“.*

II სერია /erg.: ***დიხაქ გოსქირუ(ნ)*** *„მიწა გაშრა“ (სიტყვასიტყვით: „მიწამ გაშრა“).*

III **სერია /nom.**: ***დიხა გოსქირ(აფ)ე{ლე}(ნ)*** *„მიწა* ***(nom)*** *გამშრალა“.*

IV **სერია/nom.**: ***დიხა გონოსქირ(აფ)უე(ნ)*** *„მიწა გაშრებოდა თურმე“*

როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, **R-Th.s-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ზმნის აორისტის ფორმაში მოსალოდნელი ნომინატიური კონსტრუქციის ნაცვლად ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს. ამოსავალი ვითარება მეგრულ ზმნათა კონსტრუქციისთვის სალიტერატურო ქართულის (resp. საერთო ქართველურის) მსგავსი უნდა ყოფილიყო; მაგრამ (სალიტერატურო ენის ნორმისგან თავისუფალ) მეგრულ მეტყველებაში გაფართოებულია ერგატივის გამოყენების არე; ეს გამოწვეული უნდა იყოს ენის განვითარების შინაგანი – მეტყველების ეკონომიისა და უნიფიკაციის კანონის მოქმედებით: ერგატიული კონსტრუქციის უნიფიცირებით. არნოლდ ჩიქობავა ამ მოვლენას **„ჰორიზონტალურ გათანაბრებას“** უწოდებს: „მეგრული უგულებელჰყოფს (ნაწილობრივ მაინც!) გარდამავლობა-გარდაუვლობას: თუ ზმნა აორისტშია (ან მისი ჯგუფის სხვა დროში), სუბიექტი ყოველთვის მოთხრობითშია იმისდა მიუხედავად, გარდამავალია ზმნა თუ გარდაუვალი“ (141, 105).

ერგატივიზაცია გვიანდელი ჩანს: მეგრული მეტყველების ამსახველი ძველი ტექსტები (თუნდაც XVIII-XIX საუკუნეებისა) რომ გვქონდეს, სავარაუდოდ, ნამყო ძირითადში (აორისტში) **R-Th.s-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ზმნების კონსტრუქცია არ იქნებოდა ერგატიული; ამას მოწმობს ე.წ. **„ჰორიზონტალური გათანაბრება**[14]“ ლაზურში: **„ჭანური უგულებელჰყოფს დროს, საკითხს წყვეტს ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობა“**; **„თუ ზმნა გარდამავალია, სუბიექტი მოთხრობითშია, ობიექტი სახელობითში, იმის მიუხედავად, რა დროა“** (141, 105)., აქვე აღნიშნულია, რომ გარდამავლობის ერთ-ერთი ნიშანი **სუბიექტის ერგატიული კონსტრუქცია** „გამოსადეგია ჭანურში, უვარგისია მეგრულში“ (141, 106). იგულისხმება, რომ **ერგატიული კონსტრუქციის არსებობა** ჭანურში განასხვავებს ე.წ. „მოქმედებითი გვარის ზმნებს“ ე.წ. „ვნებითი გვარის“ ზმნებისაგან, მეგრულში კი – ვერა (ე.წ. „ვნებითი გვარის ზმნების სუბიექტი **ლაზურში** ყველა სერიაში სახელობითშია, ანუ, **კონსტრუქცია ნომინატიურია**).

„ვნებითი გვარის ზმნათა სუბიექტს ლაზურში ერგატიული ბრუნვა არ ახასიათებს და ეს ამ ენობრივ ქვესისტემში მკაცრად გაბატონებული წესია (უგამონაკლისო) (119, 595).

[14] ტერმინისათვის იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი (141, 105)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერგატივის უნიფიცირების ტენდენციას იოსებ ყიფშიძე მეგრულის გავლენას მიაწერს; მისი თქმით, ქვემო იმერეთში გვხვდება ისეთი სინტაქსური მოვლენები („კაცმა მოვიდა“ ნაცვლად კონსტრუქციისა „კაცი მოვიდა”), რომელიც „**ივერიზმებად**“ კვალიფიცირდება (123, 27). ვ. თოფურია არ იზიარებს ამ მოსაზრებას: „...მოსალოდნელია, აგრეთვე, აღმოსავლურ კილოებში გარდაუვალი პირველი სახის ზმნები შეუერთდნენ ისე, როგორც ეს დასავლურ კილოებში მოხდა, **სადაც მათ ის საფეხური უნდა ქონდეთ გავლილი, რომელზედაც დრეს აღმოსავლურ კილოებში გვევლინება,** ამიტომ **მიუღებელია პროფ. ი. ყიფშიძის განმარტება მეგრულის გავლენით**“ (29,303).

ვფიქრობთ, დასავლურ ქართულ კილოებს მართლაც შესაძლოა ჰქონდეთ ერგატივიზაციის შუალედური საფეხური გავლილი. მეგრულის გავრცელების არეალიდან ასე შორს დადასტურებული აღმოსავლური ქართული კილოების მაგალითები კი ამ პროცესის საწყის ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, ეს საერთო ქართველური მოვლენა უნდა იყოს, რომელიც გარკვეულ პირობებში სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს.

ე.წ. „გარდაუვალ ზმნებთან“ მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტით გაფორმებული აგენსი (ქვედებარე) დამახასიათებელია ჭანურისთვისაც: „**ვნებითი გვარის ზმნათა სუბიექტს ლაზურში ერგატიული ბრუნვა არ ახასიათებს და ეს ამ ენობრივ ქვესისტემაში მკაცრად გატარებული წესია (უგამონაკლისო)**“ (119, 595).

ამგვარად, ერგატიული კონსტრუქციის უნიფიკაციის პროცესი ლაზურში მეგრულისებური არ არის – ერგატივის არე გაფართოებულია, ოღონდ, ბრუნვაცვალებადობიექტიანი (ანუ პირველი დიათეზის) ლაზური ზმნები ყველა სერიაში ერგატიული კონსტრუქციისაა - **erg-erg-erg-erg**:

მაგ.,

ჰემუქ ჯუმას ფარა მეჩამს – ის ძმას ფულს აძლევს; სიტყვასიტყვით: *„მან ძმას ფული აძლევს"*

ჰემუქ ჯუმას ფარა ქომეჩუ – მან ძმას ფული მისცა;

ჰემუქ ჯუმას ფარა ქომეჩუდორენ – მას ძმისთვის ფული მიუცია; სიტყვასიტყვით: მან ძმას ფული მიუცია” (141, 104).

ამგვარად, ლაზურში, ბრუნვაცვალებადობიექტიანი (ე.წ. „გარდამავალი“, ანუ, ჩვენი კლასიფიკაციით პირველი დიათეზის) ზმნათა აგენსი ყველა სერიაში

მოთხრობით ბრუნვაში დგას; ანუ, უნიფიკაციის პროცესი უფრო შორს არის წასული.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჭანურში მეორე დიათეზის ზმნათა კონსტრუქცია, ჩვეულებრივ ნომინატიურია ყველა სერიაში: **nom-nom-nom-nom; თუმცა, გამონაკლისის სახით, საუბარია იმ ტენდენციაზეც, რომ ჭანური იფართოებს ერგატივის გამოყენების არეს და მეორე დიათეზის, ანუ <u>R-უ(ნ)</u> სტრუქტურის ზმნათა I სერიის (აწმყოს მწკრივის) ფორმებში, ზოგ ზმნასთან ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობს, მაგ., სხაპუნს – ხტება** (119, **314,) მაგ., *ლომეში ბიჭიქ გეხთუ ცხენიშენ „ლომის ბიჭმა შეჯდა ცხენზე, ვეზირიქ დიხაზიუ „ვეზირმა გაემზადა*** 119, **316).**

ძალზე საინტერესოა ლაზურ-მეგრულის თანამედროვე მკვლევრის, პროფ. მერაბ ჩუხუას მოსაზრება ამასთან დაკავშირებით: **სარფის ლაზურში** ***ბიჭი-ქ, ვეზირი-ქ*** ფორმათა მარკირება ერგატივის ნიშნით თავად ზმნის შინაარსით – მოქმედების აქტიურობითა არის განსაზღვრული; **აღნიშნულ მოვლენას მკვლევარი არა მეგრულის, არამედ აჭარული დიალექტის ზეგავლენით ხსნის, რადგან მოყვანილი მაგალითები აჭარულ დიალექტზე მოსაუბრეებთან უშუალო კონტაქტით უნდა იყოს შეპირობებული.**

აღმოჩნდა, რომ ერგატივი ლაზურში დამახასიათებლია სხაპ-უ-ნ „ხტის“ – სტატიკური ზმნის გააქტიურებულ ფორმასთან: <u>სხაპუნს</u>, განსაკუთრებით, სარფულში, რაც მეგრულის სიახლოვით არის ახსნილი (119, **317);**

სარფში ჩაწერილი ლაზური სტატიკური ზმნური ფორმის (სხაპ-უ-ნ) შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ მ. ჩუხუას მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, სტატიკური ზმნის გადინამიკურებისა და ორმაგი სუფიქსაციის (*<u>სხაპუ(ნ) → სხაპ-უ-ნ-ს „ხტის → ხტება“)</u>* **მიზეზი მისსავე აქტიურ შინაარსში უნდა ვეძიოთ; სწორედ სემანტიკურად უნდა იყოს შეპირობებული მადინამიკურებელი ელემენტის - აქტიურ ზმნათა სუფიქსის დართვა (–ს) და სუბიექტის მარკირება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით; საბოლოოდ კი – R-უ(ნ) ყალიბის შეცვლა R-Ø ყალიბით.**

ერგატივიზაციის პროცესზე თვალის გადევნებისას, სწორედ ლაზურის განსხვავებული ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ოდესღაც მეგრულშიც (და ჭანურშიც) ძველი ქართულისებური ამოსავალი ვითარება უნდა ყოფილიყო დაცული. ამას ამტკიცებს აგრეთვე გურული და აჭარული დიალექტების

ჩვენებაც: იგივე გრამატიკული პროცესები მიმდინარეობს ორივე დიალექტში; მაგ., *ამ კატ**ამ** მოკტა (ეს კატ**ა** მოკვდა) (გურ.), მევდა მის კაც**მა** და მეჯკითხა თელ დღის ხებრები (მოვიდა მისი ქმარ**ი** და (გამო)იკითხა მთელი დღის ამბები) (აჭარ.)* აშკარაა აჭარულ მაგალითში მეორე, ბრუნვაცვალებადობიექტიანი ზმნის გავლენა პირველ – ბრუნვაუცვლელსუბიექტიან ზმნასთან შეწყობილ პირზე: *კაც**მა***. სწორედ ეს უნდა იყოს ვ. თოფურიას მიერ ნავარაუდები „შუალედური საფეხური ერგატივიზაციისა“ (29, 303). ძველ სალიტერატურო ქართულში მსგავს გრამატიკულ მოვლენას ადგილი არ ჰქონია; ამას ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა ადასტურებს: *„ძმაჲ შენი მოსრულ არს და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული, რამეთუ ცოცხლებით მოიყვანა იგი” (ლ.15.27)* (94, 87).

არნოლდ ჩიქობავა შენიშნავს, რომ *„**მან მოვიდა**-ს მსგავსი მაგალითები აღმოსავლეთ-საქართველოს კილოებშიც გვხვდება, თუმცა იშვიათად“* (141, 106).

მეგრული ქვესისტემის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მოხდა აგენსის ბრუნვათა უნიფიცირება და ბრუნვაცვალებად გარდამავალ და ბრუნვაუცვლელ გარდამავალ ზმნათა კონსტრუქცია მეორე სერიაში ერთმანეთს დაემთხვა; მაგრამ, დისტინქტური ნიშანი მაინც არსებობს: **ამ შემთხვევაში კონსტრუქციათა განმასხვავებელია მესამე სერია**: ბრუნვაცვალებადობიექტიან მეგრულ **ზმნებს დატიური კონსტრუქცია აქვთ**, ანუ აგენსი მიცემით ბრუნვაში შეეწყობა (მაგ., ***დოუბამბუ(ნ) თის თინა** „დაუბამბავს მას (dat.) ის (nom.)“),* ხოლო ბრუნვაუცვლელობიექტიან ზმნებს - ნომინატიური (***დობამბუუ(ნ) თინა თის** „დაჰბამბვია ის (nom.) მას (dat)“.*

ამგვარად, აქაც სტრუქტურისა და კონსტრუქციის ერთიანობა იძლევა საფუძველს, ისინი ერთ – II დიათეზაში გავაერთიანოთ.

წინასწარვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **მეორე დიათეზის** მეგრული **R-Th.s-უ/ე(ნ)** სტრუქტურის მორფოლოგიური აგებულებისა და სინტაქსური კონსტრუქციის სურათი (მიუხედავად გადახრისა მეორე დიათეზაში, რომელიც მეორეული მოვლენაა) ქართველური ზმნის სამ დიათეზად დაყოფის მოდელის იდენტურია. ეს „გადახრაც“ კანონზომიერია. ორივე ენობრივ ერთეულში ერთსა და იმავე სტრუქტურის ზმნებთან გვაქვს საქმე (95; 99,9; 100, 219): მეგრული **R-**

Th.s-უ/ე(ნ)[15] სტრუქტურისეული **-უ/ე(ნ)** სუფიქსი რანგობრივადაც და ფუნქციურადაც სალიტერატურო ქართულის **R-th.s-ი** სტრუქტურისეულ **-ი** სუფიქსს შეესაბამება (ცხრილი 4.1.). შდრ.:

ცხრილი №4.1.

მეგრული	**სალიტერატურო ქართული**
R-Th.s-უ/ე(ნ)	**R-Th.s-ი**
1. პ-ტიბ-**უ-ქ** (მა)	1. ვ-თბ-**ებ-ი** (მე)
2. ჭითონ-დ-**უ-ქ** (სი)	2. წითლ-დ-**ებ-ი** (შენ)
3. ვ-ა-ტყ-ობ-**უ-ქ** (მა თის)	3. ვ-ე-მალ-**ებ-ი** (მე მას)
4. ი-უნთ-უ-აფ-**უ(ნ)** (ონახვალი)	4. უთოვ-დ-**ებ-ა** (სარეცხი)
5. ი-ტყ-ობ-ინ-უ-აფ-უ(ნ) (წინგი ოსურგშე)[16]	5. ი-მალ-**ებ**-ა (წიგნი ქალის) მიერ
6. ი-შვ-**ე(ნ)** (თე წყარი)	6. ი-სმ-**ებ-ა** (ეს წყალი)

-უ/ე(ნ) სუფიქსის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა; იოსებ ყიფშიძის მიხდვით, **-უ** სუფიქსი ვნებითის მაწარმოებელია (123, 071).

გ. მაჭავარიანი 1959 წ. გამოცემულ ნაშრომში „უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში“ მეგრულ-ჭანურ **-უ(<ო) ს**უფიქსს ქართული ხოლმეობითის **-ი-**ს ფუნქციის მატარებლად მიიჩნევდა (60, 115); მოგვიანებით კი, 1965 წელს თამაზ გამყრელიძესთან ერთად გამოცემულ შრომაში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ იგი **–უ** სუფიქსს თემის ნიშნად მიიჩნევს, რადგან ის ზმნას აორისტში არ გადაჰყვება (11,277); ამავე მოსაზრებას იზიარებს ტოგო გუდავაც თავის ნაშრომში „ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში“ (17,137); კორნელი დანელია მას ვნებითის თემის ნიშანს უწოდებს (23,169). **-უ(ნ)** სუფიქსის თემის ნიშნად

[15] **R-th.s-უ/ე(ნ)** სტრუქტურის **-უ(ნ)** და **-ე(ნ)** სუფიქსებს შესაბამის პარაგრაფებში განვიხილავთ დაწვრილებით.

[16] ცხრილში №4.1 მე-5 მაგალითი ***იტყობინუაფუ(ნ) წინგი ოსურგშე*** არ არის პროდუქტიული მეგრულში, თითქმის არ გამოიყენება მეტყველებაში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ***ი-ფულ-უ-აფ-უ(ნ)*** *„იმალება“* ტიპის კონსტრუქცია პასივის შემდეგი მნიშვნელობით **„დამალულ იქნა** ქალის **მიერ**“ (5) მეგრულისათვის უცხოა. მეგრულ მეტყველებაში მსგავსი სემანტიკა **R-th.s.-Ø** სტრუქტურის აქტიური სემანტიკის ზმნებით გადმოიცემა, მაგ., ***ფულ-უნ-ს*** *(მალ-ავ-ს ის მას),* რაც ბუნებრივიცაა. ამ ტიპის კონსტრუქცია ხელოვნურია სალიტერატურო ქართული ენისთვისაც და ის საქმიანი ქადალდების სამეცნიერო და აკადემიური სტილისთვისაა დამახასიათებელი.

კვალიფიცირებას მხარს უჭერს რ. შეროზიაც თავის სტატიაში: „პოტენციალისის კატეგორიისათვის ზანური ენის მეგრულ დიალექტში“ (132, 202);

გიორგი როგავას აზრით –**უ** სუფიქსი ქართულის –**ოდ** სავრცობისეული ხმოვნითი ნაწილის – **ო**-ს ფარდი უნდა იყოს (83, 83).

გივი მაჭავარიანი აღნიშნავს: „იჭარუ(ნ) ფორმის **-უ** შეიძლებოდა ვნებითი გვარის ნიშნად მიგვეჩნია (შდრ.: იჭარე(ნ) – პოტენციალისი), მაგრამ ეს ასე არ არის, **-უ** აწმყოს მაწარმოებელია, ნამყოში არ გადაჰყვება“ (64,101)

მსგავსად **–უ(ნ)** სუფიქსისა, **-ე(ნ)** სუფიქსიც მხოლოდ აწმყოს სტრუქტურაშია და იგი ზმნას მეორე სერიაში არ გადაჰყვება. ყველაზე ხშირად პოტენციალისის ფორმებში გვხვდება. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც „**-ე** სუფიქსი გვხვდება პოტენციალისის შინაარსმოკლებულ ვნებითებშიც: ***„ართი კოჩი ჟი იჯინე (ერთი კაცი ზემოთ იყურება“*** (21,59). 2015 წ. გამოცემულ სახელმძღვანელოშიც „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“ მოყვანილია **–ე(ნ)** სუფიქსიანი ზმნური ფორმები, „**რომლებშიც არ შეიმჩნევა პოტენციალისის შინაარსი არც ერთ ენობრივ ერთეულში**... **ა—ე** კონფიქსიანი ვნებითი (ისევე როგორც პოტენციალისი) ბუნებრივი იყო მეგრულ-ლაზური ენისათვის... მაგ., ***ა-შქურინ-ე(ნ)*** *(ეშინია),* ***ი/ა-ნტირ-ე(ნ)*** *(ი/ე-ტევა),* ***ი/ა-ნგარინ-ე(ნ)*** *(ი/ეტირება)...*“ (119, 616-617).

ასევე, გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმადაც, **–ე(ნ)** თემატური სუფიქსია (132, 203; 56, 29).

არნ. ჩიქობავას მოსაზრების თანახმად, **-ე** სუფიქსი წარმოშობით დიურატივის მაწარმოებელი უნდა იყოს. იგი ქართული განგრძობითი ასპექტის **–ი** სუფიქსის ფარდი უნდა იყოს (142, 35; 34, 210).

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანის მოსაზრების თანახმად პოტენციალისის **–ე** სუფიქსი ქართული ენის აწმყოს მწკრივში გამოვლენილი **–ი** თემის ნიშნის ეკვივალენტია: ი-ჭვ-**ე**-ნ – ი-წვ-**ი**-ს (11,229).

მ. ჩუხუას მოსაზრებით, ეს **უ-** სუფიქსი, შესაძლოა იყოს დიურატივის უძველესი ნიშანი, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული დროთა სამწევრა სისტემა. სუფიქსთ რანგობრივი სისტემის თვალსაზრისით, მართლაც ადვილი შესაძლებელია **უ-** სუფიქსის დიურატივის უძველეს ნიშნად გააზრება; შდრ.: ***ტიბ-უ(ნ) – თბებ-ი-ს (ძვ. ქართული), ი-გურ-უ-ან-ს „ი-სწავლ-ი-ს“...***

–უ/ე(ნ) სუფიქსები, ჩვენი აზრით, იგი ერთი და იგივე მორფოლოგიური ოდენობაა – ორივე სუფიქსი **R-[Th.s.]-Ø** ყალიბის ოპოზიციური ცალის **R-th.s.-უ/ე(ნ)** ყალიბის მაწარმოებელია, ორივე ძირითადი სტრუქტურა (**R-[Th.s.]-Ø** და **R-**

th.s.-უ/ე(ნ)) კი მეგრული ზმნის გვარეობითი სტრუქტურის ბინარული განშტოებაა.

სინქრონიულ დონეზე **R-th.s.-უ/ე(ნ)** სტრუქტურის **-უ(ნ)** და **–ე(ნ)** სუფიქსები **ზმნური ყალიბის ამგები აპლიკატორებია.** ისინი რანგობრივად იგივე მორფოლოგიური ოდენობაა, რაც სალიტერატურო ქართულის **-ი**. მაგ., *ტიბ-**უ**-ქ – ვ-თბ-ებ-**ი**, ითე-ებ-**უ(ნ)** – თავდ-ებ-**ა*** და სხვ.; სალიტერატურო ქართულის მსგავსად, რომელშიც აწმყოს თემაში დასტურდება ფუძის ორადორი გვარეობითი სტრუქტურა **R-[th.s.]-Ø** და **R-[th.s.]-ი**, ასევე მეგრულშიც, აწმყოს თემის მიხედვით გვაქვს ფუძის ორად-ორი გვარეობითი სტრუქტურა: **R-[th.s.]-Ø** და **R-[th.s.]-უ/-ე(ნ).**

ჩვენ მიერ შემუშავებული მეგრული ზმნური სტრუქტურის სისტემური კლასიფიკაცია და მისი ქვესისტემები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბინარულია. <u>№4.2. ცხრილში</u> ნათლად ჩანს, რომ, თავის მხრივ, მეგრული II დიათეზის **R-Th.s-უ/ე(ნ)** სტრუქტურაც ორად იყოფა - ორ ქვესტრუქტურად იშლება (იხ., ცხრილი 4.2):

ცხრილი 4.2



ეს ქვესტრუქტურებია: **R-[Th.s.]-უ(ნ)** და **R-[Th.s]-ე(ნ).** **R-[Th.s]-უ(ნ)** ქვესტრუქტურაში კლასები გამოიყოფა მხოლოდ ხმოვანი პრეფიქსის, **-დ** სუფიქსისა და თემატური ნიშნების მიხედვით. მეორე დიათეზის **R-[Th.s]-უ(ნ)** სტრუქტურის ზმნები, სემანტიკური თვალსაზრისით, ავტოაქტივები და აქტივებია.

რაც შეეხება **R-[Th.s]-ე(ნ)** ქვესტრუქტურას, ის, ძირითადად, შესაძლებლობის ზმნებისა (ე.წ. „პოტენციალისების“, მაგ., ***აფულ-ე(ნ)*** *(შეუძლია დამალოს)*) და მცირე რაოდენობით დადასტურებული პოტენციალისის გაგებისაგან დაცლილი ზმნების (მაგ., ***ა-შქურინ-ე(ნ)*** *„ეშინია“*) ყალიბია.

განსხვავებით **R-[Th.s]-Ø** სტრუქტურის ზმნებისგან, R-**Th.s**-უ/ე(ნ) ძირითადი სტრუქტურის ფორმულაში თემის ნიშანი ფრჩხილებში აღარ მოვათავსეთ,

რადგან ამ სტრუქტურის ყველა ზმნურ ფორმაში გარდა ***ტიბ-უ(ნ)*** *„თბება“* ტიპის ზმნების მცირე ჯგუფისა, სტრუქტურისეული (**-უ/ე(ნ)** სუფიქსის წინ თემის ნიშნის არსებობა **აუცილებელი პირობაა.**

II დიათეზა გამოიყოფა მეგრულ ზმნათა **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციის საფუძველზე, რომელთა ძირითადი სტრუქტურაა **R-Th.s-უ/ე(ნ)** (განსხვავებით I დიათეზისგან, რომელიც გამოიყოფა მეგრულ ზმნათა **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის საფუძველზე, რომელთა ძირითადი სტრუქტურაა: **R-[Th.s]-Ø.**

II დიათეზის ზმნები ორ ქვეჯგუფად იყოფა:

პირველ ქვეჯგუფში შედის სტატიკური ზმნები (**პარაგრაფი IV.2.**). საერთო წესისამებრ, მათ მხოლოდ პირველი და მეოთხე სერიის მწკრივები ეწარმოებათ. მაგ., ***(გე)ბაძღუ(ნ) თინა***$_{nom}$ - ***(გე)ნობაძღუე(ნ) თინა***$_{nom}$ - *„გდია ის – ეგდო ხოლმე ის“,* ***ძ-უ(ნ)*** - ***ნოძვე(ნ)*** *„ძევს, დევს ის – იდო ხოლმე ის“...*

ეს ზმნები აბსოლუტური სტატიკით ხასიათდება. პირთა რაოდენობის მიხედვით ერთპირიანებია. სტატიკურ ზმნებს საერთოდ არ აქვთ გვარის გაგება, რადგან ისინი პარტიციპანტის მდგომარეობას გამოხატავენ. აბსოლუტურ სტატიკას აღნიშნავენ.

პირიანობის თვალსაზრისით, პირთა მაქსიმალური რაოდენობა ორია.

I ქვეჯგუფის სტრუქტურაა **R-უ/ე(ნ);** ზმნისწინისა და ხმოვანრეფიქსების მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე ქვესტრუქტურა.

II დიათეზის მეორე ქვეჯგუფში ერთიანდება **R-უ(ნ)** სტრუქტურის დინამიკური ზმნები. მათ, როგორც წესი, ყველა სერიისა და მწკრივის ფორმა ეწარმოებათ. მათი კონსტრუქციაა: **nom-erg-nom-nom**.

გვარის სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში **II დიათეზის მეორე ქვეჯგუფში** გაერთიანებულია აქტიური მოქმედების გამომხატველი აბსოლუტური (ერთპირიანი, ავტოაქტიური) და ორპირიანი (აქტიური) ზმნები გვხვდება. მაგ., ***აჩხიჩხუუ(ნ)*** *თინა თის(საჩხუბრად) „**ეჯახება** ის მას“.* სალიტერატურო ქართული ენის ტრადიციულ გრამატიკებში ეს ზმნები პასივებად არის კვალიფიცირებული. ჩვენ მიერ აღებული დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში კი **სალიტერატურო ქართულში პასიური შინაარსისა შეიძლება იყოს ისეთი R-[th.s.]-ი (რომელთა შესატყვისი მეგრულ ზმნაში R-th.s.-უ(ნ) სტრუქტურაა) სტრუქტურის მიერ/-გან თანდებულიანი კონსტრუქციის ზმნები, რომელთა**

სუბიექტიც უსულოა (მაგ., შენდება სახლი ამ კომპანიის მიერ), **ან აღწერითად არის ნაწარმოები** (მაგ., გაკეთებულ იქნა, დაწერილ იქნა და ა.შ.).

სალიტერატურო ქართულში **R-[th.s.]-ი** სტრუქტურის ყველა ერთპირიანი ფორმა, რომლის სუბიექტიც/აგენსიც **უსულო** აქტანტია, სემანტიკურად პასივის შინაარსის მატარებელია[17]; მაგრამ იმავე ზმნებს თუ უსულო სუბიექტი **სულიერით** შეეცვლება, ავტოაქტიურ შინაარსს იძენენ. მაგ., ***იჩეხება ტყე მთავრობის მიერ*** – **პასივია, ხოლო როცა მხოლოდ სულიერი პირი ჩანს კონტექსტში, მაშინ ამ ზმნათა ავტოაქტიური ხასიათი იწევს წინ, რასაც ავტოაქტივთათვის დამახასიათებელი ი- პრეფიქსიც მოწმობს:** *გადაიჩეხა ჯიხვი კლდეზე.*

მეგრულში R-th.s.-უ(ნ) სტრუქტურის ზმნები, როგორც წესი, მხოლოდ ავტოაქტიური ან აქტიური მოქმედების გამომხატველია. მაგ., ***ინეფი ტყასი იტყობუნა(ნ) „ისინი ტყეში იმალებიან“*** – **ავტოაქტივია, საინტერესოა, რომ მეგრულში** „იმალება ჩანთა ბავშვის მიერ/იჩეხება ტყე... მიერ/ გაკეთებულ იქნა” **ტიპის მაგალითები არ დასტურდება.** მეგრულად მოსაუბრე პირი *„**იჩეხება ტყე კაცის მიერ”/„იმალება ჩანთა ბავშვის მიერ”*** ტიპის შინაარსს აქტივის ფორმით გადმოსცემს: ***ჩეხუნს კოჩი ტყას** „ჩეხავს კაცი ტყეს“, **ოტყობინუანს თინა თის** „მალავს ის მას”...* აკაკი შანიძის შენიშვნა, რომ „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა“ **(125, 375) შეგვიძლია განვავრცოთ ქართველურ ქვესისტემებზეც.**

დიათეზების ფარგლებში გვარი სემანტიკური კატეგორიაა. როგორც ზემოთ ვნახეთ, **პირველი დიათეზის** ზმნები გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით შეიძლება იყვნენ **ავტოაქტიურებიც** (წვიმს, კანკალებს) და **აქტივებიც** (აკანკალებს ის მას)..

ამგვარად, სემანტიკური თვალსაზრისით, **მეორე დიათეზაში** ერთიანდებიან როგორც **უგვარო ზმნები** (წერია, აფენია), ასევე **აქტივებიც** (ელაპარაკება, ეჩხუბება), **ავტოაქტივები** (თბება, წითლდება, იმალება, იგინება) და **პასივები** (უსულო სუბიექტის მქონე R-ებ-ი სტრუქტურის ზმნები კონტექსტიდან გამომდინარე, ისიც არა ყოველთვის, გვაქვს შემთხვევები, როდესაც უსულო სუბიექტიც კი აქტიური მოქმედების გამომხატველია: ***„როცა ძილი შენს წამწამებს მიეპარება...“*** (68, 88);

[17] „ქართულში ხშირად, განსაკუთრებით, პოეტურ მეტყველებაში, ამ სტრუქტურის ორპირიანი კონსტრუქციის ზმნებით უსულო სუბიექტის შემთხვევაშიც შეიძლება გამოისახოს აქტიური შინაარსი: მაგ., *„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ხეწარი გადაეფარა“* (ჭავჭ., 1860)“ (68, 77).

<u>უგამონაკლისოა წესი: ყველა პასიური სემანტიკის ზმნა არის მეორე დიათეზისა, მაგრამ მეორე დიათეზის ყველა ზმნა არ არის პასივი.</u>

ამგვარად, მეორე დიათეზაში, **R-ებ-ი სტრუქტურისა** და **nom-nom-nom კონსტრუქციის** ქვეშ ერთიანდება (1)უგვარო ზმნები, (2)აქტივები, (3)ავტოაქტივები და (4) პასივები.

ქართულში პასივის აღწერითი წარმოება განვითარდა ომონიმიის დასაძლევად: *შეიწირე, ვითარცა ცხოვარი (=შეწირულ იქენი, „ლოცვანი"); წიგნსა შენსა ყოველნივე შთაიწერნეს (=ჩაწერილ იქნენ); რამეთუ ფრიად ვსცოდე და შევიგინე (=შეგინებულ ვიქენი).* ამიტომ ძველსავე ქართულში უკვე ჩნდება აღწერითი კონსტრუქციის კონვერსიული ფორმა (მიმღეობა+იქნა მეშველი ზმნა) რომელიც საკუთრივ პასივის გამომხატველია და დღეს სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს (განსაკუთრებით სამეცნიერო და პრესის ენაში). ბერძნულიდან თარგმნის პროცესში ქართულმა ენამ გამოავლინა თავისი პოტენცია და ჩამოაყალიბა ახალი, მეშველზმნიანი ფორმები საჭირო შინაარსის გადმოსაცემად. ეს გასაგებია, რადგანაც ბევრი ზმნა საერთოდ ვერ გადმოსცემს ვნებითის შინაარსს ორგანული R[th.suf]-ი ფორმით. ასე რომ, საკურივ ვნებითის ფუნქციას ჯერ კიდევ ძველსავე ქართულში **წყვეტილის და მყოფადის ჯგუფში „იქმნა-იქ(მ)ნება** მეშველზმნიანი აღწერითი წარმოების ფორმები კისრულობენ, ხოლო აწმყოს ჯგუფში კი ორგანულ ფორმებს ვნებითის ფუნქციით საჭიროების შემთხვევაში შეიძლება **არს** მეშველზმნიანი კონსტრუქცია შეენაცვლოს (68, 67-68).

ამგვარად, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, **მეგრულშიც, R-th.s.-უ(ნ) ძირითადი სტრუქტურისა და nom-erg-nom-nom კონსტრუქციის ქვეშ (რომელთა ერთიანობაც ქმნის მეორე დიათეზას)** ერთიანდება გვარის მიხედვით ნეტრალური ზმნები (99, 9-10; 100,219-220) ანუ <u>(1)უგვარო ზმნები</u> *(ბაძღუ(ნ) „გდია“, ძუ(ნ) „ძევს“)* და <u>(2)აქტივები</u> *(აჩქვაჩქვუუ(ნ) „ეხეოქება“)*, <u>(3)ავტოაქტივები</u> (*ტიბუ(ნ) „თბება“, ცვითონდუ(ნ) „ყვითლდება“, იკვანწილუ(ნ) „კოპწიაობს“*) და <u>(4)პასივები</u> (*ბინეხიში ფურცელი ეშმეჭყუუ ნაკეფიშე „ვაზის ფოთოლი ამოიწვება ნაკეფისაგან/მიერ“*). პასივებთან დაკავშირებით აქაც იგივე საკითხი დგება: **მეგრულშიც** დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე დიათეზის ზმნათა **სუბიექტი უსულოა** თუ **პერსონალური პირია. პასიური შინაარსი** გვექნება მხოლოდ **მიმღეობა+მიერ/-გან ტიპის თანდებულიან კონსტრუქციებსა და უსულო სუბიექტის შემთხვევაში,** თუმცა, მხატვრულ გამოთქმებში, ხშირად, უსულო

სუბიექტიც გააქტიურებულია და ზმნის პასიური სემანტიკა ნიველირებულია – ზმნა <u>ავტოაქტიურია</u>: ***ზღვა ჩხორიათ გოქუნირი <u>იხუმინუ(ნ)</u> პეროჟერი*** *„ზღვა მზის სხივებით შემოხვეული <u>ხმაურობს</u> აქაფებული“,* ***წყარს ბჟაშ ჩხორია <u>მინალაფაფუ(ნ)</u>*** *„წყალს მზის სხივები <u>დასთამაშებს</u>“.*

მეგრულში, მსგავსად სხვა ქართველური ენობრივი ქვესისტემებისა, ძირითადად აქტიური კონსტრუქციები გვხვდება, თუმცა, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დაჩნდება პასიური კონსტრუქციები: **იჩეხუუ(ნ)** ***მიდგარენშე*** *„იჩეხება ვიღაცის მიერ“,* ***იტყობუუ(ნ) მიდგარენ<u>შე</u>*** *„იმალება ვიღაცის მიერ“.* მაგ., ზეპირ მეტყველებაში დასტურდება: **ჩანთა იჩუალუაფუ(ნ) ძღაბგ<u>შე</u> „1. ჩანთა ინახება გოგონას მიერ (ამავე დროს შეიძლება ნიშნავდეს შემდეგსაც: 2. ჩანთას უმალავენ გოგონას“).** თუმცა, **მეტყველებაში**, ამ სემანტიკის გადმოსაცემად, როგორც წესი, სულიერი, აქტიურ სუბიექტიანი ფორმები გვხვდება - **R-Ø** სტრუქტურისა *(უტყობინუ**ანს** თინა თის სუმკას „უმალ**ავს** ის მას ჩანთას).*

თანაც, გვარი ხომ სემანტიკური კატეგორიაა, ამიტომ თავისუფლად შეიძლება, ერთი და იგივე ფორმა კონტექსტის მიხედვით ავტოაქტივიც (თვითმოქმედი) იყოს და პასივიც, მაგ., სემანტიკურად თვითმოქმედია, ავტოაქტივია, დაჩნდება ავტოაქტივთათვის დამახასიათებელი რეფლექსივური ი-პრეფიქსი: ***იტყობუუ(ნ) ძღაბი*** *„იმალება გოგო“* ***(დიიტყობუ ძღაბიქ*** *„დაიმალა გოგომ“).* <u>პასივია:</u> ***იტყობუუ(ნ) სუმკა ძღაბგშე*** *„იმალება ჩანთა გოგოს მიერ“ (-შე* თანდებულიანი ფორმებით კი იწარმოება პასივი, მაგრამ, რგორც წესი, ამგვარი ფორმები არაპროდუქტიული და ხელოვნურია მეგრულად მოსაუბრისათვის). *შდრ.:* ***ი-ხაშ-უ(ნ)*** *„იხარშება“:* **ავტოაქტივია:** <u>სუბიექტი უსულოა:</u> ***დი-ი-ხაშუუ სოტელიანი, უკული ჟირშახ რგილუ წყარი ოკო გინულუათი*** *„წითელი მხალი რომ მოიხარშება, შემდეგ ორჯერ ცივი/გრილი წყალი უნდა გადავავლოთ“,* <u>სუბიექტი სულიერია:</u> ***უჰვეთგ ვორექ, იბხაშუ{უ}ქ თე გარგანჯია სინჩხეს*** *„უჰაეროდ ვარ, ამ გაგანია სიცხეში ვიხარშები“,* ან: ***იბხაშუქ თე სინჩხეს დო უჰაერობას*** *„ვიხარშები ამ სიცხესა და უჰაერობაში“.*

დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში სულიერი/პერსონალური აგენსის მქონე ყველა ორ- და მეტაქტანტიანი ფორმა, განურჩევლად სტრუქტურისა, **სემანტიკურად აქტივია**; მაგალითად: **ბრუნვაცვალებადობიექტიანი აქტივია R-Ø** სტრუქტურის ზმნა: ***ფულუნს*** *კოჩი ფარას „**მალავს**” კაცი ფულს,* შდრ.: **ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი აქტივია R-უ(ნ)**

სტრუქტურის ზმნა: ***ატყობუუ(ნ) ძლაბი დიდას*** - *ემალება გოგონა დედას,* ***აჩხიჩხუუ(ნ)*** *თინა თის – (საჩხუბრად)* ***ეჯახება*** *ის მას.*

ავტოაქტივი, აქტივი და პასივი სემანტიკური კატეგორიებია, აქედან გამომდინარე, მეგრულ (resp. ქართველურ) ზმნაში კონკრეტული გვარის ფორმებს **არ ეძებნებათ სტაბილური ზმნური სტრუქტურა;** გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მორფოლოგიური სტრუქტურის ზმნა (**ვგულისხმობთ ზმნის ძირითად სტრუქტურას დაბოლოების მიხედვით R-უ(ნ)**), შინაარსით, ლოგიკურად შეიძლება **ავტოაქტივიც** იყოს, **აქტივიც** და **პასივიც**. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია, **R-უ(ნ)** სტრუქტურის ზმნური ფორმები, რომლებიც შეიძლება იყოს **აქტივიც**, **პასივიცა** და **ავტოაქტიური** შინაარსის მქონეც (იხ. ცხრილი 4.3.):

ცხრილი 4.3.

<u>სტრუქტურა: **R-უ(ნ)**</u>		
ავტოაქტივი **1)სულიერი** **2) უსულო**	**აქტივი** **1) სულიერი** **2) უსულო**	**პასივი (უსულო)** **1)სულიერი** **2) უსულო**
*1)**ტიბუ(ნ) ბები*** *„თბება ბებო“* ***იტყობუუ(ნ) ძლაბი*** *„იმალება გოგო“* *2) **იფურჩონუუ(ნ)*** *„იფურჩქნება, იფცქვნება“*	*1) **აბურსუ(უ)(ნ)** „ეჯახება“* ***ნამუსუ აბურსუნი, ნამთინი ვეგეურინუაფუ კუჩხიშა*** *„რომელსაც დაეჯახა, არც ერთი არ დაუყენებია ფეხზე“* *2) **აფორუუ(ნ)** „ეფარება“* ***აფორუუ(ნ) ბჟა მუნაფას*** *„ეფარება მზე დედამიწას“*	*1) **იბეზუ(უ)(ნ)** „იცემება“* ***ირდღას იბეზუდუ პატონიშე*** *„ყოველდღე იცემებოდა ხოლმე ბატონის მიერ“ (არაპროდუქტ., ხელოვნ.)* ***2)ჩანთა იჩუალუაფუ(ნ) ძღაბგშე „1. ჩანთა ინახება გოგონას მიერ; 2. ჩანთას უმალავენ გოგონას.***

ამგვარად, მეორე დიათეზაში (რომლის სინტაქსური კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom** და ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურაა R-**უ/ე(ნ)** გვაქვს ორი ქვეჯგუფი **(1)სტატიკური** (რომელიც, ბუნებრივია, ნეიტრალურია გვარის მიმართ)

და **(2)დინამიკური**, რომელიც გვაროს სემანტიკური კატეგორიის მიხედვით შეიძლება იყოს აქტივი, ავტოაქტივი ან პასივი (100, 218-220). ამგვარად, მეორე დიათეზაში ერთიანდება ორი ქვეჯგუფი:

1. სტატიკური (**4.2.**)
2. დინამიკური (**4.3.**)

   განვიხილოთ თითოეული მათგანი.

4.2. მეორე დიათეზის სტატიკური ქვეჯგუფი

4.2.1. შესავალი

როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, **მეორე დიათეზის სტატიკური ქვეჯგუფი უსრული კონსტრუქციისაა. მათი აწმყოს ძირითადი სტრუქტურაა - R-უ/ე(ნ).** მაგ., *იმი წვანჯი ცაშა **ონჭკდგ:** ეგრისი, გვ. 130 -- იმისი წვერი (კენწერო) ცასა **სწვდებოდა**.*

სტატიკურ ქვეჯგუფში ერთიანდება ასევე ე.წ. ერთპირიანი „პოტენციალისები“. მათი სტრუქტურა და კონსტრუქცია მეორე დიათეზის ზმნათა სტრუქტურასა და კონსტრუქციას ემთხვევა (99, 9-10): მაგ., ***ენა ანდვილი საქმე რე დო ანდვილას <u>იკეთინე</u>*** *„ეს ადვილი საქმეა და ადვილად შეიძლება გაკეთდეს“* - ***იკეთინე*** *„შეიძლება გაკეთდეს“* ზმნური ფორმა ტიპური ერთპირიანი პოტენციალისის ნიმუშია; ამგვარი ფორმებით გამოხატულია განზოგადებული მოქმედება.

პოტენციალისთა სტრუქტურების განხილვას მეორე დიათეზის სტატიკურ ქვეჯგუფში შემდეგი მორფოსინტაქსური ნიშნები უჭერს მხარს;

1. მათი სინტაქსური კონსტრუქციაა nom-erg-dat-nom;

2. მათი მორფოლოგირი სტრუქტურაა **R-ე(ნ)** (და არა **R-Ø**);

3. სუბიექტის მორფოლოგიური მარკირების თვალსაზრისით ისინი ვინის რიგს განეკუთვნებიან (თუმცა, არის ინვერსიულობის ტენდენცია, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა: მხედველობაში გვაქვს მიცემითში დასმული სახელის სუბიექტად გააზრების ტენდენცია).

ამგვარად, ერთპირიანი პოტენციალისები, ფორმალური ნიშნების მიხედვით სრულად აკმაყოფილებენ II დიათეზის სამივე მოთხოვნას: 1.სინტაქსური კონსტრუქციაა **nom-erg-dat-nom, 2.**მათი მორფოლოგიური სტრუქტურა ჯდება მეორე დიათეზის ძირითად, გვარეობით **R-უ/ე(ნ)** სტრუქტურაში**, 3.**ვინის რიგის პირის ნიშნებით არიან მარკირებული.

პოტენციალისების დაბოლოება ზანურში **–ე(ნ)** იგივე მორფოლოგიური ოდენობა უნდა იყოს, რაც **R-უ(ნ)** სტრუქტურის **–უ(ნ)** – რ. შეროზიას კვალიფიკაციით, ის თემატური ნიშნის თვისებებით ხასიათდება – არ გადაჰყვება წყვეტილში კონკრეტულ ზმნურ ფორმას (132, 203).

შეიძლება ითქვას, რომ პოტენციალისი უკვე შემდგარი მორფოლოგიური კატეგორიაა მეგრულში – აქ პოტენციალისს საკუთარი ყალიბი აქვს **ი/ა-R-ე(ნ)** (განსხვავებით ლაზურისგან, სადაც მხოლოდ კონტექსტის საშუალებით განირჩევა შესაძლებლობის სემანტიკა). გამონაკლისის სახით სულ რამდენიმე ზმნაა მეგრულში (***ი/ა-ნტირ-ე(ნ)*** *„ი/ეტევა“,* ***ი/ა-ძიცინ-ე(ნ)*** *„ი/ეცინება“,* ***ი/ა-ნგარ-ინ-ე(ნ)*** *„ი/ეტირება“,* ***ი/ა-კურცხინ-ე(ნ)*** *„ი/ელვიძება“,* ***ა-შქურინ-ე(ნ)*** *„ეშინია“,* ***ა-ხიცინ-ე(ნ)*** *„ეხიცინება“,* ***ა-ძირ-ე(ნ)*** *„გამოუჩნდება“...),* რომლებიც პოტენციალისის ყალიბისაა, მაგრამ მოკლებულნი არიან პოსიბილიტურ შინაარსს). საპირისპიროდ ამისა, არსებობს ისეთი ზმნებიც, რომელნიც მხოლოდ შესაძლებლბას გამოხატავენ (***ი-ლ-ინ-ე(ნ)*** *„წასვლა შეიძლება“* და სხვ.), რაც იმით აიხსნება, რომ, „სავარაუდოდ, ეს ფორმები გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე, პოტენციალისისა და ვნებითის დიფერენციაციამდე არსებობდა ზანურში და მათი დიქოტომია გვიანდელი პროცესია (142, 33; 119, 618).

ერთპირიანი პოტენციალისების გამოყოფა გამართლებულია **სემანტიკური დონის გათვალისწინებითაც:** ისინი ერთპირიანი, სტატიკური ზმნებია, მოქმედებას არ გამოხატავენ (განსხვავებით ორპირიანი პოტენციალისებისაგან). ი. ყიფშიძე მათ **უპირო ფორმებსაც** კი უწოდებს: Эти формы обыкновенно употребляются безлично: მი-ი-რთ-ე(ნ) можно идти... (123, 122). მათ შეიძლება **განუსაზღვრელპირიანი კონსტრუქციაც** ვუწოდოთ.

ამგვარად, მეორე დიათეზის სტატიკურ ქვეჯგუფში ვაერთიანებთ:

1. სტატიკურ ზმნებს, რომელთა მორფოლოგიური სტრუქტურა შეიძლება ემთხვედეს დინამიკურ ზმნათა სტრუქტურას, მაგრამ ნაკლული მწკრივთა დეფექტური წარმოებით განსხვავდება მათგან, არ მოეპოვება მეორე და მესამე სერიის ფორმები და
2. ერთპირიან პოტენციალისებს: ტერმინი „პოტენციალისი“ კი სემანტიკურია თავისი არსით, მაგრამ მეგრულში დასრულებულია მისი მორფოლოგიზაციის პროცესი, ასე რომ, ჩვენ მას მორფოლოგიური ყალიბის აღმნიშვნელად ვიყენებთ ***(„პოტენციალისი, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი გრამატიკული (მორფოლოგიური) კატეგორია, ზანურში არნ. ჩიქობავამ აღწერა, (141, 113; 119, 618)***

სტატიკურ ზმნათა ნიმუშებია: **R-[Th.s.]-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ზმნები; მაგ., ***ბაღუ(ნ)*** *„საკმარისია“,* ***უბაღუ(ნ)*** *„ეყოფა“,* ***ბაძღუ(ნ)*** *„გდია პატარა ვიღაც (ან რადაც)“,* ***ძ-უ(ნ)*** *„ძევს, დევს ის“,* ***იბელუ(ნ)*** *„ტყუილებს ამბობს; ბაქიობს“,* ***გილერქალუ(ნ)*** *„(რქის ქნევით) დახეტიალობს“,* ***ზეპუ(ნ)*** *„ყრია (ყველაფერი ბლომად)“,* ***გოზეპუ(ნ)*** *„ასხია, აყრია ბლომად“,* ***თასუ(ნ)*** *„სთესია“,* ***თორსუ(ნ)*** *„ყრია, ახვავია (ხვავად არის)“,* ***თხორუ(ნ)*** *„მარხია“,* ***უკებუ(ნ)//უკინებუ(ნ)*** *„უკავია“,* ***ონჭუ/გ(ნ)*** *„სწვდება“,* ***რონჩხუ(ნ)*** *„ყრია“,* ***როხუ(ნ)*** *„ყრია“,* ***რჩქუ(ნ)*** *„ჩანს“,* ***ორძღირკუ(ნ)*** *„ჰკიდია ზურგზე; აპროწიალია“,* ***სვასუ(ნ)*** *„ნაზად ზის“,* ***სორგუ(ნ)*** *„ყრია“,* ***ღირუ(ნ)*** *„ღირს“,* ***ცუცუ(ნ)*** *„ჩაცუცქებულია“,* ***შიილებე(ნ)*** *„შეიძლება“,* ***ჩვაგუ(ნ)*** *„გდია“,* ***ჩქუ(ნ)*** *„ჩანს“,* ***ოძინუ(ნ)*** *„მეტია“,* ***ხუ(ნ)*** *„პირქვე წევს“,* ***ჯანუ(ნ)*** *„წევს“,* ***უჯანუ(ნ)*** *„უწევს“,* ***ონტუუ(ნ)*** *„უკიდია“,* ***ურზუ(ნ)*** *„უნთია“.*

ამ ზმნათა კონსტრუქცია, როგორც მეორე დიათეზის ყველა ზმნისა, **nom-erg-nom-nom**-ია, სუბიექტირი პირის ნიშნები **ვინის** რიგითაა გამოხატული.

შენიშვნა: ისეთი სტატიკური ზმნები, რომელთაც სუბიექტის მანის რიგის პრეფიქსაცია ახასიათებთ და, როგორც წესი, **R-[Th.s.]-უ(ნ)**, **R-ე(ნ) და R-ო(ნ)** სტრუქტურისანი არიან (მაგ., ***გუ(ნ)//გგ(ნ)*** *„ჰგავს“,* ***ოგულუ(ნ)*** *„ეგულება“,* ***დუუკებუ(ნ)//დუუკინებუ(ნ)*** *„უკავია, უჭირავს“,* ***ოკო(ნ)*** *„უნდა“,* ***ორკუ(ნ)*** *„აკლია“,* ***ოსკუ(ნ)*** *„შვენის“,* ***უსხუნუ(ნ)*** *„ურჩევნია“,* ***შეულებუ(ნ)*** *„შეუძლია“,* ***შუ/გ(ნ)*** *„ახსოვს“,* ***ნოჩვე(ნ), ნოჩანუე(ნ)*** *„ჰქონებია, სცენებია (ხე, ბოსტნეული)“,* ***ჩოდუ(ნ)*** *„სცალია“,* ***მააძუ(ნ)*** *„აცვია ფეხზე“,* ***ოჭე(ნ)*** *„სჭირს“,* ***აჭუ(ნ)*** *„სტკივა“,* ***უჯგუ(ნ)*** *„უფრო კარგია, სჯობს“,* ***ჯოგუ/გ(ნ)*** *„სძულს“,* ***ჯოხო(ნ)*** *„ჰქვია“,* ***ოხოლუ(ნ)*** *„ურევია“*), მესამე დიათეზის სტატიკურ ქვეჯგუფში იქნება განხილული, რადგან მათი **კონსტრუქცია დატიურია** და მოქმედების განმცდელი პირი ზმნაში **მანის რიგის პირის ნიშნებითაა წარმოდგენილი**.

მეორე დიათეზის სტატიკური ზმნათა რიცხვი მცირეა. ისინი უძველესი წარმოების ზმნებია, დაახლოებით იმ პერიოდისა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სტატიკა და დინამიკა. ესენი, როგორც წესი, ირეგულარული ზმნებია – ეწარმოებათ მხოლოდ **პირველი** და **მეოთხე** სერიის მწკრივები. აწმყოს მწკრივის ფუძეზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი სტატიკური ქვესტრუქტურული ჯგუფების გამოყოფა (ნუმერაციას ვაგრძელებთ პირველი დიათეზის სტრუქტურებიდან). იხ. პარაგრაფი 4.2.2.

4.2.2. მეორე დიათეზის სტატიკური R-უ/ე(ნ) ქვეჯგუფი გვარის თვალსაზრისით: უგვარო

1. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №40 **R-უ(ნ):**</u> ***ბაღუ(ნ)*** *„საკმარისია“,* ორპირიანი:***უბაღუ(ნ)*** *„ეყოფა“,* ***ბაძღუ(ნ)*** *„გდია პატარა ვიღაც (ან რაღაც)“,* ***გვერგუ(ნ)*** *„ბლომად არის“,* ***ზეპუ(ნ)*** *„ყრია (ყველაფერი ბლომად)“,* ***თასუ(ნ)*** *„სთესია“,* ***თორსუ(ნ)*** *„ყრია, ახვავია (ხვავად არის)“,* ***თხორუ(ნ)*** *„მარხია“,* ***რონჩხუ(ნ)*** *„ყრია“,* ***როხუ(ნ)*** *„ყრია“,* ***რჩქუ(ნ)*** *„ჩანს“,* ***სვასუ(ნ)*** *„ნაზად ზის“,* ***სორგუ(ნ)*** *„ყრია“,* ***ღირუ(ნ)*** *„ღირს“,* ***ცუცუ(ნ)*** *„ჩაცუცქებულია“,* ***ჩვაგუ(ნ)*** *„გდია“,* ***ჩქუ(ნ)*** *„ჩანს“,* ***ხუ(ნ)*** *„პირქვე წევს“,* ***ჯანუ(ნ)*** *„წევს“*

2. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №41 **Prev.R-უ(ნ):**</u> ***გოზეპუ(ნ)*** *„ასხია, აყრია ბლომად“,* ***ალაცურშუ(ნ)*** *„გვერდით არის გაყუჩებული“,* ***გინორჩქუ(ნ)*** *„გადაჩენილია“ (კუჩხი გინორჩქუდუ კრაოტის -ფეხი გადაჩენილი იყო საწოლზე)“,* ***გინოქანჩუ(ნ)*** *„გადაშოტილია“* ***გინოქვაჩუ(ნ)*** *„გადაშლილია“,* ***გიშაჩქუ(ნ)*** *„გამოჩენილია“ (შხვა ცირენს თქვა გიშაჩქუთ: მ. ხუბ., გვ. 325 -- სხვა ქალიშვილებში შენ ჩანხარ (გამოჩენილი ხარ)“ (მაგალითი მოყვანილია ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან).* ***გილუძუ(ნ)*** *„უდევს“,* ***გილაჯღარკუ(ნ)*** *„ჯღარკივით გდია“,* ***გიმაძუ(ნ)*** *„ზევით დევს, ძევს“,* ***გოძუ(ნ)*** *„ირგვლივ აკვრია“*

3. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №42 **prev.-ა-R-უ(ნ):**</u> ***გითაალარუ(ნ)*** *„ჰკიდია“,* ***გიმააკვეტელუ(ნ)*** ***„*****ჩამოეკიდება, ჰკიდია...**

4. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №43 ი-**R-უ(ნ):**</u> ***იბელუ(ნ)*** *„ტყუილებს ამბობს; ბაქიობს“;* ***ი-ჭყ-ებ-უ(ნ)*** *„იწყევლება“...*

5. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №44 **prev**.-ი-**R-უ(ნ):**</u> ***შიილებე(ნ)*** *„შეიძლება“,* ***გებახუ(ნ)*** ***„****კომფორტულად ზის“,* ***გეციცუ(ნ)*** *„წკიპზე დევს (ჯგირო ქიგლადვი, გეციცუ დო ვაგლალას -- კარგად ჩამოდევი, ოდნავ*

(წკიპზე) დევს და არ ჩამოვარდეს), ***გილეესაქურუ(ნ) ←*გილა-ი-საქუ(ნ)*** *„რხევით დადის. გადატ. დახეტიალობს“,* ***გილეესექურუ(ნ) ←გილა-ი-საქუ(ნ)*** *„უმაქნისად დადის, დახეტიალობს“.*

6. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №45 **prev**.-უ-**R**-უ(ნ):</u> ***აწუძუ(ნ)*** *„წინ უდევს“ (>*აწო-უ-ძ-(უ(ნ)* ***ალუჭყვართუ(ნ) (>*ალა-უ–ჭყვართუ(ნ))*** *„გვერდით დევს“...* ***ალუძუ(ნ)*** *„ძევს, დევს, უდევს (****დიხა დიხას ალუძუ(ნ)*** *„მიწა მიწას უდევს (უძევს) გვერდით“),* ***აწუსორგუ(ნ)*** *„აგდია“,* ***აწუჭყვართუ(ნ)*** ***„****გაშოლტილია (წინ)“...*

7. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №46 **ო-R-უ(ნ):**</u> ***ონტერუ(ნ)*** *„მტრობს“,* ***ონჭუ/ვ(ნ)*** *„სწვდება“,* ***ორძლირკუ(ნ)*** *„ჰკიდია ზურგზე; აპროწიალია“,* ***ოძინუ(ნ)*** *„მეტია“,* ***ონტუუ(ნ)*** *„უკიდია“;*
8. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №47 **prev**.**ო-R-უ(ნ):**</u> ***გიობუ(ნ)*** *„აბია“,* ***გიოფახუ(ნ)*** *„ახურავს“,* ***გიოხანტუ(ნ)*** ***„****ახატია“,* ***გიოჯღარკუ(ნ)*** ***„****ჯღარკივით ჰკიდია“.*

9. <u>სტატიკური ქვესტრუქტურა №48 **Prev**.-**რენ** ყალიბისათვის**:**</u> ***ალარე(ნ)*** *„გარეთ დგას“,* ***აშარე(ნ)*** *„დგას (შიგ)“,* ***აწურე(ნ) ←*აწოურე(ნ)*** *„წინ დგას“,* ***გერე(ნ)/გი-ო-რე(ნ)*** *„დგას“,* ***გითორე(ნ)*** *„ქვეშ დგას“,* ***გიმარე(ნ)*** *„ჩამომდგარია, მაღალ რამეზე დგას“.*

10. <u>პოტენციალისის ქვესტრუქტურა №49 **ი-R-ე(ნ):**</u> ***იანგარიშინე(ნ)*** *„შეიძლება ანგარიში“,* ***იარგამინე(ნ)*** *„შეიძლება გამოაშკარავდეს“,* ***ირიდინე(ნ)*** *„შეიძლება მორიდება“,* ***იარსებინე(ნ)*** *„შეიძლება არსებობა“,* ***იბაზე(ნ)*** *„შეიძლება იცემოს“,* ***იბათილინე(ნ)*** *„შეიძლება გაბათილება“,* ***იბათქე(ნ)*** *„შეიძლება მაგრად იცემოს (ცემა)“,* ***იბაკე(ნ)*** *„შეიძლება ტკეპნა, მაგრად ცემა“,* ***იბანძღე(ნ)*** *„შეიძლება არევა, ხლართვა“,* ***იბანჭე(ნ)*** *„შეიძლება მაგრად (გამეტებით) იცემოს“,* ***იბაჟე(ნ)*** *„შეიძლება დაბაჟვა“,* ***იბარგე(ნ)*** *„შეიძლება გამარგვლა“,* ***იბარინე(ნ)*** *„შეიძლება დაბარება“,* ***იბარე(ნ)*** *„შეიძლება {და}ბარვა“...*

11. <u>პოტენციალისის ქვესტრუქტურა №50 **Prev.-ი-R-ე(ნ):**</u> ***{ე}იცოთინე(ნ)*** *„შეიძლება აგდება“,* ***ალეჩინე(ნ)*** *„შეიძლება რჩევის მიცემა“,* ***ალაჩინე(ნ)*** *„შეუძლია ურჩიოს“,* ***გეეგებე(ნ)//გიიგინე(ნ)*** *„შეიძლება გაგება“,* ***{მი}იბირძღინე(ნ)*** *„შეიძლება ჩამოკიდება“,* ***გიილინე(ნ)*** *„შეიძლება შემოვლება, გავლება წყლისა“,* ***გიიგინე(ნ)//გეეგებე(ნ)*** *„შეიძლება გაგება“,* ***გიიგონინე(ნ)*** *„შეიძლება გაგონება“,* ***გიიზარინე(ნ)*** *„შეიძლება გაცილება“,* ***გიინქირინე(ნ)*** *„შეიძლება განიქარვოს“,* ***გიირზინე(ნ)*** *„შეიძლება გაძლება“,* ***გიირიგინე(ნ)*** *„შეიძლება გარიგება“,* ***გიიკონე(ნ), გიიკონინე(ნ)*** *„შეიძლება დახრა“,* ***გიიტოულინე(ნ)*** *„შეიძლება დაიბას“,* ***{ე}ირენე(ნ)*** *„შეიძლება არევა“,* ***ეირთენე(ნ)*** *„შეიძლება გართობა“...*

12. <u>პოტენციალისის ქვესტრუქტურა №51 **ვა-R-ე(ნ):**</u> ამავე სტრუქტურისაა ერთპირიანი პოტენციალისების უარყოფითი ფორმები, რომლებიც იწარმოება ვარ უარყოფითი ნაწილაკის დართვით დართვით პოტენციალისის დადებით ფორმებზე (119, 623): ***ვაგგმამეტინე(ნ)*** *„არ გაემეტება“,* ***ვეგგმართე(ნ)*** *„არ გაესვლება“,* ***ვეპატიებე/უ(ნ)*** *„არ ეპატიება“,* ***ვაშვე(ნ)*** *„არ ესმევა“,* ***ვედიტინე(ნ)*** *„არ დაიტოვება“,* ***ვეღორებე(ნ)/ვეღორინე(ნ)*** *„მოიტყუება“,* ***ვამგკაქუნინე(ნ)*** *„არ ჩაეცმევა“,* ***ვაცხოვრინე(ნ)*** *„არ ეცხოვრება“,* ***ვაგარზინე(ნ)*** *„არ გაეძლება“,* ***ვაჭკომე(ნ)*** *„არ ეჭმევა“,* ***ვადახუნე(ნ)*** *„არ ეჯდომება“,* ***ვადეჯირინე(ნ)*** *„არ დაეჯერება“...*

უღლების თვალსაზრისით სტატიკური ზმნები მწკრივნაკლია. პოტენციალისის ფორმები, მართალია, ყველა მწკრივის ფორმას ვერ იწარმოებენ, მაგრამ, სტატიკურებთან შედარებით, უფრო სრულყოფილი პარადიგმა აქვთ:
აწმყო: ***იგრინჯე(ნ)*** *„შეიძლება მაგრად ცემა, დაბეგვა“*
წყვეტილი: ***იგრინჯუ*** *„შესაძლებელი გახდა დაბეგვა“*
I რეზულტატივი: ***გრინჯელ/რე(ნ)*** *„შესაძლებელი გამხდარა დაბეგვა“*

ამგვარად, მეორე დიათეზის სტატიკური ქვეჯგუფის ზმნათა მაერთიანებელი კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom.** ხოლო, ძირითადი სტრუქტურა: **R-უ/ე(ნ)**. პირის ნიშნები <u>ვინის რიგის მარკერებითაა</u> გამოხატული.

4.3. მეორე დიათეზის დინამიკური ქვეჯგუფი

მეორე დიათეზის დინამიკურ ქვეჯგუფში გაერთიანებულ ზმნათა კონსტრუქცია ისევ **nom-erg-nom-nom**-ია. ძირითადი სტრუქტურა – **R-[Th.s.]-უ(ნ).** თემატური სუფიქსი [Th.s.] ერთვის ზმნათა სრულ უმრავლესობას, თუმცა გვაქვს უთემისნიშნო სტრუქტურებიც. უთემისნიშნო სტრუქტურებში შედის **–დ** სუფიქსიანი ზმნებიც: აღსანიშნავია, რომ **-დ** სუფიქსი თემის ნიშნის რანგს იკავებს: **ჭითონ-დ-უ(ნ)** – **იჭითა//ორ-ებ-უ(ნ)** „წითლდება“. თუმცა, **-დ** სუფიქსიან ზმნათა ქვესტრუქტურასა და კონსტრუქციას შესაბამის პარაგრაფში განვიხილავთ.

ჩვენ შევეცადეთ, დავკვირვებოდით და გამოგვეყო მეორე დიათეზის **R-[Th.s.]-უ(ნ)** საერთო სტრუქტურის ქვეშ შემავალი ქვესტრუქტურები შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

1. აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინი, რომელიც ნეიტრალურია ასპექტის თვალსაზრისით, მაგრამ ცვლის ზმნის სემანტიკურ ნიუანსს;
2. პირთა საკორელაციო ხმოვანი პრეფიქსები;
3. ინტენსივობის **-დ** სუფიქსი;
4. მადინამიკურებელი „თემატური“ ნიშნები.
5. **–უ(ნ)** სუფიქსის წინ გამოვლენილი **–უ** სუფიქსი.

არც ერთი ქვესტრუქტურა არ გადის ძირითადი **R-Th.s.-უ(ნ)** სტრუქტურის გარეთ და არ იწვევს მის დესტრუქტურიზაციას. სტრუქტურის გარდა, ქვესტრუქტურათა გამაერთიანებელი ფუნქციისაა **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციაც და **ვ**ინის რიგის პირის ნიშნებით მარკირება.

გვარის **სემანტიკური** კატეგორიის მიხედვით, მეორე დიათეზის დინამიკურ ქვეჯგუფში გვარი სამი სემანტიკური ერთეული გამოიყოფა:

1. **ავტოაქტივი** (როდესაც სუბიექტის მიერ ჩადენილი აქტიური მოქმედება მოქმედი პირისკენ უკუიქცევა, მაგ., ***ტიბ-უ(ნ)*** *„თბება“,* ***ჭითონ-დ-უ(ნ)*** *„წითლდება“,* ***ი-დიდა/ორ-ებ-უ(ნ)*** *„დიდდება“.*
2. **აქტივი:** აქ შედის ნებისმიერი **R-[Th.s.]-უ(ნ)** სტრუქტურისა და **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციის მქონე ზმნა, რომელსაც სულიერი სუბიექტი აქვს. მაგ., ***ბოში იტყობუ(ნ)*** *„ბიჭი იმალება“.*

3. **პასივი:** როგორც მორფოლოგიური კატეგორია სალიტერატურო ქართულში აქტივის ოპოზიციურ ფორმათა აღწერითი წარმოებისაა: **„აშენებულ იქნა“, „წაღებულ იქნა“, „გაკეთებულ იქნა“** ტიპი მეგრულ მეტყველებაში შეზღუდულია, სავარაუდოდ, ამის მიზეზი ისაა, რომ ეს სტილი საქმიანი ქაღალდების, ოფიციალური დოკუმენტებისთვისა და სახელმძღვანელოებისთვისაა შექმნილი, რაც, პრაქტიკულად არ ხდება მეგრულად, რადგან მეგრული სოციოლინგვისტურად დიალექტია - დიალექტური მეტყველებაა და არ არის სტანდარტული, შესაბამისად, არ საქმისწაროებისა და ოფიციალური დოკუმენტების ენად არ განვითარდა. შესაძ ოა ცოტა ხელოვნურად, მაგრამ მაინც პასივი ორგანული წარმოების მაგალითებში მაინც არსებობს: **სემანტიკურ დონეზე, <u>გარკვეულ კონტექსტში</u>** უსულო სუბიექტიან **R-[Th.s.]-უ(ნ)** სტრუქტურისა და **nom-eg-nom-nom** კონსტრუქციის მქონე ზმნებში შესაძლებელია გვქონდეს პასივი; მაგ., **ჩანთა იჩულუაფუ(ნ) ძღაბშე „1. ჩანთა ინახება გოგონას მიერ; (როგორც ვიცით, ამ წინადადებას მეორე კონტექსტიც შეიძლება ჰქონდეს: (2). ჩანთას უმალავენ გოგონას“.**

ამგვარად, მეორე დიათეზის დინამიკურ ქვეჯგუფში სემანტიკურ დონეზე სამი ოპოზიციური ცალი გამოიყოფა: <u>ავტოაქტივები</u>, <u>აქტივები</u> და <u>პასივები</u> (იხ. ცხრ.4.4 (გვ.168)).

ცხრილი 4.4.

II დიათეზა			
სტატიკური	**დინამიკური**		
უგვარო	**ავტოაქტიური**	**აქტიური**	**პასიური**
	ჭითონდუ(ნ) „წითლდება“ **იდიდა/ორებუ(ნ)** „დიდდება (ი- პრეფიქსიანია მეგრულში) **ტიბუ(ნ)** „თბება“ ***ტიბუ ბები*** *„თბება ბებო“*	**ატყობუუ(ნ)** „ემალება“ ***ძღაბი ატყობუუ(ნ) დიდას „***ემალება გოგონა დედას“	***იბინუუ(ნ) ფოლაქი*** „იკვრება ღილი“ **იჩუალუაფუ(ნ) „იმალება“:** ***ჩანთა იჩუალუაფუ(ნ) ძღაბგ შე*** *„ჩანთა ინახება გოგონას მიერ*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე შრომის მიზანია, აღიწეროს მეგრული ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია დიათეზათა მორფოსინტაქსური კრიტერიუმებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კლასიფიკაცია ეყრდნობა ზმნის მორფოლოგიურად და სინტაქსურად გამოხატულ კატეგორიებს. აქვე შემოგვაქვს ზმნის პირიანობაც. პირიანობის მიხედვით, მეორე დიათეზის დინამიკური ქვეჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: **(1)**ერთპირიანი, ანუ ერთპირიანი ზმნები და **(2) ბრუნვაუცვლელ**ობიექტიანი ზმნები.

მეორე დიათეზის **სტატიკური**, **უგვარო**, **R-[Th.s.]-უ(ნ)** სტრუქტურისა და **nom-eg-nom** კონსტრუქციის მქონე ზმნები განვიხილეთ ზემოთ, **4.2.** პარაგრაფში.

4.3 პარაგრაფში მოკლედ მიმოვიხილეთ, თუ რა ტიპის ზმნები ერთიანდება **R-[Th.s.]-უ(ნ)** სტრუქტურისა და **nom-eg-nom** კონსტრუქციის მქონე ზმნათა დინამიკურ ქვეჯგუფში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოვყოფთ ორ ქვეჯგუფს: **(1)**ერთპირიანი, ანუ აბსოლუტური, ერთპირიანი ზმნები (იხ. პარაგრაფი **4.3.1.)** და **(2) ბრუნვაუცვლელ** ობიექტიანი ზმნები (იხ. პარაგრაფი **4.3.2)**.

პირველ ქვეჯგუფში – (1)ერთპირიანი, ანუ ერთპირიანი ზმნები (პარაგრაფი 4.3.1.) შეიძლება გვქონდეს მხოლოდ **ავტოაქტიური** ან **პასიური** გვარის ზმნები. მათი გარჩევა მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი.

გვარის შესახებ მხოლოდ სემანტიკურ დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ: შესაბამისად, გამოიყოფა სამი სემანტიკური ერთეული:

<u>**ავტოაქტივი:**</u> **ერთპირიანი**, ერთპირიანი ზმნები, თუ მათი მოქმედება ინტროვერტიზებულია, გვარის მიხედვით ავტოაქტიურია, რადგან სუბიექტის მიერ შესრულებული მოქმედება უშუალოდ უბრუნდება/ეხება მოქმედების ჩამდენს. სტრუქტურული თვალსაზრისით ავტოაქტივთა ძირითადი სტრუქტურებია: ერთპირიანი (1)***ტიბუ(ნ)*** *„თბება“* ტიპის, (2)აბსოლუტური **ი-პრეფიქსიანი** (მაგ., ***ი-შხამინ-უ(ნ)*** „იშხამება“) და ერთპირიანი **–დ** სუფიქსიანი ტიპი (მაგ., ***ჭითონ-დ-უ(ნ)*** *„წითლდება“).* შეიძლება გართულდეს ზმნისწინითა და სხვადასხვა სუფიქსით.

<u>**პასიური შინაარსი გამოიხატება**</u> მხოლოდ „მიერ“ ტიპის კონსტრუქციაში, უმრავლეს შემთხვევაში მაშინ, როცა ზმნით გამოხატული პირი უსულოა; თუმცა გვაქვს სულიერი სუბექტის მქონე ზმნათა პასივად გაგების შემთხვევებიც: ***ფულაქ იბინუ ძღაბგშე „****იბნევა ღილი გოგონას მიერ“ შდრ.:* ***მუჭო(თ) ვოტყუქუნ, ასე თე ბაღანა გილახუ მიდგარენგშე*** *„როგორც ვატყობ, ახლა ეს ბავშვი*

იცემება ვიღაცისგან/მიერ“ ან: ***ვოტყუქ, ასე თე ბაღანა დიგვაგუ(ნ)//დიბეზუ(ნ) დიდაშე*** *„ვატყობ, ახლა ეს ბავშვი იცემება დედისგან/ მიერ“.*

<u>აქტივი:</u> **ბრუნვაუცვლელობიექტიან,** ორპირიან ზმნათა შემთხვევაში ზმნა სემანტიკურად **აქტივია:** მოქმედება გადადის ზმნაში ჩართულ ბრუნვაუცვლელ ობიექტზე., მაგ., ***აბურცუუ(ნ)*** *თინა* ***თის ქჩრიცალო*** *„ეძგერა ის მას ქორივით“,* ***აჩხიჩხუუ(ნ)*** *თინა* ***თის*** *„ეჯახება ის* ***მას*** *(საჩხუბრად)“.*

გამომდინარე იქიდან, რომ გვარი მეგრულ (resp. ქართველურ) ქვესისტემაში სემანტიკური კატეგორიაა და იგი მორფოლოგიურად არარელევანტურია, ჩვენ მას მორფოლოგიაში არ განვიხილავთ. II დიათეზის დინამიკური ქვეჯგუფში 2 ქვეჯგუფს - საოპოზიციო ცალებს გამოვყოფთ ბრუნვაუცვლელი ობიექტის ქონა-არქონის მიხედვით, იმ განსხვავებით, რომ პირველი დიათეზის ქვეჯგუფებს შორის ოპოზიციას ქმნიდა ბრუნვაცვალებადი ობიექტის ქონა-არქონა.

მივყვეთ თანმიმდევრობით და განვიხილოთ მეორე დიათეზის დინამიკური ქვეჯგუფის ზმნათა ქვესტრუქტურები. კონსტრუქცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველასთვის ერთია: პირველ სერიაში – ნომინატიური, მეორე სერიაში - ერგატიული, მესამე სერიაში – დატიური (**nom-erg-nom-nom).**

4.3.1. ერთპირიანი კონსტრუქცია
გვარი: ავტოაქტივი, პასივი

განვიხილოთ მეორე დიათეზის დინამიკური ქვეჯგუფის ერთპირიანი, (აბსოლუტური) ზმნების კონსტრუქცია და ქვესტრუქტურული ჯგუფები. მეორე დიათეზის ყველა ზმნას ერთი კონსტრუქცია აქვს: **nom-erg-nom-nom**; მაგ., ***ტიბუ(ნ) კოჩი***$_{nom}$ *–* ***გოტიბუ კოჩიქ***$_{erg}$ *–* ***გოტიბაფელე კოჩი***$_{nom}$ *(„თბება კაცი*$_{nom}$ *– გათბა კაცმა*$_{erg}$ *– გამთბარა კაცი“*$_{nom}$*).* ქვესტრუქტურულად კი საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი იხატება აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინის, ხმოვანი პრეფიქსების, **-დ** სუფიქსის, **-უ** სუფიქსისა და თემის ნიშნების მიხედვით. მივყვეთ თანმიმდევრულად და განვიხილოთ თითოეული ქვესტრუქტურულ ჯგუფში შემავალი ზმნები და მათი უღლების პარადიგმა.

მეორე დიათეზის ერთპირიანი, ანუ აბსოლუტურ ზმნებში აშკარად დაჩნდება მოქმედების უკუქცევითობის (ინტროვერტიზაციის) სემანტიკა, ამიტომ, სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ავტოაქტივებს უწოდებენ (67).

4.3.1.1. ერთპირიანი R-უ(ნ) ქვესტრუქტურა №52

სალიტერატურო ქართულის **R-ებ-ი** „ვ-თბ-ებ-ი/თბება“ ტიპის ავტოაქტივების შესატყვისი ზმნები მეგრულში **R-უ(ნ)** (***ტიბუ(ნ)*** *„თბება“*) სტრუქტურისაა. მათი რაოდენობა შეზღუდულია: ***დირკუ(ნ)*** *„დრკება“,* ***ზღირტუ(ნ)*** *„სხლტება“,* ***(ნ)დღულუ(ნ)*** *„დნება“,* ***ჟღირუ(ნ)*** *„ჭკნება“,* ***სქიდუ(ნ)*** *„რჩება“,* ***ტირხუ(ნ)*** *„ტყდება”,* ***ცორდუ(ნ)*** *„ლპება, ყროლდება“,* ***შქირტუ(ნ)*** *„შრტება“,* ***წირდუ(ნ)*** *„წმდება“,* ***ჭყორდუ(ნ)*** *„წყდება“,* ***ხორცქუ(ნ)*** *„სკდება“,* ***ხომუ(ნ)*** *“ხმება”...*

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონკრეტულ ფორმას სალიტერატურო ქართულში **R-ებ-ი** ფორმა შეესაბამება, მეგრულში კი **R-Ø** სტრუქტურით გვხვდება, *მაგ.,* ***სხაპ-უნ-ს*** *„**ხტის,** ცეკვავს“.* ო. ქაჯაიას ლექსიკონშიც ორივე სტრუქტურის ფორმა აქვს მითითებული (ხტი**ს**/ხტ**ება**): ***„სხაპუნს (ქოსხაპუ*** *„იცეკვა, გადახტა“;* ***ქუუსხაპუ*** *„უცეკვია, გადამხტარა“;* ***ნოსხაპუე(ნ)*** *„ცეკვავდა, ხტოდა თურმე“) გრდუვ., ცეკვავს,* ***ხტის (ხტება)“ (ქაჯაია ო., 2001-2004, ლემა სხაპუა, №19710).***

ტიბუ(ნ) ტიპის ზმნები სემანტიკურად რეფლექსივებია, ანუ ავტოაქტიური გვარის ზმნებია აღნიშნულ ზმნებს ინტროვერტულობისთვის დამახასიათებელი მარკერი - **ი-** პრეფიქსი არ აქვთ არც მეგრულში და არც სხვა ქართველურ ქვესისტემებში; ისინი სემანტიკურად სალიტერატურო ქართულის „***თბება***“ ტიპის ზმნათა შესატყვისებია და არქაულ ქართველურ ფენას განეკუთვნებიან. არნ. ჩიქობავა მათ ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნებად მიიჩნევს (მაგრამ თანამედროვე ქართულში „უნიშნო ვნებითთა“ ჯგუფში ათავსებს. საინტერესოა ამ ზნათა მიმდეობათა შეპირისპირება: სალიტერატურო ქართულში ***თბება*** ტიპის ზმნათა მიმდეობა სასუბიექტო **მ-** პრეფიქსითაა მარკირებული (***გამთბარი, გამშრალი...***), საპირპიროდ ამისა, მეგრულში გვაქვს ***გოტიბაფილი*** *„გათბობილი“,* ***გოსქირაფილი*** *„გამშრალი“* ისევე, როგორც აჭარულში: ***„გათბობილი“, „გაშრობილი“...***

უსულო სუბიექტისა და ან **მიერ/-გან** თანდებულიან კონსტრუქციაში დასაშვებია პასივის გაგებაც. შინაარსობლივად, ამ ტიპის ზმნები ერთპირიანი ზმნები „მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ. მათი სუბიექტი თვითმოქმედია, თვითმოძრავია, მისი მოქმედება უკუმიმართებისაა, უკუქცევითია“ (67,62-63).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სალიტერატურო ქართულის „თბება“ ტიპის ზმნათა ნაწილი მეგრულში შეიძლება აწმყოშივე ზმნისწინით შეგვხვდეს: ***გოთგმოლუ(ნ)*** *„კრთება“,* ***(გო)ჩირთუ(ნ)*** *ცდება...*

R-უ(ნ) სტრუქტურის ზმნები რომ რეფლექსივებია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ რამდენიმე მათგანი სწორედ **ი-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი აწმყოშივე: ***ი-რტუაფუ(ნ)*** „ლბება“, ***ი-სუსტებუ(ნ)*** *(სოფ. ქვემო ქვალონის მეტყველებაში) „ხდება, სუსტდება“...* ***ტიბუ(ნ)*** *„თბება”* ზმნაც დაირთავს ი- თავსართს, ოღონდ არა აწმყოში, არამედ მყოფადში: ***ტიბუ(ნ) – იტიბუაფუ(ნ)*** *„თბება“ - „გათბება“;* **იტიბუაფუ** „გათბება“ ფორმა დავადასტირეთ საველე პრაქტიკის დროს ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონში; ***ტიბუ(ნ)*** *„თბება”* ზმნის მყოფადის აღნიშნული ფორმა არ გვხვდება ოთარ ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“. უღლების პარადიგმა რეგულარულია:

I სერია

აწმყოს ჯგუფი			
აწმყო	**უწყვეტელი**	**აწმყოს კავშ.**	**აწმყოს პირობითი**
პტიბ-უ-ქ /-თ “ვთბები” ტიბ-უ-ქ /-თ “თბები” ტიბ-უ(ნ) /-ა(ნ) “თბება”	პტიბ-უ-დ-ი /-თ “ვთბებოდი” ტიბ-უ-დ-ი /-თ “თბებოდი” ტიბ-უ-დ-უ /-ეს “თბებოდა”	პტიბ-უ-დ-ა/-ე /-ათ “ვთბებოდე” ტიბ-უ-დ-ა/-ე /-ათ “თბებოდე” ტიბ-უ-დ-ა-ს /-ან “თბებოდეს”	პტიბ-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ ვთბებოდე” ტიბუ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ თბებოდე” ტიბ-უ-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო “რომ თბებოდეს”
მყოფადის ჯგუფი			
მყოფადი	**მყოფადის ხოლმ.**	**მყოფადის კავშ.**	**მყოფადის პირობითი**
გოვტიბუქ /თ “გავთბები” გოტიბუქ /თ “გათბები” გოტიბუ(ნ) /-ა(ნ) “გათბება”	გოპტიბ-უ-დ-ი /-თ “გავთბებოდი” გოტიბ-უ-დ-ი /-თ “გათბებოდი” გოტიბ-უ-დ-უ /-ეს “გათბებოდა”	გოპტიბ-უ-დ-ა/-ე /-ათ “გავთბებოდე” გოტიბ-უ-დ-ა/-ე /-ათ “გათბებოდე” გოტიბ-უ-დ-ა-ს /-ან “გათბებოდეს”	გოპტიბ-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ გავთბებოდე” გოტიბუ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ გათბებოდე” გოტიბ-უ-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო “რომ გათბებოდეს”

II სერია	**II კავშირებითი**	**II პირობითი**
წყვეტილი გოპტიბ-ი/ /–თ “გავთბი” გოტიბ-ი /-თ “გათბი” გოტიბ-უ /-ეს “გათბა”	გოპტიბ-ა/-ე /-თ “გავთბეთ” გოტიბ-ა/-ე /-თ “გათბე” გოტიბ-ა-ს /-ას “გათბეს”	გოპტიბ-ი-კო /-თ-ი-კო “რომ გავთბარიყავ” გოტიბიკო /-თ-ი-კო “რომ გამთბარიყავ” გოტიბუკო /-ეს-ი-კო “რომ გამთბარიყო”

III სერია

I თურმეობითი	II თურმეობითი	III კავშირებითი	III პირობითი
გოპტიბაფ-ელ/რე-ქ /-თ "გავმთბარვარ" გოტიბაფ-ელ/რე-ქ /-თ "გამთბარხარ" გოტიბაფ-ელ/რე-(ნ) /-თ "გამთბარა"	გოპტიბაფ-ელ/რე-დ-ი /-თ "გავმთბარიყავ" გოტიბაფ-ელ/რე-დ-ი /-თ "გამთბარიყავ" გოტიბაფ-ელ/რე-დ-უ /-თ "გამთბარიყო"	გოპტიბაფ-ელ/რე-დ-ა /-თ-(ი)-კო "გავმთბარიყო" გოტიბაფ-ელ/რე-დ-ა /-თ-(ი)-კო "გამთბარიყო" გოტიბაფ-ელ/რე-დ-ა-ს /-ეს-(ი)კო "გამთბარიყოს	გოპტიბაფ-ელ/რე-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო "რომ გავმთბარიყავ" გოტიბაფ-ელ/რე-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო "რომ გამთბარიყავ" გოტიბაფ-ელ/რე-დ-უ-კო /-ეს-(ი)კო "რომ გამთბარიყო"

IV სერია

III თურმეობითი	IV თურმეობითი	IV კავშირებითი	IV პირობითი
გონოპტიბაფ-უ-ე-ქ /-თ "გავთბები თურმე" გონოტიბაფ-უ-ე-ქ /-თ "გათბები თურმე" გონოტიბაფ-უ-ე(ნ) /-ა(ნ) "გათბება თურმე"	გონოპტიბაფ-უ-ე-დ-ი /-თ "გავთბებოდი თურმე" გონოტიბაფ-უ-ე-დ-ი /-თ "გათბებოდი თურმე" გონოტიბაფ-უ-ე-დ-უ /-ეს "გათბებოდა თურმე"	გონოპტიბაფ-უ-ე-დ-ა/-ე /-თ "რომ გავთბებოდე თურმე" გონოტიბაფ-უ-ე-დ-ა/-ე /-თ "რომ გათბებოდე თურმე" გონოტიბაფ-უ-ე-დ-ა-ს /-ან "რომ გათბებოდეს თურმე"	გონოპტიბაფ-უ-ე-დ-იკო /-თ-(ი)-კო "რომ გავმთბარიყავ თურმე" გონოტიბაფ-უ-ე-დ-ი-კო //-თ-(ი)-კო "რომ გამთბარიყავ თურმე" გონოტიბაფ-უ-ე-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო "რომ გამთბარიყო თურმე"

4.3.1.2. ერთპირიანი prev-R-უ(ნ) ქვესტრუქტურა №53

წინა პარადიგმის (ერთპირიანი **R-უ(ნ)** ქვესტრუქტურის) ზმნებისგან ამ ზმნებს მხოლოდ **სტრუქტურული თვალსაზრისით** ზმნისწინი განასხვავებს. ზმნისწინი, როგორც წესი, დაცლილია სრული ასპექტის გაგებისაგან და მოქმედების მიმართულებისა და გეზის დამაზუსტებელია.

სემანტიკურ დონეზე, გვარის მიხედვით ეს ზმნები შესაძლოა იყვნენ ავტოაქტივები ან პასივები, ამას მხოლოდ კონტექსტი განარჩევს.

უღლების თვალსაზრისით ისევე იუღვლიან, როგორც მათი უზმნისწინო ვარიანტები ***ტიბუ(ნ)*** *„თბება“ ტიპისა.*

ზმნისწინიანი ქვესტრუქტურა გაცილებით უფრო პროდუქტიული აღმოჩნდა უზმისწინოსთან შედარებით: ***ალგმალუ(ნ)*** *„(ჩამო)ვარდება“,* ***ალგმაჩანუ(ნ)*** *„ეჩრება“,* ***აშგმალუ(ნ)*** *„ვარდება“,* ***აშგმანდღულუ(ნ)*** *„(შემო)დნება“,* ***აშგმადოხოდუ(ნ)*** *„ჯდება“,* ***გინგმოლუ(ნ)*** *„ვარდება“,* ***გინგმოსქიდუ(ნ)*** *„გადარჩება“,* ***გიშგმალუ(ნ)****-გამოვარდება,*

*(გიშა)ღურუ(ნ) „1.მოკვდება; 2.გადატ., შერცხვება, წახდება (კოცგ გეიშაღურიო? -- შერცხვი (მოკვდი) კაცებს შორის?)“, , **გოდირთუ(ნ)** „(და)დგება (გოდირთუ ჭვიმაქ დადგა წვიმები)“, **გოლუ(ნ)** „1.ვარდება (გოლ ხონარქ: მ. ხუბ., გვ. 14 -- გავარდა ხმა)2. შეკრთება (გაალგ ცირაში დიდაქგ: ი. ყიფშ., გვ. 64 -- შეკრთა გოგოს დედა); 3.გაძვრება (ორტყაფუქ გოლგ -- სარტყელი გაძვრა)“ (მაგალითი მოყვანილია ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან), **გეგგმანთხუუ(ნ)** „ჩამოვარდება“, **გარზუ{უ}(ნ)** „გაძლებს“...*

მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით, **Prev-R-უ(ნ)** ყალიბის ფორმები ზედმიწევნით მიჰყვება ამავე პარადიგმის უპრევერბო ქვესტრუქტურის ზმნათა პარადიგმას.

4.3.1.3. ერთპირიანი ი-R-უ(ნ) ქვესტრუქტურა №54

ერთპირიანი ი-R-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნები ერთპირიანია. იმის მიხედვით კი, სუბიექტი სულიერია თუ უსულო, სემანტიკურ დონეზე ზმნა შეიძლება იყოს ავტოაქტიური ან პასიური. მაგ., ***თე ოდიარე ჯგირო იბუცხუ(ნ)*** *„ეს ბალახი კარგად* ***იფოცხება”*** *(ავტოაქტივია)* შდრ.: ***ოდიარე იბუცხუ(ნ) კოჩიშ ხეთ*** *„ბალახი იფოცხება კაცის მიერ/”ხელით”* (ზმნა პასიური შინაარსისაა); შესავალშიც ვთქვით და აქაც აღვნიშნავთ, რომ გვარი ავტოაქტიური იქნება თუ პასიური, ამაზე საუბარი მხოლოდ სემანტიკურ ჭრილშია შესაძლებელი. მაგალითები: ***იბუცხუ(ნ)*** *„იფოცხება“,* ***იბუ(რ)ძგუ(ნ)*** *„იბურძგნება“* და მსგავს ზმნებს უსულო სუბიექტი შეეწყობა, გვარის სემანტიკურ კატეგორიას მხოლოდ კონტექსტუალურად თუ გავარჩევთ: უსულო სუბიექტი შეეწყობა, რაც იმას ნიშნავს, რომ პასივია; ხოლო შემდეგი ზმნები: ***იზაკუ(ნ)*** *„იმზაკვრება“,* ***იზანგუ(ნ)*** *„იზანგება“,* ***იზეთუ(ნ)*** *„იზეთება“,* ***ითენთუ(ნ)*** *„ითენთება“* რეფლექსივებია. მათი მოქმედება ინტროვერტიზებულია, შესაბამისად, გვარის სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში ისინი ავტოაქტივებია. მორფოსინტაქსურ დონეზე კი მხოლოდ მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური (**nom-erg-nom-nom**) კონსტრუქციის აღწერა შეგვიძლია, რადგან მორფოსინტაქსური მარკერები

განსხვავებით გვარის კატეგორიისგან, კარგადაა დაპირისპირებული. შესაბამისად, გვარს ვერ განვიხლავთ ზმნის მორფოსინტაქსში.

ამავე სტრუქტურულ პარადიგმაში შემოდის სამეცნიერო ლიტერატურაში სემანტიკური ნიშნით გამოყოფილ ფორმათა ჯგუფი - ე.წ. „დეპონენსები“. ჩვენ მათ **სემანტიკურ დონეზე ავტოაქტივებად/რეფლექსივებად** განვიხილავთ, **მოფოსინტაქსურ დონეზე** კი ისინი **R-უ(ნ)** მორფოლოგიური სტრუქტურისა და **nom-erg-nom-nom** სინტაქსური კონსტრუქციის მქონე ზმნებია, რომელთაც, საერთო წესისამებრ, აწმყოშივე **ი-** პრეფიქსიანი ქვესტრუქტურა აქვთ და ავტოაქტიურ მოქმედებას გამოხატავენ. ***ილანძღუ(ნ)*** *„ილანძღება“,* ***იჩოქუ(ნ)*** *„იჩოქება“* ***იშხამ(ინ)უ(ნ)*** *„იშხამება“,* ***ილაჭუ(ნ)*** *„იკრიჭება“,* ***ილვანჭკუ(ნ)*** *„ილეჭება“,* ***ილარღუ(ნ)*** *„ილერღება“,* ***ინკორუ(ნ)*** *„იცოხნება“,* ***იზინდუ(ნ)*** *„იზიდება“,* ***იკიროკუ(ნ)*** *„იკლაკნება“,* ***იკრუნჩხუ(ნ)*** *„იკრუნჩხება“,* ***იცუცუ(ნ)*** *„იკუზება, იყუნცება“ ...*

ზნური წარმოშობის ფორმებთან ერთად (მაგ., ***ი-ჭარ-უ(ნ)*** *„იწერება“),* საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ნასახელარი ზმნები, რომელთაგან ზოგი, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ზმნათა უმრავლესობას უსულო სუბიექტი შეეწყობა, ამიტომ, სემანტიკურ ჭრილში, ისინი შეიძლება პასიური ან ავტოაქტიური შინაარსისანი იყვნენ:

ჭყიში *„მწყემსი“ -* ***იჭყიშუ(ნ)*** *„იმწყემსება“*

სანთელი - ისანთელუ(ნ) *„ისანთლება“*

ბომბი - იბომბუ(ნ) *„იბომბება“*

ნირსი - ინირსუ(ნ) *„ინისლება“*

ქურსი - იქურსუ(ნ) *„იქუსლება“*

ღაღაჩი – იღაბაჩუ(ნ) *„უთავბოლოდ ლაქლაქებს”*

შხამი - იშხამ(ინ)უ(ნ) *„იშხამება“ და სხვ.*

მხოლოდ კონტექსტი განსაზღვრავს ავტოაქტიურობასა და პასიურობას: სულიერი სუბიექტის შეწყობის შემთხვევაში, როგორც წესი, ერთ შემთხვევაში პასიური შინაარსი შესაძლოა ავტოაქტივით შეიცვალოს; მაგ., **(1)*უჩა ულუ მორჩეთ იღაფუუ(ნ)*** *„შავი ულელი მოთეთროდ იღებება“, მაგრამ: (2)**ირ დღას იღაფუუ(ნ) თე ძღაბი*** *„ყოველდღე იღებება ეს გოგო“*, პირველ შემთხვევაში ზმნა პასივიური შინაარსისაა, მეორეში – აქტიური.

უმრავლესობა კი ამ პარადიგმის ავტოაქტივებისა ზმნური ძირებიდან არის ნაწარმოები; მაგ., ***იკვათუ(ნ)*** *„იჩეხება” (მაგ., დიშკა იკვათუ(ნ)),* ***იკვანწუ(ნ)***

„იკვანწება“, ***იკვანწუ(ნ)*** *„ირწევა“,* ***იკვარჩხუ(ნ)*** *„იჭმუხნება“,* ***იკიდუ(ნ)*** *„იტიხრება“,* ***იკილუ(ნ)*** *„იკეტება, იხურება“,* ***იკირუ(ნ)*** *„იკვრება (შე, გა)“...*

უღლების პარადიგმის თვალსაზრისით, მწკრივთა წარმოება რეგულარულია, **უღლების ნიმუში:**

I სერია

აწმყოს ჯგუფი			
აწმყო	**უწყვეტელი**	**აწმყოს კავშ.**	**აწმყოს პირობითი**
ვილოლ-(უ)-უ-ქ /-თ “ვიმჭვარტლები” ილოლ-(უ)-უ-ქ /-თ “იმჭვარტლები” ილოლ-(უ)-უ-(ნ) /-ა(ნ) “იმჭვარტლება”	ვილოლ-(უ)-უ-დ-ი /-თ “ვიმჭვარტლებოდი” ილოლ-(უ)-უ-დ-ი /-თ “იმჭვარტლებოდი” ილოლ-(უ)-უ-დ-უ /-ეს “იმჭვარლებოდა”	ვილოლ-(უ)-უ-დ-ა/-ე /-ათ “ვიმჭვარტლებოდე” ილოლ-(უ)-უ-დ-ა/-ე /-ათ “იმჭვარტლებოდე” ილოლ-(უ)-უ-დ-ა-ს /-ან “იმჭვარტლებოდეს”	ვილოლ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ ვიმჭვარტლებოდე” ილოლ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ იმჭვარტლებოდე” ილოლ-(უ)-უ-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო “რომ იმჭვარტლებოდეს”
მყოფადის ჯგუფი			
მყოფადი	**მყოფადის ხოლმ.**	**მყოფადის კავშ.**	**მყოფადის პირობითი**
გივლოლ-(უ)-უ-ქ /-თ “გავიმჭვარტლები” გილოლ-(უ)-უ-ქ /-თ “გაიმჭვარტლები” გილოლ-(უ)-უ(ნ) /-ა(ნ) “გაიმჭვარტლება”	გივლოლ-(უ)-უ-დ-ი /-თ “გავიმჭვარტლებოდი” გილოლ-(უ)-უ-დ-ი /-თ “გაიმჭვარტლებოდი” გილოლ-(უ)-უ-დ-უ “გაიმჭვარტლებოდა”	გივლოლ-(უ)-უ-დ-ა/-ე /-ათ “გავიმჭვარტლებოდე” გილოლ-(უ)-უ-დ-ა/-ე /-ათ “გაიმჭვარტლებოდე” გილოლ-(უ)-უ-დ-ა-ს /-ან “გაიმჭვარტლებოდეს”	გივლოლ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ გავიმჭვარტლებოდე” გილოლ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ გაიმჭვარტლებოდე” გილოლ-(უ)-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო “რომ გაიმჭვარტლებოდეს”

II სერია

წყვეტილი	**II კავშირებითი**	**II პირობითი**
გივლოლ-ი/-თ “გავიმჭვარტლე”	გივლოლ-ა/-ე /-ათ “გავიმჭვარტლო”	გივლოლ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ გავმჭვარტლულიყავ”
გილოლ-ი /-თ “გაიმჭვარტლე”	გილოლ-ა/-ე /-ათ “გაიმჭვარტლო”	გილოლ-ი-კო /-თ-(ი)-კო “რომ გამჭვარტლულიყავ”
გილოლ-უ /-ეს “გაიმჭვარტლა”	გილოლ-ა-ს /-ან “გაიმჭვარტლოს”	გილოლ-უ-კო /-ეს(ი)-კო “რომ გამჭვარტლულიყო”

III სერია

I თურმეობითი	**II თურმეობითი**	**III კავშირებითი**	**III პირობითი**
გოვლოლ-ე-{რე}-(ქ) /-{ლე}-თ “გავბოლილვარ” გოლოლ-ე-{რე}-(ქ) /-{ლე}-თ “გაბოლილხარ” გოლოლ-ე-{რე}-(ნ) /-{რე}-ნ-ა(ნ) “გაბოლილა”	გოვლოლ-ე-რე-დ-ი /-რე-დ-ი-თ “გავბოლილიყავ” გოლოლ-ე-რე-დ-ი /-რე-დ-ი-თ “გაბოლილიყავ” გოლოლ-ე-რე-დ-უ /-რე-დ-ეს “გაბოლილიყო”	გოვლოლ-ე-რე-დ-ა/-ე /-რე-დ-ა-თ “გავბოლილიყო” გოლოლ-ე-რე-დ-ა/-ე /-რე-დ-ა-თ “გაბოლილიყო” გოლოლ-ე-რე-დ-ა-ს /-ან “გაბოლილიყოს”	გოვლოლ-ე-რე-დ-ი-კო /-რე-დ-ი-თ-(ი)-კო “რომ გავბოლილიყავ” გოლოლ-ე-რე-დ-ი-კო /-რ-ედ-ი-თ-(ი)-კო “რომ გაბოლილიყავ” გოლოლ-ე-რე-დ-უ-კო -ეს-(ი)-კო “რომ გავბოლილიყო”

IV სერია

III თურმეობითი	**IV თურმეობითი**	**IV კავშირებითი**	**IV პირობითი**
ნოვლოლებ-უ-ე-ქ /-თ “გავიბოლებოდი თურმე” ნოლოლებ-უ-ე-ქ /-თ “გაიბოლებოდი თურმე” ნოლოლებ-უ-ე(ნ) /-ან “გაიბოლებოდა თურმე”	ნოვლოლებ-უ-ე-დ-ი /-თ “გავიბოლებოდი თურმე” ნოლოლებ-უ-ე-დ-ი /-თ “გაიბოლებოდი თურმე” ნოლოლებ-უ-ე-დ-უ /-ეს “გავიბოლებოდი თურმე”	ნოვლოლებ-უ-ე-დ-ა/-ე /-თ “(რომ) გავიბოლებოდე თურმე” ნოლოლებ-უ-ე-დ-ა/-ე /-თ “(რომ) გაიბოლებოდე თურმე” ნოლოლებ-უ-ე-დ-ა-ს /-ან “(რომ) გაიბოლებოდესთურმე”	ნოვლოლებ-უ-ე-დ-ი-კო /-ი-თ-(ი)-კო “რომ გავბოლილიყავ თურმე” ნოლოლებ-უ-ე-დ-ი-კო /-ი-თ-(ი)-კო “რომ გაბოლილიყავ თურმე” ნოლოლებ-უ-ე-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო “რომ გაბოლილიყო თურმე”

ამავე ქვესტრუქტურის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს ერთპირიანი **ი-R-უ-უ(ნ)** ქვესტრუქტურა:

ეს ყალიბი არა მხოლოდ საკუთრივ მეგრული, არამედ სალიტერატურო ენიდან ნასესხები ზმნური ფორმებისთვისაც აქტიურად გამოიყენება. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები ამოწერილია როგორც ტექსტებიდან, ლექსიკონებიდან, ასევე ჩვენ მიერ სოფ. ქვემო ქვალონში დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს ჩაწერილი ზეპირი მასალიდან. სწორედ ამ ჩანაწერებმა აჩვენა, რომ საკუთრივ მეგრული ფორმების გარდა, **ი-R-უ-უ(ნ)** ყალიბი გამოიყენება მრავალი არამეგრული ზმნური ძირისთვის. რადგან ეს ფორმები დავადასტურეთ მეტყველებაში, ვფიქრობთ, ისინი უკვე მეგრული მეტყველების ფაქტებია: კონკრეტული მოსაუბრე პირი, შესაძლოა ინდივიდუალიზმების დონეზეც კი, ენის ამ კონკრეტულ კოდს იყენებს საკუთარი აზრის გამოსახატავად. ამ მაგალითებსაც წარმოვადგენთ ჩვენს ნაშრომში, რადგან, ვფიქრობთ, საინტერესოა როგორც ლინგვისტური, ისე სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც.

ი-R-უ-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნებს **ი-** პრეფიქსი მყოფად-წყვეტილის ჯგუფებშიც გადაჰვებათ, მყოფადის მწკრივსა და სრულ ასპექტს ზმნისწინის დართვითა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის საშუალებით აწარმოებენ, სწორედ აქ მიმდინარეობს მთელი რიგი ფონეტიკური პროცესები, ამიტომ ზოგჯერ ძალიან რთულდება ხმოვანპრეფიქსისა და ზმნისწინის სეგმენტაცია.

სემანტიკურად, ამ ზმნათა უმრავლესობა ავტოაქტიური შინაარსისაა, მაგრამ კონკრეტულ კონტექსტში შესაძლოა დაჩნდეს პასივის გაგებაც. როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, აბსოლუტურ ზმნებში ავტოაქტივი-პასივის სემანტიკური ოპოზიცია მთლიანად კონტექსტზეა დამოკიდებული. ამ ზმნებში სპორადულად გამოვლენილი **ი-** პრეფიქსი მოქმედების ინტროვერტულობაზე მიუთითებს:

იბაგუუ(ნ) *„იბრიგება, იბეგვება“,* ***იბათქუუ(ნ)*** *„მაგრად იცემება“,* ***იბაკუუ(ნ)*** *„იტკეპნება“,* ***იბამბუუ(ნ)*** *„იბამბება“,* ***იბანდუუ(ნ)*** *„იბლანდება“,* ***იბანძღუუ(ნ)*** *„იხლართება“,* ***იბანჭუუ(ნ)*** *„იცემება, ნაცემი ხდება“,* ***იბაჟუუ(ნ)*** *„იბაჟება* *იბარგუუ(ნ) 1)„იმარგლება“ 2)„ბანაკდება“,* ***იბარდუუ(ნ)*** *„იბურდება“,* ***იბარუუ(ნ)*** *„იბარება“,* ***იბარჯუ{უ}(ნ)*** *„ირევა, იწეწება“,* ***იბარჯღუ{უ}(ნ)*** *„ჭრელდება“,* ***იბაღუ{უ}(ნ)*** *„ნიავდება“,* ***იბეზუ{უ}(ნ)*** *„იცემება“,* ***იბეთქუუ(ნ)*** *„იბეთქება“,*

იბექუ{უ}(ნ) „ბაქიაობს“, იბეშტუუ(ნ)/იბეჭდუუ(ნ) „იბეჭდება“, იბეჭუ{უ}(ნ) „იწვნება“, იბზადებუუ(ნ) „მზადდება“, იბინებუუ(ნ) „ბინავდება“, იბინუუ(ნ) „იკვრება, იბნევა (ღილი) “, იბისკონუ{უ}(ნ) „იჩქმიტება“, იბიძგუუ(ნ) 1. „იჩხირება“, 2. „იბურძგნება“, იბოგუ{უ}(ნ) „ხიდი იდება“, იბონდუ{უ}(ნ) „იწვნება“, იბონდღუუ(ნ) „იქსელება, ქსელი იბმება“, იბონუუ(ნ) „იბანება“, იბორკუ{უ}(ნ) „იბორკება“, იბრანგუუ(ნ) „თვრება“, იბუმუ{უ}(ნ) „ისხმება“, იბურიცხუუ(ნ) „იბღუნძება, იკრუნჩხება“, იბურდუუ(ნ) „იბურდება“, იბურდღონუუ(ნ) „იბდღვნება“, იბურუუ(ნ) „იბურება, იფარება“, იბურღუუ(ნ) „იბურღება“, იბუ ცხუუ(ნ) „იფოცხება“, იბუქუ{უ}(ნ) „ბუქდება“, იგირდონუუ(ნ) „იგლიჯება“, იგიროხუუ(ნ) „იგრიხება“, იგირჯონუუ(ნ) „იგლიჯება, ტყავდება“, იგარგატუუ(ნ) „იხვევა“, იგერგელუ{უ}(ნ) „იგორავებს, გორაობს“, იგვაგუუ(ნ) „იცემება, იბეგვება“, იგვამუუ(ნ) „ნაგვიანდება“, იგვანუუ(ნ) „სუქდება“, იგვარგვაზუუ(ნ) „კოშტდება, კოშტად იკვრება“, იგიბუუ(ნ)/იგგბუუ(ნ) „იხარშება, იცემება მათრახით“, იგილოსუუ(ნ) „იგლისება“, იგი/გმუუ(ნ) „იმკება“, იგორუუ(ნ) „იძებნება“, იგორგოლუუ(ნ) „იგორებს“, იკურსუუ(ნ) „ჩუმდება, იყურსება“, იგრინჯუუ(ნ) „იბეგვება“, იგუბუუ(ნ) „გუბდება“, იგუდორუუ(ნ) „შეხრამუნდება“, იგურიშთუუ(ნ) „გვირისტდება“, იგუჯუუ(ნ) „იტენება“.

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: *იგრინჯუუ(ნ) „იბეგვება“,*

წყვეტილი: *დიიგრინჯუ „დაიბეგვა“*

I რეზულტატივი: *დოგრინჯექლეკ(ნ) „დაბეგვილა“*

I რეზულტატივი: *ნოგრინჯუე(ნ) „დაიბეგვებოდა ხოლმე“*

4.3.1.4. ერთპირიანი prev-ი-R-უ(ნ) ქვესტრუქტურა №55

prev-ი-R-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნათა კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom.** ისინი ისევე იუღვლიან, როგორც მათი უზმნისწინო ვარიანტები. აწმყოს სტრუქტურაში თვალნათლივ ჩანს **ი-** პრეფიქსი, რაც ამ ზმნათა უკუქცევითობაზე მიუთითებს (ი- პრეფიქსის შესახებ ვრცელი მიმოხილვა იხ. ნაშრომის შესავალ ნაწილში, პარაგრაფი 3.2.1.ა): *მი-ი-გადალ-უ(ნ) „მირბის*

*(მსუქანი, მუცელგაბერილი ბავშვი)“, **(გი)იკერკელუ(ნ)** „გორაობს, კოტრიალობს“, **(გი)იხაბაკუ(ნ)** „დახაბაკობს, ადგილზე ტრიალებს“, **(მი)იგვანგალუ(ნ)** „მოგოგმანებს“, **(გითი)იქვარქვაშუ(ნ)** „რადაცაში სასიამოვნოდ ტრიალებს“ **(ჯაშ ჯინს გითიიქვარქვაშუდუ** „ხის ძირას ტრიალებდა (სასიამოვნოდ). // გადატ. გაწმენდა“) **გილებაცვალუ(ნ)** „დადის, დაბლაყუნებს“, **გილალუ(ნ)** „წახდება, ჩამოვარდება“ **(მონდას ოცოთანდეს, კობუქ გეგილალგ: ი. ყიფშ., გვ. 176** „მწიფეს ესროდნენ, კუხე ჩამოვარდა“ (ქაჯ.) **(გეგგმ)იპენტერებუ(ნ)** „გამოჩერჩეტდება“, **(გეგგმ)იწყვართალუ(ნ)** „გამოგოგმანდება“ **გეგგმიხაკუ(ნ)** „გამოჩერჩეტდება“, **მიიგორგოთუ(ნ)** „ტრიალით მიექანება“, **მიიგორგოლუ(ნ)** „მიგორავს“, **(გი)იჩხვიჟუ(ნ)** გაიკაწრება“, **კინ-ი-ლაცაფ-უ(ნ)**[18] ← ***კინო-ი-ლაცაფ-უ(ნ)** „კუთხეში ჩუმად თავისთვის თამაშობს“, **(გი)იცერცუ(ნ)** (გა)იცრიცება“, **(გი)იხირიტუ(ნ)** „გაირღვევა“, **(მი)იგურჯინუ(ნ)** „ღვარად მიდის, იღვრება (ხმაურით) “...*

აქვე უნდა განვიხილოთ **ი-** ხმოვანპრეფიქსის ფონეტიკურად სახეცვლილ ვარიანტიანი ქვესტრუქტურაც:

სინქრონიულ დონეზე, prev-ე-R-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნების ხმოვანპრეფიქსი ფონეტიკური პროცესების შედეგადაა მიღებული: ზმნისწინისეული ხმოვნისა და **ი-** ხმოვანპრეფიქსის უშუალო მეზობლობით. ამიტომ, ძირითად ქვესტრუქტურაში სწორედ **ი-** პრეფიქსი გავიტანეთ, **ე-** მისი სახეცვლილი ვარიანტია. ***ალეფაფუ(ნ)*** *„ფარფატებს“ ←*ალა-ი-ფაფუ(ნ),* ***ალეყურყინუ(ნ)*** *„ბუყბუყებს“ ←*ალა-ი-ყურყინუ(ნ).*

გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით, ამ პარადიგმის ზმნათა მიერ გამოხატული მოქმედება ინტროვერტიზებულია, ამიტომ ისინი ავტოაქტივებად კვალიფიცირდებიან (მსგავსად პირველი დიათეზის ი- პრეფიქსიანი ერთპირიანი, ასევე ავტოაქტიური ზმნებისა: იცინის, იჩქარის...).

საინტერესოა, რომ ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში ამ ზმნათა ქართულ შესატყვისებად პირველი დიათეზის R-Ø სტრუქტურის ავტოაქტივებია მითითებული: ***ბუყბუყებს, ფარფატებს...*** ამ პარადიგმის ზმნათა მეგრულში გამოვლენილ ვარიანტებში დაცული **ი-** ხმოვანპრეფიქსი (და მისი ფონეტიკური ვარიანტი **ე-**, რომელიც, ლოკალური რიგის მიხედვით ზმნისწინისეულ –ა

ხმოვანთან არის ასიმილირებული: აი→ე სწორედ ამ ინტროვერტიზებულ მოქმედებაზე, უკუქცევითობაზე მიუთითებს.

აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინი დაცლილია ასპექტური გაგებისაგან და მხოლოდ, ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებისა და გეზის დამაზუსტებელია: ***ალეფაფუ(ნ) ←ალაი-ფაფუ(ნ)*** *„ფარფატებს“,* ***ალეყურყინუ(ნ)*** *„ბუყბუყებს“,* ***ალეხვარხვალუ(ნ)*** *„ხვარხვალებს, შიგნით ტრიალებს“,* ***აშეკიონტუ(ნ)*** *„შიგ ტრიალებს“,* ***გეებორებუ(ნ)*** *„გაოგნდება“,* ***გილევალუ(ნ)*** *„1.დაელავს, 2.დახეტიალობს“...*

აწმყო: ***ალეხვარხვალუ(ნ)*** *„შიგნით ტრიალებს “*

წყვეტილი: ***ქალეხვარხვალუ*** *„შიგნით იტრიალა“*

I რეზულტატივი: ***ქალუხვარხვალინუ(ნ)*** *„შიგნით უტრიალია, უხვარხვალია“*

III რეზულტატივი: ***ნოხვარხვალუე(ნ)*** *„შიგნით ტრიალებდა/ხვარხვალებდა თურმე“*

მაგალითები:

მუს იხვარხვალუ, მუ ქვარაში ჭუა აწუხენს, გიჩქუნ-და? *„რას ტრიალებს, რა მუცლის გვრება აწუხებს, თუ იცი?,* ***ვაჩგმარცხინე, ოსოქგთე იხვარხვალე*** *„ვერმოგცილდები, რამდენიც არ იტრიალო“ (ქაჯ.),* ***მონდას ოყოთანდეს, კობუქ გეგილალგ:*** *ი. ყიფშ., გვ. 176 -- მწიფეს ესროდნენ, კუხე ჩამოვარდა (ქაჯ.).*

4.3.1.5. ერთპირიანი ი-R-ებ-უ(ნ) ქვესტრუქტურა №56

ი-R-ებ-უ(ნ) სტრუქტურის ზმნებიც, მსგავსად სხვა ავტოაქტივებისა, ერთპირიანი რეფლექსივებია. **ი-R-ებ-უ(ნ)** სტრუქტურის ზმნების სალიტერატურო ქართულზე გადმოღებისას ორგვარი სტრუქტურის ზმნებთან გვაქვს საქმე: **ი-R-Th-უ(ნ)** და **R-დ-Th-უ(ნ):** *ითხუ-ებ/აფ-უ(ნ) „თხოვდება“, ილექინებუ(ნ) „მსუბუქდება“, “მჩატდება”* და სხვ. თუმცა, აბსოლუტურ უმრავლესობას მაინც -დ სუფიქსიანი ავტოაქტივები შეადგენს.

სალიტერატურო ენის **-დ** სუფიქსიან ზმნათა აქტიური სუბიექტის მოქმედება რომ საკუთარი თავისკენაა მიმართული, ამას კიდევ ერთხელ ამტკიცებს მეგრულის ჩვენება: როგორც წესი, მათ უმრავლესობას, მეგრულში

ი- პრეფიქსანი ფორმა ცვლის[19]**;** მაგ., ***იდიდ(ა/ორ)ებუ(ნ)*** *„დიდდება“,* ***ივინწარებუ(ნ){უ}(ნ)*** *(დიივინწარუ დავიწროვდა, დავინწარებე{ლე}(ნ) დავიწროებუ(ნ)ლა) „ვიწროვდება“,* ***ითხუებუ(ნ)*** *„თხოვდება“ (შდრ. აჭარ.:* ***ეთხვება*** *„თხოვდება“),* ***ირტებუ(ნ)*** *- გირტებუ(ნ) „იქცევა (გა),* ***ირჩია/ოლებუ(ნ)//ირჩელებუ(ნ)*** *„თეთრდება“,* ***ირჩხიალებუ(ნ)*** *„ცხელდება“, იუჯგუშებუ(ნ) „უკეთესდება“,* ***იცალებუ(ნ)*** *„ავდება, ანჩხლდება“* ***იჭიფა/ორებუ(ნ)*** *„ვიწროვდება“, „წვრილდება“,* ***იჭიჭარებუ(ნ)*** *„ცოტავდება, მცირდება (რაოდენობა), პატარავდება“,* ***იბორჯებუ(ნ)*** *„იბნევა, ირევა“,* ***იბოძორებუ(ნ)*** *“ირევა, იწეწება (საქმე)“,* ***ისრულებუ(ნ)*** *“სრულდება“,* ***იბადებუ(ნ)*** *„იბადება“,* ***იბათილებუ(ნ)*** *„ბათილდება“,* ***იბახებუ(ნ)*** *„ბახდება, უტყდება სახელი“,* ***იბრელებუ(ნ)*** *„მრავლდება“.* **ი-R-ებ-უ(ნ)** სტრუქტურის ზმნათა უღლება სტაბილურად მიჰყვება უღლების ზოგად წესს, უღლების

აღსანიშნავია ისიც, ამ სტრუქტურის ზმნებს აქვთ პარალელური **R-Ø** სტრუქტურული ვარიანტები იმავე მნიშვნელობით: ***იზოთონჯებუ(ნ) – //იზოთონჯ-ან-ს*** *„ზამთრდება“,* ***ილახებუ(ნ) – //ი-ლახ-ან-ს*** *„ავადდება, ავადმყოფდება“...*

პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***იმონკათებუ(ნ)*** *„ორსულდება“*

წყვეტილი: ***დიიმონკათუ//დეემონკათუ*** *„დაორსულდა“,*

I რეზულტატივი: ***და//ომოკათებე{ლე}(ნ)*** *„დაორსულებუ(ნ)ლა“*

ამ პარადიგმის ზმნათა მყოფადის სტრუქტურაა **prev-ი-R-ებ-უ(ნ).** ისევე როგორც სხვა **ი-** პრეფიქსიანი ზმნები, prev-ი-R-ებ-უ(ნ) ქვესტრუქტურის ერთეულებსაც ინტროვერტიზებული მოქმედება ახასიათებთ, მაგ., ***ე-რი-ებ-უ(ნ)*** *„ა-ი-რევ-ა“* - მოყვანილ მაგალითში **ა-** ზმნისწინისა და **ი-** ხმოვანპრეფიქსის კონტამინაციის შედეგად არის მიღებული **ე-** პრეფიქსი, სამეცნიერო

---

19 ამ საკითხს საგანგებოდ განიხილავს კ. დანელია: **“კოლხურში დონიანი წარმოება შევიწროებულია პრეფიქსული წარმოებით. ამიტომაცაა, რომ ქართულის დონიან წარმოების ფარდად კოლხურში მეტწილად პრეფიქსული წარმოება გვაქვს, მეგრულშია: ი-კეთებუ(ნ) “კეთდება”, ი-შენებუ(ნ) “შენდება”; პრეფიქსიანი წარმოება იმდენად ძლიერის, რომ თვით დონიან წარმოებას უჩნდება პარალელური პრეფიქსიანი წარმოება. მეგრულში გვერდიგვერდ იხმარება: ჭითონდუ - ი-ჭითარებუ “წითლდება”, ცვითონდუ - ი-ცვითარებუ “ყვითლდება” და სხვ” (23,174] კორნელი დანელია დაასკვნის, რომ ამგვარი “პრეფიქსული წარმოების უპირატესობით კოლხური ძველ ქართულს უახლოვდება...” (23,174) ჩვენ მიერ მოპოვებულმა –დ სუფიქსიანი ავტოაქტივების შემცველმა მასალამ ახალი ტენდენციები გამოავლინა, იხ. –დ სუფიქსიან ზმნათა ქვესტრუქტურები ამავე თავში.**

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზმნისწინისა და ხმოვანპრეფიქსის მორფოლოგიურ საზღვარზე აი → ე, შესაბამისად, *ე-რი-ებ-უ(ნ)* ← **ა-ი-რიებუ(ნ).* ამავე რიგისაა: ***ათგმიხონჭკორებუ(ნ)*** *„მწიფდება“,* ***ათგმიხოშქორებუ(ნ)*** *„(შე)ღვინიანდება“,* ***გედირიებუ(ნ)*** *„გადაირევა“,* ***გეითიირციებუ(ნ)*** *„(გა)ღატაკდება“* ***(ქონებას ქონება ვემკგუძინიდა, ვიშ გეითირციებუ კოჩი*** *„ქონებას ქონება თუ არ მიუმატე,* ***გაღატაკდება*** *კაცი იქით“),* ***გეგგმილიებუ(ნ)*** *„გამოილევა“,* ***გაგგმიხეტერებუ*** *„გამოჩერჩეტდება“,* ***გაგგმიხირზ{ელ}ებუ(ნ)*** *„გამოფხიზლდება“,* ***აკიონჯუებუ(ნ)*** *„საღამოვდება“,* ***გეგგნინძვარებუ(ნ)*** *„გადაშენდება; წაეთრევა“,* ***გაგელგნჯებუ(ნ)*** *„გასპილენძდება“* ***გეცალებუ(ნ)*** ***„****ცოფდება, ბრაზდება“* - მოხმობილ ფორმებში, სადაც ერთი შეხედვით უკუქცევითობის **ი-** პრეფიქსი არ ჩანს, ყველგან აღდგება **ი-** პრეფიქსი, რომელიც, მორფემათა საზღვარზე შეპირობებული ფონეტიკური პროცესების გამო, ხშირად იკარგვის (ძირითადად, მესამე პირის მხოლობითი რიცვის ფორმებში). ამ ყალიბის ზმნათა პრეფიქსულ მიკრო-სტრუქტურაში ზოგჯერ ორმა **ე**-მ შეიძლება მოიყაროს თავი: V+ი→ეე: მაგ., *ეექენთელებუ(ნ)* ←**ე-ი-ქენთელ-ებ-უ(ნ) „იღლება“,* ***გეთხუებუუ(ნ)*** ←**გე-ი-თხუებუ(ნ) „თხოვდება“ (შდრ., აჭარ.:* ***ეთხვება*** *„თხოვდება“);* ***გეეხირზებუუ(ნ)*** *„გაიხიზნება“; ამავე რიგისაა:* ***ეეშხირებუ(ნ)*** *„ახმიანდება“,* ***გამეეთხუებუ(ნ)*** *„გამოთხოვდება“,* ***გეენძალებუ(ნ)*** *„გაძლიერდება“,* ***გეედინარებუ(ნ)*** *„გამდიდრდება“,* ***გ(ე)ერიებუ(ნ)*** *„გადაირევა“,* ***გეერისხებუ(ნ)*** *„განრისხდება“,* ***გეერკვიებუ(ნ)*** *„გაირკვევა“,* ***გეერჯებუ(ნ)*** *„ირჯება“,* ***გეესორებუ(ნ)*** *„იბნევა, განცვიფრდება“,* ***გეეფოცებუ(ნ)*** *„დაფრთხება, შეკრთება“,* ***გეეფშხირებუ(ნ)*** *„გახშირდება“,* ***გეეღეჯებუ(ნ)*** *„გაღორდება, გაძუნწდება“,* ***გეეცოცხალებუ(ნ)*** *„გაცოცხლდება“,* ***დეე/იიდაბალებუ(ნ)*** *„დაუდაბლდება“,* ***დეებჟებუ(ნ)*** *„დაძმარდება, დამჟავდება, დაჭანგდება“,* ***გეეტყაბებუ(ნ)/გეეტყარებუ(ნ)*** *„გატყიურდება“,* ***გეევითარებუ{უ}(ნ)*** ***„****განვითარდება“,* ***გეეკანდიორებუ(ნ)*** *„გაკადნიერედება“.*

prev-ი-R-ებ-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნათა ავტოაქტიურობაზე მიუთითებს მათი სალიტერატურო შესატყვისებიც – თვალშისაცემია მათი –დ სუფიქსიანი ქვესტრუქტურა: ***გეცალებუ(ნ)*** ***„****ცოფდება, ბრაზდება“,* ***ეთმიფორონჯებუ(ნ)*** *„ფორეჯდება“,* ***პამინდორი მალას ეიფორონჯებუ(ნ)*** ***„****პამიდორი მალე შეწითლდება“...* **–დ** სუფიქსიანი ზმნები ავტოაქტივებია, სწორედ ამ ფორმით გადმოიცემა მეგრული **prev-ი-R-ებ-უ(ნ)** მოდელით გამოხატული ინტენსიური

უკუქცევითი მოქმედება (ცოფდება, თავადაც განიცდის... ბრაზდება): ***გებცალი დო დიბჭყი ლალუა:*** *გავცოფდი და დავიწყე ყეფა“ ქაჯ.).*

ულლების პარადიგმა რეგულარულია:

ეთმიფორონჯებუ *„ფორეჯდება“*

ეიფორონჯებუ(ნ) *„აფორეჯდება“*

ეიფორონჯუ *„აფორეჯდა“*

აფორონჯებერე(ნ) *„აფორეჯებულა“*

ენოფორონჯებუე(ნ) *„აფორეჯდებოდა თურმე“*

ი-R-ებ-უ-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნები **ი-R-ებ-უ(ნ) ჯგუფის სტრუქტურულ ნაირსახეობად გვესახება.** მსგავსად სხვა ი- პრეფიქსიანი აბსოლუტივებისა, ვლინდება უკუქცევითობის სემანტიკა. აწმყოს სტრუქტურაში დადასტურებული **ი-** პრეფიქსი მყოფად-წყვეტილის მწკრივებშიც გადაჰყვებათ, სრულ ასპექტს კი ზმნისწინის გართულებითა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის დართვით აწარმოებენ. ამ ზმნათა მყოფადის სტრუქტურაა prev-ი-R-ებ-უ-უ(ნ): **გი-ი-გონ-ებ-უ-უ(ნ)** „გაიგონება“, **გაგგმირსებუუ(ნ)** „გამოიცდება“, **გაგგმიირსხებუუ(ნ)** „გამოიხსნება, გამოსავალი მოიძებნება“, **გიინქარებუ{უ}(ნ)** „განიქარვება“, **გიიჟღამებუუ(ნ)** „გამჟღავნდება“, **გიირიგებუ{უ}(ნ)** „გარიგდება“.

ამ ზმნათა სალიტერატურო ქართული შესატყვისები, ხშირად, **R-დ-ებ-ი** სტრუქტურის აბსოლუტივებით გადმოიცემა, ზოგჯერ კი **ი-** პრეფიქსიანი ფორმითაც. ***სიცოცხლე ორჩინუეს ნაბეტანი ი-გემუან-ებ-უ-ნ-ია*** *„სიცოცხლე სიბერეში ნამეტანი გემრიელდებაო“.* ამ ყალიბშიც ვხვდებით საკუთრივ მეგრულ და სალიტერატურო ენიდან ნასესხებ ზმნურ ძირებს: ***იდიდო/არებუუ(ნ)*** *„იდიდება“,* ***იანგარიშებუუ(ნ)*** *„იანგარიშება“,* ***იარგამებუუ(ნ)*** *„აშკარავდება“,* ***ირდებუუ(ნ)*** *„იგდება“,* ***იბზითებუ{უ}(ნ)*** *„მზითვდება“,* ***იბინძურებუ{უ}(ნ)*** *„ბინძურდება“,* ***იბორებუ{უ}(ნ)*** *„სულელდება“,* ***იგინძა/ორებუუ(ნ)*** *„გრძელდება“,* ***იგემებუუ(ნ)*** *„გემებული ხდება“,* ***იგემუანებუ{უ}(ნ)*** *„ტკბება“,* ***იგვარებუუ(ნ)*** *„გვარდება“...*

წარმოადგენენ საბაზისო ფორმებს სათანადო აქტივების საწარმოებლად: ***იგემუანებუ{უ}(ნ)*** *„ტკბება“ შდრ.: აგემუანენს „ატკბობს“;* ***იდიდორებუ(ნ) მუში სახელი*** *„იდიდება მისი სახელი“ შდრ.:* ***გა-ა-დიდ-უ მუში საქმე*** *„გაადიდა თავისი საქმე.*ულლების თვალსაზრისით პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***იარგამებუ(ნ)*** *„აშკარავდება“*

წყვეტილი: ***გეგგმიარგამუ*** *„გამოაშკარავდა“*

I რეზულტატივი: ***გეგგმოარგამებე{ლ/რე}(ნ)*** *„გამოაშკარავებულა“*

4.3.1.6. ერთპირიანი **ი-R-აფ-უ(ნ)** ქვესტრუქტურა **№57**

nom-erg-nom-nom **კონსტრუქციისა** **და** **ი-R-აფ-უ(ნ)** ქვესტრუქტურის ერთპირიან ზმნებში, მსგავსად სხვა **ი-** პრეფიქსიანი აბსოლუტივებისა, ვლინდება უკუქცევითობის სემანტიკა. აწმყოს სტრუქტურაში დადასტურებული **ი-** პრეფიქსი მყოფად-წყვეტილის მწკრივებშიც გადაჰყვებათ, სრულ ასპექტს კი ზმნისწინის გართულებითა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის დართვით აწარმოებენ.

თემატური სუფიქსი –**აფ** სალიტერატურო ქართული ენის –ებ სუფიქსის კანონზომიერი მორფოფონეტიკური შესატყვისია ზანურშო.

ირსქინაფუ(ნ) *„იქადება, იმუქრება“,* ***იბურჯაფუ(ნ)*** ***„****ბორგავს“,* ***იგორაფუ(ნ)*** *იგინება,* ***ირჩაფუ{უ}(ნ)*** ***„****იშლება, იგება (ლოგინი)“,* ***იჭარაფუ****(ნ) „იწერება“,* ***ირყაფუ{უ}(ნ)*** *„ითქვლიფება“...*

ტრადიციული კლასიფიკაციით, ისინი დეპონენსებად არის კვალიფიცირებული, რაც გულისხმობს „ფორმით პასიურ და შინაარსით აქტიურ ზმნებს“. რადგანაც, დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში გვარი სემანტიკური კატეგორიაა, არ მიგვაჩნია მართებულად მათთვის ასეთი სტატუსის მინიჭება. თანაც ჩვენთვის ცოტა გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს „ფორმით პასიური“ - პასიური და აქტიური სემანტიკური ცნებებია, ფორმალურ მეცნიერებაში პირობითი გამოყენება ტერმინისა, რომელიც სემანტიკის სფეროს განეკუთვნება, საფუძვლიანი ეჭვის საბაბს გვაძლევს. ამგვარად, **ი-R-აფ-უ(ნ)** მორფოლოგიური ყალიბის მქონე აბსოლუტივები, რომელთა სინტაქსური კონსტრუქციაცაა **nom-erg-nom-nom, სემანტიკურ დონეზე აქტიური მოქმედების გამომხატველნი არიან, მოქმედების პროცესი სუბიექტზევე აისახება, რადგან მათ არ გააჩნიათ სამოქმედო ობიექტი. გვარის სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში ისინი ავტოაქტივებია.**

ამ ზმნათა შესაბამისი აქტივები **ო-R-ან-Ø** ყალიბით იწარმოება: ***ორსქინანს*** *„ემუქრება“,* ***იგორაფუ(ნ) – ო-გორ-ან-ს*** *„აგინებს“*

აწმყო: ***იბურჯაფუ(ნ)*** *„შფოთავს“*

წყვეტილი: ***იბურჯუუ*** „იშფოთა“

I რეზულტატივი: ***უბურჯუაფუ(ნ)*** *„უშფოთვია“*

III რეზულტატივი: ***ნობურჯაფუე(ნ)*** *„შფოთავდა თურმე“*

4.3.1.7. ერთპირიანი **Prev.ი-R-აფ-უ(ნ)** ქვესტრუქტურა **№58**

Prev.ი-R-აფ-უ(ნ) ქვესტრუქტურა, ფაქტობრივად, ერთპირიანი **ი-R-აფ-უ*(ნ)*** ყალიბის ფორმათა გაგრძელებაა, მათგან მხოლოდ ზმნისწინი თუ განახვავებს, რომელიც მოქმედების მიმართულებისა და გეზის მაზუსტებელია და თითქმის დაცლილია მაასპექტირებელი გაგებისაგან. სწორედ აწმყოშივე დადასტურებული სემანტიკურად ნაირგვარი კონოტაციის მქონე ზმნისწინთა გამო გამოვყავით ეს სტრუქტურა: ***ით-ი-ჩქვ-აფ-უ(ნ)*** ***←*ითო-ი-ჩქვაფუ(ნ)*** *„ითქვლიფება რაიმეს ქვეშ“:* ***„მუჭო შხაფილი კერიცალო მუნეფი ქეითიჩქვაფუდეს:*** *ი.ყიფშ., გვ. 150 -- (როგორ) გამძვინვარებული კერატივით თვითონ ითქვლეფებოდნენ (ქვევით)“ (ქაჯ.),* ***გილ-ე-ხიშტაფუ(ნ)*** ***←გილა-ი-ხიშტ-აფ-უ(ნ)*** *„თავგასულად, მოურდებლად იქცევა“* ***გილეეფაფუ(ნ)*** ***←გილა-ი-ფაფ-უ(ნ)*** ***„დაწანწალობს,*** *დაეხეტება“.* ***ესგთ ვაგგ შხვა ძღაბეფი თაქი გილეფაფუნი:*** *კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. 20 „ამასაც არ ჰგავს სხვა გოგოები, აქ რომ დაწანწალებენ“ (ქაჯ.).*

როგორც ვხედავთ, ზმნისწინისა და ხმოვანპრეფიქსის მორფემულ საზღვარზე მთელი რიგი ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს, ამ პარადიგმაში **ი-** ხმოვანპრეფიქსის რეფლექსებია **ი-** და **ე-** ფონეტიკურად შეპირობებული პოზიციური ალომორფები.

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***გილეხიშტაფუ(ნ)*** *„თავხედურად, მოურიდებლად იქცევა“*

წყვეტილი: ***გილეხიშტაფუ*** *„თავხედურად, მოურიდებლად მოიქცა“*

I რეზულტატივი: ***გილეხიშტაფელ/რე(ნ)*** *„თავხედურად, მოურიდებლად მოქცეულა“*

III რეზულტატივი: ***გილგნოხიშტაფუე(ნ)*** *„თავხედურად, მოურიდებლად იქცეოდა თურმე“*

4.3.1.8. ერთპირიანი ი-R-უ-აფ-უ-უ(ნ) ქვესტრუქტურა №59

ერთპირიანი ი-R-უ-აფ-უ-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნები, მსგავსად მეორე დიათეზის ყველა ზმნისა, **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციისაა. **ი-** პრეფიქსი მოქმედების ინტროვერტიზაციის მანიშნებელია. ერთი და იგივე ფორმა შესაძლებელია, აქტიურ ან პასიურ სემანტიკას გამოხატავდეს. ამ სტრუქტურის ზმნები **R-უ(ნ) ძირითადი გვარეობითი სტრუქტურის** ავტოაქტივები არიან, თუმცა, შედარებით, იშვიათ შემთხვევებში, კონტექსტის მიხედვით, იგივე ზმნები შეიძლება პასივებადაც გავიგოთ – გვარის სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში ეს დასაშვებია, თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ მეგრულად მოსაუბრე **პასივის** ამ თეორიულად დასაშვებ მიერ/-გან თანდებულიან კონსტრუქციას მეტყველებაში არ გამოიყენებს:

პასივი: ****კოჩი იჭყუაფუ(ნ) დედიბიშე** „კაცი დავიწყებული ხდება დედაბრის მიერ“.*

ჩვენი აზრით, რეალურ სურათს არ აღწერს ტრადიციული კლასიფიკაციით მინიჭებული „პასივის“ სტატუსი, მაშინ როცა ზმნა აქტიური მოქმედების გამოხატველია, მაგ., ***იკვარტუაფუ(ნ)** „წიხლს იკვრევინება, იქნევს“, **ი-მუნჭ-უ-აფ-უ(ნ)** „იპრანჭება, იმანჭება“, **ი{ნ}ტირუაფუ(ნ)** „ეტევა“, **ირთინუაფუ(ნ)** „ბრუნდება“, **ირქუაფუ(ნ)** „ქრის; იქნევს“, **ირღუაფუ(ნ)** „იშლება, ლღვება“, **ითხილუაფუ(ნ)** //(ითხილუუ(ნ) „იცვება, იმწყემსება“, **ისიმუაფუუ(ნ)** „ვრცელდება, ხმიანდება ამბავი“, **ითხუაფუუ(ნ)** „თხოვდება“, (შდრ., აჭარ.: ე-თხვ-ებ-ა ის „თხოვდება“), **იქუაფუუ(ნ)** „იფქვება“, **იშუაფუუ(ნ)** „იქსოვება“, **იჩუნუაფუუ(ნ)** „შუშდება“, **იჩხონუაფუუ(ნ)** (მხოლოდ აწმყოს წრისა და 4 სერიის მწკრივებში) „ცხონდება, იცხონება“, **იხუაფუუ(ნ)** „ირღვევა; იხვრიტება“, **ითხილუაფუ(ნ)** „იცვება, იმწყემსება“, **ირტუაფუუ(ნ)** „დნება, ლხვება“, **იჭყოლიდუაფუ(ნ)** „ივიწყება“ **ი-ბჟინ-უ-აფ-უ{უ}(ნ)** „მზევდება“...*

ამ ზმნათა შესატყვისი აქტიური გვარის ფორმები ძირითადად, ორი ყალიბით იწარმოება:

1) **ო-R-უ-ან-Ø**: *ი{ნ}ტირუაფუ(ნ) – ო-{ნ}ტირ-უ-ან-ს „ატევს“, ირთინუაფუ(ნ) - ორთინუანს „აბრუნებს“, ისიმუაფუუ(ნ) – ო-სიმ-უ-ან-ს „ვრცელდება, ხმიანდება ამბავი“, იჩუნუაფუუ(ნ) – ო-ჩუნ-უ-ან-ს „აშუშებს“, იჩხონუაფუუ(ნ) – ო-ჩხონ-უ-ან-ს „აცხონებს“.*

2) **R-უნ-Ø**: *იქუაფუუ(ნ) – ქ-უნ-ს „ფქვავს“, იშუაფუუ(ნ) – შ-უნ-ს „აქსოვს“, იხუაფუუ(ნ) – ხ-უნ-ს „არღვევს“, ი-მუნჭ-უ-აფ-უ(ნ) – მუნჭ-უნ-ს „მუწავს“...*

ამ აგებულების ზმნათა მყოფადის სტრუქტურაა: **Prev.-ი-R-უ-აფ-უ(ნ)** ქვესტრუქტურის ზმნები, ფაქტობრივად, წინა – ამავე და უპრეფერბო სტრუქტურის გაგრძელებაა, თუმცა, მაინც გამოვყავით ცალკე ჯგუფად, რადგან დაიძებნა უსრულ ასპექტიანი, აწმყოშივე ზმნისწინდართული ფორმები სხვადასხვა სემანტიკური ნიანსით: ***ე-ი-ბარკან-უ-აფ-უ(ნ)*** *„აკაპიწდება“,* **გეგგმინწყუაფუ(ნ)** *„გამოეწყობა“,* ***ეირთინუაფუ(ნ)*** *„აბრუნდება, ამუშავდება, ატრიალდება, ამოძრდავება“,* ***მიკიხიშტუაფუ(ნ)*** *„კეკლუცდება, იპრანჭება, იგრიხება“, მაგ.,* ***ბოშეფი ქიმგკიხიშტუუნა სტოლცგ:*** *ი. ყიფშ., გვ. 93 -- ბიჭები იპრანჭებიან (კეკლუცობენ) მაგიდასთან (მაგიდაზე).*

გვარის სემანტიკური კატეგორიის თვალსაზრისით, ეს ფორმები ავტოაქტივებია, თვითმოქმედია. როგორც წესი, მათი სალიტერატურო შესატყვისები („ამუშავდება“ და მისთ.) აბსოლუტური **R–დ-ებ-ი** სტრუქტურისაა (**R–დ-ებ-ი** სტრუქტურის ერთპირიანი ფორმები, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტოაქტივებადაა კვალიფიცირებული (68, 8), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ ავტოაქტიურ ხასიათს.

უღლების პარადიგმა რეგულარული აქვს ყველას, გარდა ***იჩხონუაფუუ(ნ)*** *„ცხონდება, იცხონება“* ზმნისა, ო. ქაჯაიას ლექსიკონში მითითებულია, რომ მას მხოლოდ აწმყოს წრისა და 4 სერიის მწკრივები ეწარმოება.

უღლების ნიმუში:

აწმყო: ***ი{ნ}ტირუაფუ(ნ)*** *„ეტევა“*

წყვეტილი: ***დიი{ნ}ტირუ*** *„დაეტია“*

I რეზულტატივი: ***დო{ნ}ტირე{ლე}(ნ)*** *„დატეულა“*

III რეზულტატივი: ***დინონტირუე(ნ)*** *„დაეტეოდა თურმე“*

4.3.1.9. ერთპირიანი (Prev-)R-დ-(უ)-უ(ნ) ქვესტრუქტურა №60

R-დ-უ(უ)ნ სტრუქტურის ზმნები მეორე დიათეზის ავტოაქტიური ზმნებია.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მეგრული **R-დ-უ-(უ)ნ** სტრუქტურის ზმნები **-დ** სუფიქსიანი (ე.წ. „დონიანი“) ვნებითი გვარის ზმნებად არის კვალიფიცირებული: **-დ** ვნებითის ნიშნადაა კვალიფიცირებული.

მათი მორფოლოგიური სტრუქტურა მეგრულში მუდმივად დაკავშირებულია შემდეგ სინტაქსურ კონსტრუქციასთან: **nom-erg-nom-nom**: I სერიაში ამ ზმნათა კონსტრუქცია ნომინატიურია (მაგ., ***ზიპონდუუ(ნ) თინა***nom *„მსხვილდება, სუქდება ის“)*, II სერიაში - ერგატიული (***გოზიპონდუ თიქ***erg *„გასუქდა* ***მან“,)****, III სერიაში, საერთო წესისამებრ - ნომინატიური (მაგ.,* ***გოზიპინაფე{ლ/რ}ე(ნ) თინა***nom *„გასუქებულა ის“,) და მეგრულისთვის სპეციფიკურ IV სერიაში - ნომინატიური (მაგ.,* ***გონოზიპინაფუე(ნ) თინა***nom *„გასუქდებოდა თურმე* ***ის****“).*

გვარის სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციისა და **R-დ-უ(უ)ნ** სტრუქტურის ერთპირიანი ზმნები **ავტოაქტივებად** უნდა იქნას კვალიფიცირებული, რადგან მათი სუბიექტი თვითმოქმედია, მოქმედება - ინტროვერტიზებული; მაგ.: ***გო-ზურ-დ-უ-უ(ნ)*** *„შეშინდება, გალაჩრდება (თვითონ)“...*

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით მეგრული **R-დ-უ(უ)ნ** სტრუქტურის ზმნები არაპროდუქტიული და მეორეულია – შდრ.: „აქა-იქ –დ-იანი ვნებითიც დაჩნდება*: **დოშქურონ-დ-უ** „შეშინდა“; **გოჭითონ-დ-უ** „გაწითლდა“, **გოჩიჩონ-დ-უ** „გაშეშდა“; **გოჯირჯონ-დ-უ** „თმა ყალყზე დაუდგა (შიშისგან)“, **გოსისონ-დ-უ** „გაიტრუნა...* **დ**-იანი ვნებითი ქართულიდან შემოსული ჩანს; არც ჭანურის და არც მეგრულისთვის **<u>ეს ტიპი დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა</u>**. **ამ ტიპის უქონლობამ ფ**ართო გასაქანი მისცა მეგრულში სხვა (პრეფიქსიან) ტიპებს“ (141, 114);

„**-დ** სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი იშვიათია კოლხურში... პრეფიქსაციის ტენდენცია ვნებითებში იმდენად ძლიერია, რომ თვით დონიან წარმოებას უჩნდება პარალელური პრეფიქსიანი წარმოება. მეგრულში გვერდიგვერდ იხმარება: ***ჭითონდუ*** *- ი-ჭითარებუ(ნ) „წითლდება”* და სხვ. ...მეგრულს ჭანურთან შედარებით მეტი შერჩა დონიანი ზმნები“ (23,173-4), (აქ ავტორი სულ **19** მაგალითს ასახელებს).

„სუსტადაა წარმოდგენილი დონიანი წარმოება ზანურში. იგი **არაა პროდუქტიული** იმ დროს, როცა ქართულში (განსაკუთრებით – ახალ ქართულში) მეტად გავრცელებულია“ (64,103);

„ვნებითის სუფიქსური წარმოება **-დ** სუფიქსით ხდება და იშვიათია მეგრულში“ (34,207);

„დონიანი ვნებითები შედარებით იშვიათად დაჩნდება მეგრულში. ლაზურში მისი გამოყენება უფრო აქტიურად ხდება (ალბათ, ისტორიულად სალიტერატურო ქართულის მეტი ზეგავლენით)“ (119, 604).

მოპოვებულმა მასალამ ჩვენთვის საინტერესო ფორმების შესახებ სხვაგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა; კერძოდ, ემპირიულმა მასალამ გვიჩვენა, რომ, სინქრონიულ დონეზე აქტიურდება და უფრო პროდუქტიული ჩანს ერთპირიანი **R-დ-უ(უ)ნ** ზმნური სტრუქტურა მეგრულში; ჩვენი სტატისტიკური კვლევის ამ ეტაპზე **244 -დ** სუფიქსიანი ერთპირიანი ზმნური ფორმა გვაქვს მოძიებული (სხვა წყაროების დამუშავების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ეს რიცხვი გაიზრდება), ისინი საკუთრივ მეგრული ფორმებია, რომელთა უმრავლესობასაც ზუსტი შესატყვისები არ ეძებნება სალიტერატურო ქართულში; უმრავლესობას **R-დ-უ(უ)ნ** სტრუქტურის ზმნები ქმნის, მაგ., ***თირსონდუ{უ}(ნ)*** *„ივსება; სუქდება“,* ***მონჭინდუუ(ნ)*** *„მწიფდება“,* ***პიხვონდუუ(ნ)*** *„პუტკუნა, ბუთხუზა ხდება“,* ***რისონდუუ(ნ)*** *„სივდება“,* ***„წყიწყონდუუ(ნ)*** *„ლიპდება“,* ***ჭვიჭვონდუუ(ნ)*** *„ღაჟღაჟდება“,* ***ზიკონდუუ(ნ)*** *„კვდება“,* ***ეძგვირონდუუ(ნ)*** *„სირცხვილის გამო აილეწება; აიბუზება“,* ***ეცქვიცქვონდუუ(ნ)*** *„აიბურძგნება“,* ***დღიდღონდუუ(ნ)*** *„ძალიან რბილდება, ტალახის მსგავსი ხდება“,* ***იბარდუუ(ნ)*** *„იბურდება“,* ***ბიზონდუ(ნ)*** *„სივდება“,* ***ბითქონდუ(ნ)*** *„ძალზე სუქდება, სივდება“,* ***ბირონდუ(ნ)*** *„შტერდება, ოგნდება“,* ***ბირძღონდუ(ნ)*** *„ბრაზდება“,* ***ბურძღონდუ(ნ)*** *„ბუჟდება“,* ***გვიგონდუ(ნ)*** *„შუპდება“,* ***გოზგინჯონდუ(ნ)*** *„გამკვრივდება“,* ***გოთქვიშონდუ(ნ)*** *„გათქვირდება“,* ***გონიჩვონდუ(ნ)*** *„ცხვირს ჩამოუშვებს“,* ***გოპირჭონდუ(ნ)*** *„გაგულისდება“,* ***გოჟიჟღონდუ(ნ)*** *„გაჟინჟღილება“,* ***გორსიმონდუ(ნ)*** *„გაილურსება“,* ***გოსირღონდუ(ნ)*** ***„****სიმაღლეში სწრაფად და უზომოდ გაიზრდება“,* ***გოტკიჩონდუ(ნ)*** *„გატკიცინდება“,* ***გოფიღვონდუ(ნ)*** *„გაიფუყება“,* ***გოფიხვონდუ(ნ)*** *„ფაფუკად (გადა)იქცევა, გაბუვდება“,* ***გოჩირქონდუ(ნ)*** *„გაშეშდება, გახევდება“,* ***გოჩიჩონდუ(ნ)*** *„გახევდება“ და მრავალი სხვ.*

მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად იკვეთება ძირისეულ მიკრო-სტრუქტურაში ნარნარა თანხმოვანზე დაბოლოებული მარცვალი **–ი/ონ**. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მასდარში გვაქვს მხოლოდ –ი, რომელსაც **R-უ(ნ)** სტრუქტურაში –ან სუფიქსი შეესაბამება: **-ან-დ-უ-(ნ) → -ონ-დ-უ-(ნ)** (119, 604-606)

მეგრულ ერთპირიან ზმნათა **R-დ-უ-(უ)ნ** სტრუქტურაში რამდენიმე ქვესტრუქტურული ჯგუფი გამოვყავით:

1. **R-დ-უ(ნ): *ზურ-დ-უ(ნ)*** *„მშიშრ-დ-ებ-ა, მხდალი ხდება“,* ***ნქირონ-დ-უ(ნ)*** *„შეშ-დ-ებ-ა“,* ***პიხვონ-დ-უ(ნ)*** *„პუტკუნ-დ-ება“,* ***ჟღურ-დ-უ(ნ)*** *„ლღვ-ებ-ა“,* ***რგი-დ-უ(ნ),*** *„გრილ-დ-ებ-ა“,* ***სკვან-დ-უ(ნ)*** *„მშვენ-დ-ებ-ა,* ***ლამაზ-დ-ებ-ა“,*** *სქინჩონ-დ-უ(ნ)* ***„მკვრივ-დ-ებ-ა“, ტირკონ-დ-უ(ნ)*** *„ი-ბერ-ებ-ა“,* ***ჩუნ-დ-უ(ნ)*** *(დოჩუნდუ ჩაშუშდა, დოჩუნაფექლეკ(ნ) ჩაშუშებულა) „შუშდება“ (იგივე სტრუქტურა ზმნისწინით:* **Prev.-R-დ-უ(ნ): მო-ნჭინ-დ-უ(ნ) „და-მწიფ-დ-ება“, გო-ძღიკონ-დ-უ(ნ) „გა-ი-ბღენძ-ებ-ა“...).**

2. **R-დ-უ-უ(ნ): *პიხვონ-დ-უ-უ(ნ)*** *„პუტკუნ-დ-ებ-ა, ბუთხუზ-დ-ებ-ა“,* ***რისონ-დ-უ-უ(ნ)*** *„სივ-დ-ებ-ა“,* ***„წყიწყონ-დ-უ-უ(ნ)*** *„ლიპ-დ-ება“,* ***ჭვიჭვონ-დ-უ-უ(ნ)*** *„ღაჟღაჟ-დ-ება“ (ზმნისწინით:* **Prev. -R-დ-უ-უ(ნ): *მო-თირხონ-დ-უ-უ(ნ)*** *„გა-ი-ბღინძ-ება“,* ***ელა-რჩქინ-დ-უ-უ(ნ)*** *„ამო-ჩნ-დ-ებ-ა, გამო-ჩნ-დ-ებ-ა“.* ***ე-ცქვიცქვონ-დ-უ-უ(ნ)*** *„ა-ი-ბურძგნ-ებ-ა“,* ***ე-ძგვირონ-დ-უ-უ(ნ)*** *„ა-ი-ლეწ-ებ-ა ა-ი-ბუზ-ებ-ა“)...*

როგორც კორნელი დანელია შენიშნავს, „ვნებითი გვარის პრეფიქსული წარმოების უპირატესობით ***კოლხური ძველ ქართულს უახლოვდება, მაგრამ სუფიქსური წარმოების იშვიათობით ახალ ქართულს შორდება,*** *ე.ი.* ***ამოსავალი ვითარება ერთგვარია, განვითარების ტენდენცია კი - სხვადასხვაგვარი“*** *(23,174).* ეს ნამდვილად ასეა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა კი გვიჩვენებს თანამედროვე ტენდენციას: ცხადი ხდება, რომ მეგრულში, თანდათანობით, ძველ ქართულთან შედარებით, გზას იკაფავს და მკვიდრდება დონიანი ზმნური ყალიბი. **–დ** სუფიქსი კი სახელის ზმნად მქცევი, დერივაციული, მაინტენსივებელი, მააქტიურებელი სუფიქსია და არა ვნებითი გვარის ნიშანი.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ერთპირიანი **-დ** სუფიქსიანი ზმნები <u>პარალელური **ი-** პრეფიქსიანი წარმოებით ხასიათდება</u> (23, 173-4); ჩვენ შევამოწმეთ საანალიზო მასალის ყველა მაგალითი: **244** ფორმიდან მხოლოდ 5,4% აღმოაჩნდა პარალელური ერთპირიანი **ი-** პრეფიქსიანი ვარიანტი, 1.6% - უპრეფიქსო, **93%** - სრულ უმრავლესობას კი შეადგენს **-დ** სუფიქსიანი ერთპირიანი ზმნები **ყოველგვარი პარალელური პრეფიქსული წარმოების გარეშე**. მოცემულ დიაგრამაზე წარმოვადგენთ -დ სუფიქსისა და ი-/**Ø-** ხმოვანპრეფიქსთა პროცენტულ განაწილებას (იხ. დიაგრამა №4.5).



დიაგრამა №4.5

ამგვარად, **-დ** სუფიქსიან ზმნათა რიცხვი **19**-იდან **244**-მდე გაიზარდა. საინტერესოა, რომ ამ ზმნათა უმრავლესობას არ ეძებნება პარალელური **ი-R-ებ-უ(ნ)** ვარიანტი, როგორც მაგალითად, ***ჭითონდუ(ნ) „წითლდება“- იჭითარებუ(ნ) „წითლდება“*** ნასახელარი ზმნის შემთხვევაში. ჩვენ მიერ მოძიებული აბსოლუტური **<u>R-დ-უ-უ(ნ)</u>** სტრუქტურის (ე.წ. „დონიანი“) ზმნები მეორეულია და მათი უმრავლესობა საკუთრივ მეგრული ზმნური ძირებისგანაა ნაწარმოები. პროცენტულად, ზმნათა **-დ** სუფიქსიანი წარმოება ვერ გადააჭარბებს პრეფიქსულს, თუმცა, **244** ზმნა, რომელთა რიცხვიც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება, ჩვენი აზრით, სინქრონიულ ეტაპზე, გამონაკლისად და არაპროდუქტიულად ვერ ჩაითვლება.

4.3.1.10. II დიათეზის ერთპირიანი ზმნები (შეჯამება)

მეორე დიათეზის ერთპირიანი ზმნათა სულ **9** ქვესტრუქტურული ჯგუფი გამოიყო. მათი ზოგადი სტრუქტურაა **R-უ(ნ)**, კონსტრუცია კი, ისევე როგორც ყველა ზმნისა მეორე დიათეზაში, **nom-erg-nom-nom-**ია. გვაქვს როგორც ზმნური, ასევე სახელური ფუძეებისგან წარმოებული ფორმები.

4.3.2. ბრუნვაუცვლელობიექტიანი R-უ(ნ) ქვესტრუქტურა, კონსტრუქცია nom-erg-nom-nom, გვარი - აქტივი

4.3.2.1. შესავალი

ამ ქვეჯგუფის ზმნათა კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom**, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენი ზმნებისა, მეორე დიათეზაში. გამოვლენილი ექვსი ქვესტრუქტურული სახესხვაობა კი ძირითადი, გვარეობითი **R-უ/ე(ნ)** ქვესტრუქტურის ფარგლებს არ სცილდება. სუბიექტურ და ობიექტურ პირთა აღნიშვნა აქაც **ვ**ინის რიგის მარკერებით ხდება.

სემანტიკურ დონეზე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ქვეჯგუფის ზმნათაგან ყველა მაგალითი აქტიური მოქმედების გამომხატველია. **სწორედ ამიტომ, გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით ისინი აქტივებია.**

საილუსტრაციოდ მოვიხმობთ თითო-ოროლა მაგალითს, შესაბამის ქვეპარაგრაფებში კი უფრო ვრცლად მიმოვიხილავთ მათ:

1. **prev-R-უ(ნ)** ქვესტრუქტურა №93: ***გილათხოზუ(ნ) ჯოღორი***$_{nom}$ ***კატუს***$_{dat}$ *„დასდევს ძაღლი*$_{nom}$ *კატას*$_{dat}$*“ ...*
2. **prev-ა- R-უ(ნ)** ქვესტრუქტურა №94: ***გინაადირთუ(ნ)*** *„გამოესარჩლება“...*
3. **ა-R-უ-უ(ნ)** ქვესტრუქტურა №95: ***აბარჯუ{უ}(ნ)*** *„ერევა, ეწეწება“,* ***აბურცუუ(ნ)*** *„დაეძგერება, დაეჯახება, ეკვეთება, დაებუცება“...*
4. **prev-ა-R-უ-უ(ნ)** ქვესტრუქტურა №96: ***გიარჩქვანუუ(ნ)*** *„დაეჩვევა“,* ***გიაპონუუ(ნ)/გგთგმიაპონუუ*** *„ეყრდნობა“, (ათე პოლიტიკა გგთგმიაპონუუ: ყაზაყიში გაზეთი, 06.03.1930, გვ. 1 --ეს პოლიტიკა ემყარება (ეყრდნობა) (ქაჯ).),* ***აკაათხოზუუ(ნ)*** *„უკან მისდევს, ეკიდება“...*
5. **prev-ი-R-უ-უ(ნ)** ქვესტრუქტურა №97: ***ალეთირუუ(ნ)*** *„ენაცვლება“* ***(*←ალა-ი-თირ-უუ(ნ))...***

მეორე სერიაში სუბიექტი, საერთო წესისამებრ, მოთხრობით ბრუნვაშია, მესამე სერიაში – ისევ ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს, მეოთხე სერიის ფორმების კონსტრუქცია კი ყველა ტიპის ზმნისთვის ნომინატიურია - მეოთხე სერია, სინტაქსური კონსტრუქციის თვალსაზრისით, საოპოზიციო ცალების გამოყოფის საფუძველს არ იძლევა.

მივყვეთ თანმიმდევრულად და განვიხილოთ მეორე დიათეზის დინამიკური, ბრუნვაცვალებადობიექტიანი ზმნათა ქვესტრუქტურები.

4.3.2.1. ქვესტრუქტურა prev-R-უ(ნ) №61

prev-R-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნათა კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom**. საანალიზო ზმნური ფორმები, მსგავსად ამავე სტრუქტურის უზმნისწინო ვარიანტებისა (*„ტიბუ(ნ)“ თბება* და სხვ.) თითზე ჩამოსათვლელია მეგრულში. აწმყოშივე დადასტურებული პრევერბი ხშირ შემთხვევაში, დაცლილია მაასპექტირებელი ფუნქციისაგან და გეზსა და ორიენტაციას აზუსტებს. მყოფად-წყვეტილის მწკრივები ამ ზმნებს ზმნისწინის გართულებითა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკით ეწარმოება. მაგ.,

აწმყო: ***აწგმოხვადუ(ნ)*** *„ხვდება“*

მყოფადი: ***აწოხვადუ(ნ)*** *„ხვდება“*

მყოფადი: ***ქაწოხვადუ(ნ)*** *„დახვდება“*

ამავე რიგისაა **გაფაცუ{ნ}** **„**უვლის (ყურადღებას აქცევს)“. ***ჭანდის შორდით გარაცანდგ, გაფაცგდგ, გაცაცგდგ:*** მასალ., გვ. 66 „ბუზს ნეშოთი უგერიებდა, უვლიდა, ცეცებით ეფერებოდა“(ქაჯ.)), ***გილათხოზუ(ნ)*** *„დასდევს“*, ***გილასქიდუ(ნ)*** *„1.გამორჩება; 2.ჩამორჩება“*, ***გელურუ(ნ)*** *„დააკვდება“* ***გილაღურუ(ნ)*** *„{და}აკვდება:* ***აკოშკაშე გინორე, ჩე ბჟალარა მიორე:*** ი. ყიფშ., გვ. 136 *„ფანჯრიდან არის გადმომდგარი, თეთრი მზის სხივი ადგას“,* ***მუშ სქუას გინარე*** *„თავის შვილს ესარჩლება“,* ***გილართხოზუქ ლანდიშორო ოჭმარეშე ონჯუაშა:*** კ. სამუშ., ქხპს, გვ. 121 *„დაგდევ ლანდივით დილიდან საღამომდე“,* ***გინოდირთუ(ნ)*** *გამოესარჩლება,* ***გოდირთუ(ნ)*** *„დგება“;* ***აკაშა მარცხი ქომოხვადუნ, უკული ნარღება მუს ოხვარუნია:*** *ხალხ. სიბრ., 1, გვ. 6 „ერთხელ მარცხი რომ მოხდება, მერე ნაღვლობა რას უშველისო“,* ***ჩქიმი თია დოჭვიმი დო ქაწობხვადი ჩქიმი დღას: ი.*** *ყიფშ., გვ. 140 „ჩემი წილი იწვიმე და წინ დამხვდი ჩემს დღეში (ჩემს სიცოცხლეში),* ***ჩქიმი ნარაგადუ, მუდგა ჯგირი ვარდასინი, იშენი გურს მითმგოხვადუ*** *„ჩემი ნათქვამი, რამდენიც კარგი არ იყოს, მაინც გულს ხვდება“,* ***გურგოფაჩილო დითმოხვადუ მუშოთ საყოროფო ხალხის*** *„გულღიად ხვდება მისთვის საყვარელ ხალხს...“* მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ჩამოთვლილი ზმნები არაფრით განსხვავდებიან სხვა აქტივებისგან სემანტიკურად, მორფოსინტაქსურად კი საკუთარი სტრუქტურა და კონსტრუქცია

აქვთ, რაც არ გამორიცხავს სემანტიკურად აქტიურ გვარს. *ულლების პარადიგმა რეგულარულია:*

აწმყო: ***გილაღურუ(ნ)*** *„კვდება“*

წყვეტილი: ***გილაღურუ*** *„მოკვდა“*

I რეზულტატივი: ***გილაღურელე(ნ)*** *„მომკვდარა“*

III რეზულტატივი: ***გილგნოღურუე(ნ)*** *„მოკვდებოდა თურმე“*

4.3.2.2. ქვესტრუქტურა Prev.-ა-R-უ(ნ) № 62

Prev.-ა-R-უ(ნ) ქვესტრუქტურის ზმნათა კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom**. პირის ნიშნები მარკირებულია **ვ**ინის რიგის აფიქსებით. მყოფად-წყვეტილის მწკრივებს **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკითა და ზმნისწინის გართულებით აწარმოებენ. შედარებით პატარა პარადიგმაა, აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინი მრავალფეროვანი მიმართულებისა და გეზის გამოხატვის საშუალებას იძლევა: ***გიმაადირთუ(ნ)*** *„გამოადგება“,* ***გინგმაადინუ(ნ)*** *„გადააგებს“,* ***გინაადირთუ(ნ)*** *„გამოესარჩლება“,* ***გიმააკვეტელუ(ნ)*** *„ეკიდება“,* ***გაარსხიპუ(ნ)*** *„მჭიდროდ ეკვრის (მაგ., ტანზე კაბა)“,* ***გაარძღიკუ(ნ)*** *„გადაეხვევა“,* ***გააქვაქვალუ(ნ)*** *„ფუსფუსებს, ირგვლივ ტრიალებს“:* ***ვეერცხიებუ, გააქვაქვალუ*** *„არ შორდება, ირგვლივ ტრიალებს (მასთან)“,* ***გააქვაცალუ(ნ)*** *„მოუცილებლად ირგვლივ ტრიალებს“:* ***„ვეჩერთხუუ, თელი დღას გააქვაცალუდუ*** *„არ ჩამოშორდა, მთელი დღე გარს უტრიალებდა“,* ***გააცაცუ(ნ)*** *„ელოლიავება“,* ***გააჯუდუ(ნ)*** *„გადაკოცნის“...*

ჩამოთვლილ მაგალითთაგან ყველა ფორმა აქტიური მოქმედების გამომხატველია, ტრადიციული კლასიფიკაციით, კი ამ ზმნებს პასივები ეწოდებათ, ვფიქრობთ, გაუმართლებელია მეგრულ **Prev.-ა-R-უ(ნ)** სტრუქტურისა და მათ შესატყვის სალიტერატურო ქართულ **Prev.-ე-R-ებ-ი** სტრუქტურის ზმნებს პასივები ვუწოდოთ, მაშინ, როცა აქტიური მოქმედების გამომხატველნი არიან და სუბიექტის მიერ ჩადენილი მოქმედება უშუალოდ აისახება ბრუნვაუცვლელ ობიექტზე. მათი ასეთი ბუნების გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში მათ აქტიურ, ირიბგარდამავალ ზმნებსაც უწოდებენ (ირიბი ობიექტიდან ამოსვლით) (67,34).

აღსანიშნავია, რომ მოყვანილ მაგალითთაგან რამდენიმე ზმნურ ფორმას პირის კატეგორიის მიხედვით უღლებისას გამოუვლინდება სტრუქტურისეული **-ო** პრეფიქსი ნაცვლად –ა პრეფიქსისა: ***ათანტილუ(ნ) „ებმევა“ – ათგ-მე-ო-ნტილ-უ-ქ, აშგმაჩირთუ(ნ) „ეშლება“ – აშგმ-ო-ჩირთუ(ნ), გიმაადირთუ(ნ) „გამოადგება“ – გიმგვ-ო-დირთუქ, გინაადირთუ(ნ) „გამოესარჩლება“ – გინგვ-ო-დირთუქ, გაარსხიპუ(ნ) „მჭიდროდ ეკვრის“ – გგმორსხიპუ(ნ), ქააჩირთუ(ნ) „ცდება“ – ქავ-ო-ჩირთუქ…***

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***გინაავჯუდუ(ნ)*** *„გადაკოცნის, გადაეკოცნება“*

წყვეტილი: ***ქგინაავჯუდუ „*** *გადაკოცნა, გადაეკოცნა “*

I რეზულტატივი: ***ქგინოჯუდელე(ნ)*** *„გადაუკოცნია“*

III რეზულტატივი: ***გინნოჯუდელუე(ნ)*** *„გადაკოცნიდა თურმე“*

ამავე **სტრუქტურულის ნაირსახეობაა ა-R-უ-უ(ნ)** ქვესტრუქტურის ზმნური ფორმები. მათი კონსტრუქციაც **nom-erg-nom-nom**-ია. პირის ნიშნები მარკირებულია **ვ**ინის რიგის აფიქსებით. მყოფად-წყვეტილის მწკრივები ზმნისწინისა და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის დართვით ეწარმოება. სულ რამდენიმე ფორმა შეგვხვდა **ა-** ხმოვანპრეფიქსიანი; ამავე ქვესტრუქტურის ზმნისწინიანი ვარიანტი გაცილებით უფრო პროდუქტიული აღმოჩნდა (იხ. მომდევნო ქვესტრუქტურა №96).

ყველა მათგანი აწმყო დროის გამომხატველია და უღლების სრული პარადიგმა აქვს. ***აბარჯუ{უ}(ნ)*** *„ერევა, ეწეწება“,* ***ახვადუ(ნ)*** *„ხვდება“,* ***აბონდუუ(ნ)*** *„ეწვნება“,* ***აბონდღუუ(ნ)*** *„ექსელება“; აჩირთ(უ)უ(ნ) „ცდება“: „ბრელქ ქააჩირთუ, მარა მუს იქუნქ! ბევრი შეცდა, მაგრამ რას იზამ!“ …*

უღლების ნიმუში:

აწმყო: ***აბონდუუ(ნ)*** *„ეწვნება“*

წყვეტილი: ***დააბონდუ*** *„დაეწნა““*

I რეზულტატივი: ***დობონდუუნ*** *„დასწვნია“*

III რეზულტატივი: ***დონობონდუე(ნ)*** *„დაეწვნებოდა თურმე“*

ამ აგებულების ზმნათა მყოფადის სტრუქტურაა **Prev.-ა-R-უ-უ(ნ).** პრევერბულ და ხმოვანპრეფიქსულ მორფემათა საზღვარზე რიგი ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს, ხან ასიმილირებულია ხმოვანპრეფიქსი, ხანაც – რედუცირებული, მაგ., ***აწაზადუუ(ნ) ←აწო-ა-ზად-უ(ნ)*** *„წინ ეგებება“…*

სამეცნიერო ლიტერატურაში მეგრული ზმნის კლასიფიცირებისას ამ ზმნებს, ყველგან **პასივებად,** ანუ ვნებითი გვარის ზმნებად მოიხსენიებენ, ჩვენი აზრით, სემანტიკური თვალსაზრისით ეს ზმნები აქტიური ზმნებია, მოქმედებითი გვარისაა. ვინაიდან, ისინი აქტიურსუბიექტიანი ზმნებია; განა მართებული იქნება, სემანტიკურად ***აწაზადუუ(ნ) თინა თის*** *„წინ ეგებება ის მას“* მივიჩნიოთ პასივად?!

დიათეზათა კლასიფიკაციაში გვარი სემანტიკური კატეგორიაა, ის არ არის მიჯაჭვული კონკრეტულ მორფოლოგიურ სტრუქტურაზე, სემანტიკურ დონეზე აქტივები შეიძლება იყონ როგორც **R-Ø**, ისე **R-უ(ნ)** სტრუქტურის მეგრული ზმნური ფორმებიც და ამის ნათელი მაგალითია **Prev.-ა-R-უ-უ(ნ)** ქვესტრუქტურაც: **ყველა ფორმა აქტიურსუბიექტიანია (მოქმედება უშუალოდ გადადის ბრუნვაუცვლელ ობიექტზე):**

აწმყო: ***ათანტილუ(ნ) თინა თის*** *„ებმება ის მას“* - აორისტ.: ***ქათანტილუ თიქ თის*** *„შეება მან მას“:* ***ვითი კოჩი ათანტილგ, მეუღუ ჩაკალ-ჩაკალით:*** *აია,2, გვ. 62 „ათი კაცი შებმია და ძლივს ზიდავს, მიაქვთ ბორძიკ-ბარბაცით“,* ***ათაგუჯუუ(ნ)*** *„აწვება (ქვევიდან), ეცობა“,* ***ათანჯირუუ(ნ)*** *„(შე)უწვება (ქვევიდან)“:* ***ეკაბუნუუ(ნ)*** *„ებმება“,* ***ეკადვალუუ(ნ)*** *„(უკან) ედევნება“,* ***ელაზი/გმუუ(ნ)*** *„ეზომება, ეტოლება“,* ***გეგგშაჩირთუუ(ნ)*** *„ჩამორჩება“,* ***გეშაცუნუუ(ნ)*** *„ამოყვება“,* ***გეგგლაშქვართუუ(ნ)*** *„ლერწამივით სწორად ჩამოეშალა“,* ***გიაგუუ(ნ)*** *„ეჩვევა“,* ***გეშაართუუ(ნ)*** *„გამოეყოფა“,* ***გიახვილუუ(ნ)*** *„დასჭირდება“:* ***კოჩი ღულა ბიგასით ქეგიახვილუუ:*** *ი. ყიფშ., გვ. 178 „კაცს მოღუნული ჯოხიც დასჭირდება“,* ***გიანძალებუუ(ნ)*** *„დაეძალება“*[20], ***გიანჯირუუ(ნ)*** *„რამეზე დაწოლა“:* ***ცორი ვენტირედუა დო კერი ჟი გეთგმანჯირუდუა:*** *თ. სახოკ., გვ. 271 „დედაღორი ვერ ეტეოდა და ტახი ზედ აწვებოდაო“,* ***გიარჩქვანუუ(ნ)*** *„დაჩვევა“...*

პროდუქტიულობის თვალსაზრისით, **Prev.-ა-R-უ-უ(ნ)** ქვესტრუქტურა მეორე დიათეზის დინამიკური ქვეჯგუფის ერთ-ერთი ვრცელი ქვესტრუქტურაა.

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***გეშმართუუ(ნ)*** *„ეყოფა“,*

მყოფადი: ***გეშართუუ(ნ)*** *„გამოეყოფა“,*

წყვეტილი: ***გეშაართუ*** *„გამოეყო“*

---

[20] ჩვენი ხელმძღვანელის, ბატონი მერაბ ჩუხუას მითითებით, სალიტერატურო ენიდან უნდა იყოს შესული მეგრულში.

I რეზულტატივი: ***გეშართუუ(ნ)*** *„გამოჰყოფია“*

III რეზულტატივი: ***გიშნორთუე(ნ)*** *„გამოეყოფოდა თურმე“*

4.3.2.3. ქვესტრუქტურა Prev.-ი-R-უ-უ(ნ) №63

Prev.-ი-R-უ-უ(ნ) ქვესტრუქტურაში, ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე სულ რამდენიმე ზმნა მოვიპოვეთ. ამ ზმნათა კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom**. პირის ნიშნები მარკირებულია **ვ**ინის რიგის აფიქსებით. მყოფად-წყვეტილის მწკრივები **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის ან ზმნისწინის ცვლილებით ეწარმოებათ. ამ პარადიგმის ფორმები **ი-** პრეფიქსიანია, რაც იშვიათობაა მეორე დიათეზის აქტივებში - ბრუნვაუცვლელობიექტიან ზმნებში; ამ ზმნათა სუბიექტი თვითმოქმედი კი არ არის, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ აქტიური მოქმედების გამოხატველია: სუბიექტის მიერ ჩადენილი მოქმედება უშუალოდ აისახება ბრუნვაუცვლელ ობიექტზე: ***ალეთირუუ(ნ) თინა თის*** *„ენაცვლება ის მას“*: ***ხოჯემს ქალეთირუ მეძობელს*** *„ხარებში შეენაცვლა მეზობელს“* - ჩვენთვის მიუღებელია ამ და სხვა მსგავს მაგალითებში ზმნის პასივად გააზრება, მხოლოდ იმიტომ, რომ მას R-უ(ნ) დაბოლოება აქვს.

ამავე რიგისაა: ***აკიზგუმონჯუუ(ნ)*** *„ერთდება, ერწყმება“,* ***აკი{ი}რდუუ(ნ)*** *„(შე)ეზრდება, შეუხორცდება“.*

ზმნისწინისა და ხმოვანპრეფიქსის შესაყარზე, მეგრულის პრევერბული მიკროსტრუქტურისთვის გამოყვანილი ფონოტაქტიკის წესების თანახმად, **აი → ე** (119, 370-271), შედეგად, ***ალეთირუუ(ნ)*** ****←ალა-ი-თირ-უუ(ნ).***

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***აკგმი{ი}რდუუ(ნ)*** *„შეუხორცდება“*

მყოფადი: ***აკგმი{ი}რდუუ(ნ)*** *„შეუხორცდება“*

წყვეტილი: ***აკი{ი}რდუ*** *„შეუხორცდა“*

I რეზულტატივი: ***აკორდე{ლე}(ნ)*** ***„*** *შეხორცეუბულა“*

III რეზულტატივი: ***აკგნორდუე(ნ)*** *„შეხორცდებოდა თურმე“*

4.3.2.2. II დიათეზის ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნები (შეჯამება)

მეორე დიათეზის ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნები **R-უ(ნ)** სტრუქტურისაა, სერიების მიხედვით მათი კონსტრუცია **nom-erg-nom-nom**-ია. გვაქვს როგორც ზმნური, ასევე სახელური ფუძეებისგან წარმოებული ფორმები.

ფუძის სტრუქტურის მიხედვით სულ სამი ქვესტრუქტურა; ფონეტიკურ ნიადაგზე სახეცვლილი ერთეულები კი ქვესტრუქტურათა ქვეჯგუფებში გამოვყავით.

სამეცნიერო ლიტერატურაში მათი **R-უ(ნ)** სტრუქტურის გამო პასივებად კვალიფიცირდებიან, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ: **R-უ(ნ)** სტრუქტურა არის ზოგადი, გვარეობითი სტრუქტურა რომელიც შეიძლება ითავსებდეს სხვადასხვა გვარის ფორმის გამოხატვის ფუნქციას (დაწვრილებით იხ. ზემოთ, მეორე დიათეზა). გამომდინარე იქიდან, რომ მეორე დიათეზის ბრუნვაუცვლელობიექტიან ზმნათაგან ყველა აქტიური მოქმედების გამომხატველია, **გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით, ეს ზმნები აქტივებია, შესაბამისად, მათ გვარის მიხედვით აქტივთა ჯგუფებში ვათავსებთ.**

როგორც მეოთხე თავის შესავალ ნაწილში, მეორე დიათეზის სტრუქტურასა და კონსტრუქციაზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, R-უ(ნ) სტრუქტურის ზმნა შესაძლოა გამოხატავდეს აქტიურ, ავტოაქტიიურ (თვითმოქმედ) და **„მიერ/გან“** ტიპის კონსტრუქციისა და უსულო სუბიექტის შემთხვევაში – პასიურ მოქმედებას: ***(1) ჩქიმ ჯიმა იჭარუუ(ნ) წერილს „ჩემი ძმა <u>იწერება</u> წერილს*** – **<u>აქტივი</u>**, ***(3)თელ დღას ფეისბუქის თოლორუანცგ, სკაიპის რწვანეთ გითორჩქგ დო მუთუნს ვა იჭარუუ(ნ)!*** *„მთელი დღე ფეისბუქს ათვალიერებს, სკაიპში მწვანედ ჩანს და არაფერს <u>იწერება</u>!“* – **<u>ავტოაქტივი</u>**. პასივის ფორმები თეორიულად დასაშვებია, მაგრამ მეგრულად მეტყველისათვის ძალზე ხელოვნურად ჟღერს, რაც მოსალოდნელია კიდეც (***იჭარუუ(ნ) წერილი ჯიმაშე „იწერება წერილი ძმის მიერ“*** – **<u>პასივია).</u>** ამგვარად, მეორე დიათეზის ორპირიანი, ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნური ფორმები აქტიურსუბიექტიანები არიან, ზმნით გამოხატული მოქმედება უშუალოდ აისახება ზმნაში ჩართულ ობიექტზე. სწორედ ამიტომ, ისინი აქტივებად კვალიფიცირდებიან.

4.4. მეორე დიათეზა
(შეჯამება)

ამგვარად, მეორე დიათეზაში შედის **R-უ/ე(ნ)** სტრუქტურისა და **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციის მქონე ზმნური ფორმები, რომელთა სუბიექტიც **ვ**ინის რიგის ნიშნებითაა გამოხატული. მეორე დიათეზაში ორი ძირითადი ქვეჯგუფია: (ა.) სტატიკური და (ბ.) დინამიკური.

(ა.) სტატიკური ქვეჯგუფი უგვაროა, აქ შედის **(1)მწკრივნაკლი სტატიკური ზმნები R-უ/ე(ნ) სტრუქტურისა** (არ ეწარმოებათ მეორე და მესამე სერია) და **(2) ერთპირიანი ი-R-ე(ნ) სტრუქტურის პოტენციალისები** (მწკრივთა სრული პარადიგმა არც ამათ აქვთ სპეციფიკური შინაარსის გამო. რაც შეეხება ტერმინს **„პოტენციალისი“,** ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც პოტენციალისს საკუთარი, მკვეთრად ჩამოყალობებული, გრამატიკული (მორფოლოგიური) ყალიბი აქვს მეგრულში (141,113; 119,618). **ი-R-ე(ნ) სტრუქტურის პოტენციალისები** მორფოსინტაქსური ნიშნებით სწორედ ამ ქვეჯგუფში უნდა მოთავსებულიყო, რადგან: **(1)**მათი სინტაქსური კონსტრუქციაა: **nom-erg-nom-nom**, **(2)**მათი მორფოლოგიური სტრუქტურაა **R-ე(ნ)** და **(3)**პირის ნიშნებიც **ვ**ინის რიგის აფიქსებით აქვთ მარკირებული (მსგავსად მეორე დიათეზის ყველა ზმნისა).

რაც შეეხება ორპირიან **ა-R-ე(ნ)** სტრუქტურის პოტენციალისებს, მათი მორფოსინტაქსური ჩვენება სრულად ემთხვევა **არა მეორე, არამედ მესამე დიათეზის** ზმნათა ნიშნებს: რელატიური პოტენციალისები **(1)მანის** რიგის პირის ნიშნებით არის მარკირებული და **(2)**სინტაქსური კონსტრუქცია დატიური აქვთ: **dat-dat-dat-dat**; ზმნაში ჩართული მეორე პირის კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom:** პირველ, მესამე და მეოთხე სერიებში სახელობითშია, მეორე სერიაში – ერგატივში. ***გობინუ(ნ)*** *„შეჰბნევია“,* ***<u>გონობინუ(ნ)</u>*** *<u>„შესძლებია შებნევა მას“,</u>* ***აბარენ აბარუ*** *„შეძლო ებერა (სული)“,* ***<u>ბარუ</u>*** *<u>„ბერვია,</u> შეუძლია უბეროს სული,* (ქაჯ.)*), შდრ.:*

ერთპირიანი პოტენციალისის კონსტრუქცია ყველა სერიაში სახელობითია და **მარკირებულია ვ**ინის რიგის პირის ნიშნებით:

<u>აწმყო:</u> ***ეირთენე(ნ)*** *„შეიძლება გართობა, შექცევა“ ის*$_{nom}$,

<u>წყვეტილი:</u> ***ეირთინუ*** *„შესაძლებელი გახდა შეყოლიება“ ის*$_{nom}$,

<u>I რეზულტატივი:</u> ***ერთაფელ/რე(ნ)*** *„შესაძლებელი გამხდარა შეყოლიება“* ~~*იმის*~~$_{gen}$

შდრ.:

ორპირიანი პოტენციალისების სუბიექტი მუდმივად დატიურია, მარკირებულია **მ**ანის რიგის პირის ნიშნებით; მეორე აქტანტი კი პირველ, მესამე და მეოთხე სერიაში **სახელობითშია**, მეორე სერიაში – **მოთხრობითში**

<u>აწმყო:</u> ***აბინე(ნ) თის თინა*** *„<u>მას</u>$_{dat}$ შეუძლია შეაბნიოს ის$_{nom}$,*

<u>წყვეტილი:</u> ***აბინუ თის თიქ*** *„<u>მას</u>$_{erg}$ შეძლო შეებნა მან$_{nom}$ “*

<u>I რეზულტატივი:</u> ***გობინუ(ნ) თის თინა*** *„შეჰბნევია <u>მას</u>$_{dat}$ ის$_{nom}$*

<u>III რეზულტატივი:</u>, ***გონობინუე(ნ) თის თინა*** *„შესძლებია შებნევა მას$_{dat}$ ~~იმისი~~$_{gen}$”*

ამგვარად, ერთპირიანი პოტენციალისები, მორფოსინტაქსური ნიშნებით მეორე დიათეზაში ხვდებიან, ორპირიანი პოტენციალისები კი – მესამე დიათეზაში.

(ბ.) დინამიკურ ქვეჯგუფში შედის **R-უ/ე(ნ)** სტრუქტურის **(1)**ერთპირიანი და (2)ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი ზმნები. **(1)ერთპირიანი** ზმნები, როგორც წესი **ი-** პრეფიქსიანი და **–დ** სუფიქსიანი ზმნების ვარიანტებია **R-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ყალიბში, მათი მოქმედება ინტროვეტიზებულია, მოქმედების პროცესი სუბიექტსავე მიემართება. ამიტომ, გვარის მიხედვით, ისინი ავტოაქტივებია, „მიერ” ტიპის კონსტრუქციის ან უსულო სუბიექტის შემთხვევაში კი, იგივე ფორმები პასიური შინაარსისაა (ავტოაქტივი: *იმალება ბავშვი.* შდრ.: პასივი: *იმალება ჩანთა ქალის მიერ“).*

(2)ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი ზმნები, როგორც წესი, ა/ე-R-უ(ნ) სტრუქტურის ორპირიანი ზმნური ფორმებია, ისინი აქტიური მოქმედების გამომხატველნი არიან, ამიტომ, გვარის მიხედვით აქტივებია. მწკრივთა წარმოება რეგულარული აქვთ, სემანტიკურად დაუშვებელი ვარიანტების გარდა ყველა მწკრივი ეწარმოებათ.

ამგვარად, მეორე დიათეზაში, საერთო ჯამში **24** ქვესტრუქტურული ჯგუფი გამოიყო, ამათგან:

- სტატიკური ქვეჯგუფისაა 12 ქვესტრუქტურა (აქედან **9 –** ერთპირიან სტატიკურ ზმნათა, ხოლო **3** – ერთპირიან პოტენციალისთა ქვესტრუქტურა). სტატიკური ქვეჯგუფი მწკრივნაკლი უღლებით უპირისპირდება დინამიკურ ზმნებს.

- დინამიკურ ქვეჯგუფში შედის **12** ქვესტრუქტურა (დინამიკურ ქვეჯგუფშიც ორი განყოფილებისგან შედგება – ერთპირიანი და ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი. ერთპირიანი, აბსოლუტურ ზმნათათვის სულ 9 ქვესტრუქტურა გამოიყო, ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნებისთვის კი – 3).

მეორე დიათეზის ყველა ზმნა სერიების მიხედვით არის **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციისა, სუბიექტი მარკირებულია **ვ**ინის რიგის პირის ნიშნებით და სტრუქტურულად თავსდება **R-უ/ე(ნ)** ძირითად გვარეობით სტრუქტურაში. **ამ წესს გამონაკლისი არ აქვს.**

ამგვარად, საერთო ჯამში, მეორე დიათეზაში 24 ქვესტრუქტურა გამოიყო ხმოვანპრეფიქსების, თემატური სუფიქსების, **-დ** სუფიქსისა და აწმყოს მწკრივშივე დადასტურებული ზმნისწინის მიხედვით, ქვეჯგუფები კი გამოყოფილია გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით:

- **უგვარო** (სტატიკური ზმნები გვარის მიმართ ნეიტრალურები არიან);
- **ავტოაქტიური გვარისა** (აბსოლუტივები, რომლებიც, კონტექსტის მიხედვით, **ზმნური ფორმა+მიერ/გან** ტიპის კონსტრუქციასა და უსულო სუბიექტის შემთხვევაში შეიძლება **პასივად** მოიქცეს.).
- **აქტიური** გვარისა (ორპირიანი ზმნები).

უგამონაკლისოდ, ყოველ მათგანს აერთიანებს **ვ**ინის რიგის პირის ნიშნებეით მარკირებული **R-უ/ე(ნ)** ქვესტრუქტურა და **nom-erg-nom-nom** კონსტრუქცია.

თავი V. მესამე დიათეზა

5.1. მესამე დიათეზის სინტაქსური კონსტრუქცია

მესამე დიათეზის გამოყოფის საფუძველია ზმნის **დატიური კონსტრუქცია** და **მ**ანის რიგის პირის ნიშნებით მარკირებული მოქმედების მდგომარეობის აღმქმელ-განმცდელი აქტანტი – სუსტი ნებელობის, ინაქტიური სუბიექტი. სალიტერატურო ქართულში ეს დიათეზა ნარევი სტრუქტურის ზმნებს შეიცავს, რომელთაგან განსაზღვრული რაოდენობის – „მიყვარს“ ტიპის *(მშია, მწყურია, მცივა, მცხელა...)* **R-Ø** სტრუქტურის ზმნები პირველ ქვეჯგუფს ქმნიან. ისინი არქაული, პირველადი, ძირეული ზმნებია, რომელთა ინაქტიური სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია. II ქვეჯგუფს ქმნიან **R-Ø** და **R-[th.s.]**-ი სტრუქტურის ზმნები, რომლებიც I და II დიათეზის ზმნათა კონვერსიული ფორმებია: *მანატრებს ის მე მას →მენატრება მე ის, მაზიზღებს ის მე მას →მეზიზღება მე ის* – სადაც დაკარგულია მაკაუზირებელი პირი, ხოლო მოქმედების რეალურად შემსრულებელი – ეკზეკუტორი გაგებულია სხვისი ნების შემსრულებელ, სუსტი ნებელობის, ინაქტიურ სუბიექტად (68, 95). მსგავსი მდგომარეობაა მეგრულშიც:

აქ ყველა ზმნა სტატიკურია, შესაბამისად, ვერ ვისაუბრებთ გვარის სემანტიკურ კატეგორიაზე.

„მეგრულში მიცემითი ბრუნვის ფუნქციური დატვირთვა ქართულის მსგავსია: ის არის როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი ობიექტის ბრუნვა, ასევე, მესამე სერიაში ინვერსიულ-გარდამავალი ზმნების რეალური სუბიექტი და რელატიურ-სტატიკური ზმნების რეალური სუბიექტიც მიცემითში დგას“ (119, 286).

მეგრულ ერთპირიან სტატიკურ ზმნებში მოქმედების აღმქმელ-განმცდელი აქტანტი მუდმივად **მიცემით ბრუნვაში** დგას ყველა სერიაში; რელატიურ-სტატიკურ ზმნათა შემთხვევაში კი საანალიზო ფორმით გამოხატული მდგომარეობის მონაწილე მეორე აქტანტი ყველა სერიაში სახელობითშია გარდა მეორე სერიისა; აქ იგი მეგრული სინტაქსის საერთო წესისამებრ, მოთხრობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი.

მესამე დიათეზაში შემდეგი ტიპის ზმნები ერთიანდება*:*

1. ***მიყორს*** ტიპის ძირეული პირველადი ზმნური ფორმები;

2. **R-Ø სტრუქტურის** (პირველი დიათეზის) ლაბილური კონსტრუქციის პირდაკარგული ზმნები, რომელთაც უნებლიე მოქმედება ახასიათებთ *(მოქიონუაფუანს „მამოქნარებს“* ტიპისა)

3. **R-[th.s.]-უ(ნ) სტრუქტურის** (მეორე დიათეზის) ლაბილური კონსტრუქციის პირდაკარგული ფორმები, რომელთაც, ასევე, მათდაუნებურად მოსდით/ეჩვენებათ ზმნით გამოხატული კონკრეტული მოქმედება: ***მოგინძორუ(ნ)*** *„მეგრძელება“,* ***მოჭიჭორუ(ნ)*** *„მეპატარავება“...*

4. **R-[th.s.]-ე(ნ)** სტრუქტურის პოტენციალისის რელატიური ფორმები, რომელთაც მსგავსად ამ დიათეზის ყველა ზმნისა, დატიური კონსტრუქცია და სუბიექტის **მ**-ს რიგის პრეფიქსაცია ახასიათებთ (***აჯაბინე(ნ)*** *„შეუძლია იდარდოს“).*

მესამე დიათეზის პირველი – ***მიღორს*** ტიპის ზმნებს, მათი დატიური კონსტრუქციის გამო ინვერსიულებად განიხილავენ გამომდინარე იმ დადგენილი სქემიდან, რომელშიც **ვ**-ს რიგის ნიშნები აპრიორულად სუბიექტის მარკერებად კვალიფიცირდება, ხოლო **მ**-ს რიგის ნიშნები – ობიექტური პირის მარკერებად.

როგორც ქართული ზმნის მორფოსინტაქსური (გრამატიკული) კლასიფიკაციის შედეგად მიღებულმა დიათეზების სქემამ აჩვენა, ქართველური ზმნის პირის ნიშნების **მ**ანის რიგი ობიექტური პირის გარდა აღნიშნავს სუსტი ნებელობის მქონე ინაქტიური სუბიექტიც. და ეს წესი უგამონაკლისოდ მოქმედებს სამივე დიათეზაში:

მანის რიგის პირის ნიშნები სუბიექტურ პირს აღნიშნავენ I დიათეზის III სერიაში (სადაც ზმნის სუბიექტი სუსტი ენბელობისაა, არააქტიურია) და III დიათეზაში, სადაც სუბიექტი, ასევე, სუსტი ნებელობისაა, ინაქტიურია.

ამგვარად, III დიათეზა სუსტი ნებელობის მქონე სუბიექტის ზმნათა დიათეზაა.

მეგრულშიც **მ**ანის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული სულიერი მდგომარეობის აღმქმელ-განმცდელი აქტანტი მესამე დიათეზის უკლებლივ ყველა ზმნურ ფორმაში. ამ წესს გამონაკლისი არ აქვს. მაგ., ***მ-ი-ღორ-ს მა თი ბოში*** *„მიყვარს მე ის ბიჭი“,* ***ჟა(რ)ნეჩდოშქვითიან მიღუნს უჩაშ*** *და „ორმოცდაშვიდიანი მყავს უფროსი და“* (22, 35).

მაგრამ საინტერესო, სალიტერატურო ენისგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს მესამე დიათეზის რელატიურ ზმნათა მეორე აქტანტი: საერთო წესისამებრ, სალიტერატურო ქართულში **მ-ანის რიგის** პირის ნიშნებით მარკირებულ, **დატიური კონსტრუქციის** მქონე ზმნებში ჩართულია ორი, ყველა სერიაში **ბრუნვაუცვლელი** პირი:

1. პირველი - ზმნის პირიანი ფორმით გამოხატული მდგომარეობის აღმქმელ-განმცდელი აქტანტი, რომელიც მუდმივად მიცემით ბრუნვაში დგას და **მ-**ს რიგის პირის პრეფიქსები მიემართება (მაგ., მწყურია მე წყალი);
2. **მეორე - მუდმივად სახელობით ბრუნვაში მდგარი აქტანტი ვ-ს რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული**; მაგ. (იხ. ცხრ. 5.1.):

ცხრილი 5.1.

აწმყო:	სცვივა ხეს$_{dat}$ ფოთლები$_{nom}$
წყვეტილი:	*ამ ფორმას არ ეწარმოება წყვეტილის ფორმა, თუმცა, რომ ჰქონდეს, კონსტრუქცია იგივე იქნებოდა სალიტერატურო ქართულში : ***ხეს$_{dat}$ ფოთლები$_{nom}$*
I რეზულტატივი:	გასცვენია ხეს$_{dat}$ ფოთლები$_{nom}$

ე.წ. „რეალური ობიექტი“, რომელიც სალიტერატურო ქართულში **<u>ბრუნვაუცვლელი</u> სახელობითბრუნვიანი აქტანტია,** მეგრულში წყვეტილში **<u>ბრუნვაცვალებადად</u>** მოიქცევა და წყვეტილში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით იქნება წარმოდგენილი მაგ., ***მისუ მა სახეს კრემ*** *„მისვია სახეზე კრემი“,* ****მას(უ) მა სახეს კრემქ*** *„მესვა მე სახეზე კრემმა“.* შდრ. ცხრილი №5.2., გვ. 210):

ცხრილი №5.2.

აწმყო:	**სცვივა** ხეს$_{dat}$ ფოთლები$_{nom}$	**უცენს** ჯას$_{dat}$ ფურცელეფი$_{nom}$
წყვეტილი:	*** ხეს$_{dat}$ „ფოთლებ-**მა**$_{erg}$“	**ქოუცუ/ქოუციუ** ჯას$_{dat}$ ფურცელეფი**<u>ქ</u>**$_{\underline{erg}}$ მაგ., ***ნამნეფც***$_{dat}$ ***ვეგოიცუ ინაშე ხერქ***$_{\underline{erg}}$ *„რომლებსაც*$_{dat}$ *არ დასცვივდა იმისგან ხეირ-**მა***$_{\underline{erg}}$*“* (ყაზაყ., 6.05.31, გვ.3, ქაჯაია ო., ლემა №14617)
I რეზულტ.:	დასცვენია ხეს$_{dat}$ ფოთლები$_{nom}$	**ქუდოცუმუ(ნ)** ჯას$_{dat}$ ფურცელეფი$_{nom}$
III რეზულტ.	გასცვივდებოდა თურმე ხეს$_{dat}$ ფოთლები$_{nom}$	**ქუდგნოცუმუე(ნ)** ჯას$_{dat}$ ფურცელეფი$_{nom}$

ამგვარად, სინტაქსური კონსტრუქციის თვალსაზრისით, საერთოქართველური ნორმიდან გარკვეული გადახრა გვაქვს **აორისტში,**

მესამე დიათეზის ყველა ზმნაში მეგრულში, რაც ერგატივის არეალის გაფართოების ტენდენციაზე მიუთითებს. (იხ. ცხრილი 5.3.).

ცხრ.: №5.3.

III დიათეზის ზმნათა სინტაქსური კონსტრუქცია		
პირის ნიშანთა მარკირება>>	**მანის** რიგი მოქმედების აღმქმელ-განმცდელი **ბრუნვაუცვლელი აქტანტი**	**ვინის რიგი** **ბრუნვაცვალებადი აქტანტი**
I სერია ->>	Dat	Nom
II სერია ->>	Dat	Erg
III სერია ->>	Dat	Nom
IV სერია ->>	Dat	Nom

მეგრულში ე.წ. „რეალური ობიექტის“ მოთხრობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენასთან დაკავშირებით, წყვეტილში, **ბ. ჯორბენაძე** შენიშნავს: *„II სერიის ფორმებთან ქვემდებარის (სუბიექტის დასმას მოთხრობითში ორი მიზეზი განაპირობებს: 1) ფორმალური მომენტი: ანალოგია მოქმედებითი გვარის (გარდამავალ) ზმნებთან, რაც იწვევს სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციების უნიფიკაციას; 2)სემანტიკური მომენტი: ფორმობრივად ვნებითის მოდელის მქონე, მაგრამ **აქტიური სემანტიკის** გამომხატველი ზმნები განაპირობებენ სუბიექტის დასმას მოთხრობით ბრუნვაში. ფორმაწარმოებისა და კონსტრუქციის სტრუქტურაზე სემანტიკური ზეგავლენით ნიველირებულია ფორმობრივი შეპირობებულობა“* (165, 239; 34,330-331)

ვფიქრობთ, ანალოგიის პროცესი ნამდვილად არის ძირითადი მიზეზი მოთხრობითი ბრუნვის არეალის ამგვარი გაფართოებისა.

5.1.1. ზმნურ სტრუქტურათა დისტრიბუცია მესამე დიათეზაში

როგორც ჩვენი ნაშრომის პირველ თავებში აღვნიშნეთ, მეგრულში ზმნის სულ **ორი ძირითადი, გვარეობითი სტრუქტურა** არსებობს: (1) **R-[Th.s.]-Ø** და (2) **R-[Th.s.]-უ/ე(ნ);** ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, სადაც ზმნის ორი ძირითადი სტრუქტურა გვაქვს: (1) **R-[Th.s.]-Ø** და (2) **R-[Th.s.]-ი** (იხ. 66; 67; 162,184).

მესამე დიათეზაში ზმნურ სტრუქტურათა დისტრიბუციის განხილვამდე კიდევ ერთხელ გადავხედოთ პირველი და მეორე დიათეზის ზმნათა სტრუქტურებს:

- პირველ დიათეზაში სუბიექტი გვხვდება **ვინის** რიგით მარკირებული **R-[Th.s.]-Ø** სტრუქტურა (რომელიც მესამე სერიაში **მ**-ს რიგის პირის ნიშნებით შეიცვლება);
- მეორე დიათეზაში სუბიექტის **ვინის** რიგით მარკირებული **R-[Th.s.]-უ(ნ)** სტრუქტურა;
- **მესამე დიათეზაში** ორივე სტრუქტურაა, ოღონდ სუბიექტი **მანის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული: მაგ.:**
  - **R-[Th.s.]-Ø**: ***მიღორს*** *„მიყვარს“,* ***შქირენს*** *„შია“...*
  - ***R-[Th.s.]-უ/ე(ნ)***: ***მოჭიჭარუ(ნ) მა თინა*** *„მეპატარავება მე ის“,* ***ოჭიფარუ(ნ) თის თინა*** *„ევიწროვება მას ის“,* ***ოზარალუ(ნ) თის თინა*** *„ეზარალება მას ის“,* ***ოთაკილუ(ნ) თის თინა*** *„ეთაკილება მას ის“,* ***ოიმენდუ(ნ) თის თინა*** *„ეიმედება მას ის“,* ***აბადინე(ნ) თის თინა*** *„შეუძლია დაბადოს მას ის“,* ***აბაზე(ნ)*** *თის თინა „შეუძლია ცემოს მას ის“,* ***აბათილინე(ნ) თის თინა*** *„შეუძლია გააბათილოს მას ის“,* ***აბათქე(ნ) თის თინა*** *„შეუძლია ცემოს მას ის“* ***აჭაბაკე(ნ) თის თინა*** *„შეუძლია ტკეპნოს მას ის“...*

მესამე დიათეზაში **მორფოლოგიური სტრუქტურისა და დატიური სინტაქსური კონსტრუქციის საფუძველზე** შეგვაქვს მეგრული **ორპირიანი პოტენციალისები**. მათი მორფოლოგიური სტრუქტურა საკმაოდ პროდუქტიულია და ძალზე სისტემურად არის ჩამოყალიბებული მეგრულში, ფაქტობრივად, დასრულებულია მისი მორფოლოგიურ კატეგორიად ფორმირების პროცესი: ლაზურისგან განსხვავებით, მეგრულში მათ საკუთარი მორფოლოგიური ყალიბი აქვთ, რაც მეორეული მოვლენაა (მეორეულობას მოწმობს ლაზურის ჩვენებაც, (27, 85-86; ჩუხუა, 119, 614-624).

რატომ შეგვაქვს ე.წ. ორპირიანი პოტენციალისები მესამე დიათეზაში?

სტრუქტურული თვალსაზრისით, ორპირიანი პოტენციალისების სტრუქტურა **R-[Th.s.]-უ/ე(ნ)** გვარეობითი სტრუქტურის ქვესტრუქტურული ნაირსახეობაა იხ. ცხრილი №5.4.:

ცხრილი № 5.4.



მორფოსინტაქსურ გარემოებებზე მსჯელობისას კი შემდეგი პარამეტრები გვაქვს მხედველობაში:

1. ორპირიანი პოტენციალისების სინტაქსური **კონსტრუქცია დატიურია – მოქმედების აღმქმელ-განმცდელი აქტანტი ყველა სერიაში მიცემით ბრუნვაში დგას** *(მესამე დიათეზის გამოყოფის საფუძველი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზმნის* ***დატიური კონსტრუქცია*** *და* ***მანის რიგით*** *გამოხატული მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირია);*
2. ორპირიანი პოტენციალისებით გამოხატული მოქმედების აღმქმელ-განმცდელი **აქტანტი მანის** რიგის პირის ნიშნებითაა წარმოდგენილი;
3. მსგავსად მესამე დიათეზის სხვა ზმნებისა, ორპირიანი პოტენციალისების მეორე აქტანტიც, რომელიც **არ არის მოქმედების აღმქმელ-განმცდელი, აორისტში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით ფორმდება;** მაგ., ***კოს ვაგაგინუ ამბექ*** *„კაცს ვერ გაეგო ამბავმა“,* ***მეზობელს ყუდექ ვაკეთინუ*** *„მეზობელს სახლმა ვერ გააკეთა“* და სხვ.

შენიშვნა: *ამავე პრინციპით,* ***ერთპირიანი პოტენციალისები,*** *რომელთა სუბიექტიც* ***ვინის რიგითაა*** *მარკირებული და თან მათი* ***კონსტრუქცია სერიათა მიხედვით nom-erg-nom-nom****-ია, მეორე დიათეზაში მოვახვედრეთ, რადგან აქ ყველა სხვა ზმნას სწორედ ეს მორფოსინტაქსური პრინციპი აერთიანებს.*

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება პოტენციალისთა და ე.წ. „ინვერსიულ ზმნათა“ კონსტრუქციის მსგავსების შესახებ (როგორც

ზემოთ აღვნიშნეთ, ფუნქციურად, მესამე დიათეზაში **მ**-ს რგის პირის ნიშნები სწორედ რომ სუბიექტს, მოქმედების აღმქმელ-განმცდელ პირს აღნიშნავენ, პირველ-მეორე დიათეზაში კი – ობიექტებს, მათი დისტრიბუცია მკვეთრად არის დაპირისპირებული და არასოდეს აირევა ერთმანეთში. მთავარია, **ვ**ინისა და **მ**ანის რიგის ნიშნები არ მივაკედლოთ რომელიმე ერთ კონსტრუქციას და დავუშვათ მათი ვარირება დიათეზათა მიხედვით: **„ცნობილია, რომ რელატიურ-სტატიკური ზმნები მცირერიცხოვანია ქართულში და, შესაბამისად, ზანურშიც.** მაგრამ ინვერსიულ ფორმათა რაოდენობას ზრდის **პოტენციალისის კატეგორიის არსებობა მეგრულ-ლაზურში.** როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, პოტენციალისის ერთ-ერთი ნიშანი ინვერსიულობაა, რადგანაც, პოტენციალისის რელატიური ფორმა, ჩვეულებრივ, გამოხატავს რეალური სუბიექტის ქმედების შესაძლებლობას (141, 110-112, 133, 6-7, 119, 287).

აღნიშული მოსაზრება კიდევ უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ **მ**ანის რიგის პრეფიქსებით მარკირებულ ორპირიან პოტენციალისთა ადგილი (**ვ**ინის რიგით მარკირებული ერთპირიანი პოტენციალისების გარეშე) სწორედ მესამე დიათეზაშია – იდენტური მორფოლოგიური სტრუქტურისა და კონსტრუქციის ზმნებთან ერთად.

რაც შეეხება სემანტიკურ დონეს, აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს უნებლიობის კატეგორიის შესახებაც: შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მესამე დიათეზის ყველა ზმნა შეიწყობს **ინაქტიურ**, სუსტი ნებელობის მქონე სულიერი მდგომარეობის აღმქმელ-განმცდელ პირს. ამით შინაარსობლივად განსხვავდება მესამე დიათეზის ყველა ზმნა პირველი და მეორე დიათეზის ზმნათაგან;

სუბიექტის მოქმედება უნებლია, ზმნის სემანტიკა გამოხატავს სუბიექტის სულიერ გრძ ობებს, სიყვარულს, სიძულვილს, ეჭვს, ყოყმანს... მაგ., ***მოჭიჭარუ(ნ) მა თე კაბა*** *„მეპატარავება მე ეგ კაბა“,* ***ონატრუ(ნ) თის თინა*** *„ენატრება მას ის“.*

მომდევნო პარაგრაფებში განვიხილავთ, თუ რა ქვესტრუქტურული ჯგუფები გამოვლინდება მესამე დიათეზის **მანის რიგის პირის ნიშნებით მარკირებული** დატიური კონსტრუქციის მქონე ორი გვარეობითი სტრუქტურის **R-[Th.s.]-Ø** *და* ***R-[Th.s.]-უ/ე(ნ))*** ფარგლებში.

5.2. მესამე დიათეზის **R-Ø** სტრუქტურა

5.2.1. შესავალი

მესამე დიათეზის **R-Ø** ქვესტრუქტურა, მართალია, მაგალითების სიმდიდრით არ გამოირჩევა, მაგრამ იგი შედგება ხმარების სიხშირის თვალსაზრისით აქტიური მოხმარების არქაული ზმნური ლექსემებისგან (როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ზმნურ ფორმებისაგან). ყველა შემთხვევაში, მოქმედების აღმქმელ-განმცდელი აქტანტი, პარტიციპანტი **მიცემითბრუნვიანია**, მეორე აქტანტის ბრუნვები კი, მესამე დიათეზისთვის დამახასიათებელი მეგრული ჩარჩოს მიხედვით, **nom-erg-nom-nom**-ია (მეორე სერიაში ერგატივშია):

ლურ-ს თის *„სძინავს მას“,* ***ჯერ-ს თის*** *„სჯერა მას“,* ***მოწონ-ს თის თინა*** *, „მოსწონს მას ის“,* ***წან-ს თის თინა*** *„სწამს მას ის.*

მაგალითები:

ლურს *„სძინავს“: ბაღანას გემუანო ლურს - ბავშვს გემრიელად (/ტკბილად) სძინავს; თი კოჩის ირო ლურს - იმ კაცს ყოველთვის სძინავს.*

ამ ზმნებს ხან ეწარმოება მეორე სერია, ხან არა; მესამე და მეოთხე სერიის ფორმები კი, როგორც წესი, რეგულარულია (მოგვყავს ძირითად, საბაზისო მწკრივთა ფორმები):

ქიდუურულუაფუ(ნ) „დაუძინია“, ნორულუე(ნ) *„დაიძინებდა თურმე“*

ბაღანას გემუანო ქიდუურულუაფგ „ბავშვს გემრიელად (/ტკბილად) დაუძინია“, თი კოჩის ირო ნორულუე „იმ კაცს ყოველთვის (სულ) სძინებია“

მოწონს „მოსწონს“ – თი ბოშის თი ძღაბგ მოწონს *„იმ ბიჭს ის გოგო მოსწონს“ მასწავლებელს ნინოშ პასუხ მოწონს „მასწავლებელს ნინოს პასუხი მოსწონს“*

****მეწონუ*** *„მოეწონა“*

თი ბოშის მეწონუ თი ძღაბიქ *„იმ ბიჭს მოეწონა იმ გოგომ“*

მოწონებ(უ)(ნ) „მოსწონებია“:

თი ბოშის თი ძღაბგ მოწონებგ „*იმ ბიჭს ის გოგო მოსწონებია“;*

მასწავლებელს ნინოშ პასუხგ მოწონებგ *„მასწავლებელს ნინოს პასუხი მოსწონებია“;*

წანს „სწამს“:

ჩქიმ ოჯახის ღორონთიშ წანს *„ჩემს ოჯახს ღმერთის სწამს“;*

თეშნერ სიტყვაშ წანს „ამნაირი სიტყვის სწამს“

ჯერს „სჯერა“

თიშ ნარაგადგ იფრელგ ჯერს „მისი ნათქვამი ყველაფერი სჯერა“

სქანგ ჯერს „შენი სჯერა“

5.2.2. ქვესტრუქტურა **prev-R-Ø** №64

მესამე დიათეზის **prev-R-Ø** სტრუქტურაც **მანის** რიგის პრეფიქსებით გამოხატული არქაული სტატიკური ზმნათა სტრუქტურაა. სამაგალითო მასალა აქაც მწირია, მაგრამ, მათი გაერთიანება სხვა ქვესტრუქტურის ზმნებთან შეუძლებელია, რადგან აწმყოს მწკრივშივე დართული ზმნისწინი მხოლოდ ახლანდელი ვითარების დამაზუსტებელია, დაცლილია დროისა და ასპექტური გაგებისაგან. სულ რმდენიმე ფორმაა და ყველა მათგანი ორპირიანია. ზმნური ფორმა, სემანტიკურად, სტატიკურია. მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი მუდმივად მიცემითბრუნვიანია, მეორე აქტანტის ბრუნვები კი, მესამე დიათეზისთვის დამახასიათებელი ჩარჩოს მიხედვით **nom-erg-nom-nom**-ია, ზმნის სტატიკური ბუნებიდანგამომდინარე, მწკრივნაკლია, მხოლოდ პირველი და მეოთხე სერიის მწკრივები ეწარმოება:

აწმყო: ***მიკაქუნს / მუკაქუნს/ მგკაქუნს*** *„აცვია“*

III რეზულტატივი: *„**მუკნოქუნუე(ნ)*** *„ეცვა თურმე, ნაცვამა“*

ნინოს სკვამგ (სკ□ამგ) კაბა მიკაქუნს *„ნინოს ლამაზი კაბა აცვია“*

ცირას კოხტას მიკაქუნს *„ცირას კოხტად აცვია“.*

5.2.3. ქვესტრუქტურა R-ენ-Ø №65

მესამე დიათეზის **R-ენ-Ø** სტრუქტურის ზმნები, მსგავსად მესამე დიათეზის სხვა ზმნებისა, დატიური კონსტრუქციისაა. **მ**-ს რიგის პირის ნიშნებით გამოხატულია მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი, ხოლო **ვ**-ს რიგის პირის ნიშნებით კი ზმნით გამოხატული მოქმედების ობიექტი, ***ჰცუმენც*** „მწყურია“; ***ირო ფშქირენც*** *„სულ მშია“* (ყიფშ, გვ.69. ვიმოწმებთ ქაჯაიადან). ასევე, ***შქირ-ენ-ს*** *თის „ჰშია მას“,* ***ლუკას (ოჭკუმალგ) შქირენს*** *„ლუკას (საჭმელი) ჰშია“,* ***ჩქიმ სქუას შქირენს*** *„ჩემს შვილს ჰშია“.*

ეს სტატიკური ზმნებია; შესაბამისად, მწკრივნაკლია; რამდენიმე მათგანს ნასესხები აქვს აორისტის ფორმა: ***მიმაშქირენუ(ნ)*** *„მომემშია“* ***მიმაცუმენუ*** *„მომეწყურა“.*

ოთარ ქაჯაიას ლექსიკონში მითითებულია, რომ მათ „მხოლოდ აწმყოს წრისა და მეოთხე სერიის ფორმები ეწარმოება“. ეს ასეც არის, მაგრამ ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებში ადგილი ჰქონდა ფორმათა აღრევას: ამ ზმნებს, ჩვენი რესპონდენტი, მისდა უნებურად იყენებდა სხვა ზმნის წყვეტილის მწკრივის, წარსული სრული დროის გაგებით. რა თქმა უნდა, ეს დინამიკური ზმნები ამ სტატიკური პარადიგმის გაგრძელება არ არის, ვფიქრობთ, ფორმათა ჩანაცვლება-აღრევის საინტერესო ფაქტია:

წყვეტილი: ***მომაცუმენ(გ) გოდა სერ*** *„*მომეწყურა (მომწყურდა) გუშინ ღამით“*

I რეზულტატივი: ***მოცუმინაფ(გ) (ქგმოცუმინაფ(გ))*** - *მოსწყურებია:* ***ჩქიმ მუმას (მუმა ჩქიმს) მოცუმენაფგ (ქგმოცუმინაფგ)*** *„ჩემს მამას (მამაჩემს) მოსწყურებია“;* ***საქონელს მოცუმინაფ(გ) (ქგმოცუმინაფ(გ))*** *„საქონელს მოსწყურებია“.*

პარალელურად გვხვდება ამ ზმნათა აღწერითი ფორმებიც: ***შქირენი მაფუ(ნ)*** *„მშია“,* ***ცუმენი მაფუ(ნ)*** *„მწყურია“.* ***ცუმენქ მაუ (/ან მაცუ) გოდა*** *„მომწყურდა გუშინ“;* ***ცუმენქ მაუ (/ან მაცუ) გოდა სერ*** *„მომწყურდა გუშინ ღამით;* ***მგმაშქირინუ//გ გოდა*** *„მომშივდა გუშინ“;* ***მგმაშქირენუ//გ გოდა სერ*** *„მომშივდა გუშინ ღამით“.*

5.2.4. **ი/უ-R-Ø** ქვესტრუქტურა №66

მესამე დიათეზის **ი/უ-R-Ø** ქვესტრუქტურის ზმნათა კონსტრუქციაც დატიურია, მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი მანის რიგის პრეფიქსებითა და მიცემითი ბრუნვის ნიშნით არის მარკირებული ყველა სერიაში. მსგავსად სტატიკურ ზმნათა უმრავლესობისა, ამ ზმნებს მეორე სერია არ მოეპოვებათ.

პირველ-მეორე პირში **ი-** პრეფიქსიანი სტრუქტურა გვექნება: ***მ-იყ-ორს, გიყორს*** *„მიყვარს, გიყვარს“...*

წარსული დროის სემანტიკის გამოსახატავად, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში, უწყვეტლის მწკრივი გამოიყენება: ***უ-ყორ-ს*** *“უყვარს“* - ***უ-ყორ-დ-უ*** *“უყვარდა“,* ***უჭირს*** *„უჭირს“* – ***უჭირდუ*** *„უჭირდა“.* ზმნაში ჩართული მეორე აქტანტი კი პირველ, მესამე და მეოთხე სერიაში სახელობითშია, მეორე სერია, როგორც აღვნიშნეთ, მესამე დიათეზის **უ-R-Ø** ქვესტრუქტურის ზმნათა სრულ უმრავლესობას არ ეწარმოება. უღლების პარადიგმა ნაკლულია:

აწმყო: ***უჭირს*** *„უჭირს“*

გაკვეთილიშ გაგება უჭირს *„გაკვეთილის გაგება უჭირს“*

თეშ რაგად უჭირს *„ამის თქმა უჭირს“*

წყვეტილი: არ ეწარმოება.

I რეზულტატივი: ***გაჭირებ(უ)*** *„გაჭირვებია“*

გაკვეთილიშ გაგება გაჭირებ(უ) *„გაკვეთილის გაგება გაჭირვებია*

თეშ რაგად გაჭირებ(უ) *„ამის თქმა გაჭირვებია“*

აწმყო: ***უყორს*** ***„*****უყვარს“**

დიდას სქუა მანგარო უყორს *„დედას შვილი ძალიან უყვარს“*

ბაღანას ბურთიშ ლაყაფ უყორს *„ბავშვს ბურთის თამაში უყვარს“*

წყვეტილი: არ ეწარმოება.

III რეზულტატივი: ***ნოყოროფუე(ნ)*** *„შეჰყვარებია“*

ბოშის ძღაბ ნოყოროფუე(ნ) *„ბიჭს გოგო შეჰყვარებია“*

ცხადია, **ი/უ-** პრეფიქსი ამ სტრუქტურის ზმნებში სასხვისო ქცევის შინაარსს არ გამოხატავს, როგორც წესი, გრამატიკულად, იგი პირთა საკორელაციო დანიშნულებისაა.

ამ ზმნათა რიგისაა *უპირჭ-ან-ს* ფორმაც, რომლის **–ან** სუფიქსი სინქრონიულ ჭრილში ფუძეს შეუხორცდა, თუმცა, სავარაუდოდ, იგი წარმოშობით თემატური სუფიქსი უნდა იყოს. დღეს იგი თემის ნიშნად არ გაიგება და, შესაბამისად, **უ-პირჭან-ს** ფორმა მესამე დიათეზის სტატიკურ, **უ-R-Ø** ქვესტრუქტურაში გაერთიანდება. მეტყველებაში ხშირად ვხვდებით ამ ზმნის არაორგანულ, აღწერით წარმოებას: ***გოპირჭინაფილი აფუ(ნ)*** *„უჭყეტია“.* მეორე სერიის ფორმები არ ეწარმოება, უღლების პარადიგმა ნაკლულია, გვაქვს მხოლოდ პირველი და მეოთხე სერიის ფორმები:

აწმყო: **უპირჭანს „**დაჭყეტილი აქვს (ფართოდ გახელილი აქვს)“
თოლ უპირჭანს „თვალი დაჭყეტილი აქვს (ფართოდ გახელილი აქვს)“
წყვეტილი: *(ნაკლულ.)*
III რეზულტატივი: **ნოპირჭაფუე(ნ) „**დააჭყეტილი ექნებოდა თურმე“

შენიშვნა: გალის რაიონიდან ლტოლვილთა მეტყველებაში ამ ზმნას სრულიად ჩამოშორებული აქვს ყალიბისეული სუფიქსი: ***გოუპირჭინუაფ, ქოცოროფებ*** *და სხვ.,* ზოგან ნაშთის სახით გ ხმოვალი გვაქვს შემორჩენილი.

5.2.5. ი/უ-R-ენ-Ø ქვესტრუქტურა №67

მესამე დიათეზის **ი/უ-R-ენ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნათა კონსტრუქცია დატიურია, მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი **მ**ანის რიგის პრეფიქსებითა და მიცემითი ბრუნვის ნიშნით არის მარკირებული ყველა სერიაში. ***უკვენს*** *„უკვირს“ (//**უკვე(ნ)** –ზუგდ.-სამურზ.*); „ჩართული მეორე პირი კი პირველ და მესამე სერიაში სახელობითშია, მეორე სერიაში კი – ერგატივში (მსგავსად მესამე დიათეზის სხვა მეგრული ზმნებისა, რომელთაც მეორე სერიის ფორმები ეწარმოებათ). მაგ.,

აწმყო:***ნაბეტანცგ უკვენს//უ-კუ-ე-(ნ) თე ამბე ილონას*** *„ძალიან უკვირს ეს ამბავი ილონას“*

I რეზულტატივი: ***ნაბეტანცგ გაკვირებუ თე ამბე ილობას*** *„ძალიან გაჰკვირვებია ეს ამბავი ილონას“.*

როგორც ზემოთ, პირველი დიათეზის განხილვისას აღვნიშნეთ, ზმნათა ის ჯგუფი, რომელიც აკაკი შანიძესთან საშუალ-მოქმედებითი გვარის ფორმებად არის ჩათვლილი, მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური **(nom-erg-dat-nom)** კონსტრუქციის საფუძველზე პირველი დიათეზაში თავსდება. ***უკვენს*** *„უკვირს“* ზმნურ ფორმას კი დატიური (**dat-dat-dat-dat**) კონსტრუქცია აქვს (ყველა სერიაში ბრუნვაუცვლელი სუბიექტით); შესაბამისად, მისი ადგილი მესამე დიათეზაშია, რაც გამორიცხავს მის მიწერას ზმნათა იმ ჯგუფზე, რომლებიც ე.წ. „საშუალ-მოქმედებითი“ გვარის ფორმებში ერთიანდება.

ვიცავთ მორფოსინტაქსურ პრინციპს: დატიური სუბიექტი, მანის რიგის პირის ნიშნებით მარკირება;

ამავე სტრუქტურისაა ***უცენს*** *„1. ესევა; 2.უცვივდება“* ზმნური ფორმაც. ოღონდ, სტატიკური ***უკვენს*** *„უკვირს“* ზმნისგან განსხვავებით, ამ ზმნას ორი მნიშვნელობა და ორი კონსტრუქცია შეიძლება ჰქონდეს კონტექსტის მიხედვით: (1) **ვ**ინის რიგის პირის ნიშნებით მარკირების შემთხვევაში - **nom-nom-nom-nom (**მაგ., ***შანქარც ჭკიჭკიტია ქუცენს*** *„შაქარს ჭიანჭველა შეესევა“)* და (2) **მ**ანის რიგის პირის ნიშნებით მარკირების შემთხვევაში კი – **dat-dat-dat-dat** კონსტრუქცია (მაგ., ***თე დუდგინოტაბაკერს თუმაქ გვალო დოციუ*** *„ამ თავგადატვლეპილს თმამ სულ გასცვივდა“).* **პირველი** – ნომინატიური კონსტრუქციის შემთხვევაში სუბიექტი მუდმივად სახელობით ბრუნვაში დგას (***ჭკიჭკიტია*** *„ჭიანჭველა“*), ხოლო ობიექტი ბრუნვაუცვლელია და მუდმივად დატივშია (***შანქარც*** *„შაქარს“*). **მეორე** შემთხვევაში კონსტრუქცია დატიურია, სუბიექტი მუდმივად მიცემით ბრუნვაში დგას (***დუდგინოტაბაკერს*** *„თავგადატვლეპილს”*), ობიექტი კი პირველ და მესამე სერიაში სახელობითი ბრუნვის ნიშნითაა მარკირებული, წყვეტილში კი - მოთხრობითი ბრუნვის **–ქ** სუფიქსით (***თუმაქ*** *„თმამ“*).

აქედან გამომდინარე, **სემანტიკურ დონეზე** კონტექსტის მიხედვით, ხოლო **სინტაქსურ დონეზე** სინტაქსური კონსტრუქციის საფუძველზე, პირველ – ნომინატიური კონსტრუქციის შემთხვევაში ***„უცენს“*** ზმნური ფორმა მეორე

დიათეზაში მოხვდება, მეორე შემთხვევაში კი – დატიური კონსტუქციის ზმნების შემცველ მესამე დიათეზაში.

უღლების პარადიგმა რეგულარულია:

აწმყო: ***უცენს*** *„სცვივა“*

მყოფადი: ***დოუცენს*** *„გასცვივდება“*

წყვეტილი: ***დოუცუ//უციუ*** *„გასცვივდა“*

I რეზულტატივი: ***ქუდოცუმუ(ნ)*** *„გასცვენია“*

III რეზულტატივი: ***ნოცუმუე(ნ)*** *„გასცვივდებოდა თურმე“*

მაგ., ***შხუ ჯას დიდი ნახაფული დუუცენსია*** *„მსხვილ ხეს დიდი ნაფოტები დასცვივდებაო“* , ***ჯაში ხორხუას ბრელი ნაძგაშურაქ დოციუ*** *„ხის ხერხვისას ბევრი გვერდითი ჩამონაჭერი დასცვივდა“*, ***თე კოჩის იფრელ უკვე(ნს)*** *„ამ კაცს ყველაფერი უკვირს“*, ***ჩქიმ ნათქუელგ გაკვირვებ(უ)*** *„ჩემი ნათქვამი გაჰკვირვებია“*, ***კატუს თუმა უცენს*** *„კატას თმა სცვივა“*, ***ხეშე ირფელ უცენს*** *„ხელიდან ყველაფერი სცვივა“*, ***კატუს თუმა ქუდოცუმ(უ)*** *„კატას თმა დასცვენია“*, ***ხეშე ირფელ ქუდოცუმუ(ნ)*** *„ხელიდან ყველაფერი დასცვენია“.*

5.2.6. Prev.-ო-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №68

მესამე დიათეზის **Prev-ო-R-უ-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნათა კონსტრუქცია დატიურია; მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი სუსტი, ინაქტიური სუბიექტია, ამ ქვესტრუქტურის ზმნები **მ**ანის რიგის პრეფიქსებითაა მარკირებული, ინაქტიური სუბიექტის კი მუდმივად მიცემითშია (ყველა რეალიზებულ მწკრივში). მესამე დიათეზის **Prev.-ო-R-უ-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნები ორპირიანის კონვერსიული ერთლენტიანია – მაკაუზირებელი პირი დაკარგულია, მისი მარკერ რუდიმენტადაა ქცეული, ცნობიერებაში დარჩენილია რეალურად მოქმედი (ეკზეკუტორი), რომელიც რეფლექსურ სუბიექტადაა გაგებული და გამოხატულია ამოსავალი I დიათეის ორპირიანი ფორმის ბრუნვაცვალებადი ობიექტის მ- მარკერით (67,225-255): ***ილგ-მ-ო-რგილ-უ-ან-ს მა*** „მა-მ-ცივნ-ებ-ს *მე*$_{dat}$“. ***ილგ-მ-ო-ჩხურ-უ-ან-ს მა*** *„მამცივნებს მე“*, ***ილგმოფურუანს*** *„მახურვებს მე*$_{dat}$*“.*

არსებობს ამ ზმნათა ***ო-რგილ-უ-ან-ს თინა თის*** *„აციებს, აგრილებს ის მას“,* ***ო-რჩხიალ-უ-ან-ს /ა-რჩხიალ-ენ-ს თინა თის*** *„აცხელებს ის მას“,* ***ო-ფურ-უ-ან-ს თინა თის*** *„ახურვებს ის მას“* ფორმებიც; კონსტრუქციის თვალსაზრისით ლაბილურობას ამჟღავნებენ: თუ დასტურდება მაკაუზირებელი პირი, მაშინი ისინი მოიაზრებენ სამოქმედო ბრუნვაცვალებადი ობიექტს; მათი ყველა მორფოსინტაქსური პარამეტრი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი პირველი დიათეზის ზმნებია; მეორე შემთხვევაში იკარგება მაკაუზირებელი პირი და **მ**ანის რიგის პირის ნიშნებით მარკირებული ერთპირიანი ფორმები (სამოქმედო ობიექტი მოიქცევა სუბიექტად) დატიური კონსტრუქციისა შესაბამისად, მორფოსინტაქსურ საფუძველზე მესამე დიათეზაში გადაირიცხებიან. სემანტიკურადაც, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგ., აწმყო: ***ოჟარჟალუანს*** *„აჟრჟოლებს/აკანკალებს“,* ***ოზარზალუანს*** *„1.ჰზარავს, 2. აზანზარებს“* – ლაბილური კონსტრუქციის მქონეა. კონტექსტის მიხედვით გვექნება ორი მნიშვნელობა, რომელიც მკვეთრად არის გამიჯნული დიათეზათა მორფოსინტაქსური პარამეტრების მიხედვით:

მნიშველობა №1: ***ო/უზარზაზალუანს თინა თის*** *„აზანზარებს ის მას“*, მაგ.: ***ეფერი მიოღორუუ, თელ ქიანას <u>დოუზარზალუუ</u> (თიქ)*** *„ისეთი მიაყვირა, მთელი ქვეყანა დააზანზარა (მან)“*) და, შესაბამისად, პირველი დიათეზის ზმნებია, ხანაც **dat-dat-dat-dat** კონსტრუქციისა: მნიშვნელობა №2: ***ოზარზალუანს თის შიშიშე*** *„ჰზარავს მას შიშისაგან.“*), და, შესაბამისად, მესამე დიათეზისა.

აწმყო: ***ოჟარჟალუანს*** *„აცახცახებს“*

წყვეტილი: ***უჟარჟალუუ*** *„ააცახცახა“*

I რეზულტატივი: ***უჟარჟალუაფუ(ნ)*** *„უცახცახებია “*

III რეზულტატივი: ***ნოჟარჟალუაფუე(ნ)*** *„ცახცახებდა თურმე“*

მორფოლოგიურ დონეზე პირველ დიათეზაში, საერთო წესისამებრ, **ვ**ინის რიგის მარკირება გვექნება, მესამე დიათეზაში კი **მ**ანის რიგისა.

სინტაქსურ დონეზე პირველ დიათეზაში, საერთო წესისამებრ, **nom-erg-dat-nom** კონსტრუქცია გვაქვს, მესამე დიათეზაში – დატიური.

სემანტიკურ დონეზე პირველი დიათეზის ზმნებში გააზრებული მოქმედებაა, აქტიური სუბიექტით. მესამე დიათეზის ზმნებში კი ინაქტიური სუბიექტი გვაქვს, რომელსაც მისდაუნებურად, გარემო პირობების გამო ემართება ზმნით გამოხატული მოქმედება-მდგომარეობა.

უღლების პარადიგმა ნაკლულია, მხოლოდ აწმყოსა და მეოთხე სერიის მწკრივები შეიძლება ჰქონდეს:

მაგ.:

- აქტიურსუბიექტიანი, **ვ**ინის რიგის პირის ნიშნებით მარკირებული ფორმებში ორივე პირი მოქმედი და სამოქმედო (ობიექტი) სახეზეა: ***კვერცხი ვაგაარგიულუათ (ვაგაარგიულუათ თქვა თინა)!*** „კვერცხი არ გააგრილოთ/გააცივოთ (არ გააგრილოთ თქვენ ის)“, ***თიცალი მახინჯი ცოფენა, ქიდანას ნორგილაფუენა(ნ)***: *ი. ყიფშ., გვ. 12 „ისეთი ქურდები ყოფილან, ქვეყანას ანადგურებდნენ (აცივებდნენ)“.* შდრ.:
- ერთპირიანი, ინაქტიურსუბიექტიანი, **მ**ანის რიგის პირის ნიშნებით მარკირებული ფორმა: ***სერით სინჩხეს მარზენსი დო დღაშით გუმორგილუანს:*** ქხს, 1, გვ. 142 *„ღამით სიცხეს მაძლევს და დღისით მაცივებს“ (მაგალითებს ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან).*
  - **ორჟიალუანს** „აურიალებს“***: ქობძირინი, გომარჟიალუ ტანს*** *„რომ ვნახე, გამაურიალა ტანში“*

უღლების პარადიგმა ნაკლულია:

აწმყო: **მოფურუანს** ***მა***$_{dat}$ *„მახურვებს მე*$_{dat}$*“*

მყოფადი: **ილგმოფურუანს** ***მა***$_{dat}$ *„შემახურვებს მე*$_{dat}$*“*

წყვეტილი: ***(ქ)ელგმოფურუ მა***$_{dat}$ *„შემახურა მე*$_{dat}$*“*

მაგ., ***გალე ჩხურუე, უცბაშე მუშენი ქელგმოფურუ მა, ვა მიჩქუ,*** *„გარეთ ცივა, უეცრად რატომ შემახურა, არ ვიცი“.*

ზეპირმეტყველებაში წყვეტილის მწკრივის ფორმა მაინც და მაინც პროდუქტიული არ არის, როგორ წესი, წარსული (მოქმედება-)მდგომარეობის გამოსახატავად ამ ზმნებში უწყვეტლის მწკრივის ფორმა გამოიყენება (მსგავსად მიდორს ტიპის ზმნებისა): ***ილგმორგილუანდ(უ)*** *„მციოდა“,* ***ილგმოფურუანდგ*** *„მცხელოდა“.*

5.2.7. ო-R-აფ-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №69

მესამე დიათეზის **ო-R-აფ-უ-ან-Ø** ქვესტრუქტურის ზმნათა სინტაქსური კონსტრუქცია დატიურია; სემანტიკურად, მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი ინაქტიური სუბიექტია, მისდა უნებურად მოსდის/ემართება ზმნით გამოხატული მოქმედება. ამ ქვესტრუქტურის ზმნების ინაქტიური სუბიექტის ბრუნვა კი მუდმივად მიცემითია და ყველა მწკრივში **მ**ანის რიგის პრეფიქსებითაა მარკირებული. მაგ., აწმყო: ***ჩხურუშე ო-კანკალ-აფ-უ-ან-ს*** *„სიცივისგან აკანკალებს“,* ***ვა მიჩქუ მუშენი ო-ქიონ-აფ-უ-ან-ს თის***$_{dat}$ *„არ ვიცი, რატომ მამთქნარებს (მე*$_{dat}$*)“,* ***ჩჯჩჯს***$_{dat}$ ***ონჯუაშე ო-ჩიონ-აფ-უ-ანს*** *„ჩვილს*$_{dat}$ სადამოდან აცემინებს“; ამავე *პარადიგმისაა:* ***ოჯგარჯგალაფუანს*** *„აძაგძაგებს“,* ***ოფირქებაფუანს*** *„აფიქრებს“,* ***ოხვალაფუანს*** *„ახველებს“,* ***ოქიონაფუანს*** *(სენაკ.)//* ***ოქირონაფუანს*** *(ზუგდ.სამურზ.) „ამთქნარებს”,* ***სერით ოქირონაფუანს*** *„ღამით ამთქნარებს“,* ***უქირონაფუაფგ*** *„უმთქნარებია“,* ***ნოქირონუე*** *„ამთქნარებდა თურმე“,* ***მთელ სერს უქირონაფუაფგ*** *„მთელი ღამე უმთქნარებია,* ***ნოქირონუე(ნ)*** *„ამთქნარებდა თურმე“,* ***ოჩიონაფუანს*** *„აცემინებს“,* ***მთელ დღას ოჩიონაფუანს*** *„მთელი დღე აცემინებს“,* ***უჩიონაფაუაფგ*** *„უცემინებია“,* ***ნოჩიონუე(ნ)*** *„აცემინებდა თურმე“,* ***მთელ დღას უჩიონაფუაფგ*** *„მთელი დღე აცემინებს“.* ***ოჯგარჯგალაფუანს „****აძაგძაგებს“:* ***ჩხურგ აფგ დო ოჯგარჯგალაფუანს*** *„სცივა და აძაგძაგებს“,*

აწმყო: *მ****ოხვალაფუანს*** *„მახველებს“:* ***ნიკას ოხვალაფუანს*** *„ნიკას ახველებს“,*

წყვეტილი: ***ქუმოხვალაფუ*** *„დამახველა“:* ***სიმწარეშე ქუმოხვალაფუ*** *„სიმწრისაგან დამახველა“,*

I რეზულტატივი: ***უხვალაფუაუფგ*** *„უხველებია“:* ***ნიკაშა მთელ სერს უხვალაფუაფგ „****ნიკასთვის მთელი ღამე უხველებია“.*

მოხვალაფუანს, მოჩიონაფუანს ტიპის ზმნებთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეორიულად გამორიცხულია პირველი და მეორე პირის სუბიექტური წყობის დავუმთქნარებივარ ტიპის ფორმები – სემანტიკურად შეუძლებელია“. (ანალოგიური მოვლენის შესახებ სალიტერატურო ქართულში (67,240).

უღლების ნიმუში:

აწმყო: ***ო-ჩიონ-აფ-უ-ან-ს*** *„აცემინებს“*

მყოფადი: ***გა-(ა)-ჩიონ-აფ-უ-ან-ს*** *„დააცემინებს“*

წყვეტილი: ***გა-(ა)-ჩიონ-აფ-უ*** *„დააცემინა“*

I რეზულტატივი: ***გუ-ჩიონ-აფ-უ*** *„დაუცემინებია“*

III რეზულტატივი: ***გო-ნო-ჩიონ-აფ-უ-ე(ნ)*** *„დააცემინებდა თურმე“*

5.2.8. მუ ა-R-ენ-Ø ქვესტრუქტურა №70

მუ ა-R-ენ-Ø ქვესტრუქტურის ზმნები დატიური კონსტრუქციის ზმნებია (მსგავსად მესამე დიათეზის სხვა ზმნებისა). დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ გახლავთ საკუთრივ მეგრული ყალიბი, ჩვენი ხელმძღვანელის, პროფ. მერაბ ჩუხუას შენიშვნით, ის სალიტერატურო ენის გავლენით არის შესული მეგრულში. შეგვიძლია თამამად ვთქვათ: ქვემოთ გაანალიზებული ფორმები ნამდვილად დასტურდება მეგრულ ზეპირმეტყველებასა და ტექსტებში. ნაწილი კი ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონიდან გვაქვს ამოკრებილი. ისტორიულად, ესენი კაუზატიური ფორმებია, მაგრამ დღეისათვის დაკარგულია **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის მქონე მაკაუზირებელი პირი; მოქმედების აღმქმელ-განმცდელი აქტანტის ფუნქციას ზმნურ კონსტრუქციაში დარჩენილი მიცემითბრუნვიანი აქტანტი ითავსებს (მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, (67,241). მაგ., ***მუ ა-შერ-ენს*** *„რა აგიჟებს“,* ***მუ ა-ზეიმ-ენ-ს*** *„რა აზეიმებს“,* ***მუ ა-ცალ-ენ-ს*** *„რა აცოფებს“.*

მესამე დიათეზის **მუ ა-R-ენ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნებს ერთვის **რა** ნაცვალსახელი, რომელიც მნიშვნელობისგან დაცლილ (ცარიელ) ნაწილაკად არის ქცეული. ეს **მუ** „რა“ ნაწილაკი ამ ზმნურ ფორმათა კითხვით-ნეგატიურ („რატომ...“) გუნება-განწყობის სემანტიკაზე მიუთითებს, მსგავსად მათი სალიტერატურო ქართული ენის შესატყვისებისა.

უღლების პარადიგმა რეგულარულია, თუმცა ზოგიერთი ზმნა, სემანტიკიდან გამომდინარე, შეიძლება მწკრივნაკლი იყოს.

აწმყო: ***მუ გაშერენს?!*** *„რა გაგიჟებს?!” მაგ.,* ***„სი მუ გოკო, მუ გაშერენსია?!“,*** *„შენ რა გინდა, რა გაგიჟებსო?!“*

წყვეტილი: ***მუქ გაგაშერუ*** *„რამ გაგაგიჟა“ მაგ.,* ***„ვა მიჩქუ, მუშენ მიდაფრთი ქალქიშა, მუქ გამაშერუ?!“*** *არ ვიცი, რატომ წავედი ქალაქში, რამ გამაგიჟა?!”*

I რეზულტატივი: ***მუს გუშერებუქ*** *„რას გაუგიჟებიხარ“* მაგ., ***მუშე გაღოლ ათე გვარქ, მუს გაუშერებუქ*** *„რატომ დაგემართა ამგვარი, რას გაუგიჟებიხარ/გადაურევიხარ?!“*

III რეზულტატივი: **გონოშერებუექ** „განაგიჟებხარ“

სხვა მაგალითები: ***მუ აზეიმენს*** *„რა აზეიმებს“:* ***ცოდას მუ აზეიმენს*** *„საწყალს რა აზეიმებს?!“,* ***მუ აცალენს*** *„რა აცოფებს?!“:* ***მუ აცალენს თე კოჩის*** *„რა აცოფებს ამ კაცს“,* ***მუს გაუცალებ(უ) თე კოჩ(ი)*** *„რას გაუცოფებია ეს კაცი“,* ***მუ ა-ხანგ-ენ-ს*** *„რა აგიჟებს/შეშლის“:* **მუ ახანგენს თე ძღაბის** *„რა აგიჟებს/შეშლის ამ გოგოს,* ***მუს გ(ა)უხანგებ(უ)*** **თე ძღაბ** *„რას გაუგიჟებია/შეუშლია ეს გოგო“.*

მუ ა-R-ენ-Ø ქვესტრუქტურის ზმნათა მსგავსი, ანალოგიური მორფოსინტაქსური პროცესების შედეგად არის წარმოქმნილი შემდეგი **მუ** „რა“ ნაწილაკიანი **ხუთი** ქვესტრუქტურა. **მუ ა-R-ენ-Ø** ქვესტრუქტურის ზმნებთან შედარებით მხოლოდ მცირე, ფუძის სტრუქტურული სხვაობა გვაქვს, ამიტომ, ცალკე ქვეთავებად აღარ გამოვყოფთ და აქვე დავასახელებთ ქვესტრუქტურულ ჯგუფს შესაბამისი მაგალითებითურთ:

5.2.9. მუ prev.-R-უნ-Ø ქვესტრუქტურა №71

მუ გინმო-ლას-უნ-ს „რა რევს“: ი ოსურს მუ გინმოლასუნს *„იმ ქალს რა გადარევს?!“,* ***გინოლასუ*** *„გადარია“:* ***მუქ გინოლასუ თი ბოში?!*** *„რამ გადარია ის ბიჭი?!“* ***გეგგნუულასუ (გეგგნულასუ)*** *„გადაურევია“:* ***ეზმა ტყურათ გეგგნუულასუ*** *„ამდენი ტყუილით გადაურევია“.*

5.2.10. მუ ო-R-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა № 72

მუ ვა-(ო)-სვანჯ-უ-ან-ს *„რა არ ასვენებს“:* ***მუ ოსვანჯუანს*** *„რა ასვენებს“:* ***მუ ვასვანჯუანს თე ოსურს „****რა არ ასვენებს ამ ქალს“,* ***მუს ვამოუსვანჯუაფ(უ)*** *„რას არ მოუსვენებია“:* ***მუს ვამოუსვანჯუაფ(უ) თე ოსურ*** *„რას არ მოუსვენებია ეს ქალი“;* ***მუ ვარულუანს*** *„რა არ აძინებს“:* ***მუ ვარულუანს თე ბადანას*** *„რა არ აძინებს ამ ბავშვს“,* ***სინჩხეს ვადოურულაფ ბადანა*** *„სიცხეს არ დაუძინებია ბავშვი“,* **მუ ო-ბირ-უ-ან-ს** „რა ამღერებს“, **მუ ო-შქურ-ინ-უ-ან-ს** „რა აშინებს“, **მუ ოსხაპ-ინ-უ-ან-ს** „რა აცეკვებს“, **მუ ოძიც-ინ-უ-ან-ს** „რა აცინებს“, **მუ ო-რძინ-უ-ან-ს** „რა აძლებინებს“, ***მუ ობირუანს*** *„რა ამღერებს“,* ***ირო მუ ობირუანს*** *„ყოველთვის რა ამღერებს“,* ***მუს უბირაფუაფგ*** *„რას აუმღერებია“,* ***მუ მიზეზის უბირაფუაფგ*** *„რა მიზეზს აუმღერებია“,* ***მუ ოშქურინუანს*** *„რა აშინებს“,* ***თეშ მამწარათ მუ ოშქურინუანს*** *„ასე მწარედ რა აშინებს“,* ***თეშ მამწარათ მუს უშქურინუაფგ „****ასე მწარედ რას შეუშინებია“,* ***მუ ოსხაპინუანს*** *„რა აცეკვებს“,* ***თეზმას მუ ოსხაპინუანს*** *„ამდენს რა აცეკვებს“,* ***მუს უსხაპინ(აფ)უაფგ თე ძღაბგ „****რას აუცეკვებია ეს გოგო“,* ***მუ ოძიცინუანს „****რა აცინებს****“, თე ბადანას ირო მუ ოძიცინუანს*** *„ამ ბავშვს სულ რა აცინებს“,* ***თე ბადანა მუს გოუძიცინუაფგ*** *„ეს ბავშვი რას გაუცინებია“,* ***მუ ორზინუანს (ორძინუანს)*** *„რა აძლებინებს“,* ***მუ ორზინუანს (ორძინუანს) თი ოჯახის*** *„რა აძლებინებს იმ ოჯახში“,*

5.2.11. მუ ო-R-აფ-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №73

მუ ო-რაგად-აფ-უ-ან-ს *„რა ალაპარაკებს“:* ***თეზგმას მუ ორაგადაფუანს „****ამდენს რა ალაპარაკებს“,* ***მუ ო-ჩხუპ-ებ-აფ-უ-ან-ს*** *„რა აჩხუბებს“,* ***თე კოჩის ირო მუ ოჩხუპებაფუანს*** *„ამ კაცს სულ რა აჩხუბებს“,* ***მუ ო-ყაყალ-აფ-უ-ან-ს*** *„რა აყაყანებს“,* ***ოსურენს თეზგმას მუ ოყაყალაფუანს*** *„ქალებს ამდენს რა აყაყანებს“,* ***მუზგმა უყაყალუაფგ*** *„რამდენი უყაყანია“,* ***მუ ოღვარაფუანს*** *„რა აყვირებს“:* ***ხვიჩას ირო მუ ოღვარაფუანს*** *„ხვიჩას ყოველთვის რა აყვირებს“,* ***ცირას მუზგმა უღვარუ(ნ) „****რამდენი უყვირია ცირას“...*

5.2.12. მუ ო-R-ებ-აფ-უ-ან-Ø ქვესტრუქტურა №74

მუ ოქეიფებაფუანს თეზმა ხანს *„რა აქეიფებს ამდენ ხანს“,* ***ქოუქეიფებაფუაფ(უ) არძაშა გემუანო*** *„უქეიფებია ყველასთვის გემრიელად (კარგად)“,* ***მუ ო-ქაქანებ-აფ-უ-ან-ს*** *„რა აქაქანებს“: მუ ოქაქანაფუანს თე ოსურს - რა აქაქანებს ამ ქალს,* ***ნოტე მუ ორზებაფუანს//ორზინუანს ურცხო ქიანაშა*** *„ნეტავი რა აძლებინებს უცხო ქვეყანაში?“...*

მესამე დიათეზის **R-Ø** სტრუქტურის **რა** ნაწილაკიანი ფორმები ხშირად **ნეტავ** ნაწილაკთან ერთადაც გვხვდება; ***ნოტე მუ მოძიცინუანს*** *„ნეტავ რა მაცინებს“.*

5.3. მესამე დიათეზის R-უ(ნ) სტრუქტურა

მესამე დიათეზის **<u>R-უ(ნ) სტრუქტურის</u>** ზმნებიც მორფოსინტაქსურ ნიადაგზე ერთიანდებიან ამ დიათეზაში: უღლებისას მათი კონსტრუქცია დატიურია. მიუხედავად იმისა, ერთპირიანია ზმნა თუ ორპირიანი, ზმნით გამოხატული მდგომარეობის აღმქმელ-განმცდელი პირი ინაქტიური მუდმივად მიცემითი ბრუნვის ნიშნითაა მარკირებული. რელატიური ფორმის შემთხვევაში

მაგ., ***ჩოდუ(ნ) თის*** *„სცალია მას*$_{dat}$*“,* ***შ-უ(ნ)*** *თის*$_{dat}$ *თინა*$_{nom}$*:* ***„დიირჩინუ ცირაქ, მუჭომ შქვერთერია ძლაბი ფშუ(ნ)*** *„დაბერდა ცირამ, როგორი აშოლტილი გოგო მახსოვს“.*

როგორც აღვნიშნეთ, მესამე დიათეზაში გაერთიანებულ ზმნათა კონსტრუქცია დატიურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება-მდგომარეობის აღმქმელ-განმცდელი სუსტი ნებელობის სუბიექტური პირი მუდმივად მიცემითბრუნვიანია, ყველა მწკრივში (რაც კი გააჩნია). მეორე აქტანტი კი, რომელიც, საერთო წესისამებრ, მუდმივად სახელობით ბრუნვაშია სალიტერატურო ქართულსა და მის ყველა დიალექტში, მეგრული ზმნების წყვეტილის მწკრივში მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციით წარმოგვიდგება: ***ირ კოჩქ ართო გიმაჯოგუ ჩქიმიან დო შხვაში თურქუ*** *„ყველა კაცმა ერთად* ***შემძულდა*** *ჩემიანი და სხვისი მოგვარე“* (მაგალითს ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან). სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში კი იგივე წინადადება ასე გაიმართებოდა: *„ყველა კაცი შემძულდა...“.*

ერთპირიან ზმნებში სახელობითში დასმული პირი გაუჩინარებულია. სახეზეა მხოლოდ მოქმედების აღმქმელ-განმცდელი ინაქტიური მიცემითბრუნვიანი აქტანტი, მეორე აქტანტი კი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როდესაც კონკრეტულ კონტექსტში კონკრეტული ფორმა **დატიურ კონსტრუქციას შეიცვლის nom-erg-dat-nom** ან **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციებით, ხოლო **მ**ანის რიგის პირის ნიშნებს - **ვ**ინის რიგის პირის ნიშნებით; მაგ.,

დატიური კონსტრუქცია (III დიათეზა) → **nom-erg-dat-nom** (I დიათეზა)**:**
მოზარზალუანს *„მზარავს მე*$_{dat}$*“ —> **ვოზარზალუანქ „ვ**ა**ზანზარებს მე**$_{nom}$ *მას*$_{dat}$*“.*
მაგ.:

III დიათეზა: ***<u>უზარზალუანს</u> თის***$_{dat}$ ***შიშიშე*** *„ჰზარავს მას შიშისაგან“* (მწკრივნაკლია, მსგავსად მესამე დიათეზის ზმნათა უმრავლესობისა).

შდრ.:

I დიათეზა:

ნდირი$_{nom}$ ***„მურს, მარა <u>უზარზალუანს</u> დიხას*** *(მ.ხუბ., გვ.31) დევი „მიდის, მაგრამ <u>აზანზარებს/ზანზარს აწყებინებს</u> მიწას (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან).*

მივყვეთ თანმიმდევრულად და განვიხილოთ **R-უ(ნ)** სტრუქტურის ქვევარიანტები, რომელიც, **მორფოსინტაქსურ დონეზე დატიური კონსტრუქციითა** და მანის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული. **სემანტიკურ დონეზე კი ზმნასთან შეწყობილი** მიცემითბრუნვიანი სახელი, როგორც წესი, სუსტი, ინაქტიური სუბიექტია. უმრავლეს შემთხვევაში იგი **სულიერია. ამ ტიპის ზმნები, ძირითადად, მწკრივნაკლია.**

ქვესტრუქტურებს შორის მხოლოდ ფუძის აგებულების მხრივ არის სხვაობა, მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს გვარეობითი ძირითადი სტრუქტურა - R-უ(ნ) და დატიური კონსტრუქცია. ამიტომ, ქვესტრუქტურათა განხილვისას აღარ ვისაუბრებთ მორფოსინტაქსურ გვარეობით მარკირებაზე და უშუალოდ, თითოეულ სტრუქტურულ ქვესახეთა ნიმუშებს მოვიხმობთ:

5.3.1. R-უ(ნ) ქვესტრუქტურა №74

ჩოდ(უ)(ნ) *„სცალია“:* ***ილონას ვაჩოდუ(ნ) თეშა*** *„ილონას არ სცალია ამისთვის“,* ***მუმას ვაჩოდუ(ნ) ჩქიმდა*** *„არ სცალია ჩემთვის“;* ***მუთ რენ (ქუ)მოუჩომილუაფ)*** *„როგორც იქნა მოუცლია“.* ***აჩი(ნ)ჩოლუ(ნ)*** *„ემსხვრევა“:* ***ჭირქეფ აჩინჩოლუ(ნ)*** *„ჭიქები ემსხვრევა“,* ***დოჩი(ნ)ჩოლუ(ნ)*** *„დამსხვრევია“,* ***ჭირქეფ დოჩი(ნ)ჩოლუ*** *„ჭიქები დამსხვრევია“,* ***ანჯამუ(ნ)*** *„ეხილება (თვალი)“:* ***ჭიჭე-ჭიჭეთ თოლგ ანჯამუ(ნ)*** *„ნელ-ნელა თვალი ეხილება“,* ***გონჯამუ(ნ)*** *„გაუხელია“:* ***ლეხის თოლგ გონჯამგ*** *„ავადმყოფს თვალი გახელია“...*

5.3.2. prev.-R-უ(ნ) №75

გე-ძ-უ(ნ) *„ჰმართებს, ვალად ადევს“:* ***თი კოჩის ჩქიმ ვალი გეძუ(ნ)*** *„იმ კაცს ჩემი ვალი მართებს“,* ***თის შხვაშ ხოლო გეძუ(ნ)*** *„მას სხვისიც მართებს“,* ***შხვაშ ხოლო გინოძვე(ნ)*** *„სხვისიც ემართა თურმე“...*

5.3.3. ო-R-უ(ნ) ქვესტრუქტურა № 76

სტატიკური **ო-R-უ(ნ) ქვესტრუქტურის** ზმნები, რომლებიც მანის რიგის პირის ნიშნებით არიან მარკირებულნი და თან დატიური კონსტრუქცია აქვთ, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე პროდუქტიულია სხვა ქვესტრუქტურებთან შედარებით.

სტატიკურ ზმნათა საერთო წესის მიხედვით, უმრავლესობა ზმნებისა მწკრივნაკლია: მეორე სერიის ფორმებს ვერ აწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვესტრუქტურის გამაერთიანებელი პარამეტრებია მორფოლოგიური ფორმა და სინტაქსური კონსტრუქცია, აუცილებლად მივიჩნევთ კიდევ ორი ქვეჯგუფის გამოყოფას სტატიკური და დინამიკური ზმნებისთვის. მათ შორის არსებული სხვაობა თავს იჩენს ამ ზმნათა უღლებისას:

❖ **სტატიკურ ზმნებს მხოლოდ პირველი და მეოთხე სერიის მწკრივები ეწარმოება**, თუმცა, ზოგ ფორმას მაინც აქვს გამართული პარადიგმა:

<u>აწმყო:</u>	<u>წყვეტილი:</u>	<u>I რეზულტატივი:</u>
მა მოონჯღორუ(ნ) *„მცხვენია“*	***დემეონჯღორუ***	***დაონჯღორებუ(ნ)***
თის ორიდუ(ნ) *„მას ერიდება“*	***მე(ე)რიდუ***	***მორიდებუ(ნ)***
მა მოშქურუ(ნ) *„მე მეშინია“*	***მაშქურინუ***	***ფშქურინებუ(ნ)***

მაგ., ***ობადუ(ნ)*** *„აბადია“:* ***მუთ ობადუ(ნ), მუშ ნაშრომ რე*** *„რაც აბადია, მისი ნაშრომია“,* ***მუთ ნობადუე(ნ), მუშ ნახანდი ცოფე*** *„რაც ებადა თურმე, მისი ნაშრომია;* ***ობარუ(ნ)*** *„აბარია“:* ***მუთ ობარუნ, ჯგირო თხილანს*** *„რაც აბარია, კარგად იცავს“,* ***მუთ ნობარუენ, ჯგირო ნოთხილუე(ნ)*** *„რაც ებარა თურმე, კარგად იცავდა“,* ***ონდუ(ნ)*** *„ენდობა“,* ***ჩქიმ სიტყვას ონდუ(ნ)*** *„ჩემს სიტყვას ენდობა“,* ***ჩქიმ სიტყვაშა უნდებუ*** *„ჩემს სიტყვას ენდო თურმე“,*

ონებუ(ნ) *„ნებავს“,* ***უნჩაშის თაშ ონებუ(ნ)*** *„უფროსს ასე ნებავს“,* ***უნჩაშის თაშ ნონებუე(ნ)*** *„უფროსს ასე ენება თურმე“,* ***ოწვადილუ(ნ)*** *„სწადს /სწადია“:* ***ირო ჯგირიშ კეთება ოწვადილუ(ნ)*** *„ყოველთვის კარგის კეთება სწადია“,* ***ოწყინუ(ნ)*** *„სწყინს“:* ***იფრელ ოწყინუ(ნ)*** *„ყველაფერი სწყინს“,* ***ჩქიმ ნარაგად წყინებუ(ნ)*** *„ჩემი ნათქვამი სწყენია“,* ***ოშქურუ(ნ)*** *„ეშინია“:* ***სერით ხვალე ოშქურუ(ნ)*** *„დამე მარტო ეშინია“,* ***მა ჯოღორგშა მოშქურუ(ნ)*** *„მე ძაღლის მეშინია“,* ***სერით ხვალე შქურნებგ*** *„დამე მარტო შეშინებია“,* ***ლუკას ჯოღორშა შქურნებგ*** *„ლუკას ძაღლის შეშინებია“,* ***ცუდეშ ულა ოხიოლუ(ნ)*** *„სახლში წასვლა უხარია“,* ***სქუაშ წარმატება ოხიოლგ*** *„შვილის წარმატება უხარია“...* ოსიზმარუ(ნ) *„ესიზმრება“:* ***ნიკას ბურთეფ ოსიზმარუ(ნ)*** *„ნიკას ბურთები ესიზმრება“,* ***ცირას თოჯინეფქ ქიგიასიზმარუ*** *„ცირას თოჯინებმა დაესიზმრა“,* ***ბაღანას ოლაცაფე გესიზმარაფ(უ)*** *„ბავშვს სათამაშო დასიზმრებია“,* ***ორიდუ(ნ)*** *„ერიდება“:* ***უნჩაშეფიშ რიდებუ(ნ)*** *„უფროსების მოჰრიდებია“,* ***მუმაშ მორიდებუ(ნ)*** *„მამის მორიდებია“,* ***სუმარიში ერიდებგ*** *„სტუმრის მოერიდა“,* ***ოზარუ(ნ)*** *„ეზარება“:* ***რაგად ოზარუ(ნ)*** *„ლაპარაკი ეზარება“,* ***კითხირ ოზარუ(ნ)*** *„კითხვა ეზარება“,* ***დეეზარებუ(ნ) ფარაში მეჯღონაქ*** *„დაეზარა ფულის მიგზავნა“,* ***კითხირ დაზარებუ(ნ)*** *„კითხვა დაზარებია“,* ***ჩქუმალაქ ვადგეზარას ბაღანაქიშ*** *„***ბაღანამის <u>გაგზავნამ</u> არ დაგეზაროს“ და სხვ.*

კიდევ ერთი ტენდენცია გამოიკვეთა ქვემოთ მოყვანილი მაგალითების გაანალიზებისას: სპორადულად იკარგება და იშვიათად ვიწროვდება (უ(ნ) →გ) პირველი თურმეობითის **–უ(ნ)** სუფიქსი: *მაგ.,* ***შქურნებ-*** *„შეშინებია“,* ***ხიოლებგ*** *„გახარებია“,* ***დოსქვამაფ-*** *„დაჰშვენებია“,* ***შეხარბებ-*** *„შეჰხარბებია“ და სხვ.*

მართალია, ლექსიკურად აღნიშნული მაგალითები სალიტერატურო ქართულანაა საზიარო, მაგრამ მეგრულ ყალიბში ჩასმისა და შემდგომ მორფოლოგიური სუფიქსის მოკვეცის შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ ტენდენციის შესახებ.

სტატიკური ზმნების ფორმები წარსული დროის ფორმების გამოსახატავად აქტიურად იყენებ უწყვეტლის მწკრივის ფორმებს: ***ოსქუ(ნ) -ოსქუდუ*** *„ჰშვენის – ჰშვენოდა“* და სხვ.

სხვა მაგალითები: ***ონატრუ(ნ)*** *„ენატრება“: მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში* ***დიდას სქუა ონატრუ(ნ)*** *„დედას შვილი ენატრება“,* ***ნინოს ცირა მონატრებ(გ)*** *(ეს ფორმა ენარტებუ–ს რიგში უწერია ო. ქაჯაიას)* *„ნინოს ცირა მოჰნატრებია“,* ***ოსქუ(ნ)*** *„ჰშვენის“,* ***თე ფერ ოსქუ(ნ)*** *„ეს ფერი ჰშვენის (უხდება)“,* ***ოსქუ(ნ) ფერქ ვეშეხვადგ*** *„როგორიც ჰშვენის ისეთი (იმფერი) არ შეხვდა“,* ***დოსქვამაფ(უ)*** *„დაჰმშვენებია“:* ***თე ფერ დოუსქვამუაფ(უ)*** *„ეს ფერი დაუმშვენებია (მოხდომია)“,* ***ოსაჭირუ(ნ)*** *„სჭირია“:* ***ჩქიმ მოხვარა ოსაჭირუ(ნ)*** *„ჩემი დახმარება სჭირია“,* ***ოსაჭირუნ(ი) ფერ საქმე რე*** *„რომ სჭირია (სჭირდება) ისეი საქმეა“,* ***ფარა ოსაჭირუ*** *„ფული სჭირია“,* ***დოსაჭირებუ*** *„დასჭირვებია“,* ***ჩქიმ მოხვარა დოსაჭირებგ*** *„ჩემი დახმარება დასჭირებია“,* ***ფარა დოუსაჭირებ*** *„ფული დაუჭირვებია (მისთვის)“,* ***ოხარბუ(ნ)*** *(იგივეა: ონჯარუ(ნ))„შურს, ეხარბება“,* ***შხვაშ იფრელ ოხარბუ(ნ)*** *(/ონჯარუ(ნ))* *„სხვისი ყველაფერი ეხარბება (/შურს),* ***ხარბებუ(ნ) / ნჯარებუ(ნ)*** *„შეჰხარბებია“:* ***შხვაშ შეხარბებ(გ)(/ ნჯარებუ(ნ))*** *„სხვისი შეჰხარბებია“,* ***ოადვილუ(ნ)*** *„ეადვილება“:* ***დავალებაშ კეთება ოადვილუ(ნ)*** *„დავალების კეთება უადვილდება“,* ***თე საქმე ოადვილ(გ)*** *„ეს საქმე ეადვილება“,* ***გაუადვილებ(უ)*** *„გაუადვილებია“:* ***დავალებაშ კეთება გაუადვილებგ*** *„დავალების კეთება გაუადვილებია“,* ***თე საქმე გაუადვილებგ*** *„ეს საქმე გაუადვილებია“,* ***ოამაყუ(ნ)*** *„ეამაყება“,* ***ჯგირ სქუა ოამაყუ(ნ)*** *„კარგი შვილი ეამაყება“,* ***უამაყებუ(ნ)*** ***„უამაყია“:*** ***ჯგირ სქუათ უამაყებ(გ)*** *„კარგი შვილი უამაყია“,* ***ობრელუ(ნ)*** *„ებევრება“:* ***ფარა ობრელუ(ნ)*** *„ფული ებევრება“,* ***პატიცემა ობრელუ(ნ)*** *„პატივისცემა ებევრება“,* ***ოგემუანუ(ნ)*** *„ეგემრიელება“,* ***ჩქიმ ღუდეს ოგემუან*** *„ჩემს სახლში ეგემრიელება“,* ***დიდაშ ხე ოგემუანგ*** *„დედის ხელი ეგემრიელება“,* ***ჩქიმ ღუდეს გემუანებუ(ნ)*** *„ჩემს სახლში ეგემრიელა თურმე“,* ***დიდაშ ხე გემუანებუ(ნ)*** *„დედის ხელი ეგემრიელა თურმე“,* ***ოგინძარუ(ნ)*** *„ეგრძელება“,* ***დღა ოგინძარუ(ნ)*** *„დღე ეგრძელება“,* ***დღა გაგრძელებგ*** *„დღე გაგრძელებია“,* ***ოდიარდუ(ნ)*** *„ედიდება“,* ***მადვალარ ოდიარდუ(ნ)*** *„ფეხსაცმელი ედიდება“,* ***დავალება ოდიარდუ(ნ)*** *„დავალება ედიდება“,****ოეჭუ(ნ)*** *„ეეჭვება“,* ***თეშნერ საქმეშ ოეჭუ(ნ)*** *„ასეთი საქმის ეეჭვება“,* ***თიშ ნარაგად(გ) ოეჭუ(ნ)*** *„მისი ნათქვამი ეეჭვება“,* ***(და)ეჭვებუ(ნ)*** *„დაეჭვებია“:* ***თეშნერ საქმეშ (და)ეჭვებუ*** *„ასეთი საქმის დაეჭვებია“,* ***თიშ ნარაგადგ (და)ეჭვებუ(ნ)*** *„მისი ნათქვამი დაეჭვებია“,* ***ოჭიფარუ(ნ)*** *„ევიწროვება“,* ***გიშაულარ შარა ოჭიფარუ(ნ)*** *„გასასვლელი გზა ევიწროვება“,* ***ნინოს კაბა ოჭიფარუ(ნ)*** *„ნინოს კაბა*

ევიწროვება“, ***ჭიფარებუ(ნ)*** *„ევიწროვა“,* ***გიშაულარ შარა ჭიფარებუ(ნ)*** *„გასასვლელი გზა ევიწროვა“,* ***ნინოს კაბა ჭიფარებუ(ნ)*** *„ნინოს კაბა ევიწროვა“,* ***ოზარალუ(ნ)*** *„ეზარალება“,* ***თეშგმადიდა (თე ხელა) სუფრაშ გოფაჩუა ოზარალუ(ნ)*** *„ამხელა სუფრის გაშლა ეზარალება“,* ***თეზგმაშ ჩუქება ოზარალუ(ნ)*** *„ამდენის ჩუქება ეზარალება“,* ***უზარალებუ(ნ)*** *„უზარალია“:* ***თეშმადიდა (თე ხელა) სუფრაშ გოფაჩუათ უზარალებგ*** *„ამხელა სუფრის გაშლით უზარალია“,* ***თეზმაშ ჩუქებათ უზარალებგ*** *„ამდენის ჩუქებით უზარალია“,* ***ოთაკილუ(ნ)*** *„ეთაკილება“,* ***თე სიტყვა ოთაკილუ(ნ)*** *„ეს სიტყვა ეთაკილება“,* ***მუდგარენ იშენ ოთაკილუ(ნ)*** *„რაღაც მაინც ეთაკილება“,* ***უთაკილებ(უ)*** *„უთაკილებია“,* ***თე სიტყვა უთაკილებ(უ)*** *„ეს სიტყვა უთაკილებია“,* ***მუდგარენ იშენ უთაკილებ(გ)*** *„რაღაც მაინც უთაკილებია“,* ***ოიმენდუ(ნ)*** *„ეიმედება“,* ***მუშ მუმა ოიმენდუ(ნ)*** *„მისი მამა ეიმედება“,* ***მუშ სქუა ოიმენდუ(ნ)*** *„მისი შვილი ეიმედება“,* ***დოუიმენდებგ*** *„დაუიმედებია“:* ***მუშ მუმა დოუიმენდებგ*** *„მისი მამა დაუიმედებია“,* ***მუშ სქუა დოუიმენდებ(გ)*** *„მისი შვილი დაუიმედებია“,* ***ოწყითუ(ნ)*** *„ემლაშება“,* ***ოჭკუმალ ოწყითუ(ნ)*** *„საჭმელი ემლაშება“,* ***დაწყითარებ(გ)*** *„დამლაშებია“,* ***ოჭკუმალ დაწყითარებგ*** *„საჭმელი დამლაშებია“,* ***ოკუნტარუ(ნ)*** *„ემოკლება“,* ***შარა ოკუნტარუ(ნ)*** *„გზა ემოკლება“,* ***კაბა ოკუნტარუ(ნ)*** *„კაბა ემოკლება“,* ***კუნტარებუ(ნ)*** *„ემოკლა“,* ***შარა კუნტარებუ(ნ)*** *„გზა *ჰმოკლებია.მოკლე ეჩვენა“,* ***კაბა კუნტარებუ(ნ)*** *„კაბა მოკლე მოჩვენებია“,* ***ოშხუარუ(ნ)*** *„ემსხვილება“,* ***მუშ დუდ ოშხუარგ*** *„თავისი (საკუთარი) თავი ემსხვილება“,* ***შხუარებ(გ)*** *„მსხვილად მოჩვენებია“,* ***მუშ დუდ შხუარებ(გ)*** *„თავისი (საკუთარი) თავი მსხვილად მოჩვენებია“,* ***ოქექუ(ნ)*** *„ემჩატება“:* ***ტან ოქექუ(ნ)*** *„ტანი ემჩატება,* ***ოღალ ოქექუ(ნ)*** *„ტვირთი ემჩატება“,* ***(და)ქექებუ*** *„დამჩატებია“,* ***ტან (და-)ქექებუ(ნ)*** *„ტანი (და)მჩატებია“,* ***ოღალ დაქექებუ(ნ)*** *„ტვირთი დამჩატებია“,* ***ომონჯუ(ნ)*** *„ემძიმება“,* ***ომწარუ(ნ)*** *„ემწარება“,* ***ოჭკუმალ ომწარუ(ნ)*** *„საჭმელი ემწარება“,* ***(გა)მწარებუ(ნ)*** *„(გა)მწარებია“,* ***ოჭკუმალ მწარებუ(ნ)*** *„საჭმელი მწარებია“,* ***ოწყითუ(ნ)*** *„ემწუთხება“,* ***ოჭკუმალ ოწყითუ(ნ)*** *„საჭმელი ემწუთხება“,* ***(და)წყითარებუ(ნ)*** *„(და)მწუთხებია“:* ***ოჭკუმალ (და)წყითარებუ(ნ)*** *„საჭმელი (და)მწუთხებია“,* ***ონარღუ(ნ)*** *„ენაღვლება“,* ***ირო სქუა ონარღუ(ნ)*** *„მუდამ შვილი ენაღვლება“,* ***სი მუ გონარღუ(ნ)*** *„შენ რა გენაღვლება“,* ***მანგარო უნარღებგ*** *„ძლიერ უნაღვლია“,* ***ოჭიჭარუ(ნ)*** *„ეპატარავება“,* ***ფარა ოჭიჭარ(გ)***

„ფული ეპატარავება/ეცოტავება“, ***საჩუქარ ოჭიჭარგ*** *„საჩუქარი ეპატარავება“,* ***ფარა ჭიჭორებგ*** *„ფული ეპატარავა თურმე“,* ***ოლიბარუ(ნ)*** *„ერბილება“*
ბალიშ ოლიბარუ(ნ) *„ბალიში ერბილება“,* ***დივან ოლიბარგ*** *„დივანი ერბილება“,* ***დოლიბარებუ(ნ)*** *„დარბილებია“,* ***ბალიშ დოლიბარებუ(ნ)*** *„ბალიში დარბილებია“,* ***დივან დოლიბარებუ(ნ)*** *„დივანი დარბილებია“,* ***ოონჯღორუ(ნ)/ორცხვინუ(ნ)*** *„ერცხვინება“* ***ნოოჯღორებუე(ნ)*** *„შერცხვებოდა თურმე“:* ***თიშ ქცევა ოონჯღორუ(ნ)/ორცხვინუ(ნ)*** *„მისი ქცევა ერცხვინება“,* ***ურჩქენჯობაქ გეონჯღორას, კირთხიქ ვარია*** *„უცოდინრობამ შეგრცხვეს, კითხვამ არაო“;* ***თიშ ქცევაშ ონჯღორებგ?*** *„მისი ქცევის შერცხვენია?“,* ***ოსასტიკუ(ნ)*** *„ესასტიკება“,* ***თეცალ განაჩენ ოსასტიკუ(ნ)*** *„ასეთი განაჩენი ესასტიკება“,* ***თეცალ რაგად ოსასტიკუ(ნ)*** *„ასეთი საუბარი ესასტიკება“,* ***ოსახელუ(ნ)*** *„ესახელება“:* ***მშობელს სქუა ოსახელუ(ნ)*** *„მშობელს შვილი ესახელება“,* ***ცირა ოჯახის ოსახელუ(ნ)*** *„ცირა ოჯახს ესახელება“,* ***ოსიამოვნუ(ნ)*** *„ესიამოვნება“:* ***მასწავლებელს ნინოშ რჩქილა ოსიამოვნუ(ნ)*** *„მასწავლებელ ნინოს მოსმენა სიამოვნებს“,* ***სკუამას მიკოქუნა ოსიამოვნუ(ნ)*** *„ლამაზად ჩაცმა სიამოვნებს“,* ***ოგემუანუ(ნ)*** *„ეგემრიელება, ეტკბილება“,* ***ჩაი ოგემუანუ(ნ)*** *„ჩაი ეგემრიელება, ეტკბილება“,* ***დიდაშ ხუმა ოგემუანუ(ნ)*** *„დედის ხმა ეგემრიელება, ეტკბილება“,* ***დიდაშ ხუმა გემუანუებგ*** *„დედის ხმა ეგემრიელება, ეტკბილება თურმე“,* ***ოუკადრისუ(ნ)*** *„ეუკადრისება“:* ***სიტყვაშ რაგად ოუკადრისუ(ნ)*** *„სიტყვის თქმა ეუკადრისება“,* ***ზედმეტ ქცევა ოუკადრისუ(ნ)*** *„ზედმეტი ქცევა ეუკადრისება“,* ***ზედმეტ ქცევას უკადრისებუ(ნ)*** *„ზედმეტი ქცევა ეუკადრისება თურმე“,* ***ოუშნოუ(ნ) „ე****უშნოვება“:* ***მუშ დუდ ოუშნოუ(ნ)*** *„თავისი თავი ეუშნოვება“,* ***ბარგ ოუშნოუ(ნ)*** *„ტანსაცმელი ეუშნოვება“,* ***ოუცხოუ(ნ)*** *„ეუცხოვება“,* ***სქან ნარაგად ოუცხოუ(ნ)*** *„შენი ნათქვამი ეუცხოვება“,* ***ოუხერხულუ(ნ)*** *„ეუხერხულება“,* ***კოჩიშ წუხება ოუხერხულუ(ნ)*** *„კაცის (ადამიანის) შეწუხება ეუხერხულება“,* ***ოფიქრუ(ნ)*** *„ეფიქრება“* ***ოლეგს თენა ირო ოფიქრუ(ნ)*** *„ოლეგს ეს სულ ეფიქრება“,* ***ოშორუ(ნ)*** *„ეშორება“,* ***სამუშა ოშორუ(ნ)*** *„სამსახური ეშორება“,* ***სკოლა ოშორუ(ნ)*** *„სკოლა ეშორება“,* ***შორებგ*** *„ჰშორებია“,* ***სამუშა შორებუ(ნ)*** *„სამსახური შორებია“,* ***ოძვირუ(ნ)*** *„ეძვირება“:* ***შანქარ ოძვირუ(ნ)*** *„შაქარი ეძვირება“,* ***ბარგ ოძვირუ(ნ)*** *„ტანსაცმელი ეძვირება“,* ***ოძნელუ(ნ)*** *„ეძნელება“:* ***ოლეგს მუთუნი ვაოძნელუ(ნ)*** *„ოლეგს არაფერი ეძნელება“,* ***ულა ოძნელუ(ნ)*** *„წასვლა ეძნელება“,* ***გურაფა ოძნელუ(ნ)*** *„სწავლა ეძნელება“,* ***ორჩხიალუ(ნ)*** *„ეცხელება“:* ***წყარ ორჩხიალგ*** *„წყალი ეცხელება“,*

ოჭკუმალ ორჩხიალგ *„საჭმელი ეცხელება“,* ***ოხალისუ(ნ)*** *„ეხალისება“,* ***ამბეშ რაგად ოხალისუ(ნ)*** *„ამბის მოყოლა ეხალისება,* ***ულა ოხალისუ(ნ)*** *„წასვლა ეხალისება,* ***ობედუ(ნ)*** *„ებედება“,* ***ფარა ობედუ(ნ)*** *„ფული ებედება“,* ***სიხარულ ობედუ(ნ)*** *„სიხარული ებდება“,* ***ოცოდუ(ნ)*** *„ებრალება“,* ***ომბოლ ბაღანეფ ოცოდუ(ნ)*** *„ობოლი ბავშვები ებრალება“,* ***ბაღანეფ ცოდებუ(ნ)*** *„ბავშვები შესცოდებია / შებრალებია“,* ***ოზიზღუ(ნ)*** *„ეზიზღება“:* ***აი, ათეშენი ჯოგგნა დო ოზიზღგნა(ნ)*** *ჩქინი კათას, ამი ამიტომ სძულთ და ეზიზღებათ ჩვენს ხალხს (ვიმოწმებთ ქაჯაიადან),* ***ოშუმალ ოზიზღუ(ნ)*** *„დასალევი ეზიზღება“,* ***მგზავრობა ოზიზღ(ნ)*** *„მგზავრობა ეზიზღება“,*

ოლანდუ(ნ) ***„ელანდება“:*** ***ირო მიდგარენ ოლანდუ(ნ)*** *„ყოველთვის ვიღაცა ელანდება“,* ***მიდგარენ მოლანდებგ*** *„ვიღაც მოლანდებია“,* ***ჩქიმიან დო შხვაშ(ი) თურქუ, მიდგარენქ ქაწმალანდ(გ)*** *(ქხს, 1. გვ.55, ვიმოწმებთ ქაჯაიადან) „ჩემიანი და სხვისიანი, ვიღაც მომელანდა,* ***ონარღუ(ნ)*** *„ენანება“:* ***ქომონს ყვალი ონარღუდუა დო ოსურს დერგი*** *(ხალხ. სიბრძ., 1, გვ. 144, ვიმოწმებთ ო. ქაჯაიადან) „ქმარს ყველი ენანებოდაო და ცოლს დერგი“,* ***ონანუ(ნ)*** *„ენანება“: დროშ დინაფა ონანუ „ დროის დაკარგვა ენანება, ოსიზმარუ(ნ) „ესიზმრება“:* ***ნიკას ბურთეფ ოსიზმარუ(ნ)*** *„ნიკას ბურთები ესიზმრება“,* ***ცირას თოჯინეფქ ქიგიასიზმარუ*** *„ცირას თოჯინებმა დაესიზმრა“,* ***ბაღანას ოლაცაფე გესიზმარაფ(უ)*** *„ბავშვს სათამაშო დასიზმრებია“,* ***ოცოდუ(ნ)*** *„ეცოდება“:* ***მოთას ბები ოცოდუ(ნ)*** *„შვილიშვილს ბებია ეცოდება“,* ***ლუკას ნიკა ცოდებ(გ)*** *„ლუკას ნიკა შესცოდებია“,* ***ოხათრუ(ნ)*** *„ეხათრება“:* ***ნინოს მასწავლებელიშ ოხათრუ(ნ)*** *„ნინოს მასწავლებლის ეხათრება“,* ***ცირას მშობლეფიშ მოხათრებ(უ)*** *„ცირას მშობლების მოხათრებია“,* ***ოხარბუ(ნ)*** *„ეხარბება“:* ***შხვაშ ჯგირობუა ოხარბუ(ნ)*** *„სხვისი კარგად ყოფნა ეხარბება“,* ***ოგვიანუ(ნ)*** *„აგვიანდება“,* ***სამუშაშა ოგვიანუ*** *„სამსახურში აგვიანდება“...*

ამავე აგებულების ზმნათა სტრუქტურული ნაირსახეობაა prev.-ა-**R**-უ(ნ) ქვესტრუქტურა: ა ← ო ზმნისწინისეული ხმოვნისა და ო- ხმოვანპრეფიქსის მორფემულ საზღვარზე: ***გარტყუ(ნ)*** *„არტყია“ (შემორტყმული აქვს):* ***წელს ორტყაფგ გარტყუ*** *„წელზე ქამარი არტყია“,* ***წელგშა ორტყაფგ ქიგურტყაფუ*** *„წელზე ქამარი შემოურტყია“,* ***გააჩქუ(ნ) (/გაარჩქუ)*** *„გააჩნია“,* ***ირფელ გაარჩქუ(ნ) საქმეშა*** *„ყველაფერი საქმეს გააჩნია“,* ***მაძუ(ნ)*** *„აცვია (ფეხზე)“,* ***სკვამ ტუფლეფ***

მაძუ(ნ) *„ლამაზი ფეხსაცმელები აცვია“, III რეზულტატივის ფორმები იქნება:* ***მუნოძვე(ნ)*** *„ეცვა თურმე“, მუნორტყვე(ნ) „ერტყა თურმე“...*

5.3.4. R-ო(ნ) ქვესტრუქტურა №77

სტატიკურ R-ო(ნ) ქვესტრუქტურაში სულ ორი მაგალითის დასახელებაა შესაძლებელი.

ოკო(ნ) „სურს“: ***მუთ ოკონ თის ორთუ*** *„რაც სურს მაგას აკეთებს“,* ***სოდგა ოკონ თევრე მეურს*** *„საითაც სურს იქით მიდის“,* ***მუთ ნოკობუენ თინა უკეთებუ*** *„რაც მოსურვებია ის უკეთებია“,* ***ჯოხო(ნ)*** *„ჰქვია“:* ***თეს ლუკა ჯოხო*** *„ამას ლუკა ჰქვია“,* ***თის ნიკა ნოჯოხობუე*** *„მას ნუკა ნარქმევა/ჰრქმევია“.* მაგ., ***„გასაგები ნინათ მოკო მა ქოფთქუე ჯიმალეფი“*** *„გასაგები ენით მინდა მე (ქე)ვთქვა, ძმებო“* (53,141)

5.3.5. ი/უ-R-უ(ნ) ქვესტრუქტურა №78

მესამე დიათეზის ი/**უ-R-უ(ნ)** ქვესტრუქტურის ზმნები პროდუქტიულობით არ გამოირჩევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მეგრული ზმნის ერთ-ერთ, ძალზე მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ: გამოხატავენ მიცემითში დასმული სახელის გუნება-განწყობილებას. დატიურ სუბიექტს პირველი და მეორე პირის ფორმებში **ი-** პრეფიქსი მოუდით, მესამე პირში კი **–უ** პრეფიქსი გვექნება.

მ-ი-სხუნ-უ(ნ) *„მირჩევნია“*

გ-ი-სხუნ-უ(ნ) *„გირჩევნია“*

უ-სხუნ-უ(ნ) *„ურჩევნია“*

ი-/უ- ხმოვანპრეფიქსები პირთა საკორელაციო დანიშნულებისაა.

მსგავსად სხვა სტატიკური ზმნებისა, ამ ზმნათა უმრავლესობას მხოლოდ პირველი და მეოთხე სერიის ფორმები ეწარმოება.

მაგ., ***უსხუნუ(ნ)*** *„ურჩევნია“:* ***ნინოს თაშ უსხუნუ(ნ)*** *„ნინოს ასე ურჩევნია“,* ***უსუ(ნ)*** *„უსვია“:* ***სახეს კრემ უსუ(ნ)*** *„სახეზე საცხი უსვია“,* ***უფინუ(ნ)*** *„უფენია“:* ***პოლშა ნოხ უფინუ(ნ)*** *„იატაკზე ხალიჩა უფენია“,* (***უფინუ(ნ)*** *„უფენია“* ზმნის ორგანული წარმოების პარალელურად გვხვდება მისი აღწერითი ვარიანტიც: **დორჩაფილი აფუ(ნ)** „აქვს“); ***უ-ძ-უ(ნ)*** *„უდევს“:* ***კაბინეტის წიგნეფ უძუ(ნ)*** *„კაბინეტში წიგნები უდევს“,* ***უბაღუ(ნ)*** *„ჰყოფნის“:* ***უბაღუ(ნ) მუთ იმუშუნგ*** *„ჰყოფნის რაც იმუშავა“,* ***უბაღუ(ნ) მუთ იდიდუნგ*** *„ეყოფა რაც იყიდა“,* ***უჯგუ(ნ)*** *„სჯობს“:* ***უთქუალც ნათქუელი უჯგუნია*** *(ხალხ. სიბრძნე, 1, გვ. 132, ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან), „უთქმელს ნათქვამი სჯობსო“),* ***ულეკუ(ნ) ირფელი*** *„უყრია ყველაფერი“,* ***უჯანუ(ნ)*** *„უწევს“...*

იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი **ვ**ინის რიგის პირის ნიშნით იქნება მარკირებული, მაშინ ამ ზმნებს დატიური კონსტრუქცია ერგატიული კონსტრუქციით შეეცვლებათ: dat-dat-dat-dat → nom-erg-dat-nom და მესამე დიათეზიდან პირველ დიათეზაში გადაინაცვლებენ:

<u>III დიათეზა:</u> ***ძიგირიში გენარდის ძიგირიში გელურა უსხუნუნია*** *„ეკალზე გაზრდილს ეკალზე დაკვდომა ურჩევნიაო“.*

<u>I დიათეზა:</u> ***ღუჩა ულა ვოსხუნე*** *„სახლში წასვლა ვარჩიე“*

5.3.6. ი/უ-R-ებ-უ(ნ) ქვესტრუქტურა №79

მესამე დიათეზის ი.**უ-R-ებ-უ(ნ)** ქვესტრუქტურის ზმნები, როგორც წესი, ორპირიანი ზმნური ფორმებია. პირველ და მეორე პირში ამ ზმნებს **ი-** პრეფიქსი ექნებათ, მესამე პირში კი **უ-** პრეფიქსი პირთა საკორელაციო დანიშნულებისაა და არც ერთ შემთხვევაში არ გამოხატავს ე.წ. „სასხვისო ქცევას“. ***უ-კ-ებ-უ(ნ)/უ-კინ-ებ-უ(ნ)*** *„უკავია, უკავია, უჭირავს“,* ***მითოხე ხოხუჩა, უკინებ ხამუჩა*** *„ქვეშ (შიგნით) ზის მხოხავი (გველი), უჭირავს დანა (დანუკა) (ნაწყვეტი შელოცვიდან)“,* ***ხეს წიგნეფ უკებუ(ნ) / უკინებუ(ნ)*** *„ხელში წიგნები უკავია“,* ***ბეჭედ გაუკეთებუ(ნ)*** *„ბეჭედი გაუკეთებია“...*

საინტერესოა, რომ ამავე ყალიბის **უწონებუ(ნ)** ზმნურ ფორმას ო. ქაჯაიას ლექსიკონში **ვნებითი გვარის** ფორმის კვალიფიკაცია ენიჭება:

Lemma: c'oneba3
Number: 26874

წონება[3] ***(წონებას)*** *სახელი* ***უწონებუ(ნ)*** *ზმნისა -- გულება.* ***მიწონებუ სქვამი ბაღი:*** *ენგური, გვ. 248 -- მეგულება ლამაზი ბაღი.* ***ის უწონებგ ართი დიდარ კოჩი:*** *მ. ხუბ., გვ. 131 -- იმას ეგულება ერთი მდიდარი კაცი.* ***სი შორს უწონებუქი:*** *ენგური, გვ. 247 -- შენ შორს ეგულები.* ***უფრაში ქომიწონებუ:*** *მ. ხუბ., გვ. 317 -- უარესი მეგულება.* ***უწონებუ(ნ)*** *(მხოლოდ აწმყოს წრისა და 4 სერიის მწკრივებში) გრდუვ. ვნებ. ეგულება.*

გამომდინარე იქიდან, რომ ეს ფორმა სტატიკურია, მას **არ შეიძლება ჰქონდეს რომელიმე გვარის** ფორმა. იგი უგვარო სტატიკური ზმნაა, რომელიც **მ**ანის რიგის პირის ნიშნებით მარკირებისა და დატიური კონსტრუქციის გამო მესამე დიათეზაში ერთიანდება; მაგალითები: ***უწონებუ(ნ)*** *„ეგულება“:* ***ნიკას ჯგირ ადგილ უწონებუ(ნ)*** *„ნიკას კარგი ადგილი ეგულება“...*

უღლების პარადიგმა ნაკლულია:

აწმყო: ***უკებუ(ნ)*** *„უკავია, უჭირავს“*

III რეზულტატივი: ***ნოკებუე(ნ)*** *„სჭერია“*

5.3.7. prev.-ი/უ-R-ებ-უ(ნ) ქვესტრუქტურა №80

მესამე დიათეზის **prev.-უ-R-ებ-უ(ნ) ქვესტრუქტურის** ზმნები ამავე სტრუქტურის უზმნისწინო ვარიანტთან შედარებით ნაკლებ პროდუქტიულია, რაც ბუნებრივია კიდეც აწმყოს სტრუქტურაშივე ზმნისწიანი ფორმის მქონე სტატიკურ ზმნათათვის. ზმნისწინი აქ მოკლებულია სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქციას: ***შეულებუ(ნ)*** *„შეუძლია“:* ***დიო ხოლო შეულებუ მუშება*** *„ჯერ კიდევ შეუძლია მუშაობა,* **მანგარას შეულებუ, მუში მადიდა ოღალე მეუთირუ --** მაგრად შეუძლია, რა სიდიდის ტვირთს მიათრევს (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან).

ი-/უ- ხმოვანპრეფიქსები პირთა საკორელაციო ფუნქციისაა. საერთო წესისამებრ, **ი-** გვექნება I-II პირში, **უ-** – მესამეში.

გაბმულ მეტყველებაში აწმყოს სტრუქტურაში ზმნური ფუძე ყალიბისეული **–უ(ნ)** სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი: **მისით შეულებგ დააცანასგნ გაფა, ბარბანჩი ელახონ ქარიშ** „ვისაც შეუძლია დააწყნაროს (დაამშვიდოს)

ქროლა, გიზგიზი აღმოსავლეთის ქარისა“, **მისით შეულებგ დოშქირიტასგნ ელადგინერი ჭითა მორღია** „ვისაც შეუძლია ჩააქროს ამომდგარი წითელი განთიადი“, **მის შეულებგ დაარჩქალას ზოღვაშ ლგმა?** „ვის შეუძლია დააწყნაროს ზღვის ბრძოლა?“ (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან).. აღნიშნული ყალიბისეული **–უ(ნ)** ბოლოსართი, საერთო წესისამებრ, სრულად არის შენარჩუნებული სხვათა სიტყვის **–ია** და კითხვითობის **–ო** სუფიქსთა დართვისას ***ვეშეულებუნია რაგად*** *„არ შეუძლიაო საუბარი“.* ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს აღნიშნული სუფიქსის დავიწროვებას: ***მისით შეულებგ დაალანასგნ გაფა, ბარბანჩი ელახონ ქარიში*** *„ვისაც შეუძლია დააწყნაროს (დაანელოს) ქროლა, გიზგიზი ზემოური (აღმოსავლური) ქარისა“* (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან)*;* ***მუთუნი შეულებგ*** *„რამე შეუძლია“.*

ეს ზმნებიც სტატიკურია, ამ სტრუქტურის ზმნათა უღლების პარადიგმა ნაკლულია, მხოლოდ აწმყოს წრისა და მეოთხე სერიის მწკრივები ეწარმოებათ.

აწმყო*:* ***შემილებუ(ნ)*** *„შემიძლია“*

III რეზულტატივი*:* ***შე-ნო-ბ-ლებ-უ-ე(ნ)*** *„შემძლებია“*

5.3.8. ა- R-უ-აფ-უ(ნ) ქვესტრუქტურა №81

მესამე დიათეზის **ა-R-უ-აფ-უ(ნ) ქვესტრუქტურის** ზმნები, როგორც წესი, ერთპირიანი, ინაქტიური სუბიექტის მქონე აფექტური ზმნებია; მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ფორმებში ორი პირის ნიშანია წარმოდგენილი. ზმნა უნებლიე მოქმედების გამომხატველია. ***მ-აჩიონ-უ-აფ-უ(ნ)*** *„მეცემინება“* ***აჭვახ-უ-აფ-უ(ნ)*** *„ემჟავება“,* ***აქიონუაფუ(ნ)*** *„ემთქნარება“.* ***ანგარუაფუ(ნ)/ ანგარინუაფუ(ნ)*** *„ეტირება“* ***ირო მაკაშუაფუნ დო მანგარუაფუ გურსუ:*** *ქხს, 1, გვ.41- სულ ოხვრა მინდა და მეტირება გულში“.* ***ოჭკუმალგ ქააჭკომინუაფუ(ნ)*** *„საჭმელი შემოეჭმევა“,* ***ოჭკუმალგ ქოოჭკუმაფუ(ნ)*** *„საჭმელი შემოჭმევია“,* ***აჩიონ-უ-აფ-უ(ნ)*** *„ეცემინება“:* ***დედას აჩიონუაფგ*** *„დედას ეცემინება“,* ***აჭვახ-უ-აფ-უ(ნ)*** *„ემჟავება“,* ***მუდგარენ აჭვახ-უ-აფ-უ(ნ)*** *„რაღაც ემჟავება“,* ***აქიონუაფუ(ნ)*** *„ემთქნარება“:* ***მთელ სერს აქიონუაფუ(ნ)*** ***„*** *მთელი ღამე*

ემთქნარება“, ***მთელ სერს უქირონუ(ნ)*** *„მთელი ღამე უმთქნარებია“,* ***ანგარუაფუ(ნ)/ ანგარინუაფუ(ნ)*** *„ეტირება“:* ***იფრელშე ანგარინუაფუ(ნ)*** *„ყველაფერზე ეტირება“,* ***ცირას ნინო უნგარინუაფუ(ნ)*** *„ცირას ნინო აუტირებია“,* ***აჩამინუაფუ(ნ)*** *„ეფხანება“,* ***ჯოღორს აჩამინუაფუ(ნ)*** *„ძაღლს ეფხანება“,* ***აკურცხინუაფუ(ნ)*** *„ეღვიძება“,* ***სერით ირო აკურცხინუაფუ(ნ)*** *„ღამე სულ ეღვიძება“,* ***სერით გოკურცხინაფუ(ნ)*** *„ღამე გაღვიძებია“,* ***აძიცინუაფუ(ნ)*** *„ეცინება“:* ***ლუკას აძიცინუაფუ(ნ)*** *„ლუკას ეცინება“,* ***ლუკას გოძიცუ(ნ)*** *„ლუკას გაუცინია“,* ***აცვინთუაფუ(ნ)*** *„ეყვინთება“,* ***ბაღანას აცვინთუაფუ(ნ)*** *„ბავშვს ეყვინთება“,* ***აყინტუაფუ(ნ)*** *„ეყლაპება“,* ***წყარგ აყინტუაფუ*** *„წყალი ეყლაპება“,* ***წყარგ გეუყინტუ(ნ)*** *„წყალი ჩაუყლაპავს“.*

5.3.9. ა-R-ენ ქვესტრუქტურა №82

მესამე დიათეზის **ა-R-ე(ნ)** ქვესტრუქტურის ზმნათა მორფოლოგიური სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქცია სრულიად ემთხვევა ზმნათა იმ ჯგუფს, რომელიც რელატიურ პოტენციალისებად არის კვალიფიცირებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **R-ე(ნ)** მორფოლოგიური სტრუქტურა საკუთრივ პოტენციალისის ფორმათათვის დამახასიათებელი სტრუქტურაა, **R-უ(ნ)** მორფოლოგიური სტრუქტურა კი შედარებით მეორეულია – საკუთრივ ე.წ. „ვნებითი გვარის“ ფორმებისთვის გაჩენილი (132, 203; 57,195). ახლახანს გამოცემულ მონოგრაფიაში „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“ (119, 614-618) მითითებულია შვიდი **R-ე(ნ) სტრუქტურის მქონე** ზმნური ფორმა, რომელიც მოკლებულია პოტენციალისის სემანტიკას: ***აშქურინე(ნ)*** *„ეშინია“,* ***ახიცინე(ნ)*** *„ეხიცინება“,* ***<u>აძირე(ნ)</u>*** *<u>„ელანდება, ეჩვენება</u>“,* ***ანტირე(ნ)*** *„ეტევა“,* ***აძიცინე(ნ)*** *„ეცინება“,* ***ანგარინე(ნ)*** *„ეტირება“,* ***აკურცხინე(ნ)*** *„ეღვიძება“.* ამ ზმნათა წყალობით მტკიცდება არნ. ჩიქობავას მოსაზრება, რომელიც მან ლაზური **R-ე(ნ) სტრუქტურის** ზმნათა ვითარების საფუძველზე ივარაუდა: „მეგრულშიც (მსგავსად ჭანურისა) ერთ წარმოებაში უნდა ყოფილიყო შეთავსებული ჩვეულებრივი ვნებითიც და პოტენციალისიც. ამ წარმოების ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო პოტენციალისი,

ჩვეულებრივი ვნებითი კი (ი-უ, ა-უ) დიფერენციაციის გზით შემდეგ უნდა მოგვეღო“ (142:1).

ჩვენც ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ აღნიშნული ზმნები რუდიმენტის სახით უნდა იყოს შემორჩენილი მეგრულში; ჩვენ მიერ დამუშავებული მასალის საფუძველზე პოტენციალისის სემანტიკას მოკლებული კიდევ რამდენიმე ზმნა გამოვლინდა **R-ე(ნ)** სტრუქტურისა:

- ***აღოლე(ნ)*** *„ემართება“:* ***ფაზარი აღოლე ორინს, ოხვალაფუანს, ოსქილიდუანა ჯაში რწვანე გორდით*** *„ფაზარი ემართება საქონელს, ახველებს, არჩენებე ხის მწვანე ბაყაყით“* (მანის რიგით არის მარკირებული).
- ***ასიმე(ნ)*** *„ესმის“:* ***მუდგარენქ მაასიმუ*** *რადაც შემოესმა;* ***კოს კოჩი ჯოგუნი, იში ჭკომუა ჩქვაფაფო მაასიმენსია*** *„კაცს კაცი რომ სძულს, იმისი ჭამა თქვლეფად მოესმისო, ვიმოწმებთ ქაჯაიას ლექსიკონიდან, ი. ყიფშ., გვ. 179),* (მანის რიგით არის მარკირებული).
- ***აშინე(ნ)*** *„ახსენდება“:* ***კალკალეშა <u>ქოგაშინე</u> პატონ-ჭკორალაში ხანა:*** *ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან, ქხს, 1, გვ. 36 „ზოგჯერ <u>გაახსენდება</u> ბატონ-ყმობის დრო“* (მანის რიგით არის მარკირებული).
- ***ა-რჩქილ-ე(ნ)*** *„ესმის“:* ***ღურისენს, ითამ ვაარჩქილე(ნ)*** *„(წა)უყრუებს, ვითომ არ ესმის“.* ***ჭკუა შელასირი მაფუ, ვამარჩქილე(ნ) ჩქინობურა*** *„ჭკუა შერყეული (შეშლილი მაქვს, არ მესმის ჩვენებური“(ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან: კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. 38).* ***ბადანას იფრელ არჩქილე*** *„ბავშვს ყველაფერი ესმის“,* ***ტექნიკაშ არჩქილე*** *„ტექნიკის ესმის“.* ***რჯოგვნი ი კოჩიში ულა ჩარხი-ჩარხით ალგასვმენია დო ჭკუმუა – ჭკაპი კაპით*** *„რომ გძულს იმ კაცის წასვლა ჩარხუნად ჩაგესმისო და ჭამა -- ჭკაპი-ჭკაპადო“* ***(ხალხ.*** *სიბრ., 1, გვ. 119,* ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან).
- ***იცე(ნ) ←იცი(ნ)*** *„იქნება“ (ჯვარულ თქმაში, 132, 202)* (ვინის რიგით არის მარკირებული).
- ***აჯინე(ნ)*** *„ელოდება“* (ვინის რიგით არის მარკირებული).
- ***ათაჯინე(ნ)*** *„ქვევიდან უყურებს“:* ***ათაჯინგნი, ძიქვა ვამააძგ*** *„ქვევიდან რომ ამოხედა, შსარვალი არ აცვია“* (ვინის რიგით არის მარკირებული).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს თარგმნისას ტექსტებსა და ლექსიკონში **ისმენს/ესმის** ზმნათა **ვ**ინისა და **მ**ანის რიგით მარკირებულ ფორმათა აღრევის

შესახებ: პირველი და მეორე პირის ფორმებში ***ვისუმენქ/ისუმენქ*** *„ვისმენ/ისმენ“* მითითებულია მნიშვნელობა: ***„მესმის/გესმის“;*** მაგ.: ***სოდგარენი ვისუმენქ წიწიაში წიაფის*** *„სადღაც მესმის წიწილის წივილი“ (ვიმოწმებთ ო. ქაჯაიას ლექსიკონიდან, ქხს, 1, გვ. 224)* – უნდა იყოს **„ვისმენ“.**

აღნიშნულ მაგალითებში, ერთი შეხედვით, **R-ე(ნ)** სტრუქტურის ზმნათა მორფოლოგიური აგებულება თითქოს ემთხვევა რელატიური პოტენციალისის ზმნათა სტრუქტურას, მაგრამ ფორმათა აღრევა შეუძლებელია, რადგან მათ ან არ საერთოდ ეწარმოებათ პოტენციალისის ფორმები, ან ადგილი ექნება **ორმაგ სუფიქსაციას**: **R-ენ-ენ**: მაგ., ***არჩქილ-ინ-ენ (არჩქილინუ*** *„შეძლო მოესმინა,* ***მონორჩქილაფუე(ნ) „შესძლებია მოესმინა“).***

უღლების ნიმუში:

აწმყო: ***არჩქილე(ნ)*** *„ესმის“*

წყვეტილი: ***არჩქილუ*** *„ესმა“*

I რეზულტატივი: ***რჩქილუუ(ნ)*** *„სმენია“*

III რეზულტატივი: ***ნორჩქილუე(ნ)*** *„ესმოდა თურმე“*

5.3.10. (prev.)-ო-R-ენ ქვესტრუქტურა №83

prev.-ო-R-ე(ნ) ქვესტრუქტურის ზმნებიც სტატიკურია, შესაბამისად მწკრივნაკლია. ამასთან, ნაკლებპროდუქტიული ქვესტრუქტურაცაა.

აწმყოს მწკრივშივე დადასტურებული ზმნისწინი დაცლილია ასპექტური გაგებისაგან. უღლების პარადიგმა ნაკლულია. მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი მიცემითბრუნვიანია, მსგავსად მესამე დიათეზის სხვა ფორმებისა.

მაგ., ***გი-ო-ხ-ე(ნ)*** *„აჭდევია, ეტყობა“: ასაკგ გიოხე „ასაკი აჭდევია (ეტყობა)“,* ***ო-ჭ-ე(ნ)*** *„სჭირს“ (შდრ.:* ***ო-ჭირ-ს),*** ***გიორე(ნ)*** ***„***ადგება“: ***გიორდუ ჩხანა ღუდეს*** *„მზე მოადგა სახლს“ ...*

5.3.11. მუ ო-R-უ(ნ) ქვესტრუქტურა №84

სტატიკური **მუ ო-R-უ(ნ)** ქვესტრუქტურის ზმნები ერთპირიანი ზმნებია და როგორც წესი, ყველა მათგანი გამოხატავს მიცემითში დასმული აქტანტის გუნებაგანწყობილებას. მათ მხოლოდ მანის რიგის პირის ნიშნიანი ფორმები ეწარმოებათ; როგორც წესი, ეს ზმნები გხვდება ***მუ*** *„რა“* კითხვით ნაწილაკთან ერთად, რომელსაც დაკარგული აქვს კითხვითობის სემანტიკა. მაგ., ***მუ ონარდუ(ნ)*** *„რა ენაღვლება“,* ***თის მუ ონარდუ(ნ)*** *„მას რა ენღვლება“,* ***მუ ოქეიფუ(ნ)*** *„რა ექეიფება“,* ***ირო მუ ოქეიფუ(ნ)*** *„ყოველთვის რა ექეიფება“.* ***მუ ოხვარუ(ნ)*** *„რა ეშველება“,* ***ლეხის მუ ოხვარუ(ნ)*** *„ავადმყოფს რა ეშველება“,* ***ნიკას მუ ოხვარუ(ნ)*** *„ნიკას რა ეშველება“.*

აღნიშნულ ზმნებს შეიძლება წინ დაერთოთ **ნოტე** „ნეტავ“ ნაწილაკი: ***ნოტე მუ ოქეიფუ(ნ)? „****ნეტა რა ექეიფება?!“* **ნოტე** „ნეტავ“ ნაწილაკის დართვის შემთხვევაში კონსტრუქცია ნატვრის ნიუანსს შეიცავს.

ანალოგიური ვითარებაა სხვა **მუ** „რა“ ნაწილაკიან ქვესტრუქტურებშიც: ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურისა (**მუ R-უ(ნ)**) და სინტაქსური (**დატიური**) კონსტრუქციის მიხედვით ამავე რიგისაა მომდევნო სამი ქვესტრუქტურაც, ამიტომ, მათ მაგალითებსაც აქვე მოვიხმობთ:

5.3.12. მუ ო//ა-R-უ-აფ-უ(ნ) ქვესტრუქტურა №85

მესამე დიათეზის **მუ ა//ო-R-უ-აფ-უ(ნ)** ქვესტრუქტურაში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: **ა//ო-R-უ-აფ-უ(ნ)** და **ა//ო-R-ინ-უ-აფ-უ(ნ).** ვნახოთ მაგალითები:

მუ ო-ზეიმ-უ-აფ-უ(ნ) *„რა ეზეიმება:* ***მუს უზეიმებუ ი კოს, მუ ოზეიმუაფუდუ თეცალ დროს „*** *რა უზეიმია იმ კაცს, რა ეზეიმებოდა ასეთ დროს“;* ***მალ-ინ-უაფუ(ნ): „სქან მხარეშა მალ-ინ-უაფუ(ნ) ირო*** *„შენ მხარესკენ მესვლევინება*(მინდება წამოსვლა) სულ“,* ***მალაცაფ-ინ-უაფუ(ნ) მა დო მეურქ ოლაცაფუშა*** *„მეთამაშება და მივდივარ სათამაშოდ“* **მუ ალაცაფ-ინ-უაფუ(ნ)** „რა ეთამაშება“: ***ლუკას ირო მუ ალაცაფ-ინ-უაფუ(ნ)*** *„ლუკას სულ რა ეთამაშება“,* ***მუ ათეატრუაფუ(ნ)*** *„რა ეთეატრება“,* ***მუ ათეატრუაფუ(ნ) აკა*** *„რა ეთეატრება ერთი“,* ***მუ ამხიარულუაფუ(ნ)*** *„რა ელხინება“:* ***მუ***

ამხიარულუაფუ(ნ) თე საწყალს *„რა ელხინება ამ საწყალს“;* ***მუ მაქინუაფუ(ნ), მუ აბირუაფუ(ნ)*** *„რა ემღერება“:* ***მუ აბირუაფუ(ნ) თე კოჩის*** *„რა ემღერება ამ კაცს“,* ***მუ უბირუ(ნ) თე კოჩის*** *„რა უმღერია ამ კაცს“,* ***მუ აუნივერსიტეტუაფუ(ნ)*** *„რა ეუნივერსიტეტება“:* ***მუ აუნივერსიტეტუაფუ(ნ) თე ჩხურს*** *„რა ეუნივერსიტეტება ამ სიცივეში“,* ***მუ აოსურუაფუ(ნ)*** *„რა ექალება“,* ***მუ აოსურუაფუ(ნ) დიო*** *„რა ექალება ჯერ“,* ***მუ აქეიფუაფუ(ნ)*** *„რა ექეიფება“, მუ აქეიფუაფუ(ნ) თე ბოშის „რა ექეიფება ამ ბიჭს“,* ***მუ უქეიფებუ(ნ) ე ბოშის*** *„რა უქეიფია ამ ბიჭს“,* ***მუ აქალაქუაფუ(ნ)*** *„რა ექალაქება“,* ***მუ აქალაქუაფუ(ნ) თე ძღაბის*** *„რა ექალაქება ამ გოგოს“,* ***მუ ადიღინუაფუ(ნ)*** *„რა ედიღინება“,* ***მუ ადიღინუაფუ(ნ) თე ბაღანას*** *„რა ედიღინება ამ ბავშვს“,* ***მუ ასხაპინუაფუ(ნ)*** *„რა ეცეკვება“,* ***მუ ასხაპინუაფუ(ნ) ნინოს*** *„რა ეცეკვება ნინოს“,* ***მუ აწანწალუაფუ(ნ)*** *„რა ეწანწალება“,* ***მუ აწანწალუაფუ(ნ) გალე*** *„რა ეწანწალება გარეთ“,* ***მუს უწანწალინუ(ნ) თე ჩხურუს, ცუდეს ვედინტირუ(ნ)?*** *– რას წასულა წანწალით ამ სიცივეში, სახლში ვერ დაეტია?!*

5.3.13 სახელი + აფუ/უჩქუ №86

ცალკე უნდა გამოიყოს ის პირველადი მნიშვნელობის ზმნები, რომელიც სალიტერატურო ქართულში ორგანულად იწარმოება, მეგრულში კი აღწერითი წარმოებით ხასიათდება; ზოგადი სტრუქტურა ასე გამოსახება: **<u>სახელი + ~~აფუ/უჩქუ/უღუ~~</u>**. როგორც ვხედავთ, ზმნური ნაწილი **მ**ანის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული, სინტაქსური კონსტრუქცია კი – **დატიურია**. სწორედ ამიტომ მოვაქციეთ ეს ზმნები მესამე დიათეზაში: ***ჩხურუ მაფუ(ნ)*** *„მცივა“,* ***ონჯღორე უჩქუ(ნ)*** *„სცხვენია“:* ***იფრელშა ონჯღორე უჩქუ(ნ)*** *„ყველაფრის სცხვენია“,* ***იფრელშა ონჯღორე ნოჩქუე(ნ)*** *„ყველაფრის სცხვენოდა თურმე“.* ***სინჩხე მიღუ(ნ)*** *„მცხელა“:* ***თელ დღას სინჩხე მაფუ(ნ)*** *„მთელი დღე მცხელა“,* ***გოპირჭინაფილი აფუ(ნ)*** *„უჭყეტია, დაჭყეტილი აქვს“:* ***ი ბაღანას თოლეფ გოპირჭინაფილი აფუ(ნ)*** *„იმ ბავშვს თვალები დაჭყეტილი აქვს“,* ***ჩხურუ მაფუ(ნ)*** *„მცივა“:* ***მერეთ ჩხურუ მაფუ(ნ)*** *„სასწაულად მცივა“,* ***ბაღანას ჩხურ ცოფუ(ნ)*** *„ბავშვს შემცივნია (სციოდა თურმე)“,* ***ბაღანას სინჩხე ცოფუ(ნ)*** *„ბავშვს დასცხა თურმე“.*

ამ ზმნათა სალიტერატურო ქართული შესატყვისებიც **მ**ანის რიგის პრეფიქსაციითა და **დატიური** კონსტრუქციით ხასიათდება. თუმცა, შეგვხვდა ისეთი მეგრული აღწერითი ფორმებიც, რომელსაც ტექსტებში ჩვენს სალიტერატურო ენაზე დატიური კონსტრუქციით არის გადმოღებული, მეგრულად კი ვინის რიგითა და **nom-erg-nom-nom** (მეორე დიათეზის) კონსტრუქციით არის აგებული; მაგ., ***ნენე კურცხე რე(ნ)*** *„ნენეს ჰღვიძავს,* სიტყვასიტყვით: *ნენე გაღვიძებული არის“* მართებული თარგმანი იქნებოდა*:* ***„მღვიძარე არის“; მთელ სერს კურცხე რე(ნ) „****მთელი ღამე მღვიძარეა/ჰღვიძავს“,* ***ოჭუმარეშე მიიდღვაზუ, სირგილა რე(ნ)*** *„დილიდანვე მოიქუფრა, სიცივეა,* სიტყვასიტყვით: *სიცივე არის“).*

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ჩვენ ვხელმძღვანელობთ მორფოსინტაქსური პრინციპით, შესაბამისად, მორფოსინტაქსური კრიტერიუმების გათვალისწინებით, **nom-erg-nom-nom** კონსტრუქციის ზმნათა ადგილი მეორე დიათეზაშია და სწორედ იქ იქნება განხილული.

5.4. მესამე დიათეზის R-ე(ნ) (ქვე)სტრუქტურა

მორფოლოგიური სტრუქტურისა და დატიური კონსტრუქციის გათვალისწინებით, სემანტიკური ტერმინის ქვეშ გაერთიანებული პოტენციალისების ერთი ჯგუფი – კერძოდ, რელატიური, ორპირიანი **R-ე(ნ) (ქვე)სტრუქტურის ზმნები** მესამე დიათეზაში მოექცა. მათი მორფოლოგიური სტრუქტურა საკმაოდ პროდუქტიულია და ძალზე სისტემურად არის ჩამოყალიბებული მეგრულში, ფაქტობრივად, პოტენციალისი მორფოლოგიური კატეგორიაა, მორფოლოგიური სტრუქტურით მარკირებული: ლაზურისგან განსხვავებით, მეგრულში პოტენციალისებს საკუთარი მორფოლოგიური ყალიბი აქვს, რაც მეორეული მოვლენაა (მეორეულობას მოწმობს ლაზურის ჩვენება, 119, 614-624).

კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, თუ რატომ შეგვაქვს ე.წ. „რელატიური პოტენციალისები“ მესამე დიათეზაში:

- სტრუქტურული თვალსაზრისით, ორპირიანი პოტენციალისების **R-ე(ნ)** სტრუქტურა **R-[Th.s.]-უ/ე(ნ)** გვარეობითი სტრუქტურის ქვესტრუქტურული ნაირსახეობაა:
- ორპირიანი პოტენციალისების სინტაქსური **კონსტრუქცია დატიურია – მოქმედების აღმქმელ-განმცდელი აქტანტი მისთვის დასაშვებ ყველა მწკრივში მიცემით ბრუნვაში დგას** *(მესამე დიათეზის გამოყოფის საფუძველი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზმნის **დატიური კონსტრუქცია** და **მანის რიგით** გამოხატული მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირია);*
- ორპირიანი პოტენციალისებით გამოხატული მოქმედების აღმქმელ-განმცდელი **აქტანტი მანის** რიგის პირის ნიშნებითაა წარმოდგენილი;
- მესამე დიათეზის ყველა რელატიური ზმნის მსგავსად, ორპირიანი პოტენციალისების მეორე აქტანტიც, რომელიც **არ არის მოქმედების აღმქმელ-განმცდელი,** აორისტში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმდება და მისი კონსტრუქცია იქნება: nom-erg-nom-nom; მაგ., ***კოს ვაგაგინუ ამბექ*** *„კაცს ვერ გაეგო ამბავმა“,* ***მეზობელს ყუდექ ვაღოლინუ*** *„მეზობელს სახლმა ვერ გაეკეთებინა“* და სხვ.

შენიშვნა: *ამავე პრინციპით, ერთპირიანი პოტენციალისები, რომელთა სუბიექტიც* ***ვინის რიგითაა*** *მარკირებული და თან მათი* ***კონსტრუქცია სერიათა მიხედვით nom-erg-nom-nom****-ია, <u>მეორე დიათეზაში</u>*

<u>განვიხილეთ, რადგან აქ</u> ყველა სხვა ზმნას სწორედ ეს პრინციპი აერთიანებს.

სემანტიკურ დონეზე კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესამე დიათეზის ყველა ზმნა შეიწყობს **ინაქტიურ**, სუსტი ნებელობის მქონე ინაქტიურ სუბიექტს, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედება-მდგომარეობის აღმქმელ-განმცდელია. შინაარსობლივად ამითაც განსხვავდება მესამე დიათეზის ყველა ზმნა პირველი და მეორე დიათეზის ზმნათაგან: სემანტიკურ დონეზე, სუბიექტს მოქმედება უნებლიედ, მისდაუნებურად მოსდის მესამე დიათეზაში; მაგ., ***მოჭიჭარუ(ნ) მა თე კაბა*** *„მეპატარავება მე ეგ კაბა“*, ***მოჭიჭარუ მა თე კაბაქ*** *„მეპატარავა მე ამ კაბამ“*, ***მონატრუ(ნ) თის თინა*** *„ენატრება მას ის“.*

ქვემოთ განვიხილავთ ე.წ. „რელატიური პოტენციალისების“, ჩვენი კლასიფიკაციით კი **R-ე(ნ)** სტრუქტურისა და **დატიური კონსტრუქციის** მქონე ზმნური ფორმების ზმნისწინიან და უზმნისწინო ვარიანტებს (ქვესტრუქტურებს).

ვერ უარვყოფთ, რომ ამ ზმნათათვის, სემანტიკურ დონეზე პოტენციალისის სემანტიკური ნიუანსია დამახასიათებელი; თუმცა არა ყველა მათგანისთვის: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრულში არსებობს **R-ე(ნ)** სტრუქტურის ზმნათა მცირე ჯგუფი, რომელთათვისაც ასევე დამახასიათებელია დატიური კონსტრუქცია და მარკირება მანის რიგის პირის ნიშნებით. ამის შესახებ პირველად შენიშნულია 2015 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“, გვ.614-624); მიუხედავად ამისა, ამ მცირე ჯგუფის ზმნათათვის უცხოა პოტენციალისის ყოველგვარი გაგება. ამ მცირე ჯგუფს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, **R-ე(ნ) სტრუქტურის** ზმნები პოტენციალისის სემანტიკურ ნიუანსს შეიცავენ – ისინი დასაშვებად ან დაუშვებლად წარმოგვიჩენენ ზმნით გამოხატული მოქმედების შესაძლებლობას.

პოტენციალისის კატეგორია მკაფიოდ არის გამოკვეთილი მეგრულში, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ქართველურ ენობრივ განშტოებებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „ქართველურ ენათაგან ქართულ-სვანურში შეუძლებლობა ორგანულად ზმნაში მაშინ აისახება, როცა ზმნას ეგუება უბრალო უარყოფის „არ“ ნაწილაკი (მაგ., „არ მეჭმება“)“ (51, 112);

ქართულში „პოსიბილური შინაარსის რელატიურ ფორმებს მხოლოდ აწმყოს ჯგუფის მწკრივები ეწარმოებათ. ამასთან მხოლოდ მანის რიგით მარკირებული ფორმები აქვთ“ (67,252). მეგრულში კი ასე არ არის: ამ ზმნათა სრულ უმრავლესობას მოეპოვება პირველი, მეორე და მეოთხე სერიის ფორმები; შეზღუდვა, ძირითადად, თურმეობითის მწკრივებზე ვრცელდება; მაგ., ***აგრინჯინე(ნ)*** *„შეუძლია მაგრად ცემოს, დაბეგვოს”* - ***აგრინჯინუ*** *„შეძლო მაგრად ეცემა“,* -- , ***დონოგრინჯინუე(ნ)*** *„შესძლებია მაგრად ცემა“.*

5.4.1 ქვესტრუქტურა ა-R-ე(ნ) №88

აგუბე(ნ) *„შეუძლია დააგუბოს“,* ***აგუდორე(ნ)*** *„შეუძლია შეახრამუნოს“,* ***აგურიშთე(ნ)*** *„შეუძლია დააგვირისტოს“,* ***აგურე(ნ)*** *„შეუძლია ისწავლოს“,* ***აგულინე(ნ)*** *„შეუძლია ასეირნოს“, (****აგულინუ*** *„შეძლო ესეირნა“,* -- , ***ნოგულებუე(ნ)*** *„შესძლებია სეირნობა“,* ***აგუჯე(ნ)*** *„შეუძლია გატენოს“...*

ჩვენი რესპონდენტებისთვის უცხო აღმოჩნდა ჩვენ მიერ მოპოვებული მასალიდან რამდენიმე მაგალითი. მაგ., ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავის წარმომადგენლის თქმით, მის კილოკავში არ გამოიყენება ***აგი/ვმე(ნ)*** *„შეუძლია მომკას“,* ***აბნენინე(ნ)*** *„შეუძლია დააბნიოს“;*

ლექსიკონში შეგვხვდა ***აბრელინე(ნ)*** *„შეუძლია გაამრავლოს“, შდრ.:* ***ამრავლინე*** *„შეუძლია გაამრავლოს“* ფორმები, მაგრამ გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ ისინი ხელოვნურია მეგრულად მოსაუბრეთათვის.

მაგალითები:

აანგარიშინე(ნ) *„შეუძლია იანგარიშოს“:* ***ნიკას უკვე აანგარიშინე(ნ)*** *„ნიკას უკვე შეუძლია იანგარიშოს“,* ***ანწგ აანგარიშინე(ნ)*** *„აწი შეუძლია იანგარიშოს“,* ***აარსებინე(ნ)*** *„შეუძლია იარსებოს“:* ***აარსებინენ თიზგმა ულუ(ნ)*** *„იმდენი აქვს, რომ შეუძლია იარსებოს“,* ***მუშ სამუშათ აარსებინე(ნ)*** *„თავის სამსახურით შეუძლია იარსებოს“,* ***ხვალე წყარით უარსებებგ*** *„მარტო წყლით უარსებია“,* ***აბადინე(ნ)*** *„შეუძლია დაბადოს“:* ***ბაღანა მალას აბადინე(ნ)*** *„ბავშვი შეუძლია მალე დაბადოს“,* ***აზრეფ აბადინე(ნ)*** *„აზრები შეუძლია დაბადოს“,* ***ბაღანა დაუბადებგ*** *„ბავშვი დაუბადებია“,* ***აბაზე(ნ)*** *„შეუძლია ცემოს“,* ***ლუკა თიშგმადიდა***

რე ნიკა აბაზე(ნ) *„ლუკა იმხელაა, რომ შეუძლია ცემოს“,* ***აბათილინე(ნ)*** *„შეუძლია გააბათილოს“,* ***ანგარიშ აბათილინე(ნ)*** *„ანგრიში შეუძლია გააბათილოს“,* ***აბათქე(ნ)*** ***„*****შეუძლია ცემოს“,** ***ქიხმაურგდა, მასწავლებელს მოსწავლე აბათქე(ნ)*** *- თუ იხმაურა, მასწავლებელს მოსწავლე შეუძლია ცემოს,* ***აბაკე(ნ)*** ***„*****შეუძლია ტკეპნოს, მაგრად ცემოს“,** ***თიცალ ძალა უღუ(ნ), დიხა აბაკე(ნ)*** *„ისეთი ძალა აქვს, შეუძლია მიწა ტკეპნოს“,* ***თიცალ ძალა უღუ(ნ), მუშ უდიდაშ მანგარო აბაკე(ნ)*** *„ისეთი ძალა აქვს, შეუძლია მასზე დიდი მაგრად ცემოს“,* ***აბანძღე(ნ)*** ***„*****შეუძლია აურიოს, დახლართოს“,** ***თიშნერ შურიშ რე აბანძღე(ნ) იფრელ*** *„ისეთი სულის არის, რომ შეუძლია აურიოს, დახლართოს ყველაფერი“,* ***აბანჭე(ნ)*** *„შეუძლია მაგრად სცემოს“,* ***მუმას აბანჭე(ნ) სქუაშა გლახაშ მაღოლამარი*** *„მამას შეუძლია მაგრად სცემოს შვილისთვის ცუდის გამკეთებელი“,* ***აბაჟე(ნ)*** *„შეუძლია დაბაჟოს“:* ***მებაჟეს აბაჟე საზღვარს გინმალგ*** *„მებაჟეს შეუძლია დაბაჟოს საზღვარზე გადამსვლელი“,* ***აბარგე(ნ)*** ***„შეუძლია გამარგლოს“: ლაიტ (სიმინდ) აბარგენ თიშგმადიდა რე(ნ)*** *„სიმინდი იმხელაა, შეუძლია გამარგლოს“,* ***ნოდის ცუანა დოუბარგგ*** *„ნადს ყანა გაუმარგლავს“,* ***აბარინე(ნ)*** ***„*****შეუძლია დააბაროს“,** ***დიდას ნინოშა ცუდე აბარინე(ნ)*** *„დედას შეუძლია ნინოს სახლი დააბაროს“,* ***აბარე(ნ)*** *„შეუძლია {და}ბაროს“,* ***ბების ორტვინ აბარე(ნ)*** *„ბებოს შეუძლია ბოსტანი დაბაროს“,* ***მებაღეს საყვავილო აბარე(ნ)*** *„მებაღეს შეუძლია საყვავილო დაბაროს“,* ***აბაღინე(ნ)*** *„შეუძლია აკმაროს, ამყოფინოს“,* ***დიასახლისის ოჭკუმალ აბაღინე(ნ)*** ***„*****დიასახლისს შეუძლია საჭმელი აკმაროს, ამყოფინოს“,** ***აგინძა/ორინე(ნ)*** *„შეუძლია {გა}აგრძელოს“.*

მოყვანილი ქვესტრუქტურის მყოფადი შემდეგი აგებულებისა იქნება: **prev-ა-R-ე(ნ):** ***გაშაართინე(ნ)*** *„შეუძლია გამოყოს“,* ***გაამორძგვინე(ნ)*** *„შეუძლია გაიმარჯვოს“,* ***გაამორძგვინუ*** *„შეძლო გაემარჯვა“, -- ,* ***გონომორძგვებუე(ნ)*** *„შესძლებია გაემარჯნა“,* ***გა-ა-ჯინ-ინ-ე(ნ)*** *„შეუძლია გახედოს“,* ***დაადაბალინე(ნ)*** *შეუძლია დაადაბლოს,* ***დაადაბალინუ(ნ)*** *„შეძლო დაედაბლებინა“, -- ,* ***დონოდაბალებუე(ნ)*** ***„*****შესძლებია დადაბლება“),** ***დაავალინე(ნ)*** *„შეუძლია დაავალოს“,* ***დაავალინუ*** *შეძლო დაევალებინა“ --* ***, დონოვალებუე(ნ)*** *„შესძლებია დავალება“). მაგ.,* ***ალაჩინე(ნ)*** ***„*****შეუძლია ურჩიოს“,** ***თიცალ კოჩ რე, ჯგირ***

ალაჩინე(ნ) *„ისეთი კაცია შეუძლია კარგი ურჩიოს“,* ***ჯგირ აზრი ურჩიებგ*** *„კარგი აზრი ურჩევია“.*

5.5. მესამე დიათეზა
(შეჯამება)

ამგვარად, მესამე დიათეზაში გამოიყო **25** ქვესტრუქტურა (R-Ø სტრუქტურის ქვეშ – 11 ქვეჯგუფი, ხოლო R-უ/ე(ნ) სტრუქტურის ქვეშ – **14** ქვეჯგუფი (აქედან: **13** – R-უ(ნ) და **1** კი – R-ე(ნ) ქვესტრუქტურა), რომელთაც:

1. აქვთ დატიური კონსტრუქცია: ზმნით გამოხატული მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი (სუსტი, ინაქტიური სუბიექტი) ბრუნვაუცვლელია და ყველა სერიაში **მიცემითი ბრუნვის** ნიშნით არის გაფორმებული (***„მიღორს“*** *მიყვარს* და მისთ.); ზმნით გამოხატული მოქმედების აღმქმელ-განმცდელი **ბრუნვაუცვლელი** პირი, **მ**ანის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული.
2. მესამე დიათეზის ყველა ზმნის რელატიურ ფორმაში **მეორე აქტანტი**, რომელიც **არ არის მოქმედების აღმქმელ-განმცდელი,** პირველ, მესამე და მეოთხე სერიებში სახელობითი ბრუნვის ნიშნით, ხოლო **მეორე სერიაში** მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით იქნება გაფორმებული. მაგ., ***ქჷმმაშქირენგ ოჭკუმალქ*** *„მომშივდა (მე) საჭმელმა“* ***მეზობელს ყუდექ ვაკეთინუ*** *„მეზობელს სახლმა ვერ გაეკეთა“* და სხვ.
3. სტრუქტურული თვალსაზრისით **მესამე დიათეზაში** <u>**ორივე სტრუქტურა**</u> გვხვდება, დატიური აღმქმელი აქტანტით, რომელიც მანის რიგის პირის ნიშნებით არის მარკირებული:
   - <u>**R-[Th.s.]-Ø**</u> (***მიღორს*** *„მიყვარს“) და*
   - <u>***R-[Th.s.]-უ/ე(ნ)***</u> ***(მოჭიჭარუ(ნ)*** *„მეპატარავება“,* ***ოჭიფარუ(ნ)*** *„ეკიწროვება“,* ***აბაზე(ნ)*** *„შეუძლია ცემოს“,* ***აბათილინე(ნ)*** *„შეუძლია გააბათილოს“,* ***აბათქე(ნ)*** *„შეუძლია ცემოს/დაბეთქოს“...).*
4. **სემანტიკურად** მესამე დიათეზის ყველა ზმნა შეიწყობს **ინაქტიურ**, სუსტი ნებელობის მქონე მოქმედების აღმქმელ-განმცდელ პირს. შინაარსობლივად ამითაც განსხვავდება მესამე დიათეზის ყველა ზმნა პირველი და მეორე დიათეზის ზმნათაგან.
5. მესამე დიათეზის ყველა ზმნა სტატიკურია, შესაბამისად, მეორე სერია დეფექტური აქვთ, თუმცა გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც, რაც სხვა ქართველური ენობრივი ერთეულებისთვისაცაა დამახასიათებელი (შდრ., , აჭარული: ***მომეშია*** *„მომშივდა“);* გვაქვს როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური სტატიკა.

ძირითადი დასკვნები:

1. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აგებულებისა და მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით მეგრული ზმნა თვისობრივად არ განსხვავდება ქართული სამწიგნობრო ენისა და სხვა ქართველური ქვესისტემების ზმნისაგან. ბოლო პერიოდში ქართული ენის ზმნური ფორმების განსხვავებული კლასიფიკაცია წარმოადგინა დ. მელიქიშვილმა; კერძოდ, მან სამწიგნობრო ენის ზმნის ფორმების კლასიფიკაცია მოახდინა დიათეზის მორფოსინტაქსური კატეგორიის მიხედვით (67; 68). აქვე **დიათეზა** განმარტებულია, როგორც „ქართული ზმნის **გრამატიკულად მარკირებული,** სტრუქტურითა და კონსტრუქციის ერთიანობით განსაზღვრული კატეგორია, სადაც გვარი **სემანტიკური ნიშნით** განსხვავებული ქვესახეა. დ. მელიქიშვილი გამოყოფს ქართული ზმნის სამ დიათეზას, რომელთაგან თითოეულს აერთიანებს მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთგვარობა. მანვე გამოთქვა ვარაუდი, „**მეგრული ზმნის უღლებადი ფორმების ინდუქციური მეთოდით კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა დიათეზების თეორიის მეთოდოლოგიური მართებულობა და ის წინასწარი ვარაუდი, რომ დიათეზა წარმოადგენს საერთოქართველური ზმნის ძირითად, არქაულ მოდელს, რომელმაც სახე იცვალა მეგრულ-ჭანურში ერგატივის გამოყენების თვალსაზრისით** (68, 94). წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მიზნად დავისახეთ დიათეზების თეორია შეგვემოწმებინა მომცველობითი მეგრულის მასალის მიხედვით.

2. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მეგრული ზმნის სტრუქტურისა და კონსტრუქციის შესწავლის მიზნით, დავამუშავეთ: *იოსებ ყიფშიძის ტექსტები /„მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით“,* **1914/,** პ. ჭარაიას ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი /მასალები იაფეტური ენების მკვლევართათვის, შედგენილი პ. ჭარაიას მიერ (მანქანაზე გადაბეჭდილი), **1918/,** მაკარ ხუბუას მეგრული ტექსტები, ტფ., 1937, **ქართული ხალხური სიტყვიერება**, 2, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), **1991,** თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი **მეგრული ანდაზები და გამოთქმები** /იკე, 28-ე, თბ., 1989/, კალისტრატე სამუშიას „ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები“, თბ., 1990, ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“ და

ოთარ ქაჯაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონი (2001-2004). ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ ასევე, საველე ექსპედიციებით ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა. საანალიზო მასალის შერჩევისას გავითვალისწინეთ შემდეგი საბაზისო კრიტერიუმები: **რეპრეზენტაციულობა, მასალის ხელმისაწვდომობა, შერჩევის მოცულობა და შედეგების განზოგადება.** ნაშრომში მეგრული ზმნის ყველა შესაძლო მორფოლოგიური სტრუქტურა წარმოვადგინეთ აწმყოს თემის მიხედვით; მასალა გავაანალიზეთ თითოეული ზმნური ყალიბის მწკრივის ფორმების გათვალისწინებით. მეგრული ზმნური ფორმების მორფოსინტაქსური კლასიფიკაციისას გამოვრიცხეთ გვარი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, რადგანაც გვარის გამოყოფის საფუძველი – კონვერსია ხშირ შემთხვევაში არ მუშაობს ქართველური **პოლიპერსონალური** ზმნისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ აქტივის ფორმათა კონვერსიით, ხშირ შემთხვევაში, ვერ ვიღებთ პასივის შინაარსს, ჩვენ არ ვიზიარებთ გვარის როგორც მორფოლოგიური კატეგორიის ტრადიციულ კვალიფიკაციას.

3. თითოეული დიათეზის პარამეტრებია: **მორფოლოგიურ დონეზე** – ზმნური ფორმის სტრუქტურა, **სინტაქსურ დონეზე** – მისი კონსტრუქცია და **სემანტიკურ დონეზე** - გვარი; ამგვარად, გვარი დიათეზათა კლასიფიკაციაში სემანტიკური ქვეკატეგორიაა. შესაბამისად, გვარის სემანტიკური კლასიფიკაციის ადგილი მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში არ არის. დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში გვარი არ არის მიჯაჭვული რომელიმე მორფოლოგიურ სტრუქტურას. მეტიც, **ერთ მორფოლოგიურ სტრუქტურაში დასაშვებია გვარის სემანტიკური ტრივიუმი: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი. მათი გარჩევა მხოლოდ** ზმნის სემანტიკითა და/ან კონტექსტის საშუალებით არის შესაძლებელი. ჩვენ მიერ მიმოხილული მეგრული მაგალითების მიხედვით პასივებად მიჩნეული ***აფორუუ(ნ)*** *„ეფარება“ ტიპის მაგალითები (**ატყობუუ(ნ)** ძღაბი დიდას „ემალება გოგონა დედას“)* და მსგავსი უამრავი სულიერი სუბიექტის მქონე ზმნა სემანტიკურად აქტიურია, მოქმედება უშუალოდ გადადის ირიბ ობიექტზე: ***აჩხიჩხუუ(ნ)*** *თინა თის „(საჩხუბრად) **ეჯახება** ის მას“* - არ არის პასივი, პირიქით, აქტიური მოქმედების გამომხატველია, ოღონდ **R-[th.s.]-უ(ნ)** სტრუქტურისა; ამდენად, გვარი მხოლოდ სემანტიკური კატეგორიაა, მით უფრო, რომ ერთსა და იმავე მორფოლოგიურ ყალიბს შეუძლია გამოხატოს

აქტივიც, პასივიცა და საგნის ნიშან-თვისება/სტატუსიც (მაგ., „*სპილენძის ფული* ***იჭრებოდა*** – <u>**ვნებითი, პასივი**</u> შდრ.: *გამომშრალი პური ახალგამომცხვარ პურზე უფრო ადვილად* ***იჭრება*** – <u>**სტატუსი, გამოიხატება საგნის ნიშან-თვისება**</u> და შდრ.: *მებრძოლი რაზმი მტრის ბანაკში* ***იჭრება*** – <u>**აქტივი, მოქმედების სემანტიკა**</u>“ (162, 110-111));

4. მეგრული ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზის შედეგად გამოიყო ორი ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურა (სულ **88** ქვესტრუქტურული ვარიანტით) და სამი სინტაქსური კონსტრუქცია. თითოეულ სინტაქსურ კონსტრუქციასთან მუდმივად დაკავშირებული მორფოლოგიური სტრუქტურის საფუძველზე კი ჩამოყალიბდა სამი საოპოზიციო ერთეული – დიათეზა. **პირველ დიათეზაში** შედის ისეთი ზმნური ფორმები, რომელთა კონსტრუქციაა **nom-erg-dat-nom**, ხოლო სტრუქტურა კი - **ვ**ინის რიგით მარკირებული **R-Ø; მეორე დიათეზაში** შედის ისეთი ზმნური ფორმები, რომელთა კონსტრუქციაა **nom-erg-nom-nom,** სტრუქტურა კი - **ვ**ინის რიგით მარკირებული **R-უ/ე(ნ); მესამე დიათეზაში** შედის ისეთი ზმნური ფორმები, რომელთა კონსტრუქციაა **dat-(dat)-dat-dat,** სტრუქტურა კი - **მ**ანის რიგით მარკირებული **R-Ø** და **R-უ/ე(ნ).**

5. პირველ დიათეზაში ერთიანდება (უგამონაკლისოდ) **R-Ø** სტრუქტურისა და **nom-erg-dat-nom** კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადობიექტიანი უსრული და სრული კონსტრუქციის მქონე სულ **39** ქვესტრუქტურული ჯგუფი. <u>**R-Ø** სტრუქტურის **უსრული** კონსტრუქციის ქვეშ</u> გამოიყო **22** ქვესტრუქტურა (აქედან აბსოლუტივები – **15** და ბრუნვაუცვლელობიექტიანები - **7**) აწმყოშივე დადასტურებული ზმნისწინის, ხმოვანი პრეფიქსებისა და თემატური ნიშნების მიხედვით; <u>R-Ø სტრუქტურის **სრული** კონსტრუქციის</u> ქვეჯგუფში – **17** განსხვავებული ქვესტრუქტურა გამოვყავით (აქედან მეჩვიდმეტე (ბოლო) სტრუქტურა კაუზატივთა ჯგუფია **5** ქვესტრუქტურული ნაირსახეობით).

6. მეორე დიათეზაში, საერთო ჯამში **24** ქვესტრუქტურული ჯგუფი გამოიყო, ამათგან: სტატიკური ქვეჯგუფისაა **12** ქვესტრუქტურა (**9** – ერთპირიან სტატიკურ ზმნათა, ხოლო **3** – ერთპირიან, ვინის რიგით მარკირებულ პოტენციალისთა ქვესტრუქტურა). სტატიკური ქვეჯგუფი მწკრივნაკლი უღლებით უპირისპირდება დინამიკურ ზმნებს. დინამიკურ ქვეჯგუფში შედის **12** ქვესტრუქტურა (დინამიკურ ქვეჯგუფშიც ორი განყოფილებისგან შედგება

– ერთპირიანი და ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი. სემანტიკურად მეორე დიათეზაში ორი ძირითადი ქვეჯგუფია: (ა.) სტატიკური და (ბ.) დინამიკური. **(ა.)** სტატიკური ქვეჯგუფი უგვაროა, აქ შედის **(1)მწკრივნაკლი სტატიკური ზმნები R-უ/ე(ნ) სტრუქტურისა** (არ ეწარმოებათ მეორე და მესამე სერია) და **(2) ერთპირიანი ი-R-ე(ნ) სტრუქტურის პოტენციალისები** (მწკრივთა სრული პარადიგმა, ხშირად, არც ამათ არა აქვთ სპეციფიკური შინაარსის გამო. **ი-R-ე(ნ) სტრუქტურის პოტენციალისები** მორფოსინტაქსური ნიშნებით სწორედ ამ ქვეჯგუფში უნდა მოთავსებულიყო, რადგან: **(1)**მათი სინტაქსური კონსტრუქციაა: **nom-erg-nom-nom**, **(2)**მათი მორფოლოგიური სტრუქტურაა **R-ე(ნ)** და **(3)**პირის ნიშნებიც **ვ**ინის რიგის აფიქსებით აქვთ მარკირებული (მსგავსად მეორე დიათეზის ყველა ზმნისა). ერთპირიანი პოტენციალისის კონსტრუქცია ყველა სერიაში სახელობითია და **მარკირებულია ვ**ინის რიგის პირის ნიშნებით (<u>აწმყო:</u> ***ეირთენე(ნ)*** *„შეიძლება გართობა, შექცევა“ ის*$_{nom}$, <u>წყვეტილი:</u> ***ეირთინუ*** *„შესაძლებელი გახდა შეყოლიება“ ის*$_{nom}$, <u>პირველი რეზულტატივი:</u> ***ერთაფელ/რე(ნ)*** *„შესაძლებელი გამხდარა შეყოლიება“* ~~*ამის*~~$_{gen}$*).* **(ბ.) მეორე დიათეზის დინამიკურ ქვეჯგუფში** შედის **R-უ/ე(ნ)** სტრუქტურის **(1)**ერთპირიანი და **(2)**ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი ზმნები. **(1)ერთპირიანი** ზმნები, როგორც წესი **ი/Ø-** პრეფიქსიანი და **-დ** სუფიქსიანი ზმნების ვარიანტებია **R-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ყალიბში, მათი მოქმედება ინტროვერტიზებულია, მოქმედების პროცესი სუბიექტსავე მიემართება. ამიტომ, გვარის მიხედვით, ისინი ავტოაქტივებია; „მიერ” ტიპის კონსტრუქციის ან უსულო სუბიექტის შემთხვევაში კი იგივე ფორმები პასივებად იქცევიან. **(2)ბრუნვაუცვლელ ობიექტიანი ზმნები, როგორც წესი, ა/ე-R-უ(ნ) სტრუქტურის ორპირიანი ზმნური ფორმებია, ისინი აქტიური მოქმედების გამომხატველნი არიან, ამიტომ,** გვარის მიხედვით **აქტივებია**. მწკრივთა წარმოება რეგულარული აქვთ, სემანტიკურად დაუშვებელი ვარიანტების გარდა ყველა მწკრივი ეწარმოებათ. მეორე დიათეზის, ანუ **ვ**ინის რიგით მარკირებული **R-უ/ე(ნ) სტრუქტურის ზმნურ ფორმათა** სემანტიკური ქვეჯგუფები გამოყოფილია გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით:

- უგვარო (სტატიკური ზმნები გვარის მიმართ ნეიტრალურები არიან);

-ავტოაქტივები (აბსოლუტივები, რომლებიც, კონტექსტის მიხედვით, „მიერ/გან“ ტიპის კონსტრუქციასა და უსულო სუბიექტის შემთხვევაში შეიძლება **პასივად** მოიქცეს.).

- აქტივები (ორპირიანი, ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნური ფორმები).

მეორე დიათეზის ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნები **R-უ(ნ)** სტრუქტურისაა, მათი კონსტრუცია, ისევე როგორც ყველა ზმნისა მეორე დიათეზაში, **nom-erg-nom-nom**-ია. გვაქვს როგორც ზმნური, ასევე სახლური ფუძეებისგან წარმოებული ფორმები. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი **R-უ(ნ)** სტრუქტურის გამო ე.წ. „**პასივებად**“ კვალიფიცირდებიან, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ: **R-უ(ნ)** სტრუქტურა არის ზოგადი, გვარეობითი სტრუქტურა რომელიც შეიძლება ითავსებდეს სხვადასხვა გვარის ფორმის გამოხატვის ფუნქციას. გამომდინარე იქიდან, რომ მეორე დიათეზის ბრუნვაუცვლელობიექტიან ზმნათაგან ყველა აქტიური მოქმედების გამომხატველია, **გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით, ეს ზმნები აქტივებია, შესაბამისად, მათ გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით აქტივთა ჯგუფებში ვათავსებთ.** მეორე დიათეზის **R-უ(ნ)** სტრუქტურის ზმნა შესაძლოა გამოხატავდეს აქტიურ, ავტოაქტიურ (თვითმოქმედ) და **„მიერ/გან“** ტიპის კონსტრუქციისა და უსულო სუბიექტის შემთხვევაში – პასიურ მოქმედებას: (***(1)იჭარუუ(ნ) წერილი ჯიმაშე „****იწერება წერილი ძმის მიერ“* – <u>**პასივია**</u>, ***(2)ჩქიმ ჯიმა იჭარუუ(ნ) წერილს „****ჩემი ძმა <u>იწერება</u> წერილს* – <u>**აქტივი**</u>, ***(3)თელ დღას ფეისბუქის თოლორუანცგ, სკაიპის რწვანეთ გითორჩქგ დო მუთუნს ვა იჭარუუ(ნ)!*** *„მთელი დღე ფეისბუქს ათვალიერებს, სკაიპში მწვანედ ჩანს და არაფერს <u>იწერება</u>!“* – <u>**ავტოაქტივი**</u>. ამგვარად, მეორე დიათეზის ორპირიანი, ბრუნვაუცვლელობიექტიანი ზმნური ფორმები აქტიურსუბიექტიანები არიან, ზმნით გამოხატული მოქმედება უშუალოდ აისახება ზმნაში ჩართულ ობიექტზე. სწორედ ამიტომ, ისინი აქტივებად კვალიფიცირდებიან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულად მოსაუბრეთათვის პასივის სემანტიკის გამომხატველი კონსტრუქციები უხერხულად და არაბუნებრივად ჟღერს, იმავე შინარსს ისინი აქტიური წყობით გადმოსცემენ.

7. მესამე დიათეზაში გამოიყო **25** ქვესტრუქტურა (**R-Ø** სტრუქტურის ქვეშ – **11** ქვეჯგუფი, ხოლო **R-უ/ე(ნ)** სტრუქტურის ქვეშ – **14** (აქედან: **R-უ(ნ)**

სტრუქტურაში – **13** და **R-ე(ნ)** სტრუქტურაში – **1** ქვეჯგუფი). სტრუქტურული თვალსაზრისით **მესამე დიათეზაში** ორივე სტრუქტურა გვხვდება, დატიური აღმქმელი აქტანტით, რომელიც **მანის რიგის პირის ნიშნებით არის მარკირებული:**

- R-[Th.s.]-Ø (***მიყორს*** *„მიყვარს“) და*

- R-[Th.s.]-უ/ე(ნ) ***(მოჭიჭარუ(ნ)*** *„მეპატარავება“,* ***ოჭიფარუ(ნ)*** *„ევიწროვება“,* ***აბადინე(ნ)*** *„შეუძლია დაბადოს“,* ***აბაზე(ნ)*** *„შეუძლია ცემოს“,* ***აბათილინე(ნ)*** *„შეუძლია გააბათილოს“,* ***აბათქე(ნ)*** *„შეუძლია ცემოს/დაბეთქოს“...).*

სემანტიკურად, მესამე დიათეზის ყველა ზმნა შეიწყობს **ინაქტიურ**, სუსტი ნებელობის მქონე მოქმედების აღმქმელ-განმცდელ პირს. შინაარსობლივად ამითაც განსხვავდება მესამე დიათეზის ყველა ზმნა პირველი და მეორე დიათეზის ზმნათაგან.

მესამე დიათეზის ყველა ზმნა სტატიკურია, შესაბამისად, მეორე სერია დეფექტური აქვთ, დანაკლის ფორმებს შესაბამისი **–დ** სუფიქსიანი ზმნებისგან ივსებენ. თუმცა გვაქვს წყვეტილის წარმოების გამონაკლისი შემთხვევებიც, რაც სხვა ქართველური ენობრივი ერთეულებისთვისაცაა დამახასიათებელი (შდრ., აჭარული: ***მომემშია*** *„მომშივდა“).* მესამე დიათეზაში გვაქვს როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური სტატიკა.

8. სამივე დიათეზის კონსტრუქცია და ვინისა და მანის რიგით მარკირებული ზმნის გვარეობითი სტრუქტურები ერთმანეთის მიმართ **კონტრასტული დისტრიბუციის დამოკიდებულებაში** იმყოფებიან და მყარ, ჩამოყალიბებულ საოპოზიციო ერთეულებს წარმოადგენენ. საბოლოო სურათის შექმნის მიზნით წარმოვადგენთ შემაჯამებელ ცხრილს, სადაც კარგად ჩანს მეგრული ზმნის სინტაქსური კონსტრუქციისა და მორფოლოგიური სტრუქტურის ურთიერთმიმართება დიათეზათა მიხედვით (იხ. ცხრ. № 5.5):

ცხრილი №5.5.

I დიათეზა:

სტატიკური გვარი: **ავტოაქტივი//რეფლექსივი** **სტრუქტურა: R-Ø**, **კონსტრუქცია: nom-erg-dat-nom** **უსრული კონსტრუქცია:** **[ის$_{nom}$ – მან$_{erg}$ – მას$_{dat}$ – ის$_{nom}$];** **[ის$_{nom}$ მას$_{dat}$ – მან$_{erg}$ მას$_{dat}$ – მას$_{dat}$ Ø – ის$_{nom}$ მას$_{dat}$];**	**დინამიკური** გვარი: აქტივი **სტრუქტურა: R- Ø,** **კონსტრუქცია:** **nom-erg-dat-nom** **სრული კონსტრუქცია:** **[ის$_{nom}$ მას$_{dat}$–მან$_{erg}$ ის$_{dat}$– მას$_{dat}$ ის$_{nom}$–ის$_{nom}$ მას$_{dat}$];** **[ის$_{nom}$ მას$_{dat}$ მას$_{dat}$–მან$_{erg}$ მას$_{dat}$ ის$_{nom}$–მას$_{dat}$ Ø ის$_{nom}$ - ის$_{nom}$ მას$_{dat}$ მას$_{dat}$]**

II დიათეზა:

სტატიკური უგვარო **სტრუქტურა: R-უ/ე(ნ)** **კონსტრუქცია: nom-erg-nom-nom** **უსრული კონსტრუქცია:** **[ის$_{nom}$ –მან$_{erg}$ – ის$_{nom}$ - ის$_{nom}$]**	**დინამიკური** გვარი: **ავტოაქტივი //რეფლექსივი, აქტივი, პასივი** **სტრუქტურა: R-th.s.-უ/ე(ნ)** **კონსტრუქცია:** **nom-erg-nom-nom** **სრული კონსტრუქცია:** **[ის$_{nom}$–მან$_{erg}$–ის$_{nom}$ - ის$_{nom}$];** **[ის$_{nom}$ მას$_{dat}$–მან$_{erg}$ მას$_{dat}$–ის$_{nom}$ მას$_{dat}$– ის$_{nom}$– მას$_{dat}$];**

III დიათეზა:

სტატიკური უგვარო სტრუქტურა: **R- Ø** **კონსტრუქცია: dat- dat –dat-dat** **[მას$_{dat}$ – მას$_{dat}$ – მას$_{dat}$ – მას$_{dat}$];** **[მას$_{dat}$ ის$_{nom}$ - მას$_{dat}$ მან$_{erg}$ – მას$_{dat}$ ის$_{nom}$ – მას$_{dat}$ ის$_{nom}$]**	**სტატიკური;** უგვარო; სტრუქტურა: **R- th.s.-უ/ე(ნ)** **კონსტრუქცია: dat-(dat) –dat-dat** **[მას$_{dat}$–მას$_{dat}$–მას$_{dat}$– მას$_{dat}$];** **[მას$_{dat}$ ის$_{nom}$ - მას$_{dat}$ მან$_{erg}$ – მას$_{dat}$ ის$_{nom}$ –მას$_{dat}$ ის$_{nom}$]**

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. აბაშია რ., ერგატივი და დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია, ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში, თბ., 2009
2. ანტონი, ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონ კათალიკოსის მიერ, თბილისი, 1885
3. არაბული ა., ზოგი ცალთანხმოვნიანი ზმნური და სახელური ძირის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში, ქესს, თბილისი, 1998
4. ასათიანი რ. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3 გვ. 192, თბ., 1987
5. ასათიანი ი., ზმნისწინები ზანურში (საკანდ. დისერტ.), თბ., 1953
6. ასათიანი რ., ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში, მაცნე, №3, თბ., 1987
7. ასათიანი რ., გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში, ტიპოლ. ძიებ., თბ., 1990
8. ასათიანი რ., ვნებითი გვარის კონსტრუქციათა პრაგმატული თავისებურება ქართველურ ენებში, ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, თბ., 2009
9. ახალაია ნ., ერთპირიანი მედიოაქტივები მეგრულში (ქართულთან შეპირისპირებით), არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინსტ. 67-ე სამეცნიერო სეს. მას., თბ., 2008
10. გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, ე. ნიკოლაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1970
11. გამყრელიძე, მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965
12. გიგლემიანი ლ., მაზმნავებელი სუფიქსი -ორ მეგრულში, იკე, XXXVII, თბ., 2009
13. გოგოლაშვილი გ., ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა საყრდენი ფუძის შესახებ: თსუ შრომები, ტ. 187, თბილისი, 1977
14. გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი, 1988
15. გოგოლაშვილი გ., კვანტალიანი ც., შენგელია დ., „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი“, 1989

16. გოგოლაშვილი გ., თემის ნიშანთან დაკავშირებული ზოგი საკითხი საშუალო გვარის ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XX, 2005

17. გუდავა ტ., „ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში“, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1974

18. ტ. გუდავა, -უან დაბოლოების შესახებ მეგრულ კაუზატივებში. - კრებ. "საენათმეცნირო კრებული", თბ., 1984, – 1, გვ. 72-77

19. დადიანი ე., სხვათა სიტყვის -ა ნაწილაკის ფონეტიკური ვარიანტებისთვის მეგრულში, ქართველური მემკვიდრეობა, X, გვ. 81-86, 2006

20. დადიანი ე., ფუტკარაძე ტ., პირველი პირის ვ/უ ნიშნის მეტათეზისისათვის ქართველურ დიალექტებში, XXIV რესპ. დიალ. სეს. მას., თბ., 2004

21. ე. დადიანი, მეგრული ზმნის პარადიგმა, ქუთაისი, 2014

22. ე. დადიანი მეგრული ტექსტები (ხობი, ქვემო ქვალონი), ქუთაისი, 2015

23. დანელია კ., ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, 164-174, 1976

24. დოდაშვილი ს., შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, სოლომონ დოდაევის მიერ გამოც., ტფილისი, 1830

25. ეზი დ. (Ezzy Douglas), Coding in thematic analysis and grounded theory in: Qualitative Analysis Practice and Innovation, pp.:86-95 Routledge,2002/

26. ეზუგბაია ლ., -ქ სუფიქსის ფუნქციისათვის მეგრულ ზმნაში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, XXIII, გვ. 31., თბ., 2003

27. ეზუგბაია ლ., მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები, თბილისი, 2010

28. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011

29. თოფურია ვ., შრომები, II., თბილისი, 2002

30. ივანიშვილი მ., სოსელია ე., ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფოსინტაქსური და სემანტიკური თავისებურება, ენათმეცნიერების საკითხები №4 (16), თბ. 2002

31. იოანე ბატონიშვილი, „ხუმარსწავლა (კალმასობა)“ ა. ბარამიძის, ე. მეტრეველის და ს. ცაიშვილის რედაქციით, „მერანი“, თბილისი, 1990

32. იოსელიანი პ., პირველ დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატისა-ძის იოსელიანისა მიერ, თფილისი, 1840

33. კაკაჩია მ., მარგიანი ქ., ჯღარკავა მ., ქართველური ენების გრძნობა-აღქმის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, არნ. ჩიქობავას საკითხავები, ტ. 27, გვ.24., თბილისი, 2016

34. კარტოზია გ., გერსამია რ., ლომია მ., ცხადაია თ., მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010

35. კარიჭაშვილი დ., „ქართული ენის გრამატიკა“ ეტიმოლოგია, 12 ტაბულით, სახელგამი, თბილისი, 1929

36. კვიცარიძე პ., ქართული სწორმეტყველება (საშინჯი სახელმძღვანელო, პირველი წიგნი, შედგენილი პ. კვიცარიძის მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძIსაგან, სტამბა მ.დ. როტინოვისა, თბილისი, 1888

37. კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, 1982

38. კიზირია ა., *ქვემდ*ებარის ბრუნვათა მიმართება ქართველურ ენებში,1979:95-103, კრებულში „არნოლდ ჩიქობავას“, 1979

39. კორბინი, სტრაუსი (Corbin, Strauss 1990:4-15, Qualitative Sociology, Vol. 13, No. t, 1990, human sciences press inc. https://sites.duke.edu/niou/files/2014/07/W10-Corbin-and-Strauss-grounded-theory.pdf

40. კოჰენი ლ., მორისონი ქ., მანიონი ლ.: კვლევის მეთოდები განათლებაში”, ქართული გამოცემა, თბილისი, 2012

41. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. I, თბ., 2009 (მომზადდა და გამოიცა სსუ ქართული ენისა და კულტურის ინსტიტუტთან ერთად)

42. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II, თბ., 2010 (მომზადდა და გამოიცა სსუ ქართული ენისა და კულტურის ინსტიტუტთან ერთად)

43. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები: ტომი III:კრებული ეძღვნება აკად. ქეთევან ლომთათიძის დაბადების 100 წლისთავს, თბ., 2011

44. ლობჟანიძე ი., ბერეკაშვილი ს., დობორჯგინიძე ნ., „ახალი და თანამედროვე ქართული ენის მონოლინგვური კორპუსი“ (http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/search-words

45. ლოლაძე ნ., „ქონა-ყოლის“ ზმნები ქართველურ ენებში, ენათმ. ინსტ. ასპ. და ახ. მეცნ. კონფ.თეზ., თბ., 1984

46. ლოლაძე ნ., ზმნის გვარის სამწევრა სისტემის სტრუქტურული მოდელები ქართველურ ენებში, ქესს, VI, თბ., 1996
47. ლომაია შ., ზოგი რთული შედგენილობის ზმნისართის წარმომავლობისათვის მეგრულში, ქართვ. მემკვ., IV, 2000
48. ლომთათიძე ლ., ქ- სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, იკე, 1946
49. ლომთათიძე ქ., ქართული აქვს ზმნა მეგრულში, ქესს, ტ. III, თბ., 1963
50. ლომთათიძე ქ., პოტენციალისი ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში, თსუ, ფილოლოგია, I, სამეცნ. კონფ. მას., თბ., 1975
51. ლომთათიძე ქ., პოტენციალისის კატეგორია ქართველურსა და აფხაზურ-ადიღეურ ენებში, იკეწ, 3, თბ., 1976
52. ლომთაძე ა., კაუზატივის წარმოება ქართველურ ენებში, თსუ სტუდ. XXVI სამეცნ. კონფ., თეზ., თბ., 1964
53. ლომთაძე ა., ქართველური ხალხური სიტყვიერება (ჩხოროწყუს რაიონი), 2016
54. ლომია მ., ოკო(ნ) „უნდა“ ზმნის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია მეგრულში, თსუ ფილ. ფაკ. ახ. მეცნ. შრ., 1997
55. მარგველაშვილი, მყოფადის წარმოება მეგრულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. ტ., 23, თბილისი, 1980
56. მარგველაშვილი მარგველაშვილი, მწკრივთა წარმოება მეგრულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 1982
57. მარგველაშვილი მ., აწმყოს ფუძის საკითხი მეგრულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27, თბ., 1988
58. მარი ნ., Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Академия Наук, Л., 1925
59. მარტიროსოვი ა., ზმნური სუფიქსების ხმარების თავისებური სისტემა ჯავახურში. - IV სესია. სესია, თეზისები. გვ. 7-8, თბ., 1982
60. მაჭავარიანი გ., უნიშნო ვნებითები ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 1959, I
61. მაჭავარიანი გ., ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდ. დისერტ.), თბ., 1953
62. მაჭავარიანი გ., ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, მაცნე, 1,თბ., 1973

63. მაჭავარიანი გ., კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, XXVII, თბ., 1988

64. მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, ლექციების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2002.

65. მახარობლიძე თ., ზმნისწინის ექვსი ფუნქცია და ზმნისწინთა კლასიფიკაცია, 2010

66. მელიქიშვილი დ., Das System der Konjugation des transitiven Verbs im modernen Georgisch. Georgica. 1, 17-23, ბრემენი, 1978

67. მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, 2001.

68. მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, თბილისი, ინტელექტი, 2014

69. მელიქიშვილი დ., ნ. ჭიჭიკოშვილი, ფუტკარაძე ნ., The Difficulties in the Process of Teaching the Category of Voice and the Kartvelian Verb, კონფერენციის სტატიათა კრებული "Materials of SOCIOINT15, სტამბოლი, თურქეთი, 2015: 828-834

70. მელიქიშვილი ი., ქცევა, როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოხატვის საშუალება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები №4, თბ. 2002

71. მელიქიშვილი, ი., პირდაპირი სემანტიკური მარკირება როგორც ქართველურ ენათა მორფოლოგიის განმსაზღვრელი პრინციპი და პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემა, ტიპოლ. ძიებ., 5, თბ., 2005

72. ნაჭყებია მ., ზმნისართი ადგილის გარემოებად მეგრულში, ქესს, VII, თბ., 1998

73. ნაჭყებია მ., მიცემითის ერთი სინტაქსური ფუნქციისათვის ზანურსა და ქართულში (ენობრივი დინამიკის ერთი საკითხი), ქუთ. საუბრ., VI, 1999

74. ნაჭყებია მ., ქეცბაია ნ., ქართველთა ენობრივი ერთიანობის საკითხისათვის, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, 3, თბ., 2008

75. ნაჭყებია მ., ერგატიული კონსტრუქციის შესწავლის ისტორიისათვის ქართველოლოგიაში, სოხუმის სახ. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფ., 2012.

76. ნიკოლაიშვილი მ., ქართველურ ენათა შესწავლისა და სწავლების საკითხები, თბ., 2009

77. ნოზაძე ლ., მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, 25-52, თბ. 1974

78. ნოზაძე ლ., ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, უნივერსალი, 2008

79. ონიანი ალ., ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978

80. ონიანი ალ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989

81. როგავა, გ., კუთვნილებითი აფიქსი ი- ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №2, თბ. 1942

82. როგავა გ., დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართვ. ენებში, იკე V, თბ., 1953

83. გ. როგავა, ნამყო უსრულის -ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში, იკე, ტ, VI, 1954

84. სალია მ., ქცევის კატეგორიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის თაობაზე მეგრულ-ლაზურში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავ., XVI, თბ., 2005

85. სალია მ., ზმნისწინისათვის მეგრულში, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ.III, თბ., 2011

86. სამუშია კ., „ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები“, თბ., 1990

87. სახოკიას თ., მიერ ჩაწერილი მეგრული ანდაზები და გამოთქმები (იკე, 28-ე, თბ., 1989

88. სუხიშვილი მ., სტატიკური ზმნები ქართულში, „მეცნიერება“, თბილისი, 1976

89. სუხიშვილი მ., ი- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის შესახებ ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1978

90. სუხიშვილი მ., მყოფადის წარმოება და სტატიკურ ზმნათა პარადიგმა ქართულში, იკე, XX, გვ. 80-83, თბ., 1978,

91. სუხიშვილი მ, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში, ავტორეფერატი, თბილისი, 1999

92. ურიდია ო., მეგრულის სინტაქსური თავისებურებანი ქართულთან მიმართებით, თსუ შრ., ტ. 93, თბ., 1960

93. ფეიქრიშვილი ჟ., ქართველოლოგიის შესავალი, თბ., 1992

94. ფუტკარაძე ნ., I და II დიათეზის ავტოაქტივთა შესატყვისი ზმნები მეგრულში, სამაგისტრო ნაშრომი, თბ. 2009

95. ფუტკარაძე ნ., Reflexives in Megrelian Speech in Relation to the Evidence of standard Georgian, ბრემენის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ელექტორნული ვერსია: http://www.fb10.uni-bremen.de/kartvelian/abstracts.aspx

96. ფუტკარაძე ნ., ა-R-TH-, ა-R-უ- და ო-R-(TH)-უ-ან სტრუქტურის ზოგი ზმნა მეგრულში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინსტ. 67-ე სამეცნიერო სეს. მას., თბ., 2008

97. ფუტკარაძე ნ., ი-R-(TH)-უ(ნ) სტრუქტურის რეფლექსივები მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, II, თბ., 2010

98. ფუტკარაძე ნ., ი-/ე-R-ებ-ი და R-დ-ებ-ი სტრუქტურის ერთპირიანი ზმნები აჭარულში, XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, გვ. 55, 2010

99. ფუტკარაძე ნ., Die autoactiven Verben der I, und II. Diathese im Mingrelischen, ჟურნალი „გეროგიკა“, ბრემენი, გერმანია, 2012:8-17

100. ფუტკარაძე ნ., Historical and modern classifications of Megrelian Verb, IChOLS XIII, ვილა-რეალი, პორტუგალია, 2014: 218-220

101. ფუტკარაძე ნ., R-დ-უ(უ)ნ სტრუქტურის ერთპირიანი ზმნები მეგრულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.44, 2016

102. ფუტკარაძე ტ., მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტთა ისტორიისათვის ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური დიალექტების მონაცემთა მიხედვით, კრებული: „აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს“, თბ., 2008

103. ფუტკარაძე ტ., ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთ., 2008

104. ფუტკარაძე ტ., ზმნურ ხმოვანი პრეფიქსების ფუნქციისათვის ქართულ (ქართველურ) ზმნაში: ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ.II, თბ., 2010

105. ქარქაშაძე მ., ი- პრეფიქსის ფუნქცია ქართულ მედიოაქტიურ ზმნებში (ტიპოლოგიური ანალიზი), ტიპოლოგიური ძიებანი №5, თბ. 2005

106. ქარქაშაძე მ., მედიოაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითი ზმნებისურთიერთმიმართება თანამედროვე ქართულში ენათმეცნიერების საკითხები – I-II, 2007

107. ქარქაშაძე მ., ქართულ მედიოაქტიურ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების ტიპოლოგია, დისერტაცია (ფილოლოგიის დოქტორის ამადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 2016

108. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001

109. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002

110. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002

111. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 2009

112. ქართველიშვილი იოანე, ქართული ღრამმატიკა“ 1809, სმა ხელნაწერთა ინსტიტუტი, S4432 ხელნაწერი

113. ქირია 1988 - ჭ. ქირია, -უ-ამ დაბოლოება მეგრულ კაუზატიურ ზმნებში, თსუ და საქ. სსრ უმაღლ. სასწავლებლების ენის კათედრების რესპ. სამეცნ. კონფერენცია, ენათმეცნიერება, II, 1988 22-23 დეკემბერი (თეზისები), თბ., 1988

114. ქირია ჭ., კაუზატივის წარმოების ზოგიერთი საკითხი ძველ ქართულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, 1988 წ. 27-30 ივნისი (თეზისები), თბ., 1988

115. ქირია ჭ., კაუზატივის წარმოება ქართული ენის დიალექტებში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, ქ. თელავი, 1988 წ. 20-22 ოქტომბერი (თეზისები), თბ. 1988

116. ქირია ჭ., თემის ნიშანთა წარმომავლობის საკითხი მეგრულში, საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000

117. ქირია ჭ., ქართული დიალექტების კლასიფიკაცია კაუზატივის ნიშანთა არანჟირების თვალსაზრისით, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991

118. ქირია ჭ., კაუზატივის ფორმალური ნიშნისა და ამოსავალი ფუძის საკითხისათვის ზანურში, მაცნე, №1, 1991

119. ქირია ჭ., ეზუგბაია ლ., მემიშიში ო., ჩუხუა მ., ლაზურ-მეგრული გრამატიკა I, მერიდიან, 2015

120. ქობალავა, აწმყოს ფუძის ერთი თავისებურებისათVის მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი, 2010

121. ქობალია ა., „მეგრული ლექსიკონი“, თბილისი, 2010

122. ყიფიანი დ., ახალი ქართული გრამმატიკა (სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისთვის, სანკტ- პეტერბურღი, 1882

123. ყიფშიძე/Кипшидзе 1994 - И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, с.Петербургъ, 1914. დაბეჭდილია კრებულში იოსებ ყიფშიძე, “რჩეული თხზულებები” თბ., 1994, რედ. კ. დანელია

124. შანიძე ა., სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი III პირისა ქართულ ზმნაში, ტფილისი, 1920

125. შანიძე ა., აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალ-პირიანი ზმნის ჩვენებით, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, №4, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1943

126. შანიძე 1980 – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III ტ., თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980

127. შანშოვანი ზ., Краткая грузинская грамматика, составленная Зурабом Шаншовани в 1737 г. С. Петербург 1881

128. შენგელია ვ., მონოფუნქციური და პოლიფუნქციური ერგატივი ქართველურ და ჩერქეზულ ენებში, საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია, ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში, თბ., 2009

129. შეროზია რ., ვნებითი გვარის ზმნებისა და პოტენციალისის საკითხისათვის ქართულსა და სვანურში, რ. «ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები», თბ., 1978

130. შეროზია რ., პოტენციალისის კატეგორია და მასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, კრ. «ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან», თბ., 1980

131. შეროზია რ., ზმნის ზოგი სუფიქსის ფუნქციისათვის ზანური ენის მეგრულ დიალექტში, საქართველოს მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, 1980, თეზისები

132. შეროზია რ., „პოტენციალისის კატეგორიისათვის ზანური ენის მეგრულ დიალექტში“, საქ. მეცნ აკად მოამბე, ტ. 101, №1, 1981

133. შეროზია რ., პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, თბ., (ავტორეფერატი),1985

134. შეროზია რ., შეროზია, ქო- ნაწილაკსა და ზმნისწინებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში, საენათმეცნიერო ძიებანი, X, 2000

135. შეროზია რ., სტატიკურ ზმნათა ფუძის წარმოების ერთი საკითხი მეგრულ-ლაზურში, ქესს,VII, თბ., 1998

136. შეროზია რ., სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა უღვლილების ზოგიერთი საკითხისათვის მეგრულში, ქუთაისური საუბრები, III, მას., თბ., 1998

137. შეროზია რ., სტატიკური ზმნები და ზმნისწინი მეგრულში, საენათმეცნ. ძიებანი, VI, თბ., 1999

138. შეროზია რ., ზმნურ კონსტრუქციათა ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მას., თბ., 2001

139. შეროზია რ., მყოფადის წარმოების ზოგი საკითხისათვის ლაზურში, რესპ.დიალ.სამეცნიერო სეს. მას., XXV, თბ., 2005

140. ჩანტლაძე ი., საობიექტო ვერსია ქართველურ ენებში, ქუთ. საუბრ. III, თეზ., 1996

141. ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, სსრკ სმა საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი, 1936

142. ჩიქობავა არნ., პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, თბ.,1937

143. ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, სმა გამომცემლობა, 1948

144. ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, სმა გამომცემლობა, 1961

145. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, I, თბ., გვ. 072, 1950

146. ჩიქობავა არნ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, იკე, XVI, თბ., 1968

147. ჩიქობავა არნ., ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში. (წინასწარ მოხსენება). - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.11, გვ. 151-168. -რეზიუმე რუს. ენ., თბილისი, 1959

148. ჩუხუა მ., ვნებითი გვარის სუფიქსაციის პრობლემისათვის ქართველურ ენებში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სეს. მას., XXVIII, თბ., 2008

149. ჩუხუა მ., გვარის კატეგორია მეგრულ-ლაზურში, ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები, III, თბ., 2015

150. ჭარაია პ., მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, ჟურნ. „მოამბე“,თბ., 1896

151. ჭარაია პ., ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტური ენების მკვლევართათვის), ხელნაწერი, 1918
152. ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997
153. ჭკადუა რ. ჭკადუა სვანურ ზმნაში ი- პრეფიქსის რეფლექსივური მნიშვნელობის შესახებ, ხელმძღვანელი თ. შარაძენიძე, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბ., 1980
154. ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986
155. ჭუმბურიძე ნ., ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს III პირის დაბოლოებისათვის ქართულ დიალექტებში, IV რესპ. დიალექტ. სამეცნიერო სესია ქ. ბათუმი, 1982
156. ხუბუა მ., მეგრული ტექსტები, ტფ., 1937, ქართული ხალხური სიტყვიერება, 2, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), 1991
157. ხუნდაძე სილ., ქართული ენის კილოკავების - მეგრულისა და სვანურის – გრამატიკული ფორმები, ქართული გრამატიკა, ქუთ., 1907.
158. ხუნდაძე სილ., ქართული გრამატიკა, სილოვ. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1917
159. ხუნდაძე სილოვან, ქართული გრამატიკა (პირველდაწყებითი შკოლებისათვის), სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი, მეხუთე შესწორებული და შევსებული გამოცემა, „მერანი“, ქუთაისი, 1920
160. ჯორბენაძე ბ., ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975;
161. ჯორბენაძე ბ., ბერიძე მ., კობაიძე მ., მორფემათა ლექსიკონი, თბილისი, 1988
162. ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში,თბ. 1983
163. ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ. 1988.
164. ჯორბენაძე ბ., ინხოატივი ქართულში, იკე, XXVIII, თბ., 1989
165. ჯორბენაძე ბ., ქართველური ენების დიალექტები, 1995
166. ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი“ (ბ. ჯორბენაძე, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1991
167. ჯორბანაძე ბ., ზმნის ხმოვანი პრეფიქსები ქართველურ ენებში: იკე - ს წელიწდეული, XVIII - XIX, თბ. 1992

168. ჰოლისკი 1989 - დი ენ ჰოლისკი, ასპექტი და მედიალური ზმნები ქართულ ენაში, 1989

169. ჯღარკავა მ., დეპონენსების საკითხისათვის მეგრულში, XIX რესპ. დიალ. სეს. თეზ., თბ., 1999.

170. ჯღარკავა მ., ინვერსიულ ზმნათა კონსტრუქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი მეგრულ-ლაზურში, XX რესპ. დიალ. სეს. მას., თბ., 200

171. ჰორკაიმერი მ., (Max Horkheimer, 1972. Traditional and Critical Theory, tr. Jeremy J. Shapiro, in Max Horkheimer, Critical Theory (New York: Herder & Herder), pp. 198-199,Translation of: Kritische Theorie. "Essays from the Zeitschrift fur Sozialforschung", Translated by Matthew J. O'Connell, published by Herder and Herder, Inc., New York: Seabury Press, 1972